3 4/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

114/3
1997

1-2

1997

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 73-ე **№ 1–2** **1997 წელი**

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა 3

პროზა, პოეზია

თამაზ ჭილაძე — არაგეთის სურნელოვანი გალახები. ორმოქმედებიანი დრამა . 19
თამაზ ჩხენკელი — ლექსები 54
ზურაბ ლოგუანიძე — ყველასგან მიტოვებული ზღვა. მოთხრობა . . . 57
გივი ძნელაძე — ლექსები 75
გორის ანდრონიკაშვილი — ისევ და ისევ ფეთქავს ეს გული. ლექსი. თარგმნა **დოდო ხანთაძე-იაშვილმა** 83
თამაზ ეკვთიმიშვილი — ჰონორარი. მოთხრობა 84

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ოლიმურაზ მიგჩუანი — პავლე ინგოროყვა აფხაზთა ეთნოგენეზისის შესახებ . 93
რევაზ კვერენჩხილაძე — „საქთამეკა“ და სხვა საიდუმლო ჯგუფები . . 103
ნინო გიორგაძე — ვიქტორ გაბესკირიას ორი ტრაგედია („უფსკრულთან“, „გურიის მთებზე დაუთოვია“) 114

მეცნიერება

გიორგი ნანოგაშვილი — შრომის დანაწილების ტრადიციული ფორმები კახეთში 125
გურამ ნარსიძე — სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა და ტაძრის აგების თარიღი 132
ნესტან სულავა — საღმრთო ხილვა ქართულ ჰიმნოგრაფიაში 144

85—შოთა ძიძიგური—85

გურამ გვერდწითელი — უეგრო მოსაუბრე 149
ოთარ ლორთქიფანიძე — არქეოლოგის სიტყვა გატონ შოთა ძიძიგურზე . . 151
თამაზ ჩხენკელი — მწერალთა მეგობარი 152
ჟურნალ „მნათობის“ 1996 წლის ნომრების შინაარსი 154

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ გვერდწითელი, ალექსანდრე გომიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრელაშვილი, გიორგი ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), **ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **რევაზ ჯაფარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია

კელი აღთქმა

მეორე მაკაბელთა

თავი პირველი

1. ეგვიპტელ იუდაელებს სიხარულს, კეთილდღეობას და მშვიდობას უთვლიან ძმები — იერუსალიმში და იუდაში მყოფი იუდაელები. 2. დაე, სიკეთე მოგაგოთ ღმერთმა და გაახსენოს თავისი აღთქმა აბრაამის, ისაკისა და იაკობის — თავის ერთგულ მსახურთა მიმართ. 3. დაე, ყველას მოგცეთ გული , რომ თაყვანი სცეთ მას და აღასრულოთ მისი ნება მტკიცე გულითა და მოწადინე სულით. 4. გული გაგიხსნათ მან თავისი რჯულისათვის და მცნებებისთვის, მშვიდობა მოგფინოთ. 5. შეისმინოს უფალმა თქვენი ლოცვა-ვედრება და შეგიწყნაროთ გასაჭირში და არ გაგწიროთ. 6. ჩვენ ახლა თქვენთვის ვლოცულობთ. 7. დემეტრიოსის მეფობის დროს — ას სამოცდაცხრა წელს, ჩვენ, იუდაელებმა, მოგწერეთ თქვენ დიდი გულისტკივილითა და მწუხარებით, რომელიც განვიცადეთ ჩვენ, როცა იასონი და მისი თანამზრახველები განუდგნენ წმიდა მიწას და სამეფოს, 8. და გადაწვეს კარიბჭეები, დაღვარეს უმანკო სისხლი. მაგრამ ჩვენ შევევედრეთ უფალს და შესმენილ იქნა ჩვენი ვედრება და შეეწირეთ მსხვერპლი და ძღვენი, დავანთეთ კანდლები და პური დავუდგით გვერდით. 9. ახლაც აღასრულებდეთ კარვობის დღესასწაულს ქისლევის თვეში ასოთხმოცდა რვა წელს. 10. მეფე პტოლომეოსის მოძღვარს, არისტობულოსს, მირონცხებულ მღვდელთა ნათესავს და ეგვიპტელ იუდაელებს სიხარულსა და ჯანმრთელობას უსურვებენ იერუსალიმში და იუდაში მყოფნი, უხუცესობა და იუდა. 11. დიდად ვუმადლით ღმერთს, საშინელ საფრთხეთაგან ჩვენს მხსნელს, რომ შეგვეწიოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. 12. მან უკუაქცია წმინდა ქალაქზე გამოლაშქრებული ჯარი, 13. რადგან სპარსეთს რომ მიადგა წინამძღოლი თავისი ლაშქრით, რომელიც უძლეველად იყო მიჩნეული, ნაკუწ-ნაკუწ აკაფეს ნანეას ტაძარში ამ ტაძრის ქურუმთა ეშმაკობის წყალობით. 14. ანტიოქოსი ხომ თითქოსდა მასთან შეუღლების სურვილით წამოვიდა ხსენებული ადგილისაკენ და მასთან ერთად მისი მეგობრებიც მოვიდნენ აქ, მზითვის ფულის ასაღებად. 15. ნანეას ქურუმებმა გადაიხადეს ფული და მეფეც მცირედი ამალით კვრივის [illegible] შემოვიდა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როგორც კი შედგა ტაძარში ანტიოქოსმა ფეხი, შიგნით მოიმწყვდიეს იგი ქურუმებმა, 16. გახსნეს თაღზე ფარული კარი, დაუშინეს იქიდან ქვები და ჩაქოლეს ყველა — წინამძღოლიცა და თანმხლებნიც. შემდეგ მოკვეთეს მათ თავები და გარეთ გამოყარეს. 17. ყოვლად კურთხეულია ჩვენი ღმერთი, რომ გასცა მკრეხელები 18. ხოლო ჩვენ, რაკი მოვისურვეთ ქისლევის ოცდამეხუთე დღეს გვედღესასწაულა ტაძრის სატფურების დღესასწაული, საჭიროდ ვცანით, გვეუწყებინა თქვენთვის, რომ თქვენც გაგემართათ კარვობისა და ცეცხლის დღესასწაული, როგორც ნეემიამ — ტაძრისა და სამსხვერპლოს ამშენებელმა შესწირა მსხვერპლი. 19. რადგან როცა სპარსეთში ტყვედ წაასხეს ჩვენი მამა-პაპა, ღვთისმოშიშმა მღვდლებმა საკურთხევლიდან საიდუმლოდ წამოიღეს ცეცხლი და მშრალი ჭის ფსკერზე გადამალეს და საიმედოდ შეინახეს ჭაში, რაკი არავინ იცოდა ეს ადგილი. 20. გამოხდა მრავალი წელი და ღმერთმა ინება, რათა სპარსეთის მეფე ნეემია გაეგზავნა ცეცხლისთვის მისი შემნახველი მღვდლების შთამომავლებთან. როცა გვაცნობეს, რომ არ აღმოჩნდა ცეცხლი, არამედ მხოლოდ შემკრივებული წყალი უბრძანა მათ ნეემიამ, მოეტანათ იგი. 21. როცა ყველაფერი მოამზადეს მსხვერპლის შესაწირად, ნეემიამ მღვდლებს უბრძანა, ეპკურებინათ წყალი შეშისთვის და მასზე დაწყობილი მსხვერპლისთვის 22. ბრძანება რომ შეასრულეს და დრომ მოაწია, გამოანათა მზემ, აქამდე ღრუბლებით რომ იყო დაფარული და აღეგზნო დიდი ცეცხლი. გააოცა ამან ყველა. 23. მღვდლები კი, ვიდრე მსხვერპლი იწვოდა, ლოცულობდნენ, მღვდლებიც და ყველანი. იონათანი იწყებდა და დანარჩენები ხმას აყოლებდნენ, და ნეემიაც მათ შორის. 24. ასეთი იყო მათი ლოცვა: უფალო, უფალო, ღმერთო, ყოვლის შემოქმედო, საშინელო და ძლიერო, სამართლიანო და ლმობიერო, ერთადერთო მეუფეო, კეთილისმყოფელო, 25. ერთადერთო გამრიგეო, ერთადერთო მართალო, ყოვლისმპყრობელო და მარადიულო, რომელმაც იხსენი ისრაელი ყოველივე ბოროტისაგან, რომელმაც გამოარჩიე მამები და აკურთხე ისინი. 26. შეიწირე ეს მსხვერპლი მთელი შენი ხალხის, ისრაელის გულისთვის, დაიცავი შენი წილხვედრი და წმინდაჰყავ იგი. 27. გვეყედრებით, კვლავ შეკრიბო ჩვენი გაფანტული ხალხი, იხსნა დატყვევებულნი წარმართთა შორის, მოხედე განწირულთ და მოძულებულთ. დაე, უწყოდნენ წარმართებმა, რომ ჩვენი ღმერთი ხარ. 28. დასაჯე ჩვენი მოძალადეები, ამპარტავნობით რომ გვაგულისებენ. 29. დანერგე შენი ხალხი შენს წმიდა ადგილას, როგორც თქვა მოსემ. 30. მღვდლები კი ამასობაში საზეიმო სიმღერებს გალობდნენ. 31. როგორც კი შეიწირა მსხვერპლი, ნეემიამ ბრძანა, დანარჩენი წყალი დიდ ქვებზე მოეღვარათ. 32. როგორც კი ეს ბრძანება აღასრულეს, იფეთქა ალმა, მაგრამ სამსხვერპლოსაგან გამოტევებულზე ჩანელდა იგი. 33. განცხადდა ეს საქმე და მოახსენეს სპარსეთის მეფეს, რომ იმ ადგილას, სადაც გადმოსახლებული მღვდლები ინახავდნენ ცეცხლს, აღმოჩნდა წყალი და ამ წყლით ნეემიას მიმდევრებმა განწმიდეს მსხვერპლი. 34. მეფემ საქმის ვითარება რომ გაიცნო, ბრძანა შემოესაზღვრათ ეს ადგილი, როგორც კვრივი. 35. ხოლო იმათ, ვისაც სწყალობდა, მეფემ ბევრი ძღვენი უბოძა, რაც თავად ჰქონდა მიღებული. 36. ხოლო ნეემიას თანმხლებმა ხალხმა უწოდა ამ ადგილს ნეფთარ, რაც განწმედად ითარგმნება. ბევრი კი მას ნეფთაის უწოდებს.

თავი მეორე

1. მოიძებნა იერეშიას ჩანაწერები, სადაც წინასწარმეტყველი უბრძანებს გადმოსახლებულთ, აიღონ ცეცხლი, ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, 2. და რჯულს აძლევს და უანდერძებს წინას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმეტყველი არ დაევიწყონ უფლის მცნებები და არ აერიოთ გონება მაცდუნებელი სანახაობით — ოქროსა და ვერცხლის კერპებით და მათზე ჩამოკიდებული სამკაულებით. 3. სხვასაც ბრძანებდა, ამის მსგავსს, მოძღვრავდა გადმოსახლებულთ, რათა არ განდგომოდა რჯულს მათი გული. 4. წერილი გვაუწყებს, რომ წინასწარმეტყველს უფლის შთაგონებით, კრავისა და კიდობანისათვის უბრძანებია, მას გაჰყოლოდნენ, როცა მთისკენ გაემართა, საიდანაც მოსემ უფლის წილხვედრი იხილა. 5. მივიდა იქ იერემია და იპოვა გამოქვაბული და შიგ შეიტანა კარავი, კიდობანი და საკურთხეველი, და დაბეჭდა შესასვლელი. 6. როცა მის კვალზე აქ მოვიდნენ ზოგიერთნი მის თანმხლებ პირთაგან, რომ მოენიშნათ გზა, ვერ იპოვნეს ის ადგილი. 7. როცა გაიგო ეს იერემიამ, უსაყვედურა მათ და თქვა: უცნობი იქნება ეს ადგილი, ვიდრე არ შემოკრებს აქ ღმერთი თავის ხალხს და მოწყალების თვალით არ დახედავს მათ. 8. მაშინ გამოაჩენს უფალი ადგილს და გამოჩნდება უფლის დიდებაცა და ღრუბელიც, რომელიც მოსეს დროსაც გამოჩნდა. აკი სოლომონიც ითხოვდა, რომ ეს ადგილი გამორჩეულად ყოფილიყო კურთხეული. 9. ისიც ცხადი გახდა, რომ სიბრძნის მფლობელმა სოლომონმა აქ შესწირა მსხვერპლი სატფურებისა და ტაძრის განსრულებისათვის. 10. როგორც მოსემ აღავლინა ლოცვა უფლისადმი და ჩამოვიდა ზეციდან ცეცხლი და შთანთქა მსხვერპლი, ასევე სოლომონმაც ილოცა და ცით მოვლენილმა ცეცხლმა გაანადგურა აღსავლენი მსხვერპლი. 11. მოსემ თქვა: დაიწვა იგი, რადგან არ იჭმევა ცოდვის მსხვერპლი. 12. ასევე გაატარა სოლომონმაც რვა დღე. 13. მსგავსი ამბებია მოთხრობილი ნეემიას ჩანაწერებსა და მოგონებებში, რომ მან დააფუძნა წიგნთსაცავი და თავი მოუყარა წიგნებს მეფეებსა და წინასწარმეტყველებზე, რომ შეაგროვა დავითის წიგნები და ნაწერები შესაწირავთა თაობაზე. 14. ასევე იუდამაც თავი მოუყარა ომიანობის დროს გაფანტულ წიგნებს და ახლა ჩვენა გვაქვს ყველაფერი. 15. თუ დაგჭირდათ ამათგან რაიმე, გამოგვიგზავნეთ ხალხი და გამოვატანთ. 16. უკვე მოგწერეთ, რომ გვსურდა განწმედის დღესასწაულის გადახდა. კარგი იქნებოდა, თქვენც რომ აღგენიშნათ ეს დღეები. 17. ღმერთმა იხსნა მთელი თავისი ხალხი და დაუბრუნა წილხვედრი ყველას, სამეფო, სამღვდელოება და საწმიდარი, 18. როგორც აღთქმული ჰქონდა რჯულით. ღვთის იმედი გვაქვს, რომ შალე შეგვიწყალებს და შემოგვკრებს ყოველი მხრიდან ცისქვეშეთში თავის წმიდა ადგილზე. აკი გვიხსნა კიდეც დიდი ბოროტებისაგან და განწმიდა ეს ადგილი. 19. ხოლო იუდა მაკაბელისა და მისი ძმების ამბავს, დიდი ტაძრის განწმენდას და საკურთხევლის სატფურებას, 20. აგრეთვე ანტიოქოს ეპიფანესა და მისი ძის — ევპატოსის წინააღმდეგ წარმოებულ ომებს, 21. და ხილვებს, ციდან რომ გარდმოდიოდა იმ მებრძოლებზე, ესოდენი თავდადებით რომ იბრძოდნენ იუდაელებისთვის, და სიმცირის მიუხედავად, ხელში ჩაიგდეს მთელი ქვეყანა და განდევნეს ბარბაროსთა ურდოები, 22. და აღადგინეს საქვეყნოდ განთქმული ტაძარი, გაათავისუფლეს ქალაქი და გადაარჩინეს რჯული, განადგურების პირზე რომ იყო მისული, როცა უფალმა თავისი კეთილმოწყალება მოიღო მათზე, — 23. ყოველივე ამას, იასონ კორნელის მიერ ხუთ წიგნში მოთხრობილს, ვეცდებით ერთ წიგნში მოვუყაროთ თავი. 24. რაკი ვგრძნობთ, რაზომ სირთულეს შეუქმნის რიცხვთა სიმრავლე ისტორიულ ცადმოცემათა სიღრმეში შეღწევის მსურველთ, 25. ამიტომაც მიზნად დავისახეთ, გვეამებინა მათთვის, ვისაც ამბავთა გაცნობა სურს. განსჯის მოყვარულთა სულები კი სისადავით მოგვეხიბლა, მეხსიერებაში ადვილად რომ აღბეჭდილიყო გადმოცემები, ხოლო ნებისმიერი მკითხველისთვის სარგებლობა მოგვეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. არ იყო ადვილი ამბების შეკუმშვით
გადმოცემა, რაც მოითხოვდა ჩვენგან
ოფლის ღვრას და უძილო ღამეებს, 27.
ისევე, როგორც არ არის ადვილი ნა-
დიმის მოწყობა და სხვათა სიამოვნები-
სთვის ზრუნვა. და მაინც ჩვენ მრავალ-
თა სასიკეთოდ ვიტვირთეთ ეს ძნელი
საქმე, 28. მივანდეთ რა თითოეული ამ-
ბის წვრილმანები მემატიანეს, ჩვენ კი
მთელი გულისყური ამბავთა შეკუმშვი-
საკენ მივმართეთ. 29. იმ ხუროთმოძღ-
ვრისა მსგავსად, რომელიც ძველი შე-
ნობისაგან ახალს აგებს და ნანგრევები-
სგან მთლიანობის აღდგენა ევალება და
არა მოჩუქურთმება და მოხატვა, რაც
უკვე სხვა ხელობის კაცის საქმეა, ვფი-
ქრობ, ასევეა ჩვენი საქმეც. 30. ჩაღრ-
მავება და ამბის გამოწვლილვით გად-
მოცემა იმ მემატიანის საქმეა, რო-
მელიც პირველად იწყებს თხრობას,
31. ხოლო სათქმელის მოკლედ გადმო-
ცემა და ვრცელ ამბავთა დაწვრილები-
თი განჩხრეკისათვის თავის არიდება
შეკუმშვის მოთავეს მოეთხოვება. 32.
ამ ნათქვამიდან გამომდინარე ვიწყებთ
თხრობას, რადგან ვერაფერი საქმეა
თხრობამდე განავრცო სიტყვა, თავად
თხრობა კი შეამოკლო.

თავი მესამე

1. როცა მშვიდობა სუფევდა წმიდა
ქალაქში და რჯულსაც ონია მღვდელთ
მთავრის ღვთისმოსავობისა და ბორო-
ტმოძულეობის წყალობით პატიოსნად
იცავდა ხალხი, 2. თავად მეფეებიც კი
პატივს მიაგებდნენ ამ ადგილს და სა-
კურთხეველსაც საგანგებო ძღვენს სწი-
რავდნენ. 3. ასე, რომ, თვით აზიის მე-
ფეს, სელევკეოსსაც კი გაუღია საკუ-
თარი ხაზინიდან სახსრები ყოველგვა-
რი მსხვერპლშეწირვისა და ღვთისმსა-
ხურებისათვის. 4. მაგრამ ერთი კაცი,
სახელად სიმონი ბენიამინის ტომიდან,
ტაძრის მეურვედ რომ დაადგინეს, ქა-
ლაქის კანონმდებლობის თაობაზე შე-
მოედავა მღვდელმთავარს. 5. რომ ვერ
აჯობა ონიას, წავიდა ბილგა-ბინიამინის
თრასეას ძესთან, კოილე-სირიისა და
ფინიკიის იმდროინდელ სარდალთან.
6. და მოახსენა, რომ იერუსალიმის სა-
განძურები სავსე იყო ფულით და რომ
იქ უთვალავი სხვა ნივთიც იპოვებოდა,
და რომ, ისინი არ ეკუთვნოდა შესაწი-
რავებს და რომ შეიძლებოდა მეფეს
ხელთ ეგდო ეს ყველაფერი. 7. აპოლო-
ნიოსიც შეხვდა თავად მეფეს, მოახს-
ენა ფულის თაობაზე, რაზეც იყო ლა-
პარაკი და მეფემაც გადაწყვიტა, ამ სა-
ქმეზე ჰელიოდოროსი გაეგზავნა. ხსე-
ნებული ფულის წამოსაღებად. 8. ჰე-
ლიოდოროსმა მაშინვე დაიწყო სამზა-
დისი. კოილე-სირიისა და ფინიკიის
ქალაქთა დათვალიერებას იმიზეზებდა,
სინამდვილეში კი მეფის დანაბარები
უნდა შეესრულებინა. 9. მოყვრულად
მიიღო იერუსალიმში ჩასული ჰელიო-
დოროსი ქალაქის მღვდელმთავარმა და
მანაც აუწყა მას მეფის მოთხოვნა და
განუცხადა, რის გამოც იყო აქ მოვლე-
ნილი. თან ეკითხებოდა მღვდელმთა-
ვარს, სიმართლე იყო თუ არა საგან-
ძურის ამბავი. 10. მღვდელმთავარმა
განუმარტა, რომ ეს ქონება ქვრივებისა
და ობლების მობარებული იყო. 11.
ნაწილი კი ერთი დიდად გავლენიან
კაცს, ჰირკანოს ტობიას ძეს ეკუთვნო-
და. ჩვენთან სულ ოთხასი ტალანტი
ვერცხლი და ორასი ტალანტი ოქრო
ინახება, უკეთურმა სიმონმა კი ცილი
დაგვწამაო. 12. ხოლო იმათი დაჩაგვრა,
ვინც დაენდო ამ კვრივ ადგილს და
მთელს სამყაროში პატივდებული ტაძ-
რის სიწმინდესა და შეუვალობას, ყო-
ვლად დაუშვებელიაო. 13. მაგრამ
ჰელიოდოროსი დაჟინებით ითხოვდა
მეფის განკარგულების აღსრულებას.
ამბობდა, რომ ეს ქონება მეფის საგან-
ძურში უნდა შესულიყო. 14. დადგენილ
დღეს იგი შეუდგა განზრახულის გან-
ხორციელებას, რასაც ქალაქში დიდი
მღელვარება მოჰყვა. 15. მღვდლები,
წოდების შესაბამისად შემოსილნი, სამ-
სხვერპლოს წინ დაემხენ და უხმობდ-
ნენ ცაში იმას, ვინც ტაძრისთვის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარებულის რჯული დააწესა, დაეცვა მიმბარებელთა ქონება. 16. გული ეკუმშებოდა მღვდელმთავრის სახის შემყურეს — სულიერ ტკივილს მისი სახის გამომეტყველება და კანის ფერიც კი შეეცვალა. 17. შიშით იყო შეძრული მისი სხეული და ცხადად ხედავდა მაყურებელი ჭის გულში ჩაბუდებულ ტკივილს. 18. სახლებიდანაც გამორბოდა ხალხი საყოველთაო ლოცვაზე, რაკი წმინდა ადგილს შეგინება მოელოდა. 19. ჯვალოთი წელშემოსარტყლული ქალები ქუჩებში გროვდებოდნენ, სახლებში გამოკეტილ ქალწულთაგან კი ზოგი კარიბჭისკენ გარბოდა, ზოგი გალავანზე გადიოდა, ზოგიც ფანჯრიდან იყურებოდა. 20. ყველა იწვდიდა ცისკენ ხელებს და ლოცვა-ვედრებას აღავლენდა. 21. საცოდავი საყურებელი იყო პირქვე დამხობილი ხალხი და მოლოდინით გათანგული მღვდელმთავარი. 22. ევედრებოდნენ ყოვლისშემძლე უფალს, რათა დაეცვა მორწმუნეთა მიბარებული განძი, 23. ჰელიოდოროსი კი შეუდგა განზრახულის აღსრულებას. 24. და როცა იგი შუბოსნებთან ერთად უკვე მიადგა საგანძურს, სულთა და ყოველთა ძალთა მპყრობელმა დიადი ხილვა მოუვლინა ჰელიოდოროსსა და მთელს მის ამალას. ყველას ვინც კი გაბედა ჰელიოდოროსის თანხლება, ზარი დასცა ღვთის ძალამ და შიშისგან ცნობა წაერთვათ. 25. ეჩვენათ დიდებულად აღკაზმული ცხენი საშინელი მხედრით; ფიცხლად მიეჭრა იგი ჰელიოდოროსს და წინა ფლოქვები აძგერა მას. მხედარი, როგორც ჩანდა, მთლიანად იქროთი იყო შემოსილი და აღჭურვილი. 26. მხედართან ერთად გამოჩნდა ორი სხვა ჭაბუკი, ძალით გამორჩეულნი, სახით მშვენიერნი და ბრწყინვალედ შემოსილნი. ორივე მხრიდან მოსდგნენ ჰელიოდოროსს და გაშოლტვა დაუწყეს, ჭრილობებით დაუფარეს ტანი. 27. მყისვე დაეცა მიწაზე ჰელიოდოროსი და ღრმა წყვდიადმა მოიცვა იგი. აიღეს და საკაცეზე დადეს. 28. და ის, ვინც წეღან დიდი ამალითა და მრავალი შუბოსნის თანხლებით შედიოდა საგანძურში, ახლა უმწეო გამოჰქონდათ უკან, ცხადი გამხდარიყო მისთვის ღვთის ძლევამოსილება. 29. და ეგდო უხმოდ, ღვთაებრივი ძალით დასჯილი, ყოველგვარ იმედსა და ხსნას მოკლებული. 30. იუდაველები კი განადიდებენ უფალს, საასწაული რომ მოუვლინა თავის სამკვიდრებელს და სულ ცოტა ხნის წინ შიშითა და დაბნეულობით აღვსილი ტაძარი ახლა, ყოვლისშემძლის გამოცხადებით, სიხარულითა და მადლით აღივსო. 31. მაშინ ჰელიოდოროსის რამდენიმე ნათესავთაგანი ეახლა ონიას და სთხოვა, უზენაეს შეევედრებოდა, რომ სიცოცხლე ეჩუქებინა სულთმობრძავისათვის. 32. მღვდელთმთავარიც შეშინდა, მეფეს არ ეფიქრა, თითქოს იუდელებს ჰელიოდოროსისადმი რაიმე ავი განზრახვა ჰქონოდეთ, და მსხვერპლშეწირვა აღასრულა კაცის გადასარჩენად. 33. ამ სამოწყალეო ღვთისმსახურების დროს კვლავ გამოეცხადნენ ჰელიოდოროსს ჭაბუკები იმავე სამოსელში გამოწყობილნი, წინ დაუდგნენ და უთხრეს: დიდი მადლი უნდა მიაგო ონია მღვდელმთავარს, რადგან მისი წყალობით გაჩუქა სიცოცხლე უფალმა. 34. შენ კი, ღვთის მიერ დასჯილო, ყველას აუწყე მისი ძლევამოსილება. ეს თქვეს და გაუჩინარდნენ. 35. ხოლო ჰელიოდოროსმა მსხვერპლი შესწირა უფალს, მრავალი აღთქმა აღუთქვა სიცოცხლის ხსნისათვის, მადლი მიაგო ონიას და თავისი მხედრობითურთ მეფესთან გამობრუნდა. 36. ადასტურებდა ყველას წინაშე, რომ იხილა უზენაესი ღმერთის მოქმედება. 37. ხოლო მეფის შეკითხვაზე, ვის მიიჩნევდა შესაფერისად, ერთხელ კიდევ რომ გაეგზავნათ იერუსალიმში, ჰელიოდოროსი პასუხობდა: 38: თუ გყავს ვინმე მტერი, ან ვინმე ისეთი, ვისაც შენს საქმეებზე ბოროტად უჭირავს თვალი, ის გაგზავნე და უკან მიიღებ მას გაშო-

ტილს, თუ ცოცხალი გადარჩა, რადგან ჭეშმარიტად ღვთაებრივი ძალაა დასადგურებული ამ ადგილზე. 39. თავად ის, ვინც ცაშია დამკვიდრებული, ადევნებს თვალყურს ამ ადგილს და იცავს მას, ამხობს და ანადგურებს, შეურაცხყოფელს. 40. აი, ეს შეემთხვა ჰელიოდოროსს და გადარჩა საგანძური.

თავი მეოთხე

1. ხოლო ზემოთხსენებული სიმონი, საგანძურისა და სამშობლოს გამყიდველი, ცილს სწამებდა ონიას, თითქო მას შთაეგონებინოს ჰელიოდოროსი და ბოროტ საქმეთა მოთავე ყოფილიყოს. 2. იმის თქმასაც კი ბედავდა, თითქოს ქალაქის კეთილმოამაგე, თვისტომებზე მზრუნველი და კანონების თავგამოდებული ქომაგი მმართველობის წინააღმდეგ შეთქმულიყოს. 3. მტრობა იქამდე მივიდა, რომ სიმონი, ერთი თავისი სანდო კაცის მეშვეობით, მკვლელობაზე აქეზებდა ხალხს. 4. როცა ონია მიხვდა, რომ ეს მტრობა სახიფათო იყო და რომ აპოლონიოს მენესთევსის ძე, კოილე-სირიისა და ფინიკის სტრატეგოსი, აქეზებდა სიმონს ბოროტმოქმედებაზე, 5. ეახლა მეფეს არა როგორც თანამოქალაქეთა ბრალმდებელი, არამედ როგორც კერძო და საზოგადო კეთილდღეობაზე მზრუნველი. 6. რადგან ხედავდა, რომ მეფის ჩარევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქმეთა მშვიდობიანი მოგვარება და სიმონიც თავის უგუნურებაზე არ იღებდა ხელს. 7. როცა სელევკოსი აღესრულა და სამეფო ეპიფანედ წოდებულმა ანტიოქოსმა ჩაიბარა, მღვდელმთავრობის უკანონოდ ხელში ჩაგდება მოიწადინა იასონმა, ონიას ძმამ. 8. იგი ეახლა მეფეს და აღუთქვა მას სამასსამოცი ტალანტი ვერცხლი და კიდევ ოთხმოცი ტალანტი სხვა შემოსავლიდან. 9. გარდა ამისა, შეჰპირდა კიდევ ასორმოცდაათის გადახდას, თუკი უფლებას მისცემდნენ, ამ თანხით დაეარსებინათ გიმნასიონი და ეფებეიონი, და იერუსალემელები ანტიოქიის მოქალაქეებად ჩაეწერათ. 10. მეფე რომ დაითანხმა და ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, მაშინვე შეეცადა თვისტომთა შორის ელინური ჩვეულების გავრცელებას. 11. აუქმებდა შეღავათებს, რომლებიც იუდაელებს კაცთმოყვარე მეფისგან ჰქონდათ მიღებული ევპოლემოსის მამის, იოანეს წყალობით, როცა ის ელჩობდა რომაელებთან მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის გასამყარებლად. არღვევდა რჯულიერ ცხოვრებას და ურჯულო წეს-ჩვეულებებს ნერგავდა. 12. ხალისით ააგო მან გიმნასიონი პირდაპირ ციხე-სიმაგრის ძირას და აიძულებდა რჩეულ ყმაწვილებს ელინური ქუდი ეტარებინათ. 13. ეს იყო ელინურობის უკიდურესი გამოვლინება და უცხოურობის შემოჭრა უღვთო და არამღვდელმთავრის, იასონის მკრეხელური მოქმედების მეოხებით. 14. აღარ იყვნენ ღვთისმსახურებას მოწადინებული მღვდლები, მოიძულეს მათი ტაძარი, არ სურდათ მსხვერპლშეწირვა და გატყორცნილი დისკოს ხმის გაგონებისთანავე გარბოდნენ მოედანზე ურჯულო ასპარეზობის საყურებლად. 15. არად აგდებდნენ მამაპაპეულ პატივს და მხოლოდ ელინური დიდება მიიჩნეოდა ღირსებად. 16. ამის გამო, კიდეც დაატყდათ მათ თავს უბედურება სწორედ ისინი შეიქმნენ მათი მტრები და დამსჯელები, რომელთა ცხოვრების წესი მოსწონდათ და ბაძავდნენ. 17. რადგან არ არის ადვილი საქმე ღვთიური რჯულის შეურაცხყოფა, როგორც ამას მომავალი გამოაჩენს ხოლმე. 18. იმ დროს, როცა ტვიროსში მეფის თანდასწრებით ხუთწლიანი ასპარეზობა მიმდინარეობდა, 19. უწმინდურმა იასონმა იერუსალიმიდან აპტიოქიელები გაგზავნა მაყურებლად, რათა ჩაეტანათ იქ სამასი დრაქმა ჰერაკლესთვის შესაწირად. მაგრამ მათ, ვისაც ეს ფული ებარა, არ სურდათ მისი შეწირვა, რადგან უკეთურებად მიაჩნდათ, არამედ ფიქრობდნენ, სხვა საჭიროებისთვის დაეხარჯათ იგი. 20. ამგვარად, ეს ფული, რომელიც მისი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავნელის ფიქრით ჰერაკლეს სამსხვერპლოდ უნდა გამოყენებულიყო, მის წამომღებთა გადაწყვეტილებით ტრირემების მშენებლობას მოხმარდა. 21. მას შემდეგ, რაც ფილომეტორის მეფედ გამოცხადების გამო ეგვიპტეში გააგზავნეს აპოლონიას მენესთევსის ძე, ანტიოქოსმა იგი სამეფოს მტრად მიიჩნია და საკუთარ უსაფრთხოებაზე დაიწყო ზრუნვა. ამიტომაც იაფოში ჩასვლის შემდეგ იერუსალიმისკენ გაემართა. 22. დიდებულად დახვდნენ მას იასონი და მოქალაქენი, ჩირაღდნებითა და ყიჟინით შეიყვანეს ქალაქში. მერე ფინიკიისკენ გაემართა ანტიოქოსი ლაშქრით. 23. სამი წლის შემდეგ გააგზავნა იასონმა ზემოთხსენებული სიმონის ძმა, მენელაოსი, რათა მეფისთვის ფული გადაეცა და გადაუდებელ საქმეთა თაობაზეც მოეხსენებინა. 24. ხოლო მენელაოსმა, როცა იგი წარუდგინეს მეფეს, მლიქვნელურად განადიდა სამეფო ხელისუფლება,თავი მღვდელმთავრად გამოაცხადა და იასონის შეპირებული თანხის ზევით სამასი ტალანტი აღუთქვა მეფეს. 25. როცა მენელაოსმა მეფისაგან დავალება მიიღო, დაბრუნდა უკან, მაგრამ მღვდელმთავრობის ღირსი არაფერი წამოუღია თან, მხოლოდ ტირანის სისასტიკე და მძვინვარება ველური მხეცისა. 26. ამგვარად, იასონი, ვინც საკუთარი ძმა გააბრიყვა და თავადაც სხვისგან იქნა გაბრიყვებული, გაიქცა ლტოლვილი ყამონელთა ქვეყანაში. 27. მენელაოსმა ძალაუფლება კი ჩაიგდო ხელში, მაგრამ მეფისთვის არ გადაუხდია დაპირებული ფული, 28 თუმცა მოთხოვნას მოთხოვნაზე უგზავნიდა მას სოსტრატოსი, აკროპოლისის ეპარქოსი ვისაც ევალა ეს საქმეები. ამის გამო მეფემ თავისთან იხმო ორივე. 29. მენელაოსმა მღვდელმთავრობა დაუტოვა მოსაყდრეს-ლისიმაქოსს, თავის ძმას, სოსტრატოსმა კი — კრატესს, კვიპროსელთა გამგებელს. 30. ამ დროს დაიწყო ტარსოსელთა და მალოტელთა აჯანყება იმის გამო, რომ ისინი საჩუქრად მიუძღვნეს ანტიოქიდას, მეფის ხასას. 31. ამიტომ მეფე სასწრაფოდ გაეშურა საქმეების მოსაგვარებლად და თავის მოსაყდრედ დატოვა ანდრონიკეოსი, ერთ-ერთი დიდებულთაგანი. 32. მენელაოსმაც იფიქრა, რომ დრო დაუდგა ტაძრის კუთვნილი ნივთიერებიდან რაღაც ნაწილი ანდრონიკოსისთვის ეჩუქებინა, დანარჩენი კი — ტვიროსში და მიმდებარე ქალაქებში გაეყიდა. 33. დანამდვილებით რომ გაიგო ონიამ ეს ამბავი, ამხილა მენელაოსი და მერე ანტიოქიის მახლობლად დაფნეს შეაფარა თავი. 34. მენელაოსმა, კი, რომელმაც ანდრონიკოსის მხარი დაიჭირა, სთხოვა მას, მოეკლა ონია. ანდრონიკოსი მივიდა ონიასთან და ვერაგული ფიცით და მარჯვენის გაწვდით დაიყოლია, საწმიდარის თავშესაფარიდან გამოსულიყო, თუმცა კი ყოყმანობდა ონია. გამოსვლისთანავე მოკლა იგი სამართლის უგულებელმყოფელმა. 35. ამან აღაშფოთა არა მარტო იუდაელები, არამედ სხვა ხალხებიც, ყველანი გულისწყრომით შეხვდნენ კაცის უსამართლო მკვლელობას. 36. როცა დაბრუნდა მეფე კილიკიის ქვეყნებიდან, ქალაქში მყოფმა იუდაელებმაც და ელინებმაც აღშფოთებით აუწყეს მას, რომ ონია უდანაშაულოდ იყო მოკლული.37. დიდად შეწუხდა მაშინ ანტიოქოსი, მოწყალების სულით განიმსჭვალა და ცრემლებით იგონებდა გარდაცვლილის გონიერებასა და დიდ წესიერებას. 38. რისხვით აგზნებულმა უმალვე შემოაძარცვა ანდრონიკოსს ძოწეული, შემოახია ქიტონი, მთელი ქალაქი შემოატარა და იმ ადგილზე, სადაც უკეთურად მოკლა მან ონია, სიკვდილით დაასჯევინა იგი, რითაც უფალმა საკადრისი მიუზღო ანდრონისოს. 39. როცა ქალაქში ლისიმაქოსის თაოსნობითა და მენელაოსის წაქეზებით ტაძართა ძარცვა გახშირდა და ხალხმაც გაიგო ეს ამბავი, აღშფოთდა ხალხი ლისიმაქოსზე, რადგან მას უკვე დიდძალი ოქროს ჭურჭელი ჰქონდა და-

ტაცებული. 40. როცა რისხვაატანილი ბრბოები აღდგნენ, ლისიმაქოსმა შეაარაღა სამასი ათასამდე მეომარი ვინმე ავრანიოსის — ასაკითაც და უგუნურებითაც ხანდაზმული კაცის მეთაურობით და უსამართლო შეტევაზე გადავიდა. 41. მაგრამ გაუგეს ლისიმაქოსს განზრახული და დასწვდა ვინ — ქვას, ვინ — კომბალს, ზოგმაც მიწაზე დაყრილი ნაცარი მოხვეტა და ერთობლივ დაიძრნენ ლისიმაქოსის ხალხის წინააღმდეგ. 42. ბევრი მათგანი დასჭრეს, ზოგი დახოცეს, ბევრიც უკუაქციეს, თავად ტაძრის მძარცველი კი საგანძურთან მოკლეს. 43. ეს ყოველივე ბრალდებად წაუყენეს მენელაოსს. 44. როცა მეფე ჩავიდა ტვიროსში, სამმა რწმუნებულმა უხუცესთა საბჭოდან საჩივარი აღძრა მის წინააღმდეგ. 45. უკვე შეპყრობილმა მენელაოსმა კი პტოლემეოს დორიმენეს ძეს აღუთქვა საკმაოდ დიდი ქრთამი მეფის დასაყოლიებლად. 46. ამიტომ პტოლემეოსმაც, გაინაპირა რა მეფე დასვენების მომიზეზებით გადაიბირა იგი და აზრი შეაცვლევინა. 47. ასე რომ, მართლად ცნეს და გაათავისუფლეს ბოროტმოქმედების სულისჩამდგმელი მენელაოსი და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს იმათ, რომელთა სამართლიანი სიტყვა სკვითებთანაც კი გაჭრიდა. 48. ასე დაატყდა თავს უსამართლო სასჯელი ქალაქის, ხალხისა და წმიდა ჭურჭლის დამცველებს. 49. ამ ამბით აღშფოთებულმა ტვიროსელებმა უხვად გაიღეს დახოცილთა დასამარხავი ხარჯები. 50. ხოლო მენელაოსს ამა ქვეყნის ძლიერთა შომხვეჭელობის წყალობით შერჩა ხელისუფლების სადავეები და კიდევ უფრო მომეტებული ბოროტებით მოსისხლე მტრად მოევლინა მოქალაქეებს.

თავი მეხუთე

1. ამ დროისთვის ანტიოქოსმა ეგვიპტეში მეორეჯერ გააგზავნა ლაშქარი. 2. და თითქმის ორმოცი დღეს მთელ ქალაქზე ჩნდებოდნენ ხოლმე ჰაერში მოჯირითე მხედრები, მოოქროვილი აღჭურვილობით შემოსილები და მეომრებივით შუბებით შეიარაღებულნი, 3. ცხენოსანთა რაზმების იერიშები, მოპირისპირე მხარეთა უკანდახევანი, შუბების ქნევა, ჭოროლთა და გატყორცნილ ისართა სიმრავლე, ოქროს სამკაულის ელვარება, ყოველგვარი აღკაზმულობა. 4. ამიტომ ლოცულობდა ყველა, რომ კეთილად ამხდარიყო ეს ხილვები. 5. როცა ჭორიც გავრცელდა — ანტიოქოსი აღესრულაო, იასონმა შეკრიბა თითქოს ათასიანი ლაშქარი და უეცრად ქალაქზე მიიტანა იერიში. და უკვე გალავანზე რომ იყვნენ ასულნი და ქალაქიც აღებული იყო ლამის, მენელაოსი იძულებული გახდა, ციხე-სიმაგრისათვის შეეფარებინა თავი. 6. იასონმა კი თავის თანამოქალაქეებს დაუნდობელი სისხლისღვრა მოუწყო. არ ესმოდა, რომ თვისტომთა ხარჯზე მოხვეჭილი წარმატება უდიდესი უბედურებაა. ეგონა, მტერზე ალაფობდა და არა თანამემამულეებზე. 7. ძალაუფლება კი მაინც ვერ იგდო ხელთ და მისი ბოროტი განზრახვა სამარცხვინო უკუდახევით დამთავრდა. ლტოლვილმა კვლავ ყამონიანებს შეაფარა თავი. 8. დასასრულ ავი ბედი ეწია მას: არაბთა მბრძანებლის, არეტას წინაშე ბრალდებული ქალაქიდან ქალაქში ლტოლვილი, ყველასგან დევნილი და მოძულებული, როგორც რჯულის წინააღმდეგ მოჯანყე და სამშობლოსა და თანამოქალაქეთა ამაწიოკებელი, ბოლოს ეგვიპტეში გაირიყა. 9. ის, ვინც სამშობლოსაგან ამდენი ხალხი უცხოობაში განდევნა, თავად უცხოობაში დაიღუპა, როცა ლაკედემონელებს მიადგა და იმედოვნებდა, ნათესაური წარმომავლობის გამო მათთან ჰპოვებდა თავშესაფარს. 10. ის, ვინც ამდენი ხალხი დატოვა დაუმარხავი, თავად დარჩა დაუტირებელი: არც წესის აგებას, არც მამა-პაპის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხს არ ღირსებია. 11. როცა მომხ-
დარმა ამბებმა მეფის ყურამდე მიაღ-
წია, იფიქრა, იუდა განმიდგაო, და გა-
ცეცხლებული სულით დაიძრა ეგვიპ-
ტედან, და წარტყვევნა ქალაქი. 12.
ჯარისკაცებს უბრძანა, დაუნდობლად
ეხოცათ, ვინც კი შეხვდებოდათ, სახ-
ლებშიც შევარდნილიყვნენ და მოეს-
რათ ხალხი. 13. დაიწყო ახალგაზრდა-
თა და მოხუცთა ჟლეტა, ყრმების, ქა-
ლებისა და ბავშვების განადგურება,
ქალწულთა და ჩვილთა გაჟუჟვა. 14.
სამ დღეში სულ ოთხმოციათასი კაცი
დაიღუპა, ორმოციათასი ხელჩართულ
ბრძოლაში და იმდენივე გაიყიდა, რამ-
დენიც დაიღუპა. 15. არცა ამას დას-
ჯერდა მეფე: მან მთელ ქვეყანაზე უწ-
მინდეს ტაძარში შესვლაც კი გაბედა,
მეგზურად მენელაოსი მიჰყვებოდა,
რჯულისა და სამშობლოს გამყიდვე-
ლი. 16. წაბილწული ხელით იღებდა
იგი წმინდა ჭურჭელს და ამ ადგილის
დიდებისა და პატივის ნიშნად სხვა
მეფეთაგან შეწირული ნივთები ნალა-
ხი ხელით გამოჰქონდა გარეთ. 17. ამ-
გვარად, აღზევდა ფიქრებში ანტიო-
ქოსი, ვერ ხვდებოდა, რომ მცირე
ხნით გაუწყრა უფალი ქალაქის
მკვიდრთ მათი ცოდვების გამო და
ამიტომ აღარ მოხედა ამ ადგილს. 18.
ეს არ მოხდებოდა რომ ცოდვებში არ
ყოფილიყვნენ გახვეულნი. მეფეც დაის-
ჯებოდა მსგავსად ჰელიოდოროსისა.
რომელიც გამოაგზავნა სელევკოს მეფემ
საგანძურის სანახავად და, შევიდოდა თუ
არა ტაძარში, გაშოლტილს მყისვე წაუხ-
დებოდა ძარცვის ხალისი. 19. მაგრამ არა
ადგილისთვის ხალხი, არამედ ხალხის-
თვის გამოარჩია უფალმა ადგილი. 20.
თავად ადგილიც ხომ ხალხებზე თავს
დატეხილი უბედურების თანაზიარი
იყო, შემდეგ კი მასაც ერგო მადლის
წილი. და რაც განწირული იყო
ყოვლადძლიერის რისხვით, კვლავ აღ-
დგა მთელ თავის დიდებაში, როცა წყა-
ლობა მოიღო დიდმა მეუფემ. 21. ასე
წაიღო ანტიოქოსმა ათას რვაასი ტა-
ლანტი და ისწრაფა ანტიოქიისაკენ.
ფიქრებში აღზევებულს სურდა ხმა-
ლეთი — ხომალდების სარბიელად ექ-
ცია, ზღვა კი — ქვეითთა სასიარუ-
ლოდ. 22. მოხელეებიც დატოვა იუდა-
ელთა დასაჩაგრავად: იერუსალიმში —
ფილიპე, გვარით ფრიგიელი, მის
განმაწესებელზე უფრო ბარბაროსული
ზნით გამორჩეული კაცი. 23. გარი-
ზიმში კი — ანდრონიოსი, მათთან ერ-
თად მენელაოსიც, რომელიც სხვებზე
სასტიკად ექცეოდა მოქალაქეთ და
სძულდა იუდაელი მოქალაქეები. 24.
გამოაგზავნა მისიელების მთავარი აპ-
ოლონიოსი ოცდაორიათასიანი ჯარით,
თან ბრძანებაც გამოაყოლა, დაეხო-
ცათ ყველა ასაკოვანი კაცი, ქალები
და შედარებით ახალგაზრდები კი —
გაეყიდათ. 25. როცა აპოლონიოსი ჩა-
ვიდა იერუსალიმში, ხალხს ისე მოა-
ჩვენა თავი, თითქოს მშვიდობას ამყა-
რებდა. დაელოდა შაბათის წმიდა
დღეს, მერე მოიხელთა რა მშვიდად
მყოფი იუდაელები, თავისიანებს უბრ-
ძანა აესხათ იარაღი. 26. მათ სანახავად
გამოსული ხალხი, ყველა გამოასალმა
სიცოცხლეს, თავად კი ქალაქში შეი-
ჭრა ლაშქრით და დიდძალი ხალხი
მოსრა 27. ხოლო იუდა მაკაბელი, გვარ-
ში მეათე, გახიზნული იყო უკაცრიელ
ადგილას, მთებში. ცხოვრობდა თავისია-
ნებთან ერთად ნადირივით, ბალახით სა-
ზრდოობდა, რათა უწმინდურობას არ ზი-
არებოდა.

თავი მეექვსე

1. გამოხდა მცირე ხანი და მეფემ
იუდაში ერთი ათენელი უხუცესი გაა-
გზავნა, რომ დაეყოლიებინა იუდაელები,
მამათა წესებს განდგომოდნენ და
ღვთის რჯულით აღარ ეცხოვრათ. 2.
ამასთან, შეებილწათ იერუსალიმის
ტაძარი და ეწოდებინათ მისთვის ტა-
ძარი ოლიმპიელი ზევსისა; ხოლო გა-
რიზიმში კი, რაკი მის მიდამოებში უც-
ხოელები ცხოვრობდნენ, — ტაძრის-

თვის სტუმართმოყვარე ზევსის სახელი დაერქმიათ. 3. მძიმე და ყველასთვის მტანჯველი იყო თავს დატეხილი უბედურება. 4. აღივსო ტაძარი აღვირახსნილობით და წარმართთა უზნეობით, რომლებიც უზრუნველად ატარებდნენ დროს მეძავებთან, ტაძრის უწმინდეს ადგილებში მრუშობდნენ ქალებთან და შიგნით შესაწირად შეჰქონდათ ყოველგვარი აკრძალული. 5. აღივსო სამსხვერპლო უკადრისი, რჯულით აკრძალული შენაწირებით. 6. აღარ იცავდნენ აღარც შაბათს, აღარც მამა-პაპეულ დღესასწაულს, ისე რომ, იუდაელებიც კი აღარ ეთქმოდათ. 7. ყოველთვიურად, მეფის დაბადების დღეს სასტიკი ძალდატანებით გაჰყავდათ იუდაელები კერპთაყვანისმცემელთა წესის აღსასრულებლად, ხოლო დიონისეს დღესასწაულზე საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობდნენ და, სუროს გვირგვინებით თავშემკობილნი დიონისეს მიაგებდნენ პატივს. 8. პტოლემეოსის შთაგონებით, მეზობელ ელინურ ქალაქებსაც დაუდგინეს, რომ ამგვარადვე ემოქმედათ იუდაელთა მიმართ და აეძულებინათ ისინი — კერპთმსახურებაში მიეღოთ მონაწილეობა. 9. ხოლო ვინც არ მოინდომებდა ელინურ ადათებზე გადასვლას, დაეხოცათ. უნდა გენახათ, რა ცოდვის დღეც დატრიალდა. 10. ორი ქალი, ბავშვთა წინადაცვეთაში ბრალდებულნი, ძუძუებზე მიკრული ჩვილებით მთელი ქალაქის თვალწინ ჩამოატარეს და გალავნიდან გადაჩეხეს. 11. სხვები კი, ვინც მახლობელ გამოქვაბულებში გარბოდა, რათა მეშვიდე დღე მალულად ედღესასწაულა, ფილიპესთან დააბეზღეს და ერთიანად გადაბუგეს, რადგან ისინი თავდაცვას არც ცდილან, რომ ამით უწმიდესი დღესასწაული არ შეელახათ. 12. ვისაც ეს წიგნი ხელთ ჩაუვარდება, ვთხოვ, არ შეუშინდეს ამგვარ ბედუკულმართობას, პირიქით, ჩათვალოს, რომ ეს სასჯელი დასაღუპად კი არა, ჩვენი ხალხის გასაფხიზლებლად არის გამიზნული. 13. ამ წიერებას რომ დიდი ხანი არ ეძლევა და იმთავითვე სასჯელით აღიკვეთება, სწორედ ესაა დიდი წყალობის ნიშანი. 14. რაც შეეხება სხვა ხალხებს, ღმერთი მოთმინებით აყოვნებს მათ დასჯას, ვიდრე ისინი მთლიანად არ აივსებიან ცოდვებით. ჩვენ კი ასე არ გვექცევა იგი, 15. არ ელის ჩვენი ცოდვების ავსებას, რომ მერე შური იძიოს ჩვენზე. 16. ამიტომაც არ მოუკლია ჩვენთვის მოწყალება და, თუმცა უბედურებებით კი გვსჯიდა, მაინც არ გაუწირავს თავისი ხალხი. 17. მაგრამ ამას შეგონებისათვის შეგახსენებთ და მცირედი წიაღსვლის შემდეგ თხრობაზე გადავდივარ. 18. ელეაზარს, ერთ-ერთ პირველ მწიგნობარს, უკვე ასაკოვან კაცს, თუმცა სილამაზით ჯერ კიდევ გამორჩეულს ძალათი გაუღეს პირი და ღორის ხორცის ჭამას აიძულებდნენ. 19. მან კი ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ამჯობინა და ნებაყოფლობით გასწირა საწამებლად თავი. 20. იგი უკან აფურთხებდა ხორცს, როგორც ეს შეეფერება კაცს, რომელიც მიუხედავად სიცოცხლის სიყვარულისა, ბედავს უარი თქვას აკრძალული საჭმლის ჭამაზე. 21. ხოლო ურჯულო მსხვერპლშეწირვისთვის განწყობილნი, ვისაც კი ამ უხუცესთან მრავალი წლის ნაცნობობა აკავშირებდა, გაიხმობდნენ ხოლმე მას და ცალ-ცალკე ჩუმად სთხოვდნენ, ეჭამა საკუთარი ხელით დამზადებული ხორცი — ის, რისი ჭამაც ნებადართული იყო, თან თავი ისე მოეჩვენებინა თითქოს მეფის ბრძანებით შემოთავაზებულ სამსხვერპლო ხორცს ჭამდა. 22. რადგან ამით იგი სიკვდილისგანაც დაიხსნიდა თავს და, ძველი სიყვარულის წყალობით, მათი კაცთმოყვარეობითაც ისარგებლებდა, 23. მაგრამ ელეაზარმა მიიღო გონივრული გადაწყვეტილება—მის ასაკს, ღირსეულ ხანდაზმულობასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვან ჭაღარას რომ ეკადრებოდა
და შედეგი იყო სიყრმიდანვე ღვთის-
მოსავლური აღზრდისა, ყველაზე მე-
ტად კი — წმიდა და ღვთისგან ბოძე-
ბული რჯულდებას რომ შეესაბამებო-
და: უარი უთხრა მათ და განუცხადა,
რომ უმალ ჯოჯოხეთში ჩავიდოდა.
24. ჩვენს ასაკს თვალთმაქცობა არ
ეკადრებაო, თქვა მან, რადგან ბევრი
ახალგაზრდა გაიგებს, რომ ოთხმოცდა-
ათი წლის ელეაზარი უცხო ტომთა მიმ-
დევარი გახდაო, 25. თავადაც, ჩემი
თვალთმაქცობის გამო, ცდუნებას აჰ-
ყვება ხანმოკლე და ფუჭწარმავალი
სიცოცხლისთვის, მე კი მოვაყივნებ
და ჩირქს მოვსცხებ ჩემს ხანდაზმულო-
ბასო. 26. იქნება ახლა კი დავაღწიო
თავი ადამიანთა სასჯელს, მაგრამ ყო-
ვლისშემძლის ხელს ვერც სიცოცხლე-
ში, ვერც სიკვდილის შემდეგ ვერსად
გავექცევიო. 27. ამიტომ, თუ ახლა
ვაჟკაცურად გამოვეთხოვებიო სიცოცხ-
ლეს, მოხუცებულობის ღირსიც აღმო-
ვჩნდებიო. 28. ახალგაზრდებს კი
კეთილშობილურ მაგალითს დავუტოვებ-
დი, ღირსეულად და მამაცურად შეე-
გებინ სიკვდილს დიდებული და წმინ-
და რჯულისთვისო. ესა თქვა და მა-
შინვე გაემართა საწამებლად. 29. მაშინ
იმათაც კი, ვინც სულ ცოტა ხნის წინ
მისდამი კეთილგანწყობას ამჟღავნებდა,
ნათქვამის გამო ეს განწყობილება ზი-
ზღით შეეცვალათ, რადგან მისი სიტ-
ყვები უგუნურებად ჩათვალეს. 30. ელე-
აზარმა კი, ვინც შოლტის ცემისგან უკ-
ვე სულს ღაფავდა, ხმამაღლა ამოიკ-
ვნესა და თქვა: ყოვლისმცოდნე უფალ-
მა იცის, რომ შემეძლო სიკვდილისა-
გან მეხსნა თავი, მაგრამ ვამჯობინე
სხეულით გავტანჯულიყავი სულით
კი ტკბილად დამეთმინა, ეს სატანჯვე-
ლი, რადგან უფლის შიში მაქვს. 31.
ასე აღესრულა იგი და თავისი სიკვდი-
ლით არამარტო ახალგაზრდობას, არა-
მედ თავისი ხალხის უმეტესობას დაუ-
ტოვა ვაჟკაცობის მაგალითი და კეთი-
ლშობილების ძეგლი დაიდგა.

თავი მეშვიდე

1. ასევე შეიპყრეს შვიდი ძმაც დე-
დასთან ერთად და მათაც აიძულებდა
მეფე ეჭამათ სჯულით აკრძალული
ღორის ხორცი, ემუქრებოდა შოლტე-
ბითა და ძარღვებით წამებას. 2. და
როცა ერთ-ერთი მათგანი გამოვიდა სა-
პასუხოდ და თქვა რა გინდა შეგვეკი-
თხო და რას მოელი ჩვენგან პასუხად?
უმალ მოვკვდებით, ვიდრე მამაპაპეულ
რჯულს დავარღვევდეთო, 3. მეფე
გაბოროტდა და ტაფებისა და ქვაბების
გახურება ბრძანა. 4. როგორც კი ტა-
ფებსა და ქვაბებს ცეცხლი შეუნთეს,
ბრძანა, მოპასუხისათვის დედისა და
ძმების თვალწინ ენა ამოეკვეთათ, ტყა-
ვი გაეძროთ და ოთხში ამოეღოთ. 5.
სრულიად უმწეოქმნილი, მაგრამ ჯერ
კიდევ მფეთქავი, მეფის ბრძანებით,
ჯოცონთან მიიყვანეს და გახურებულ
ტაფაზე დასვეს. როცა ტაფიდან ზრქე-
ლი ოხშივარი ამოვარდა, ისინი დედა-
თან ერთად ერთმანეთს ამხნევებდნენ,
ღირსეულად შეხვედროდნენ სიკვდილს,
ამბობდნენ: 6. უფალი ღმერთი მოგეხ-
დავს და შეგვიწყალებს ჩვენ, როგორც
განაცხადა მოსემ თავის გალობაში:
უფალი შეიწყალებს თავის მორჩილთო,
ხალხის წინაშე. 7. ამ წამებაში რომ
აღესრულა პირველი ძმა, ახლა მეორე
გამოიყვანეს შესაგინებლად. თავზე
ტყავს აძრობდნენ თმებიანად და თან
ეუბნებოდნენ: ჭამა არ გირჩევნია ოთ-
ხში ამოღებას? 8. მან კი მშობლიურ
ენაზე უპასუხა: არა. ამიტომ მანაც პირ-
ველის მსგავსად მიიღო სატანჯველი.
9. სულს რომ ღაფავდა, თქვა: შენ,
ამქვეყნიური ცხოვრებისგან გვათავი-
სუფლებ, მტარვალო, სამყაროს მეუფე
კი მისი რჯულისთვის დაღუპულთ
საუკუნო სიცოცხლისთვის აღგვადგენს.
10. ამის შემდეგ მესამეს მიადგნენ და რო-
გორც კი უბრძანეს ენა გამოეყო, მაშინვე
გამოყო, ხელებიც უშიშრად გაუწვდი-
ნა. 11. და ვაჟკაცურად თქვა: ცამ
მომმადლა ესენი და დაუნანებლად

ვწირავ რჯულისთვის, და იმედი მაქვს, მისგანვე მივიღებ უკან. 12. მეფეც და მისი ამალაც გაოცებულნი იყვნენ ყმაწვილის ასეთი ვაჟკაცობით, არაფრად არ ჩაუგდია ტანჯვა-წამება. 13. ესეც რომ აღესრულა, მეოთხე ყრმაც ასევე გვემეს და აწამეს. 14. მან აღსასრულის წინ თქვა: კაცთაგან მოკლულს სანეტაროდ მიჩანს ღმერთზე დანდობა, რადგან ისევ აღმადგენს, შენ კი არ გეღირსება ცოცხლად აღდგომა. 15. მოიყვანეს მეხუთეც და დაუწყეს წამება. 16. მან კი მეფეს შეხედა და თქვა: შენს ხელთაა უფლება, რაცა გსურს ის დამართო მოკვდავმა ადამიანებს. მაგრამ ნუ გგონია, რომ ჩვენს მოდგმას გაწირავს ღმერთი. 17. შენ კი, ცოტაც და, იხილავ როგორ გაგტანჯავთ მისი ძლევამოსილება შენ და შენს შთამომავლობას. 18. შემდეგ მოიყვანეს მეექვსე, რომელმაც სიკვდილის წინ ესა თქვა: ძმაო, ნუ იტყუებ თავს, ჩვენ ხომ თვითონვე მივიზღავთ წამებას, რადგან ჩვენს ღმერთს შევცოდეთ. ამიტომაც ხდება საკვირველი ამბები. 19. შენ კი, ნუ გგონია დაუსჯელი დარჩე, ღმერთთან ბრძოლა რომ გაგიმართავს. 20. მათი დედა საკვირველი და ღირსახსენებელი ქალი, მოწმე ერთ დღეს შვიდივე შვილის დაღუპვისა, უფლის იმედით დიდსულოვნად ითმენდა ამ უბედურებას. 21. თითოეულ მათგანს მამაპაპური ხმით ამხნევებდა და ქალურ განსჯას კაცური სულით განამტკიცებდა, ეუბნებოდა: 22. მე არ ვიცი, როგორ გაჩნდით ჩემს წიაღში, სუნთქვა და სიცოცხლე თქვენთვის მე არ მომიცია. მე არ შემინივთებია თითოეული თქვენგანის აღნაქვსი. 23. ამიტომ ისევ ქვეყნის შემოქმედი, რომელმაც გამოსახა ადამიანის დასაბამი და ყოველი ქმნილების საწყისი, მოგმადლებთ კვლავ მოწყალებით სულსა და სიცოცხლეს, რადგან მისი რჯულისთვის გასწირეთ ახლა თქვენი თავი, 24. ხოლო ანტიოქემ, რაკი იფიქრა, რომ იგი ეზიზღებათ და ეს ნათქვამიც თავის გაკიცხვად მიიჩნევდა, ცოცხლად დარჩენილ უმცროს შვილს-არა მარტო სიტყვით, არამედ ფიცითაც აღუთქვა, რომ გაამდიდრებდა და გააბედნიერებდა, ოღონდ მამა-პაპის რჯული უარეყო, თან პირდებოდა, რომ დაიმეგობრებდა და სახელმწიფო საქმეებსაც მიანდობდა. 25. როცა ყმაწვილმა არაფრად ჩააგდო მისი ნათქვამი, მეფემ დედა მოიხმო და ურჩევდა მას, დაეყოლიებინა შვილი, რომ თავი გადაერჩინა. 26. ბევრი რჩევისა შემდეგ, იგი დათანხმდა დაერწმუნებინა შვილი. 27. დაიხარა მისკენ და სასტიკი ჯალათის მიმართ დაცინვით ეს თქვა მშობლიურ ენაზე: შვილო, შემიბრალე მე, რომელიც ცხრა თვე მუცლით გატარებდი, სამი წელი ძუძუს გაწოვებდი და აქამდე გამოგზარდე. 28. გთხოვ. შვილო, შეხედე ცასა და დედამიწას და ყოველივეს, რაც მასზეა, მიხვდები, რომ არსებულისგან არ შეუქმნია ეს ყველაფერი ღმერთს, და რომ ასევეა შექმნილი ადამიანთა მოდგმაც. 29. ნუ შეუშინდები ამ ჯალათს, იყავი შენი ძმების ღირსი და შეეგებე სიკვდილს, რომ ღვთის მადლით შენს ძმებთან ერთად კვლავ მოგიპოვო. 30. კიდევაც აგრძელებდა იგი სათქმელს, როცა ყმაწვილმა თქვა: რაღას უცდით? მე არ ვემორჩილები მეფის ბრძანებას, არამედ ვემორჩილები რჯულს, რომელიც ხელით გადმოეცა ჩვენს მამა-პაპას. 31. შენ კი ებრაელთათვის ყოველივე ბოროტის განმზრახველო, ვერ გაექცევი ღვთის ხელს. 32. რადგან ჩვენ ჩვენი შეცოდებების გამო ვეწამებით, 33. თუ მოკლე ხნით მრისხანებს ჩვენზე ცოცხალი უფალი ჩვენი მხილებისა და გაწრთვნის მიზნით, კვლავ შეურიგდება თავის მორჩილთ. 34. შენ კი, უწმინდურო და უბილწესო კაცთა შორის, ტყუილად ნუ ზეობ და ფუჭი იმედით ნუ იკვეხნი, ხელი რომ აღგიმართავს ცის შვილთა წინააღმდეგ, 35. რადგან ჯერ არ დაგიღწევია თავი ყოვლადძლიერი და ყოვ-

ლისმხილველი ღმერთის სამსჯავროსათვის. 36. ახლა ხომ ჩვენი ძმები, მცირეხნის წამების შემდეგ ღვთის აღთქმულ მარადიულ ცხოვრებას ეწიენ. შენ კი კადნიერებისათვის ღვთის მსჯავრით საკადრისი სასჯელი მოგეზღვება. 37. მეც ჩემი ძმების მსგავსად სხეულსა და სულს ვუძღვნი მამაპაპეულ რჯულს. ვევედრები ღმერთს, რათა მალე მოიღოს მოწყალება ჩვენს ხალხზე. შენ კი სასჯელითა და გვემით დაგარწმუნოს, რომ მარტოოდენ ის არის ღმერთი, 38. დაე, ჩემსა და ჩემს ძმებზე შეჩერდეს ყოვლადძლიერის რისხვა, სამართლიანად რომ მოევლინა მთელს ჩვენს მოდგმას. 39. მაშინ განრისხებულმა მეფემ ბრძანა, სხვებზე უფრო სასტიკი წამებით ამოეხადათ ამ ყმაწვილისთვის სული. 40. ამანაც ასე წმინდად აღასრულა სიცოცხლე. მთლიანად ღმერთს მინდობილმა. 41. ბოლოს, შვილების შემდეგ დედაც აღესრულა. 42. ეს კმაროდეს სათქმელად მსხვერპლის ჭამისა და თავს დატეხილ უბედურებათა შესახებ.

თავი მერვე

1. ხოლო იუდა მაკაბელმა და მისმა თანამხლებმა პირებმა ფარულად მოიარეს სოფლები და მოუხმეს ნათესავებს და იუდაურ რჯულის ერთგულებს და შეკრიბეს ექვსი ათასამდე კაცი. 2. მოუხმეს მათ უფალს, რათა მოეხედა ყველასგან დაჩაგრული ხალხისთვის და მეოხად ჰყოლოდა უწმინდური ადამიანებისგან შეგინებულ ტაძარს. 3. მოეღო მოწყალება განადგურებული ქალაქისათვის, მალე მიწას რომ გაუსწორდებოდა, და შეესმინა მის მიმართ მღაღადებელი სისხლისათვის. 4. გაეხსენებინა უღვთოდ დაღუპული უცოდველი ჩვილები და მისი სახელის შეგინება და ბოროტთა მიმართ სიძულვილით აღვსილიყო. 5. როცა მაკაბელი ჩაუდგა რაზმებს სათავეში, უძლეველი შეიქნა იგი წარმართათვის, რადგან უფლის რისხვა მოწყალებად მოექცა. 6. იგი მოულოდნელად ესხმოდა თავს ქალაქებს და სოფლებს და ცეცხლს უკიდებდნენ მათ. ასე დაიკავა მან მოხერხებული ადგილი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მტერი უკუაქცია. 7. ამ თავდასხმებისთვის იგი უპირატესად ღამეს ირჩევდა. და ხმა იუდას ვაჟკაცობაზე ყველგან გავრცელდა. 8. ფილიპემ დაინახა, რომ ეს კაცი თანდათან იკრებდა ძალას და ბედიც ხშირად სწყალობდა ხოლმე, და მისწერა პტოლემეს, კოილე-სირიისა და ფინიკიის განმგებელს, დახმარებოდა სამეფოს საქმეებში. 9. მანაც მაშინვე დანიშნა ნიკანორი, პატროკლეს ძე, თავისი პირველი მეგობართაგანი, და გააგზავნა იუდაში ოციათასამდე კაცი სხვადასხვა ხალხებიდან და უბრძანა, მიწასთან გაესწორებინა იუდაელთა მთელი მოდგმა. მასთან ერთად გააგზავნა გორგიაც, სარდალი და საომარ საქმეებში გამოცდილი კაცი. 10. ნიკანორს დაევალა, რომაელთათვის მეფის გადასახადი — ორასი ტალანტი იუდაელი ტყვეების ხარჯზე აენაზღაურებინა. 11. მაშინვე დაგზავნა ნიკანორმა მაცნეები ზღვისპირა ქალაქებში, მოუწოდებდა მათ, იუდაელების მონებად შეესყიდათ და თითო ტალანტად ოთხმოცდაათ ტყვეს ჰპირდებოდა. არ ელოდა იგი, რომ ამის გამო ყოვლისშემძლის მსჯავრი დაატყდებოდა თავს. 12. ეუწყა იუდას ნიკანორის გამოლაშქრების ამბავი და როცა მან თავის თანმხლებთ ლაშქრის მოახლოების შესახებ აცნობა, 13. ვინც კი მხდალნი და ღვთის სამართლისადმი ურწმუნონი იყვნენ, მიმოიფანტნენ და, თავიანთი ადგილები მიატოვეს. 14. სხვებმა კი ყველაფერი გაყიდეს, რაც ებადათ, და უფალს ევედრებოდნენ, უღვთო ნიკანორისგან დაეხსნა ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე იყვნენ გაყიდულნი, — 15. მათთვის თუ არა მათ მამა-პაპასთან დადებული აღ-

თქმის გამო მაინც და იმის გამოც, რომ ისინი მისი წმიდა და დიდებული სახელით იწოდებიან. 16. ხოლო მაკაბელმა შეკრიბა თავისი ხალხი — ექვსიათასამდე კაცი და მოუწოდებდა, არ შეშინებოდნენ მტერს, არ შემდრკალიყვნენ მათზე უსამართლოდ დაძრული მრავალრიცხოვანი წარმართების წინაშე და ვაჟკაცურად შებრძოლებოდნენ მათ. 17. თვალწინ ჰქონოდათ მოძალადეთა მიერ წმინდა ადგილის შებღალვა, შეგინებული ქალაქების გაპარტახება და წინაპართა ცხოვრების წესის შეშლა. 18. ისინი იარაღსა და გამბედაობას ენდობიანო, თქვა მან, ჩვენ კი ყოვლადძლიერი ღმერთის იმედი გვაქვს, რომელიც ერთი წამისყოფით გაანადგურებს ჩვენზე გამოლაშქრებულებსაც და მთელ ქვეყნიერებასაც. 19. მან გაახსენა მათ ის ხანა, როცა ხსნა მოევლინა მათ წინაპრებს: სანქერიბის ხანად, როცა დაიღუპა ასოთხმოცდახუთი ათასი კაცი, 20. და ის ხანაც, როცა ბაბილონში, გალატებთან ომში, საბრძოლველად მხოლოდ რვა ათასი კაცი მოვიდა ოთხი ათას მაკედონელთან ერთად და, როცა მაკედონელები აირ-დაირივნენ, ამ რვა ათასმა ასოცი ათასი კაცი გაანადგურა, რადგან ზეციური შეწევნა იყო მათზე მოვლენილი, და აურაცხელი ნადავლიც ერგოთ. 21. ასე ამხნევებდა მათ და ამზადებდა რჯულისა და სამშობლოსათვის თავის გასაწირად. მერე ოთხ რაზმად დააწყო ჯარი იუდამ. 22. რაზმებს, რომელთაგან თითოეული ათასხუთას კაცს ითვლიდა, წინამძღოლად თითო ძმა — სიმონი, იოსები და იონათანი — დაუყენა. 23. შემდეგ ელეაზარს უბრძანა წმინდა წიგნი წაეკითხა და, ღვთის შეწევნით დაიმედებულმა, თვითონ იკისრა მეწინავე რაზმის წინამძღოლობა და ჩაება ნიკანორთან ომში. 24. რაკი ყოვლადძლიერი იყო მათი შემწე, მოწინააღმდეგის ცხრა ათასზე მეტი კაცი გაანადგურეს, მეტი წილი ნიკანორის ლაშქრისა დაჭრეს და დაასახიჩრეს, და ყველანი [illegible] ციეს. 25. ფულებიც [illegible] ვინც ტყვეთა გამოსასყიდლად მოვიდა. კარგა დიდ მანძილზე დიეს მტერს, ბოლოს კი შემოიქცნენ, რადგან გვიანი ჟამი იყო. 26. რაკი შაბათი დგებოდა, აღარ გაუგრძელებიათ დევნა. 27. შეაგროვეს მომხდურთა საჭურველი, იარაღი აჰყარეს დახოცილ მტერს და იდღესასწაულეს შაბათი: გულმდუღარედ მადლს სწირავდნენ და განადიდებდნენ უფალს. ვინც იხსნა ისინი ამ დღეს და მათზე მოწყალებას დასაბამი დაუდო. 28. მერე ბრძოლაში დასახიჩრებულთ, ქვრივებსა და ობლებს დაურიგეს ნადავლის ნაწილი, დანარჩენი კი თავიანთთვის და მცირეწლოვანთათვის დაიტოვეს. 29. ეს რომ მოათავეს, საერთო ვედრებით შესთხოვეს მოწყალე უფალს, ბოლომდე შეეწყნარებინა თავისი მორჩილნი. 30. ტიმოთესა და ბაკქიდეს ჯარებთან შეტაკებაში ოცდათასზე მეტი კაცი ამოხოცეს და მაღალი სიმაგრეები დაიკავეს. დასახიჩრებულებს, დაჭრილებს, ობლებსა და ქვრივებს თანაბრად გამოუყვეს ნადავლის დიდი ნაწილი, უხუცესებმაც მიიღეს წილი. 31. შეაგროვეს ნაალაფარი იარაღი და შეინახეს. ყველაფერი გულმოდგინედ დააწყვეს ხელმისაწვდომ ადგილას, დანარჩენი ნადავლი კი იერუსალიმში წაიღეს. 32. ამ ბრძოლაში მოკლეს ტიმოთეს ჯარის მეთაური, უწმინდურზე უწმინდური კაცი, იუდაელებისთვის მრავალი უბედურების მომტანი. 33. შემდეგ კი სამშობლოში გამარჯვება იზეიმეს და ცეცხლზე დაწვეს კალისთენე და ზოგი სხვაც, რომლებმაც ცეცხლი წაუკიდეს წმიდა კარიბჭეს და ერთ-ერთ სახლს შეაფარეს თავი. კიდეც მიეზღოთ მათ მკრეხელობისთვის საკადრისი საზღაური. 34. ხოლო სამგზის წყეული ნიკანორი, ვინც ათასი ვაჭარი წამოიყვანა იუდაელთა საყიდლად. 35. უფლის შეწევნით მათგან აღმოჩნდა დამცირებული, ვისაც თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არარაობად მიიჩნევდა. გაიძრო დიდებული სამოსელი და მარტოდმარტომ, როგორც გაქცეულმა მონამ, გადალახა ქვეყანა და ანტიოქიას მიაღწია. ასე გადარჩა იგი ცოცხალი თავისი ლაშქრის განადგურების შემდეგ. 36. ვინც რომაელებისთვის გადასახადის აკრეფას იერუსალიმელ ტყვეთა ხარჯზე ლამობდა, თავად აღიარა იუდაელთა უძლეველობა, რომ იუდაელებს ღვთისგან დადგენილი რჯულის მიმდევრებს, ვერავინ მიაყენებდა ზიანს.

თავი მეცხრე

1. ამ დროისთვის ანტიოქოსის ჯარმა უწესრიგოდ დაიხია სპარსეთის მიწებიდან. 2. რადგან იგი შესული იყო პერსეპოლისად წოდებულ ქალაქში და აპირებდა ტაძრის ძარცვასა და ქალაქის აკლებას. ამიტომ შეიკრიბა ხალხი და თავის დასაცავად იარაღსაც მიმართეს. ადგილობრივ მკვიდრთაგან ოტებული ანტიოქოსი კი იძულებული გახდა სირცხვილნაჭამი დაბრუნებულიყო უკან. 3. ეკბატანასთან ანტიოქოსის ყურამდე ნიკანორისა და ტიმოთეს ამბებმაც მიაღწია. 4. და მანაც, განრისხებულმა, გადაწყვიტა იუდაელებზე ეყარა თავის მდევნელთა ჯავრი. ამიტომ უბრძანა მეეტლეს მთელი გზა შეუჩერებლივ ეჭენებინა ცხენები, მაგრამ ზეციური მსჯავრი უკან დადევნებოდა მას, რადგან ქედმაღლურად დაიქადნა: ერთი ჩამაღწევინა და იერუსალიმს იუდაელთა სასაფლაოდ ვაქცევო. 5. მაგრამ ყოვლისმჭვრეტელმა უფალმა, ღმერთმა ისრაელისა, დასცა იგი უკურნებელი და უხილავი დარტყმით. დაასრულა თუ არა ანტიოქოსმა სიტყვა, უეცრად მუცლის აუტანელმა გვრემამ შეიპყრო იგი და შიგანში საშინელმა ტკივილებმა დაუარა, 6. და სავსებით სამართლიანადაც: აკი თავად მრავალი და წარმოუდგენელი ტკივილებით სტანჯავდა სხვათა შიგანს. 7. მაგრამ მაინც ოდნავადაც არ დაიკარგა თავისი სიამაყე, პირიქით, კიდევ უფრო ივსებოდა ქედმაღლობით, რისხვის ცეცხლს აფრქვევდა იუდაელებზე და განკარგულებას იძლეოდა, გზა დაეჩქარებინათ. ამას ის მოჰყვა, რომ გაქანებული ეტლიდან გადმოვარდა, თანაც ისე მძიმედ, რომ მთელი ტანი დაელეწა. 8. ვინც სულ ახლახან ზეადამიანური კადნიერებით ზღვის ტალღებზე განმგებლობას განიზრახავდა და ფიქრობდა სასწორზე აეწონა მთის მწვერვალები, ძირს იყო გართხმული და, საკაცეზე გაშოტილი, ცხადლივ უჯასტურებდა ყველას ღვთის ძლევამოსილებას. 9. ასე რომ მატლები დაფუთფუთებდნენ უწმინდურის სხეულში და, ჯერ კიდევ ცოცხალს, ზეზეურად სცვიოდა ხორცი ტკივილისა და წამებისგან, ხოლო მისი მყრალი სუნით მთელი ბანაკი იყო შეწუხებული. 10. იმ კაცს, ვინც ცოტა ხნის წინ ოცნებობდა ციურ ვარსკვლავებს მისწვდენოდა, აუტანელი, მყრალი სუნის გამო საკაცითაც ვეღარავინ ატარებდა. 11. აი მაშინ კი, უკვე მოტეხილმა, გადაწყვიტა თავის უზომო ქედმაღლობას შეშვებოდა და გონს მოგებულიყო, რადგან, ღვთისგან მსჯავრდადებულს, ყოველწუთს უძლიერდებოდა სატანჯველი. 12. თავისსავე სუნს რომ ვეღარ გაუძლო, თქვა: სამართლიანია ღვთის მორჩილება და მოკვდავი ღვთისსწორობას არ უნდა ესწრაფოდეს. 13. უწმინდური შესთხოვდა უფალს, რომელიც უკვე აღარ შეიწყნარებდა მას, ამბობდა: 14. წმინდა ქალაქს, რომელსაც მიწასთან გასწორებას და სასაფლაოდ ქცევას ვუპირებდი, თავისუფლებას ვანიჭებ. 15. იუდაელებს კი, რომლებსაც ჩვენი განაჩენის თანახმად, საფლავიც არ უნდა ღირსებოდათ, და თავიანთ ჩვილებთან ერთად ფრინველთა და ცხოველთა საჯიჯგნად უნდა დაგვეყარა, ყველას ათენელთა თანასწორად ვაცხადებ. 16. წმიდა ტაძარს, რომელიც გაძარცული მყავს, უსაზღვროს შენა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირებით შევამკობ, წმიდა ჭურჭლებს დავაბრუნებ უკლებლივ და მეტსაც შევძენ, ხოლო სამსხვერპლოდ აუცილებელ ხარჯებს ჩემი ხაზინიდან გავიღებ. 17. ამასთანავე, მეც იუდაელი გავხდები და ჩავუვლი ყველა დასახლებულ ადგილს და ვიღაღადებ უფლის ძალმოსილებას. 18. მაგრამ არაფრით რომ არ დაუცხრა ტკივილები, რაკი უფლის სამართლიანი მსჯავრი მოწეულიყო მასზე, იმედმიხდილმა წერილი მისწერა იუდაელებს, თხოვნის სახით, რომელშიც ეწერა: 19. ფრიად ღირსეულ იუდაელ მოქალაქეებს დიდ სიხარულს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას უსურვებს მეფე და სარდალი ანტიოქოსი. 20. თუ ხართ ჯანმრთელად თქვენ და თქვენი შვილები და თუ თქვენი საქმეებიც ისეა, როგორც თქვენ გსურთ, დიდ მადლს ეწირავ ღმერთს და ცაზე ვამყარებ ჩემს იმედს. 21. მე თქვენს პატივსა და კეთილგანწყობას სიყვარულით ვიხსენიებ. როცა სპარსეთის ფარგლები დავაგდე და მძიმე სენი შემეყარა, აუცილებლად მივიჩნიე საყოველთაო უსაფრთხოებაზე მეზრუნა. 22. ძნელბედობაშიც არ მიპყრობს სასოწარკვეთილება, სენისგან განკურნების დიდი იმედი მასულდგმულებს, 23. რაკი ვხედავ, რომ მამაჩემმაც ერთდროს ზემო ქვეყნის მიწებზე ლაშქრით წამოსულმა, საჯაროდ გამოაცხადა თავისი მემკვიდრე, 24. რათა, მოულოდნელობის ან რაიმე უბედურების ჟამს ცოდნოდათ ქვეყნის მკვიდრთ, ვისზე იყო საქმეები მინდობილი და არ დაბნეულიყვნენ, 25. გარდა ამისა ვითვალისწინებ, რომ დღევანდელი მმართველები, ჩვენი სამეფოს მეზობლები ხელსაყრელ შემთხვევას ეძებენ, ელიან მოსახდენს. ამიტომ ვაცხადებ მეფედ ჩემს შვილს ანტიოქოსს, რომელიც ზემო სატრაპიების მონახულების დროს ნაკრძალდგენია ხშირად უმეტესობა თქვენგანისთვის და ჩამიბარებია კიდეც. მისთვისაც მიწერილი მაქვს ის, რაც აქ სწერია. 26. გთხოვთ და ვიმედოვნებ, რომ გაიხსენებთ ჩემს ქველმოქმედებებს საერთო საქმისა და ცალკეული შემთხვევების მიმართ; შეინარჩუნებთ კეთილგანწყობას ჩემდამი და ჩემი შვილისადმი.27. მჯერა, რომ იგი ღირსეულად გაამართლებს ჩემს ნდობას, იქნება თქვენი კაცთმოყვარე განმგებელი. 28. კაცისმკვლელსა და ღვთისმგმობელს თავად დაემართა იმაზე უარესი, რაც სხვას დამართა. მან საწყალობლად დაასრულა სიცოცხლე უცხო მთებში; 29. მისი ცხედარი მისმა თვისმა ფილიპემ წაასვენა სახლში. მერე კი ანტიოქოსის ძის შიშით ეგვიპტეში, პტოლემეოს ფილომეტორთან გადაასვენა.

□გაგრძელება იქნება□

პროზა, პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

არაბეთის სურნელოვანი ბალახები

ორმოქმედებიანი დრამა

პერსონაჟები:

1. **ანასტასია** — 90 წლისაა
2. **მარიამი** — მისი რძალი, 70 წლისაა

ამ პიესაში ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა კი, პერსონაჟები, გამოგონილია. ნებისმიერი ცდა ცხოვრებისეული ანალოგების აღმოჩენისა, მცდარი და ამაო იქნება. აქ ცხოვრებიდან მხოლოდ სროლა და დამწვარი სკოლაა გადმოტანილი.

პირველი მოქმედება

სცენა წარმოადგენს ძველებური ბინის — ამჟამად სახლმუზეუმის — სასტუმრო ოთახს, რომელსაც ორი ფანჯარა და ორი კარი აქვს, ერთი კარი ტუალეტსა და სამზარეულოში გადის, მეორე — სხვა ოთახებში. აქ ბევრი ისეთი ნივთია, რომლებიც დღეს ჩვეულებრივ ბინებში აღარ გვხვდება, მაგალითად — გრამაფონი, იაპონურად მოხატული თეჯირი, სავარძელი-საქანელა. კედლები სურათებითა და აფიშებითაა დაფარული, სურებში ქაღალდის ყვავილები აწყვია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბინის პატრონები სახლ-მუზეუმის თანამშრომლებად არიან გაფორმებულები. გარემო, ანუ სამუზეუმო რეკვიზიტი და განწყობა, აშკარად დაღს ასვამს მათ ხასიათსა და გარეგნობას, შეიძლება ლაპარაკის მანერასაც. აცვიათ სადად, მაგრამ აშკარად საშინაოდ არა. აქ ყველასა და ყველაფერს თეატრალური იერი დაჰკრავს...

ფარდის გახსნის დროს ორივე ქალი თავისი საქმითაა გართული: დედამთილი ხელის სარკეში იხედება, რძალი წიგნს კითხულობს

პაუზა

მარიამი — (თავს წამოსწევს) — ბატონო?

ანასტასია — რა თქვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — მეგონა, რაღაც მითხარით.

ანასტასია — არა... ხმა არ ამომიღია.

მარიამი — **(იცინის)** — ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

ანასტასია — რა გაცინებს?

მარიამი — ისე, ჩემთვის... რაღაც გამახსენდა...

პაუზა

— **(წიგნს დახურავს)** — უცნაური სიზმარი ვნახე წუხელ...

ანასტასია — გააჭირე შენი სიზმრებით საქმე!

მარიამი — ვითომ სიზმარიც იყო და ფილმიც ერთდროულად. ჩემს თავსაც ვუყურებდი და ვმონაწილეობდი კიდეც. ლერწამში ვივდიოდით, რეზინის ჩექმების ჭყაპ-ჭყუპით... სხვები ვინ იყვნენ, არ მახსოვს...

ანასტასია — არადა, სიზმარში სწორედ სხვებია საინტერესო!

მარიამი — ვიცი, მაგრამ არ მახსოვს. ხომ არ მოვიგონებ!.. ჯარისკაცის სარეცხივით უხეში, რუხი, სველი ლერწამი იყო, ჯარისკაცის სარეცხივით ქოთდა... ჭყაპ-ჭყუპ, ჭყაპ-ჭყუპ... და კიდევ იხვების ხმა ისმოდა...

ანასტასია — შენ რა იცი, როგორია ჯარისკაცის სარეცხი?

მარიამი — რამდენჯერ მითქვამს, ბავშვობაში ლაზარეთის ეზოში ვცხოვრობდით-მეთქი!.. მამა ქირურგი იყო... რას იძახდნენ იხვები, რომ არ მახსოვს?! ღმერთო, გამახსენე, ღმერთო!

ანასტასია — **(სიცილით)** — შე მართლა იხვო, ღმერთს მაგას ვინ თხოვს?

მარიამი — სხვათაშორის, თქვენ იქ არ იყავით.

ანასტასია **(სიცილით)** — იხვებზე ნადირობაღა მაკლდა!

მარიამი — სიზმარში-მეთქი, სიზმარში!

ანასტასია — თუნდაც, სიზმარში!

პაუზა

— იცი, რას ვფიქრობ... გაინტერესებს თუ არა, რას ფიქრობს ადამიანი, რომელიც შეუჭმელი დაგრჩა? შენს ადგილას მე ნამდვილად დამაინტერესებდა, თუნდაც იმიტომ, რომ ფიქრის უნარი შერჩენია, წესით აღარც უნდა ფიქრობდეს, უნდა იჯდეს და ელოდებოდეს, როდის მოვა მისი ჯერი...

მარიამი — **(სიცილით)** — მისი ჯერი დიდიხნის მოსულია მაგრამ...

ანასტასია — რა მაგრამ? დაამთავრე სათქმელი. რა ცუდი ჩვეულება გაქვს. უკაცრავად მედიცინასთან, მაგრამ ეს ცუდი აღზრდის შედეგია, სიტყვები არ გყოფნის აზრის გამოსათქმელად. მარტო შენ კი არა, მთელი ქვეყანა ასე ბლუყუნებს, წვალობს. ვერ ატყობ, ქვეყანას ლაპარაკი რომ დაავიწყდა!

მარიამი — **(სიცილით)**— მე ძალიან ძველ კერძს არ გეახლებით.

ანასტასია — ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც ყველანი დავხოცეთ ჩვენს გარშემო, აღარავინ აღარ დარჩა... ყველანი დაიხოცნენ... **(იცინის)** არავის აღმოაჩნდა ჩვენი გაძლების შნო...

მარიამი — **(სიცილით)** — მაგას შნო არ ჭირდება.

ანასტასია — აბა, რა ჭირდება, შენ უკეთესად გეცოდინება.

მარიამი — მაგას ჭირდება ჯავშანტრანსპორტიორი!

ანასტასია — უი, რამსიგრძე სიტყვაა!

მარიამი — მაშ, არც თქვენ იცით, რა ჰქვია იხვების ლაპარაკს, არა? სხვათაშორის, თქვენი ასაკის ქალს სარკეში ასე კოხტაობა არ შეეფერება.

ანასტასია — რა ისეთი ასაკი მაქვს მაინც? **(სიცილით)** განა მუზები ბერდებიან? ჩემი ქმარი მელპომენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძახდა, ტრაგედიის მწუხარე მუზა ხარო.

მარიამი — ეგ რომელი ქმარი გეძახდათ ასე?

ანასტასია — აღარ მახსოვს... იცი, მართლა აღარ მახსოვს. რომელიღაც კი ნამდვილად ასე მეძახდა. ჭიქას ასწევდა ხოლმე — ჩემს მრისხანე მუზას გაუმარჯოსო **(სიცილით)** როგორ გგონია, რამდენი წლისა ვიქნები?

მარიამი — ვერ გავიგე, რას გეძახდათ — მწუხარეს თუ მრისხანეს?

ანასტასია — ეს ერთი და იგივეა.

მარიამი — არაფერიც! მწუხარე ევპეტრეა, ლირიკოსი.

ანასტასია — ღმერთო ჩემო, რა განათლებული ხარ! ეს მაინც რამ დაგამახსოვრა?

მარიამი — ვიღაცას ხომ უნდა ახსოვდეს...

ანასტასია — მაინც რამდენისა ვიქნები, როგორ ფიქრობ?

მარიამი — ასე ოთხმოცდაათის... არა? სამოცდათერთმეტის მე ვხდები აგერ!

ანასტასია — ღმერთო, ნუთუ მართლა ასე კარგად გამოვიყურები! შენ გგონია სარკეში ვკოხტაობ, ჩემი თავი მაინტერესებს? სარკეში აღარც ვჩანვარ...

მარიამი — სხვა ვინ უნდა გაინტერესებდეს სარკეში?

ანასტასია — მარიამ, მარიამ, სარკე ქალის თავშესაფარია...

პაუზა

მარიამი — რატომ გაჩუმდით?.. გინდა ქოთანს მოგიტანთ?

ანასტასია — არ მჭირდება შენი ქოთანი. რამდენჯერ გითხარი, სიტყვას ნუ მაწყვეტინებ-მეთქი!

მარიამი — ისევ უნდა ჩაისველოთ...

ანასტასია — ღმერთო, როგორი ცილისწამებაა, ღმერთო, ეს რა მესმის, ჩაისველოო! როგორ მიბედავ! აი, სადამდე მივედით!

მარიამი — გინდათ ვაშლს გაგიჭეხავ და გაჭმევთ. ერთი ცალი დაგვრჩა.

ანასტასია — შენი ხელით?

მარიამი — ხო.

ანასტასია — გამიხეხავ ვაშლს?

მარიამი — მითხარით, გინდათ თუ არა?

ანასტასია — როგორ დავბერდი! ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის. თითქოს ჩემი ბრალი იყოს, რომ დავბერდი. არადა, მგონი, მართლაც ჩემი ბრალია. ხომ შემეძლო არ დავბერებულიყავი...

მარიამი — ოჰო, ეს რაღაც ახალია! კი მაგრამ, როგორ, რანაირად, რა გზით, რა საშუალებით...

ანასტასია — რამდენი სიტყვა იცი...

მარიამი — ...მოახერხებდით ამას?

ანასტასია — და მაჭმევ?

მარიამი — აკი სიტყვები არ გყოფნისო!

ანასტასია — იცი, რაზე ვფიქრობ? ამქვეყნად ყველაფერი პირობითია, მუზებიც, სარკეც, შენ წარმოიდგინე — იხვებიც კი! ზოგისთვის ყველაფერი არაფერია, ზოგისთვის კი არაფერი — ყველაფერი.

მარიამი — **(არ უსმენს, თავისთვის)** — ნეტავ, სადმე წამიყვანა. როგორ მინდა სადმე წასვლა. სულერთია, ოღონდ წავიდე...

ანასტასია — დღეს ტაზეპამი დალიე?

მარიამი — **(არ უსმენს)** — სიზმარში გამეღვიძა... კარზე რეკდა ვიღაც. გავაღე. არავინ იყო. როგორ მინდა წასვლა. დიდხანს ვიდექი კართან. საუკუნე. უჰ, დიდხანს...

ანასტასია — რა ხდება გარეთ?

მარიამი — სიზმარში თუ ცხადში?

ანასტასია — ცხადში. სიზმარში რაც ხდება, შენზე უკეთესად ვიცი.

მარიამი — არაფერიც არ ხდება. სიმყუდროვეა. იცით, პირველი სკოლა დაიწვა.

ანასტასია — მაინც სად გინდა წასვლა, საით აპირებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — არ ვიცი-მეთქი, ხომ გითხარით. ოღონდ ძალიან, ძალიან კი მინდა. მატარებლის ლოდინი. რამდენი ხანია მატარებლით არ მიმგზავრია. ვაგონში ასვლა, სხვისი ხელით გაშლილ ლოგინში ჩათბუნება. მატარებელში მიყვარს ძილი. მატარებელში რომ გძინავს, ესე იგი, შორს მიდიხარ...

ანასტასია — ჩვენი ხნის ხალხი მხოლოდ შორს მიემგზავრება.

მარიამი — არაფერიც! არაფერიც! არაფერიც! ო, რა მწარე ენა გაქვთ. მე თქვენზე ოცი წლით უმცროსი ვარ, ჩემი ცხოვრება ჯერ არ დამთავრებულა. არ შეიძლება ცხოვრების ძალით დამთავრება.

ანასტასია — ჩვენ ორივე ისეთ ასაკში ვართ, რამდენიმე წელს, თუნდაც ოცს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მარიამი — მაშ, რასა აქვს მნიშვნელობა? ამქვეყანად ყველაფერს რაღაც მნიშვნელობა აქვს.

ანასტასია — მთავარია, სარკე არ დაგავიწყდეს!

მარიამი — რა თქვით?

ანასტასია — ქალად დარჩე ბოლომდე. შენ ამას ვერ გაიგებ, ბებერი ხარ.

მარიამი — მე ვარ ბებერი?

ანასტასია — დიახ, შენ!

მარიამი — ხელით გაჭმევ, ხელით დამყავხარ ტუალეტში, მე ვარ ბებერი?

ანასტასია — (სიცილით) — შენ ბებერი დაიბადე, სულ ბებერი იყავი. (შეკცრად) ბებრები ხარბები არიან (იხევ სიცილით) — დაკვირვებიხარ, უკბილო ადამიანი როგორ ჭამს?

მარიამი — მე ვარ უკბილო?

ანასტასია — მეტაფორის მნიშვნელობა არ გესმის, აკი მუზების სახელები ვიცი! გაანებე მაგ საცოდავებს თავი, მოეშვი, ეგენი მაინც დარჩნენ ამ ქვეყნად.

მარიამი — (ირონიული ღიმილით)— მარტო ეგენი?

ანასტასია — თუნდაც

ამ დროს გარეთ საშინელი სროლა ატყდება

მარიამი — დაწექით, დაწექით ჩქარა!

ანასტასია — შენც დაწექი.

მარიამი — მე უკვე ვწევარ.

ანასტასია — მაგას ვინ მოგასწრებს!

მარიამი — ჩქარა-მეთქი, ჩქარა!

იატაკზე წვებიან

— (ცოტა ხნის მერე, როცა სროლა ოდნავ ჩაწყნარდება) — დედა!

დედამთილი არ პასუხობს

— (შეშინებული, დაფეთებული) — დედა! დედა!

ანასტასია — რა გაყვირებს?

მარიამი — ვიფიქრე...

ანასტასია — ვერ მოესწრები მაგას! (სიცილით) როგორ შემეშინდა! არადა, რისი მეშინია, ჩემები ყველა შინა მყავს...

მარიამი — ხელს რატომ მიქნევთ?

ანასტასია — შენ კი არ გიქნევ, რაღაცას მინდა მოვკიდო ხელი. ხომ უნდა წამოვდგე!

მარიამი — დაიცა, მოგეხმარებით.

ანასტასია — შენს თავს მიეხმარე.

მარიამი — დაიცათ-მეთქი.

ანასტასია — ბევრით კი არა ვარ შენზე უფროსი. საერთოდ თუ ვარ უფროსი.

მარიამი — მომკლავს თქვენი უკუდო ამპარტავნობა.

წამოდგომაში შველის ■

— აბა, ფრთხილად. ყოჩაღად. აბა, ჩავჯდეთ სავარძელში. უყურე შენ — რა ცქვიტად ჩაჯდა, იქნებ მართლაც უმცროსია და არ ვიცით, იქნებ იჩაგრება გოგონა, იქნებ ეს არის რძალი, მე კი — დედამთილი. რა იცი. სხვათაშორის, ადვილი შესაძლებელია. მართლა, მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლა! უკვე ამერია, აღარც მახსოვს, ვინა ვარ, იმდენი ადამიანის როლს ვასრულებ ამ უზურპატორი რეჟისორის ხელში — ქალის, კაცის, ბავშვის... მოიცა, ფეხებზე საბანს გადაგაფარებთ. ცივა ჩვენთან, თუმცა, სად აღარ ცივა. ყველგან ერთნაირად ცივა, შინ და გარეთ, ყველა იყინება. როგორ ჩიტივით წამოფრინდით სკამიდან, სროლის ხმა რომ გაიგეთ! იქნებ მართლა პატარა გოგონა ხართ ჰა?

ანასტასია — (**გაღიზიანებული**) — რატომ ისვრიან?

მარიამი — ჰკითხეთ!

ანასტასია — ვის ვკითხო?

მარიამი — თქვენს თავს ჰკითხეთ. თუმცა, რომელ ერთს, რომ არ ვიცი — პატარა გოგონას, რძალს თუ დედამთილს, იქნებ ტერორისტს? უი, სწორედ რომ ტერორისტის საქმეა ეგ, იმას ეცოდინება. აბა, ვკითხოთ ძია ბიქფორდს, ის გვეტყვის, რატომ ისვრიან (**ეძახის**) ძია ბიქფორდ! ძია ბიქფორდ! აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება!

ანასტასია — იმას ბიქფორდი არ ერქვა.

მარიამი — მისი ნამდვილი სახელი გახსოვთ?

ანასტასია — არა, არ მახსოვს... მგონი, სახელი საერთოდ არ ჰქონდა. უსახელო იყო, იმიტომ რომ იმალებოდა. მამა ამბობდა სიცილით, პირზე ხელაფარებული, იმას რომ არ გაეგო ბიქფორდი ჰქვიაო. კი მაგრამ, შენ რა იცი, რას ამბობდა მამა, შენ, შენ, ვინ გითხრა?

მარიამი — მამა ამბობდა სიცილით, მუჭში ფხუკუნებდა: მაგასო... ფხუკ, ფხუკ, ფხუკ... მაგასო.... ჰა, ჰა, ჰა...

ანასტასია — კარგი, გეყოფა!.. რას ამბობდა მამა?

მარიამი — მაგას ბიქფორდი ჰქვიაო... ფხუკ... ჩვენი გულისთვის იცინოდა, ჩვენ რომ არ შეგვშინებოდა...

ანასტასია — შენ რა იცი-მეთქი?

მარიამი — თქვენ არ მომიყევით, თანაც რამდენჯერ! რატომ მიყურებ ასე, რა მოხდა?

ანასტასია — არაფერი, არაფერი...

მარიამი — მაინც?

ანასტასია — ჩვენ ორივენი იმედით გაბრიყვებულები ვართ, მარიამ. სხვა რა გაგვაძლებინებდა, გარდა ტყუილისა. იმედი ყველაზე დიდი ტყუილია, თანაც ტკბილი და დამღუპველი...

ისმის სროლის ხმა

— დავწვეთ?

მარიამი — არა, შორს ისვრიან.

ანასტასია — ის მაინც გამაგებინა, ვის ეომება ეს ხალხი?

მარიამი — თავის თავს... უპედური ხალხია...

ანასტასია — სხვათაშორის, მე იმ სკოლაში ვსწავლობდი...

მარიამი — მეც... სხვათაშორის...

ანასტასია — მერე სკოლის დაწვა ვისწავლეთ?

მარიამი — ალბათ...

ანასტასია — თითქოს ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვაო, თვითონ, თავისი ნებით. არც გამიკვირდებოდა, მართლაც ასე რომ ყოფილიყო... იწვის და ვერ კი ვშველით... საშინელებაა, როცა სიზმარში რაღაცის გაკეთება გინდა და ვერ აკეთებ...

მარიამი — მაგას კოშმარი ჰქვია!..

ანასტასია — მაგრამ გაცილებით უარესი ყოფილა, როცა ცხადშიაც იგივე მეორდება. ამას რაღა ჰქვია, თუ ამის სახელი არ იცი? აბა, მე გეტყვი: ამას სიბერე ჰქვია, კოშმარზე უარესი კოშმარი.

მარიამი — ახალგაზრდაც რომ იყოთ,, მაინც ვერ უშველიდით.

ანასტასია — გაჩუმდი-მეთქი!

მარიამი — რატომ მიყვირით, დედა?

ანასტასია — მე ისედაც ახალგაზრდა ვარ!

პაუზა

— რატომ გაჩუმდი, არ გიკვირს?

მარიამი — თქვენგან არაფერი აღარ მიკვირს.

ანასტასია — შუა ქუჩაში დგას და იწვის...

მარიამი — ხო, ნამდვილი კოშმარია.

ანასტასია — არა, ეს კოშმარი არ არის. კოშმარს რაღაც მაინც ეშველება, აი, როგორც შენ მშველი ხოლმე, როცა ძილში ვიღრჩობი, ვხრიალებ, ოფლში ვცურავ, მოდიხარ და მაღვიძებ. წამოვვარდები: ჰა,ჰა? დაფეთებული ვახელ თვალს და მაშინვე, თითქმის მაშინვე შვება მეფინება გულზე. ცხადში კი ვინ გიშველის, ვის შეუძლია შველა?.. ყაპ-ყაპ-ყაპ-ყაპ!

მარიამი — რა თქვით?

ანასტასია — დიახ, იხვების ლაპარაკს ყაპყაპი ჰქვია!

მარიამი — **(გახარებული)** — ხო. ყაპ-ყაპ-ყაპ-ყაპ!

ოთახში იხვივით დაბაჯბაჯებს

ანასტასია — ვინ გამაღვიძებს, ვინ?

მარიამი — **(მივა მხარზე ხელს დაადებს)** — ორი დღეა, არაფერი გიჭამიათ.

ანასტასია — ქუჩა მართლა გადაკეტილია?

მარიამი — ქუჩა კი არა, მთელი უბანია გადაკეტილი.

ანასტასია — ამ სახლში მარტო ჩვენ დავრჩით?

მარიამი — ხო, მარტო ჩვენ დავრჩით.

ანასტასია — კუნძულზე ვცხოვრობთ...

მარიამი — დაანგრიეს ქვეყანა ამ ოხრებმა.

ანასტასია — სულ მინდოდა, კუნძულზე მეცხოვრა. დილით გამოვსულიყავი ნაპირზე და ბურუსიდან გამომსხლტარი კატერის ხმა გამეგონა. ვითომ ამ კატერით მივდიოდი ხმელეთზე, ვითომ იქ ვმსახურობდი, ფოსტაში. მე მიყვარს ფოსტა. განსაკუთრებით პატარა ქალაქში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ფოსტაში ერთადერთი ტელეფონი დგას: ალო, ალო, თბილისი! ვითომ საღამოს ისევ კატერით ვბრუნდებოდი კუნძულზე და ვითომ ჩვენი სახლი იქვე ნაპირთან იდგა და ვითომ სახლში ღუმელი ენთო და ვითომ მამა ნარდს ეთამაშებოდა მეზობელ ფაუსტუსს...

მარიამი — ვიის!

ანასტასია — რა იყო, პირველად გესმის ეს სახელი?

მარიამი — არა, რა თქმა უნდა, პირველად არ მესმის, მაგრამ...

ანასტასია — ხო, ჩვენ მეზობელი გვყავდა, ოღონდ ცხადში, ფაუსტუსი ერქვა. ვკითხავდი ხოლმე, ბატონო ფაუსტუსს, ღმერთი თუ არსებობს-მეთქი? იმე?!—გაიკვირვებდა და თავში წაიშენდა ხელს. ძალიან წყინდა, განსაკუთრებით ჩემგან, ასეთი შეკითხვა.

მარიამი — კუნძულზეც თქვენს მეზობლად ცხოვრობდა?

ანასტასია — არა, კუნძულზე ფაუსტუს რა უნდოდა!

მარიამი — აკი მამა ფაუსტუს ნარდს ეთამაშებოდაო?

ანასტასია — ჩემი ყველაფერი გჯერა?

მარიამი — რასაკვირველია!

ანასტასია — ღმერთო ჩემო რა მეშველება! როცა დიდი სიცხე მქონდა... მოვიდოდა მამა... რატომ არ მეკითხები, მამას კუნძულზე რა უნდოდაო? ჩემი საწოლის ახლოს ჩამოჯდებოდა, მუხლებზე ნარდს გადაშლიდა, ძველი წიგნივით, და ფაუსტუს! ელოდებოდა...

მარიამი — რა გატირებთ?

ანასტასია — **(ცრემლს იწმენდს)** — ნახე, როგორი მაქმანებიანი ცხვირსახოცი მაქვს, შენთვის არ მიჩვენებია?

მარიამი — როგორ არა, როგორ არა.

ანასტასია — არადა, ის კუნძული ნამდვილად არსებობდა. გინახავს ენისეი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — (სიცილით) — რა თქმა უნდა, ოღონდ რუკაზე.

ანასტასია — რუკაზე სხვაა, რუკაზე მდინარე ჭიაყელასა ჰგავს... იქ იდგა ხის სახლი მდინარის პირას... იმ სახლში ერთი დედაბერი ცხოვრობდა და სათვალიანი იაპონელი... ხმებიღა მახსოვს, ხმებით ვიხსენებ ყველაფერს. აი, მესმის, როგორ ჭრიალებს ნახევრად ჩამპალი ფიცრები ხის ქუჩაზე, როგორ იმსხვრევა ყინული მდინარეზე... ხმებს ვხედავ, ხმებს — აი, იაპონელს მდუღარე წყლით კასრი გაუვსია და იქიდან თავიღა მოუჩანს. იაპონელი იონა ნათლისმცემელის თავი. ბანზაი!.. მე, ყოფილ მსახიობს — თურმე შეიძლება იყო ყოფილი მსახიობი, ყოფილი ადამიანი, ყოფილი ჩიტი, ყოფილი ძაღლი — საშვიდნოემბრო სპექტაკლის დადგმა მქონდა დავალებული. იაპონელიც ამიტომ ზის კასრში, ისიც ემზადება. მეტად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესასრულებელი — წითელი დროშა უნდა შემოიტანოს და დაიძახოს: ბანზაი, ბანზაი! მე ორმოცი წლისა ვარ. დღეს ორმოცი წელი შემისრულდა. მაჯით გადავწმინდე დაორთქლილი სარკე — ღმერთო... ძია ლენინს, რომელიც, რასაკვირველია, მთავარი პერსონაჟია, კოჭებამდე გრძელი პერანგი აცვია და ზურგზე მუყაოს ფრთები აქვს მიმაგრებული. კუთხეში ზის და თავგადადებული აკორდეონზე უკრავს. შენი როლი თუ გახსოვს? — ვეკითხები იაპონელს. პასუხის ნაცვლად თავს მიქნევს და იკრიჭება. ვისაც იაპონელის კბილები არ უნახავს, შეუძლია თქვას, არაფერი მინახავსო. ბანზაი! მერე ყველანი „შავო მერცხალოს“ ვმღერით და ბელადისადმი მადლიერების გრძნობამ ლამის დაგვახრჩოს. ბანზაი!

მარიამი — იმ იაპონელსაც უყვარდით?

ანასტასია — რა თქმა უნდა! მამაკაცს, თუ არ ვუყვარდი, ვინ ვუყვარდი, ვინც უნდა ყოფილიყო!

მარიამი — არ მითხრათ, მეც მიყვარდაო!

ანასტასია — რა თქმა უნდა, მიყვარდა.

მარიამი — რა ამბავია, რა ხდება ჩვენს თავს, ამდენი სიყვარული გამიგონია!

ანასტასია — როგორ გგონია, მაინც რამდენია ნორმა?

წამოდგება, თავშალს ჰაერში ააქნევს — ბანზაი! ბანზაი!

მარიამი — **(თითებზე ითვლის)** — ერთი ქმარი, მეორე ქმარი, მესამე ქმარი და კიდევ ერთი იაპონელი...

ანასტასია — **(ადგილზე ტრიალებს)** უკვე ყველა ერთმანეთში მერევა. მათი თანამიმდევრობა აღარ მახსოვს. მე მგონი, პირველი იაპონელი იყო.

მარიამი — **(ისიც მოიხსნის თავშალს, დროშასავით ააფრიალებს)** — არც მე, არც მე, მეც არ მახსოვს არაფერი!

ანასტასია — **(გაჩერდება, სახე შეეცვლება)** — შენც? რა აღარ გახსოვს?

მარიამი — **(გაჩერდება, რატომღაც დაიბნევა)** — არაფერი... არაფერი აღარ მახსოვს **(უფრო მტკიცედ)** სულ არაფერი.

ანასტასია — სულ არაფერი?

მარიამი — არა...

ანასტასია — სულ, სულ არაფერი?

მარიამი — **(შემკრთალი)** — რა უნდა მახსოვდეს? არ ვიცი, რას გულისხმობთ, ისე ვთქვი, თქვენ აგყევით...

ანასტასია — ჩემი აყოლა ხელს არ მოგცემს. **(სავარძელში ჩაჯდება)** როგორ მიყვარს ცეკვა. ყოველთვის მიყვარდა. უჰ, ძლივს ვსუნთქავ. აბა, როგორ გინდა, სხვანაირად არც შეიძლება. ცეკვა შეშლილების ენაა, ახალგაზრდობით შეშლილების. ო, ახალგაზრდობამ ჭკუიდან გადაცდენა იცის. შეგშლის, დაგახრჩობს, საწამლავს დაგალევინებს, კლდიდან გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გჩეხავს, საფეთქელთან დამბაჩას მიგადებინებს, ნელნელა, ნელნელა გამოსწევს სასხლეტს, ნელნელა და ბაც! ახალგაზრდობას მსხვერპლი უყვარს. უი, დავიღალე... მე ფოსტაში ვმუშაობდი. იქ, მთელ მხარეში ერთადერთი ტელეფონი იდგა, ძველებური, დასატრიალებელი სახელურით. ვერავინ რეკდა იმ ტელეფონით. ზოგჯერ, როცა მარტო ვრჩებოდი, ყურმილს ავიღებდი და ვითომ თბილისს ველაპარაკებოდი: ალო, ალო, თბილისი! თბილისი! ამ ერთ სიტყვას ვიმეორებდი და თან ვტიროდი... არასოდეს ისეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ... არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს, მგონია, როგორც კი წამოვდგები, ნაბიჯს როგორც კი გადავდგამ, ძაღლად გადავიქცევი, პაწაწინა გოშიად: მპუ, მპუ, მოდი ჩემთან, შე საცოდავო. უკაცრავად, ბატონო, რატომ არის საცოდავი ჩემი გოშია? ეს დედაჩემის ხმაა! ახალი დაბრუნებულია სურამიდან, სულ თეთრებშია გამოწყობილი, შლიაპაც თეთრი ახურავს, შინაც არ იშორებს, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ თოვლი დევს, ყინავს, შობის დღეებია. ეს ის დროა, ალბათ მიხვდი, როცა ბავშვს პირი ღვეზელითა აქვს სავსე და არა თურქული შოკოლადით ან კევით. შე საცოდავო, ამბობს დედა სიმღერით და ერთ ადგილას ტრიალებს, ისევე როგორც მე და შენ ვტრიალებდით წელან. შე საცოდავო, რატომ მოაკვლევინე თავი, არადა, როგორ გიყვარდა შობა! ავ, ავ, ავ, გაჩუმდი, ვის ვეუბნები გაჩუმდი-მეთქი, არ გადაგვჭამეს ამ ძაღლებმა თავი! მამაო ამბროსი, მიმართავს დედა მღვდელს, თქვენ რატომ არ ცეკვავთ? მღვდელი მორცხვად იღიმება და ნიკაპით იბურღავს მკერდს, რომ თავი როგორმე შიგ ჩამალოს. მის თეჯშზე ღორის ყური დევს, როგორც ნიჟარა — მამაჩემის საწერ მაგიდაზე. მამა ამბროსი ჩვენს მოსამსახურე გოგოს ამალიას, ხო, ასე ერქვა, თუმცა ჩვენ „გოგოს“ ვეძახდით — გადაადგი, გოგო, ფეხი, გაინძერი, გოგო, შე ბრუტიანო შენა — ორ თითს ღაბაბზე ამოუსვამდა ხოლმე, თითქოს ჭიქიდან ნაღები ამოაქვსო. ამალიას ეგონა ყველანი ეხუმრებოდნენ და ამიტომ განუწყვეტლივ კისკისებდა. ჩვენ კი — კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის მოწაფეები — რევერანსით ვესალმებოდით და ხელზე ვკოცნიდით მამა ამბროსის. დღეს შობაა, შეგეწიოს მისი მადლი, — მესმის მღვდლის ვარდისფერი, მსუქანი, ოდნავ შეზარხოშებული ხავერდოვანი ბარიტონი, — დიახ, ჩემო ბატონო, შობას ღვეზელი უხდება და ღორის თავი. მდოგვს ხომ არ მიირთმევთ? მადლობთ, ჩემო ბატონო. პა, პა, პა, რა გემრიელია, კაცო! დედა, დედიკო, დედულიკო, დე! იმ დღეს, ანუ ამ ნახევარი საუკუნის წინ, შენი საფლავი ველარ ვიპოვეთ, იასამნის ტყე იდგა იქ, სადაც შენი საფლავი გვეგულებოდა იასამნის ჯარი, იასამნის ოკუპანტები. რა ფეხებში მედება ეს ძაღლი!

მარიამი — სად ხედავთ ძაღლს?

ანასტასია — მარიამ, გესმის, მარიამ!

მარიამი — მესმის, რა გაყვირებთ?

ანასტასია — გააგდე გარეთ ეს ძაღლი, მეშინია.

მარიამი — რა გაშინებთ, როდის იყო ძაღლების გეშინოდათ?

ანასტასია — არასოდეს, არასოდეს მშინებია ძაღლის. პირიქით, ძაღლები მიყვარდა ყოველთვის...

მარიამი — ადამიანებზე მეტად!

ანასტასია — ხო, ადამიანებზე მეტად და არც ვცდებოდი. არა, არ ვცდებოდი. ახლა კი მეშინია, აი, ამ პატარა გოშიასი მეშინია, რომელიც იმიტომ არ მკბენს რომ ეზარება, მარტო ყეფა უყვარს, ყეფა ეხალისება, ყეფა ძაღლების სიმღერაა. ჩვენი გოშია მეცოსოპრანოა, დამწყები, ჯერ კონსერვატორიაში არ მოუსპიათ სიმღერის ხალისი, ჯერ კიდევ მღერის: ავ, ავ, ავ, გაიყვანე-მეთქი, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიამ, გააგდე გარეთ. ვინ შემოუშვა ძაღლი შინ, რა უნდა დედაჩემის ძაღლს ჩვენთან?

მარიამი — უნდა გიკბინოს, ავ, ავ, ავ!

ანასტასია — რა გინდა, ძაღლო, ჩემგან?

მარიამი — არაფერი. მომენატრე.

ანასტასია — შორიდან მოდიხარ?

მარიამი — ოოო, მაგას ნუ მკითხავ.

ანასტასია — დედაჩემი რა უყავი?

მარიამი — იასამნის ტეეში დავტოვე.

ანასტასია — რა უნდა იასამნის ტყეში დედას?

მარიამი — თეთრი ფეხსაცმლით ქვებზე დაბაკუნობს.

ანასტასია — ქვებზე?

მარიამი — ხო, იქ იასამნებია და ქვები.

ანასტასია — რა ხდება, არავის ფანტაზია არ ყოფნის, ფანტაზიის სიღატაკე დაღუპავს კაცობრიობას!

მარიამი — ჩვენ — ძაღლებს — არ გვიყვარს პოეზია.

ანასტასია — მაშ, რა გიყვართ ძაღლებს, რომ არ ვიცი, რა გსიამოვნებთ?

მარიამი — სიამოვნებით გიკბენდი ფეხზე.

ანასტასია — მღვდელი თუ გახსოვს, ძაღლო?

მარიამი — როგორ არა, მამა ამბროსი.

ანასტასია — ჩემი დები თუ გახსოვს — სოფიკო და ოლა?

მარიამი — როგორ არა, როგორ არა, ისინიც იასამნებში თამაშობენ.

ანასტასია — ჩვენი მდგმური თუ გახსოვს, ძია ბიქფორდი?

მარიამი — ეს რა გამახსენე, ეგ მიყვიროდა სწორედ, ეგ მიპირებდა გარეთ გაგდებას.

ანასტასია — მომისმინე ძაღლო!

მარიამი — მე მარიამი მქვია.

ანასტასია — ძაღლი-მეთქი!

მარიამი — ავ, ავ, ავ!

ანასტასია — რას თამაშობენ ჩემი დები?

მარიამი — სახლობანას.

ანასტასია — (შეცვლილი ხმით) — რას?

მარიამი — სახლობანას... რა იყო?

ანასტასია — არასოდეს ჩემი სახლი არ მქონია...

(ტირის)

მარიამი — დედა, დედა, რა დაგემართათ, ჩვენ ხომ ვთამაშობთ?

ანასტასია — ხო, ვთამაშობთ... ვთამაშობთ...

(ცრემლს იწმენდს)
—(ვთამაშობთ)...

პაუზა

— მარიამ, ხომ იცი, სამი დღეც და შობაა!

მარიამი — ვიცი დედა.

ანასტასია — (იცინის) —შობა

მარიამი — (იცინის) — შობა!

ანასტასია — ხო, მას მერე სულ ასე ვთამაშობთ.

მარიამი — (შემკრთალი) — რის მერე?

ანასტასია — რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ერთდროულად, მაგალითად: შობა, ბიქფორდი და შარდით სავსე ღამის ქოთანი, რომლის გამოტანაც ხშირად ავიწყდებოდა ამალიას იმ ოთახიდან, სადაც შეფარებული ხვყავდა „ტერორისტი“, სანუ ძია ბიქფორდი. ერთადერთი სიტყვით ვცდილობ გადმოგცე სურათი იმდროინდელი შობის ზეიმისა ჩვენს ოჯახში, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია...

მარიამი — განა ეს თქვენი სახლი არ არის?

ანასტასია — არა, ჩემი სახლი ამ პლანეტაზე არ დგას.

მარიამი — ამ ოჯახში ყოველთვის თქვენ იყავით უფროსი, თქვენ იყავით ამ ოჯახის დიასახლისი. განა ეს, თუნდაც, ჩემგან არასოდეს გიგრძვნიათ? დამაცადეთ! თუკი გიგრძვნიათ, რატომღა ამბობთ, არასოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სახლი არ მქონიაო, სხვა რა არის სახლი? აქედან გაასვენეს თქვენი ქმარი, თქვენი შვილი....

ანასტასია — არასოდეს!

მარიამი — ბატონო?

ანასტასია — ჩემი სახლი არ მქონია. ეს სახლიც თეატრივით იყო, აქაც ვთამაშობდი.

მარიამი — მაგას ნუ იტყვით.

ანასტასია — ასე იყო, რადგან ვამბობ. ერთხელ დღისით, რეპეტიციის მერე, სცენაზე დავიჩოქე და ღმერთს შევეედრე, ისე მოაწყვე საქმე, შინაც რომ არ მომიხდეს თამაში-მეთქი, ნუ მათქმევინებ იმ სიტყვებს, იმ დაზეპირებულ ტექსტს, რომელსაც ჩემგან მოელიან-მეთქი. მათქმევინე ის სიტყვები, რომლებიც არასოდეს, ვერსად, ვერავისთან ვერ მითქვამს-მეთქი, ჩემი „მშია", „მეძინება", „მეზიზღები" — ჩემი სიტყვები, რომლებიც ჩაუცმელი კაბებივით მიმყვება იმ ქვეყნად. იქ კი არავის ჭირდება, იქ მარტო ხმებია, სიტყვები — არა, სიტყვები იქ არავის ესმის. ღმერთო, შენ მომეხმარე-მეთქი. სცენაზე დაჩოქილი ვლოცულობდი და არც ის ვიცოდი, როგორ უნდა მელაპარაკა ღმერთთან ჩემი სიტყვებით...

მარიამი — ღმერთს ნუ სცოდავთ!

ანასტასია — ასე იყო, ძაღლო!

მარიამი — ავ, ავ, ავ.

ანასტასია — ასე იყო-მეთქი.

მარიამი — აი, ასეთი ლაპარაკის გამო გაღმერთებდით ყოველთვის!

ანასტასია — შენ მე მაღმერთებდი?

მარიამი — თქვენ ეს იცოდით? მე თქვენ ყოველთვის გაღმერთებდით, მაშინაც კი, როცა მძულდით. მძულდით კი სულ, სულ, სულ, მთელი სიცოცხლე თითქმის მანამდეც, ვიდრე ამ ქვეყანას მოვევლინებოდი, ვიდრე თქვენ გაგიცნობდით.

ანასტასია — ბატონო?

მარიამი — არ მისმენდით?

ანასტასია — განა რამეს ამბობდი?

მარიამი — არაფერს... ხო, არაფერს...

ანასტასია— როგორც ლოცვას დააპირებ, ანუ ღმერთთან ლაპარაკს, მაშინვე გამზადებულ ტექსტს მოგაჩეჩებენ, სხვის სიტყვებს. ღმერთსა და ჩვენს შორის ყოველთვის ვიღაც დგას.

მარიამი — ღმერთს ნუ ცოდავთ-მეთქი!

ანასტასია — ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ დაბერებულა... აკი შენც მითხარი, დაბერდიო!

მარიამი — მე ეგ არ მითქვამს!

ანასტასია — ჩემთან სიბერეზე არავინ გაბედოს ლაპარაკი. რა დროს სიბერეა! მე და შენ ახლა, ბეირუთელ ტერორისტებივით, ბრძოლაში ვართ ჩართულნი. რა იცი, იქნებ ჩვენც კი გვესვრიან, სწორედ ჩვენ გვიმიზნებენ. აგე ჩვენი ფანჯარა, განა ტყვიამ არ დაამსგავსა ობობას ქსელს! ესე იგი, ვიღაცას ან ვეხმარებით, ან ხელს ვუშლით, ანუ ვიბრძვით, წარმოგიდგენია!

მარიამი — დაანებეთ პოლიტიკას თავი, როდისმე ხომ უნდა ისწავლოთ ჭკუა, რა ჩვენი საქმეა პოლიტიკა!

ანასტასია — ეს პოლიტიკაა?

მარიამი — მაშ, თქვენ რა გგონიათ?

ანასტასია — ჩემი აზრით, ეს არის გაუგებრობა. დიდი საყოველთაო გაუგებრობა. ადამიანის საყოველთაო გამაიმუნება. ზოოლოგიური აბსურდი. ასე რომ...

პაუზა

— შეიძლება ჩვენც კი გვესროდნენ, ჩვენც კი გვებრძოდნენ. სხვათაშორის, ამის მიზეზი არსებობს...

მარიამი — მიზეზი? კარგით რა, ჩვენ ვის რას ვუშავებთ!

ანასტასია — რა იყო, სრულებით არაფერი გახსენდება?

მარიამი — რა უნდა გამახსენდეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს გადააქნევს.

— მეც მნახეთ რევოლუციონერი!

ანასტასია — სხვათაშორის, ზუსტად ასე აქნევდნენ დედაჩემის ზურგსუკან თავს სინანულით, რა კარგი ადამიანი შეშალა ღმერთმაო. არა, მე შეშლილი არა ვარ...

მარიამი — რას ამბობთ?..

ანასტასია — სამწუხაროდ.

მარიამი — არც მიფიქრია...

ანასტასია — აჯობებდა კი, შეშლილი ვყოფილიყავი. ამ ქვეყნად მარტო შეშლილები არიან ბედნიერები. მეც, თუმცა არ ვიცოდი, რა იყო ბედნიერება, მინდოდა გაუთავებელი, მუდმივი ყოფილიყო იგი. არაფერს არ მოუნიჭებია ჩემთვის სიხარული, ბედნიერებაზე რომ არაფერი ვთქვა, არც გათხოვებას, თანაც საჯერ გათხოვებას, სამჯერ! არც შვილს, არც ვინმეს სიკვდილს...

მარიამი — დედა?!

ანასტასია — ხო, სიკვდილს... რატომ შეკრთი?

მარიამი — ნუ ამბობთ მაგას. ეგ შეიძლება ბოროტმა ადამიანმა თქვას, თქვენ ბოროტი არა ხართ.

ანასტასია — ხო, მე ბოროტი არა ვარ იმიტომ რომ ბედნიერი არ ვყოფილვარ არასოდეს. მე არც ბოროტი ვარ და არც კეთილი. სიკეთესაც თუნდაც ერთი წვეთი ბედნიერება ჭირდება... არაფერი არა ვარ... არც შეშლილი... არც მე მყვარებიხარ არასოდეს.

მარიამი — ვიცი.

ანასტასია — თავიდანვე მძულდი.

მარიამი — ვიცი.

ანასტასია — სულ მინდოდა პირიქით მომხდარიყო — შენ ყოფილიყავი ჩემი დედამთილი, მე კი — შენი რძალი. გაჩვენებდი, როგორ უნდა მოექცეს ნამდვილი რძალი დედამთილს.

მარიამი — განა მე ცუდად გექცევით? თავს არ ვიზოგავ. მე ხომ თქვენს გარდა სხვა საქმე, სხვა საზრუნავი არა მაქვს, თქვენა ხართ ჩემი ქმარიც, შვილიც, შვილისშვილიც...

ანასტასია— გაჩუმდი!

მარიამი — რატომ უნდა გავჩუმდე?

ანასტასია — გაჩუმდი-მეთქი...

მარიამი — კი, ბატონო, გავჩუმდები, თუკი თქვენ ასე გნებავთ...

პაუზა

ანასტასია — სიამოვნებით დავლევდი რამეს...

მარიამი — ვალოკორდინს?

ანასტასია — არა.

მარიამი — კარდიამინს?

ანასტასია — არა, არა და არა!

მარიამი — მაშ, თქვენ თვითონ მითხარით...

ანასტასია — ვთქვათ, ღვინოს...

მარიამი — ოჰო?

ანასტასია — ან კონიაკს...

მარიამი — კარგით რა!

ანასტასია — თუნდაც შხამს!

მარიამი — ჰა, ჰა, ჰა...

ანასტასია რა გაცინებს, კვატა?

მარიამი — თქვენი ვერაფერი გამიგია — ხან გოშია ვარ, ხან — იხვი, უკაცრავად, კვატა!

ანასტასია — ჩემო მარიამ, ამას ვტირი სწორედ მე — ადამიანთა საზოგადოებაში აშკარად ზოოლოგიური ბუმია, ვერ ამჩნევ? თუმცა, შენ კი არა, ვერავინ ვერ ამჩნევს. გამაიმუნებული ადამიანი გაცილებით ბინძური და საშინელია, ვიდრე თვითონ მაიმუნი, რომელსაც დასანახავად ვერ ვიტან და კიდევ კარგი, ცალცალკე ვცხოვრობთ, ის თავისთვის, მე ჩემთვის. მაგრამ რა მოვუხერხო ამდენ გამაიმუნებულ ადამიანს, სად დავემალო. რატომ უნდა ვცხოვრობდე მათთან ერთად საერთო გალიაში!

მარიამი — (**სიცილით**) — მე ვერსად დამემალებით!

ანასტასია — როგორმე უნდა მოახერხო, რომ შენთვის იყო ცალკე, რამე უნდა მოიგონო, რაღაც ლეგენდა უნდა შეთხზა. მერე უნდა დაიჯერო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რაც მოიგონე, ნამდვილად მოხდა. მერე შენს თავს უნდა მოუყვე რამდენჯერმე... ძნელია, როცა არაფერი გაქვს შენი თავისთვის მოსაყოლი... ერთი ფრანგი მწერალი წერს, მე მიყვარს მოფილოსოფოსო ფრანგი მწერლები, ადამიანს თუკი ერთი დღე მაინც ნამდვილად უცხოვრია, შეუძლია საკანში ასი წელი მარტომ გასძლოსო. ესე იგი, შეუძლია თავის თავს განუწყვეტლივ უყვებოდეს იმ ერთი დღის ცხოვრების ამბავს. მე კი მთელი საუკუნეა ვცხოვრობ. არც ბოროტი ვარ და არც კეთილი, მაგრამ ვცხოვრობ, გესმის! აბა, მოუსმინე ამ სიტყვას — ვცხოვრობ! გავიმეორო? კი, ბატონო, გავიმეორებ, შენს ასაკში ყურს აკლდება ადამიანს — ვცხოვრობ, ვცხოვ-რობ!...

მარიამი — თქვენ სულ ყვებით და მეც ვიმახსოვრებ. უკვე ზეპირად ვიცი, იმიტომ რომ სულ იმეორებთ...

ანასტასია — მაინც რა იცი ზეპირად?

მარიამი — ყველაფერი! ასე რომ, მე შემიძლია, მართლაც, ვიყო თქვენი დედამთილი.

ანასტასია — შენ იყო ჩემი დედამთილი?

მარიამი — თქვენ თვითონვე განა ამას არ ნატრობდით, ხომ თქვით, თავიდანვე ასე მინდოდა ყოფილიყოო?

ანასტასია — მაშ, შენ ამბობ, რომ მე სულ ერთსა და იმავეს ვყვები?

მარიამი — კი, დაახლოებით ასეა... ოღონდ, საინტერესოა ძალიან.

ანასტასია არ არსებობს ერთი და იგივე ამბავი!

მარიამი — აი, მე ვიქნები ერთი წუთით თქვენი დედამთილი და დარწმუნდებით... დავიწყო?

ანასტასია — არც შეიძლება არსებობდეს. ამბავი ადამიანივითაა, (ან პატარავდება ან იზრდება... კი, ბატონო, დაიწყე. ოღონდ, მე ჩემი როლი შეიძლება დამავიწყდეს...

მარიამი — მე შეგახსენებთ... აი, მაგალითად, ტერორისტის ამბავი!.. მოგიყვეთ?

ანასტასია — მომიყევი, რა ვქნა...

მარიამი — (პათეტურად, დედამთილს ბაძავს) — მომისმინე, ჩემო სულელო გოშია!

ანასტასია — მე რა უნდა გიპასუხო?

მარიამი — მე როგორ გპასუხობთ ხოლმე?

ანასტასია — ვერ მოესწრები მაგას!

მარიამი — მიპასუხე, ძაღლო!

ანასტასია — (ცოტახნის ყოყმანის მერე) — ავ, ავ, ავ...

მარიამი —სამოთხელი ტერორისტი...

ანასტასია — ოჰო?

მარიამი — გაჩუმდი, ძაღლო!

ანასტასია — ავ, ავ, ავ!

მარიამი — ჩია, მელოტი კაცი იყო. რაც ეცვა, ყველაფერი პატარა ჰქონდა, თითქოს ნახევარ-ნახევარი აცვიაო: შარვალიც, ჟილეტიც, პიჯაკიც. წინწკლებიან ბაბთას არ იშორებდა, თუმცა შინ ფეხშიშველი დადიოდა. ახლაც მახსოვს მისი ფეხის უზარმაზარი, გვერდზე, გაშვერილი, ბოთლის საცობივით ყვითელი ცერა თითი...

შეცვლილი ხმით

— უკვე რამდენი წელია, თქვენს მაგივრად ვყვები თქვენს ამბებს...

ანასტასია — შეიძლება ჩავერთო?

მარიამი — თქვი!

ანასტასია — ოღონდ ყეფით არა!

მარიამი — თქვი-მეთქი!

ანასტასია — ეს იმიტომ ხდება, შენ არაფერი გაქვს მოსაყოლი. ან თუ გაქვს, იმის მოყოლა არ შეიძლება.

მარიამი — რას გულისხმობთ მაინც?

ანასტასია — არაფერს არ ვგულისხმობ, ასეა.

მარიამი — ძაღლო!

ანასტასია — ავ, ავ... მკვლელები ცუდი მთხრობელები არიან.

მარიამი — მკვლელები? მკვლელს ჩვენთან რა უნდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხელს ჰაერში შემოატარებს)

— ამ სამოთხეში!

ანასტასია — საად, სამოთხეში? სულ ვფიქრობდი, რა ჰქვია ჩვენს ბინას, ჩვენს სამყოფელს-მეთქი. ეტყობა, ეგეც მე ვთქვი და აღარ მახსოვს.

მარიამი — არა, ეს თქვენ არ გითქვამთ. ეს ალბათ ერთადერთი სიტყვაა. რომელიც მე მეკუთვნის. მოგწონთ? განა მართლა სამოთხეში არ ვცხოვრობთ მე და თქვენ, იდეალური წყვილი — რძალ-დედამთილი, ერთმანეთის სიყვარულისათვის გაჩენილი, ორი სიცოცხლემოძულებული არსება. არც ბოროტი და არც კეთილი, ორი სამოთხემისჯილი პატიმარი. განა ძია ბიქფორდიც სამოთხიდან არ იყო?

ანასტასია — **(თამაშობს)** — ნუ ღელავთ, დედა, დამშვიდდით. ავ, ავ, ავ!

მარიამი — სამოთხიდან იყო თუ არა, მიპასუხე ძაღლო!

ანასტასია — ავ, ავ, ავ!

მარიამი — ხო, სამოთხიდან იყო. ბებო სამოთხეს ეძახდა ჩვენს სოფელს, ძია ბიქფორდი კი ჩვენი სოფლელი გახლდათ. საჩვენებელ თითს შემართავდა და გვეტყოდა — ელოდეთო! და ჩვენც, პატარა გოგოები, მე, სოფო და ოლა, სიზმარში ვხედავდით, როგორ მოფრინავდა ჩვენსკენ ფრთების ზანტი ტყლაშუნით ულვაშიანი კეთილი ძია, სახე გოზინაყს რომ უგავდა. ბავშვებო, ბავშვებო, გვესმოდა ძია ბიქფორდის ხმა, ეს არის ყველა დროის, ყველა ხალხის, ყველა ბავშვის დიდი პოეტი, შიო მღვიმელზე დიდი შიო მღვიმელი, უნაზესი ლირიკოსი, ვარდია, იათა და ბულბულთა მეგობარი, ცით მოვლენილი სიკეთის ანგელოზი, უდაბნოში არხთა გამჭრელი და უბინაოთა ბანაკთა დამცემი...

ანასტასია — **(ფიქრიანად)** — ეგ სიზმარი იაპონელ ინჟინერს მოვუყევი, რომელიც ტიფისგან სასომიხდილს, იატაკზე გაფენილ ჩვრებზე ძაღლივით მიგდებული, ღამეს მითენდა. და რომელიც მიყვარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი იყო, ძია ბიქფორდისაგან განსხვავებით, რომელმაც მამაჩემი, მისი შემფარებელი, გამოთხოვების დროს სადარბაზოში მოკლა, რათა მისი სიტყვით, „პარტიული საიდუმლო“ ანუ მისი ადგილსამყოფელი, თუნდაც შემთხვევით, არ გაეცა... იაპონელმა მითხრა, ბავშვები, ცხოველებივით, წინასწარ გრძობენ მიწისძვრასო... **(სიცილით)** ერთად ერთი, ვისაც ციმბირიდან წერილი გამოვუგზავნე, ბატონი ფაუსტუსი იყო, ბატონო ფაუსტუს, ღმერთი თუ არსებობს-მეთქი. ეს იყო და ეს. და ფოსტაში, შუშით გადატიტრულ კუთხეში მიბუზულს ჩემთვის მეცინებოდა ხოლმე, როცა წარმოვიდგენდი, ბატონი ფაუსტუსი როგორ იცემდა თავში ხელს და „იმ-ეს“ როგორ იძახდა...

მარიამი — **(თამაშობს)** — შეიძლება იმიტომაც არ მოვკვდი ამდენ ხანს, რომ ბავშვად დავრჩი, ბოლომდე. ბავშვივით არც კეთილი ვარ და არც ბოროტი, ბავშვივით დაუნდობელი ვარ მხოლოდ და არც მე ვიცი, რა არის ნამდვილი დაუნდობლობა. რას მიყურებ, პირველად გესმის?

ანასტასია — **(ფიქრისგან გამოერკვევა. ღიმილით)** — ხო, პირველად მესმის...

მარიამი — ო, როგორი ცბიერი ხარ!

ანასტასია — **(თამაშობს)** — დედა?

მარიამი — ლედი მაკბეტი!

მოულოდნელად თითქოს წონასწორობას კარგავს

— ხომ გინდოდათ ამის თქმა ჩემთვის, ვითხარით, ხომ გინდოდათ?

ანასტასია — როგორ გიპასუხო, სიტყვებით თუ ყეფით?

მარიამი — **(უყვირის)** — ყეფით, ძაღლო, ყეფით!

ანასტასია — **(ოდნავ შემკრთალი)** — ავ, ავ, ავ...

მარიამი — მთელი ღღეა ამას უტრიალებთ, გინდათ, მაგრამ ვერ გითქვამთ. მიკვირს თქვენგან ასეთი მორიდება.

ანასტასია — რის თქმაც მინდა, მე თვითონ გეტყვი, შენი დახმარება არ მჭირდება. არასოდეს არავინ არაფერში დამხმარებია, გარდა იმ სულელი იაპონელისა, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა. უფრო სწორად, იმას ეგონა, რომ დამეხმარა. არავის ვალი არა მაქვს, ამიტომაც არც არავინ მიყვარს და არც არავინ მძულს. ესე იგი, მე შენთვის ლედი მაკბეტი უნდა დამეძახა? საინტერესოა...

მარიამი — **(ოდნავ შემკრთალი)** — რა, აღარ ვთამაშობთ?

ანასტასია —რას?

მარიამი — შებრუნებულ რძალ-დედამთილობანას!

ანასტასია — დიდიხანია მარტო რომ თამაშობ, ვერ აკვირდები! თანაც ეგ თამაში აშკარად არ მომწონს.

მარიამი — ყეფა გეზარება და იმიტომ!

ანასტასია — თუნდაც...

მარიამი — ოცი წელია, მაწვალებ!

ანასტასია — გაწვალებ? კი მაგრამ...

მარიამი — ჩვენ ხომ შექსპირზე ნაკლებ ავტორს არ ვკადრულობთ, შედარებებიც შექსპირის საკადრისი გვაქვს, ტრაგედიის პირქუში მუზა თავზე დაგვცქერის. მე კი ტრაგედიისათვის არა ვარ გაჩენილი. ამ თქვენს ტრაგედიაში შემთხვევითა ვარ მოხვედრილი, სცენაზე შემთხვევით შემოხეტებული გამვლელი, სხვა უცხო, ობივატელი, რიგითი მოქალაქე. ხომ არ შეიძლება ტრაგედიაში ისევე შეხვიდე, როგორც გასტრონომში!

ანასტასია — საცოდავი...

მარიამი — დიახ, საცოდავი ვარ! თქვენ რა გინდათ, თქვენ რა გაწუხებთ?

ანასტასია — სწორედ ეგ მაწუხებს, რომ საცოდავი ხარ... ყველაზე შემაწუხებელი ამქვეყნად საცოდავი ადამიანია. მაგრამ ნურას უკაცრავად, არავინ მოტყუვდეს! მე ვიცი, რაც იმალება მაგ მოჩვენებითი საცოდავობის უკან. ნურავინ შეეცდება განუგეშოს, თავზე ხელი გადაგისვას — ხელს მოაჭამ, მოსაფერებლად გამოწვდილ ხელს!

მარიამი — **(გულწრფელად შეწუხებული)** — დამშვიდდით, დედა, აი, ეს დალიეთ.

(უსხამს წვეთებს) თქვენთვის ასე აღელვება არ შეიძლება. დალიეთ, დალიეთ. ვის ვეუბნები! **(თითქმის ძალით ასმევს)**

ანასტასია — ფუ! ვერაფრით შეეჩვიეთ ამ საზიზღრობას...

მარიამი — **(სიცილით)** — მელპომენა!

ანასტასია — ჩემს ქმარს, აი იმას, ვინც მელპომენას მეძახდა, სპინოზას შუბლი ჰქონდა და გუთნის ნიკაპი. ზარი ეჭირა ხელში და იმით გვმწყემსავდა, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველი — ფარას. ღმერთო, ვამბობდი გულში, ეს კაცი მალე მოკვდება, არ შეიძლება ამან დიდხანს იცოცხლოს-მეთქი...

მარიამი — ის პირველი ქმარი იყო?

ანასტასია — არა, პირველი სულ რამდენიმე საათით იყო ჩემი ქმარი. რატომღაც მგონია, საერთოდ დამესიზმრა. ქაშუეთში ჯვარი დავიწერეთ ფაცა-ფუცით, აქლოშინებულებმა, აჩქარებულებმა, ატაცინილებმა, თითქოს ჩვენს მთავრობასავით სადღაც გაურბოდით, საზღვარგარეთ გვეჩქარებოდა. თურმე, სად ჩქარობ, სულელო, თურმე კარზე ბედისწერაა მომდგარი... ჯვარი დავიწერეთ თუ არა, ეკლესიიდან ომში გაიქცა, უკვე წაგებულ ომში და მოკვდა კიდეც... კოჯორთან... ჩვენ ტოლები ვიყავით... ღმერთო, გაანათლე მისი სული... ქოჩორი მახსოვს მისი და ხელები, მეტი არაფერი... ხო, კიდევ ხმა, ხმას ვხედავ — მამლაყინწასავით ღობეზე შემხტარა და ყივის... და უცებ ზარმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ქარის ფრთამ, ლოგინიდან წამომაგდო ატირებული და ჰოი საკვირველებავ — პირდაპირ სცენაზე შევფარფატდი, უმწეო, როგორც თივის ბულული... ზარი კი რეკდა, რეკდა და მეც სხაპასხუპით, თვალების ცეცებით, შეძრწუნებული სიტყვების შემზარავი, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი მნიშვნელობით, ჰიმეორებდი: „მაინც სისხლის სუნი მომდის; მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ. ოჰ, ოჰ, ოჰ!“...

მარიამი — მე ეგ სიტყვები ზეპირად ვიცი. ოცი წელია, ყოველდღე, როგორც ილუმენია — დებილ მონაზონს, მაგ სიტყვებს მატენით თავში.

ანასტასია — აბა, გაიმეორე!

მარიამი — და მეც გული მეწურებოდა შიშით. ჩემს შეშინებას რა უნდა!

ანასტასია — არ ამატირო, გთხოვ!

მარიამი — „მაინც სისხლის სუნი მომდის“...

ანასტასია — ოჰ, ოჰ, ოჰ!

მარიამი — „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები“....

ანასტასია — ოჰ, ოჰ, ოჰ!

მარიამი — „ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ“...

ანასტასია — ოჰ, ოჰ, ოჰ. ამყევი!

მარიამი — ოჰ, ოჰ, ოჰ!

ანასტასია — აბა, ერთად! ოჰ, ოჰ, ოჰ!

ორივენი — ოჰ, ოჰ, ოჰ!

მარიამი — აი, ამ ოხვრის მეშინია, ამ „ოჰოჰოსი“, სხვა სიტყვების კი არა. არასოდეს გამიგია ასეთი ოხვრა.

ანასტასია — მე კი ხშირად გამიგონია.

მარიამი — სად?

ანასტასია — ჩვენთან, ამ სამოთხეში! შენ ოხრავ ხოლმე ასე ძილში, შენ შფოთავ ასე, შენ იფლითები ამ პაწაწინა სიტყვების მარწუხებზე.

მარიამი — არა, მე სცენაზე ვერ შემათრევთ, მე ჩემი როლი დავამთავრე, მე სტატისტადა ვარ დაბადებული, ტრაგედიის რემარკის ბინადრად, ჩემმი სამყოფელი პეტიტის გალიაა. ძალიანაც კარგი. ძალიანაც კარგი. კმაყოფილი ვარ ჩემი ხვედრით. თქვენ კი, ღმერთო ჩემო, წინასწარმეტყველიო, ფარაო, ბიბლიაო! როდის იყო, თქვენი ქმარი გახსოვდათ, რაღა დღეს გაიხსენეთ! ისინი ხომ დიდიხანია ერთმანეთში გერევათ, დიდიხანია სამივეს იაპონელი პოლიტპატიმრის სახე ადევს. პირველი ქმარი კი არ იყო ქოჩრიანი — გუთნისნიკაპიანს ჰქონდა ქოჩორი, იტალიელი დირიჟორივით. მაგრამ თქვენ ტყუილად არ გაიხსენებდით მას, სცენა მოგენატრათ, არა — სისხლი მოგწყურდათ! „მაინც სისხლის სუნი მომდის. მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ. ოჰ, ოჰ, ოჰ!“

ანასტასია — (თავს აქნევს) — ოჰ, ოჰ, ოჰ...

მარიამი — (ხელებს გაუწვდის) — აი, ჩემი ხელები, ისინი სუფთაა, სუფთა...

ანასტასია — (თავს აქნევს) — ოჰ ოჰ, ოჰ...

მარიამი — სისხლი მათ არასოდეს შეხებია...

ანასტასია — (თავს აქნევს) — ოჰ, ოჰ, ოჰ,...

მარიამი — სუფთაა, როგორც ახალგაბანილი ჩვილი! სხვათაშორის, თქვენი სამი ქმრიდან ჩემთვის ყველაზე მახლობელი ის ზარიანი, მრისხანე წინასწარმეტყველია, ჩემი მამამთილი! ყველაზე დიდი უბედურება ის კი არ არის რომ დახვრიტეს სიცოცხლითა და ნიჭით გატენილი, ქოჩრიანი, გუთნისნიკაპიანი, არამედ ის, რომ წინასწარმეტყველი მანონ ლესკოს მონად გადაიქცა!

ანასტასია — ოჰო, მანონ ლესკო! აი, ეს კი მომწონს!

მარიამი — ხელები იმიტომ უნდოდა, რომ თქვენ შეგხებოდათ, თვალები, რომ თქვენ დაენახეთ, ყურები, რომ თქვენი ხმა გაეგონა, კბილები, რომ

თქვენ შეეჭამეთ! და ასე ნელნელა, თანდათანობით დაპატარავდა, დაჩიავდა, დადნა, როგორც ზვავი. არავინ ისე უმწეო არ არის ამქვეყნად, როგორც გამიჯნურებული წინასწარმეტყველი.

ანასტასია — სხვათაშორის, ამერიკაშიც ვაპირებდით წასვლას... (იცინის).

მარიამი — ხო, ბროდვეიზე თავისი თეატრის საგასტროლო აფიშას კი არ ხედავდა, არამედ წითლად განათებული ბარის ესტრადას, სადაც თმაგაპრიალებულ ზანგის ბიჭებთან ერთად „ჩალსტონს“ ცეკვავდი.

ანასტასია — მოდი, ვიცეკვოთ რა „ჩალსტონი“, ვიცეკვოთ რა, გეხვეწები! ოღონდ ვიცეკვოთ და აღარასოდეს აღარ გაგახსენებ არაფერს. საერთოდ დავშუნჯდები, გულში ჩავიკლავ, ჩავიმარხავ საიდუმლოს.

მარიამი — დედა, როგორც ვატყობ, თქვენ, მართლა რაღაცას ფიქრობთ სერიოზულად. აღარ ვიცი, სად იწყება და სად თავდება ჩვენი თეატრი, როდის თამაშობთ და როდის არა, როდის ლაპარაკობთ სხვისი და როდის თქვენი სიტყვებით.

ანასტასია — არასოდეს, ხომ გითხარი, არასოდეს ჩემს სიტყვებს არ ვამბობ-მეთქი. სულ სხვისი სიტყვებით გელაპარაკები. მაგრამ ადვილი შესაძლებელია ჩემი სიტყვებიც გავიხსენო და თანაც სწორედ შენს საიდუმლოსთან დაკავშირებით

მარიამი — იცით მე მართლა მეშინია.

ანასტასია — გგონია, ჭკუაზე გადავცდი?

მარიამი — არა, მაგრამ...

ანასტასია — სხვათაშორის, მემკვიდრეობაც ხელს მიწყობს... სამწუხაროდ უკვე გვიანია. რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაშინ გადავსულიყავი ჭკუიდან, როცა ცხოვრება ჩემგან პასუხებს მოითხოვდა ისე, რომ არაფერს მეკითხებოდა. თითქოს ჩემი ცხოვრება მე არ მეხებოდა. სხვაგან, სხვების მიერ წყდებოდა ჩემი ბედი. ამჟამად კი პასუხი უნდა მეგო [illegible] ჩემი გულისთვის, რის გამო? ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ რამდენჯერმე მოვკვდი ამ ხნის განმავლობაში და გავცოცხლდი კიდეც... ესეც არავის უკითხავს, მინდოდა სიკვდილი თუ არა, მითუმეტეს, მინდოდა თუ არა გაცოცხლება. რამდენადაც უცნაურად უნდა მოგეჩვენოს, ეს პატარ-პატარა სიკვდილები იყო ჩემი თავშესაფარი, იქ ვითქვამდი სულს, იქ ვმკურნალობდი საკუთარი ნერწყვით ჭრილობებს, ძაღლივით. ავ, ავ, ავ. აი, ახლაც ხუთი წუთის წინ კიდევ ერთხელ მოვკვდი თითქოს — ზარის ხმა გავიგონე და მაშინვე ცხვრის ფარა და დაბერებული, დაგლახავებული, დაბეჩავებული, წელზე ქალის შალმოხვეული წინასწარმეტყველი დავინახე. სადღაც მიბლაყუნობდა, წვალებით, კოჭლობით, საკუთარი ხელით გამოჩორკნილ ყავარჯენზე დაყრდნობილი. მეც მკვდარი კი არ ვიყავი, როგორც ყოველთვის ჩემი მორიგი პატარა სიკვდილის დროს, რამედ თოვლივით მსუბუქად და უდარდელად ვეფინე მიწაზე და არავის, არავის, არავის არ ვადანაშაულებდი ჩემს სიკვდილში, მითუმეტეს, რომ სწორედ მაშინ მივხვდი პირველად — ეს იყო ბრმა შემთხვევის ბრალი...

მარიამი — მაინც რა შეგემთხვა ასეთი?

ანასტასია — ის რომ, ამ ქვეყანაზე გავჩნდი...

მარიამი — ნუთუ მართლა ასე გატკინეთ გული! რამდენჯერ გთხოვეთ, ნუ მიაქცევთ-მეთქი ჩემს სულელურ ლაყბობას ყურადღებას, რამდენჯერ გთხოვეთ, რამდენჯერ მიგანიშნეთ, თანაც, განა თქვენ არ ამიყოლიეთ თამაშში, რამდენი ხანია, ასე ვთამაშობთ! ღმერთო. მე კი მეგონა, ეს თამაში რომ არა, დავიღუპებოდით.

ანასტასია — ახლა ვითომ გადარჩენილები ვართ?

მარიამი — ყოველშემთხვევაში, სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიდგას, ვცოცხლობთ....

ანასტასია — აი, ეგ არის სწორედ უბედურება! მე ჩემს სიცოცხლეს ვერ შევეჩვიე, ჩემი ცხოვრება და სიცოცხლე ერთმანეთს ვერ დავამთხვიე. მაგიტომაც ვიტანჯები. არა, შენ არაფერ შუაში არა ხარ... შე მართლა საცოდავო. შენც კარგად დაგსაჯა ღმერთმა — არაფერი ისე აუტანელი არ არის, როგორც ბებერ მსახიობ ქალთან ცხოვრება. ჩვენ, მსახიობები, ჩემო პატარა მტრედო, ეკლესიის სამრეკლოსავით ცარიელი და ბრიყვები ვართ. შიგ ერთადერთი ზარი რეკავს და ის ზარი სპექტაკლის დაწყების ზარია, მეტი არაფერი. აი ასი წლისა ვხდები და ყოველ დილით მაინც იმ იმედით ვიღვიძებ, რომელიღაც რეჟისორს გავახსენდები და რაიმე როლს შემომთავაზებს. სულერთია, რაც იქნება, თუნდაც ჯულიეტასი. ხო, ნუ გეცინება. მე მჯერა კარგი ჯულიეტა ვიქნებოდი. ჯულიეტას როლი ასი წლის ქალისთვის არის დაწერილი, ჯულიეტას ასაკი არ აქვს, მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ. ისე, მე ხვლიკის როლზეც კი თანახმა ვარ. დიახ, დიახ, ხვლიკის როლზე! გაჩვენებ ხვლიკს, თუ გინდა. აბა, ერთი ეგ მწვანე შალი მათხოვე. აი, ასე(**იხვევს შალს. თამაშობს**) ეს არის ხვლიკი. ხედავ? ჩემი ჩიჩაყვიც ხელს მიწყობს. აი, ასე უფეთქავს ხვლიკს ჩიჩაყვი. თუმცა, უმჯობესია ნიანგის როლი შემომთავაზოს ვინმემ, რაც უნდა იყოს ასი წლისა ვარ. ოღონდ როლი იყოს, როლების განაწილების სიაში ჩემი გვარი ამოვიკითხო, მეტი არაფერი მინდა.

მარიამი — პირველად ვნახე — ქალი წლებს იმატებდეს!

ანასტასია — მე ისეთ ასაკს მივაღწიე, რომ წლებმა მნიშვნელობა დაკარგეს. უცნაურია, რატომ მახსენდება ღღეს ჩემი საცოდავი ქმრები. შენი თქმისა არ იყოს, დავიწყებულები მყავდნენ და მეც მშვიდად ვიყავი. მიცვალებულს, თუ პატივს ვცემ, ნუ გაიხსენებ... მესამე ქმარი, ანუ ნაბოლარა, არარაობა იყო, თუკი შესაძლებელია, სიტყვა „არარაობა" კარგი გაგებით ვიხმაროთ. კუნძულიდან რომ დავბრუნდი, მაშინ გავიცანი. ზედ გადამყვა, მიპატრონა, მომიარა. მისი წყალობაა, ეს სახლი მუზეუმად რომ მოიხსენიება და ჩვენ კი მის თანამშრომლებად ვითვლებით. რატომღაც, ნუ გაგეცინება, ქოლგას მაგონებდა — გინდა გაშლილი, გინდა დაკეცავდი, გინდა ხელზე ჩამოიკიდებდი, გინდა თაროზე შეაგდებდი... რა არის მაინც ადამიანი — ტკივილით სავსე პარკი, თავწაკრული შიშის თოკით... ყველაფრისა ეშინოდა, აკანკალებდა. ვინმეს დაჭერის ამბავს რომ გაიგებდა, ჩანთას ალაგებდა, ეგონა მოაკითხავდნენ წაიყვანდნენ. ვის რად უნდოდა!.. მგონი, მე რომ შემირთო, მას მერე დაეწყო ეს კანკალი და ფეთება. პათოლოგიური მშიშარა იყო. როცა რუსების ტანკები უნგრეთში შევარდნენ, ეგონა, მას დააბრალებდნენ ყველაფერს და გადაყვა კიდეც ამ შიშს... მთავრობაში მიღებულს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრს სულ ეს ეკერა პირზე: პროვოკაციას მიწყობენ, პროვოკაციას მიწყობენო. მარტო ჩვენში შეიძლება იყოს უნიჭო პოეტი... გაანათლოს ღმერთმა, სხვა მხრივ არაფერი უჭირდა. თუ ვინმეს რაიმეს უშავებდა, მხოლოდ თავის თავს... სიკვდილის წინ ყველაფერი დაწვა. გადმოაბრუნა უჯრები და რაც ქაღალდები ჰქონდა, ვედროში ჩაყარა, აივანზე გაიტანა და ცეცხლი წაუკიდა. თან ყარაულობდა, ხანძარი არ გაჩნდესო. დავინტერესდი, რა დაწვა-მეთქი. არაფერი — ნაგავი! გადასახადის ქვითრები, გამოქვეყნებული ლექსების ფურცლები. გამოუქვეყნებელი არაფერი ჰქონდა. გაკოტრებული ბანკირივით გაიპარა ამ ქვეყნიდან... ისე, ძველი ნივთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდა. აიღებდა დედაჩემის დანატოვარ ჭიქას და საათობით შესცქეროდა...

მარიამი — დედა, უკაცრავად მაგრამ, ასე ჩემი ქმარი იქცეოდა. ჭიქას დაიჭერდა ხელში და უყურებდა.

ანასტასია — შენი ქმარი?

მარიამი —ხო, იმას უყვარდა ძველი ნივთები.

ანასტასია — რომელი ქმარი?

მარიამი — თქვენი შვილი კი არა, მეორე...

ანასტასია — (გამოცოცხლდება, ხელებს იფშვნეტს) — აბა, ახლა შენი ქმრების ამბავი მოვყვეთ!

მარიამი — არ არის საჭირო...

ანასტასია — ო, როგორ თავმდაბალი ხარ!

მარიამი — ჩემი ქმრები რა გამოსაჩენია თქვენს ქმრებთან!

ანასტასია — „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები“...

მარიამი — დაიწყო!

ანასტასია —„ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ“...

მარიამი — „ოჰ, ოჰ, ოჰ!“

ანასტასია — „ჯერედ ერთი თვე არ გასულა, არ გასცვეთია ჯერ ფეხსაცმელი, რომლითაც იგი ცრემლის მფრქვეველი მისდევდა კუბოს უბედურის მამაჩემისას!..“

მარიამი — გაფრთხილებთ — ეგ სხვა ტრაგედიიდანაა!

ანასტასია — ისევე როგორც ვიოლინოს ქამანჩა რამდენიმე ბგერას, ღმერთიც ყველა ტრაგედიას ერთად ჰკრავს, აერთებს, რომ ჩვენ ცოდვილთ თავს დაგვატეხოს.

მარიამი — ოოო, აღარ შემიძლია სხვისი სიტყვების მოსმენა!

ანასტასია — არა ეს სხვისი სიტყვები არ არის.

მარიამი — სხვისია, სხვისია, სხვისია! სხვისი სიტყვებია, უბედურებას რომ ატრიალებს ამ ქვეყნად, მამას შვილს რომ აკვლევინებს...

ანასტასია — ცოლს — ქმარს!

მარიამი — (ხმაგაბზარული) თუ-ნდაც... **(უფრო თამამად)** თუნდაც! დედას — შვილს!

ანასტასია — **(შემკრთალი)** — არა, ეგ არ თქვა!

მარიამი — სხვისი სიტყვებია, ადამიანებს ერთმანეთს რომ უქსევს. კბილდაკრეჭილები, ბრაზისგან, ცოდვისგან ახრიალებულები ერთმანეთზე მიიწევენ შესაჭმელად... გინახავს ძაღლების ბრძოლა?

ანასტასია — ავ, ავ, ავ!

მარიამი — ეგეც სხვისია! საცოდავი გოშიას სიტყვებია, ჩვენ კი პირიდან ვგლეჯთ ხორცის ნაჭერივით, რათა სულიერად ღატაკებმა, სულიერად მშიერებმა შევთქვლიფოთ. სხვისი სიტყვებით ვიტყუებთ თავს, სხვისი სიტყვებით გვიყვარს, სხვისი სიტყვებით გვძულს...

ანასტასია — რატომ ბრაზობთ ასე?

მარიამი — განა თქვენ არა თქვით, არ არსებობს ჩემი „მშია“, „მეძინენება“, „მძულსო“? მეც ჩემი სიტყვები არა მაქვს. დაბადებისთანავე, ჭიპივით, მომაჭრეს და სადღაც გადააგდეს. მე ახლა მხოლოდ თქვენს სიტყვებს ვიმეორებ.

ანასტასია — ახლა რძალი ხარ, თუ დედამთილი?

მარიამი — ხუმრობ?

ანასტასია — არა მართლა მაინტერესებს. იცი, ზოგჯერ მგონია მართლა შენი რძალი ვარ, შენ კი — ჩემი დედამთილი... გახსოვს, რა დღეში იყო შენი მეორე ქმარი. რჯულს რომ იცვლიდა?

მარიამი — (ცოტახანს უხმოდ, დაკვირვებით უყურებს. თანდათანობით სახე უნათდება. მოულოდნელად, ძალიან მხიარულად, ხმამაღლა, გულიანად გადაიკისკისებს). ჰა-ჰა-ჰა!..

ანასტასია — (სიცილით) — გახსოვს?

მარიამი — **(სიცილით)** — ეს რა გამახსენეთ?! „იგი შევიდა სინაგოგაში!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტასია — ხომ გითხარი, ყველა ტრაგედიამ ჩვენთან მოიყარა-მეთქი თავი! ხო, გამახსენდა — ჩემი კი არა შენი ქმარი ათვალიერებდა ხოლმე ჭიქას საათობით. მაშინ უნდა მივმხვდარიყავი, ამ კაცს რაღაც რომ ვერ ჰქონდა თავის ადგილას. მერე მეც ბევრჯერ დამიჭერია ის ჭიქა იმასავით, მთელი საათი მიცქერია მისთვის, მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდა ამ დროს. ჩემი პროფესიის გამო. სხვა არაფერი მიკეთებია, სხვისი ფიქრის ამოცნობა იყო ჩემი საქმე.

მარიამი — **(უკვე დაწყნარებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სიცილით)** — გახსოვთ, როგორ დაფაცურდა, როგორც კი ყური მოკრა, ებრაელები საქართველოდან მიდიანო ყალბი ცნობების შეგროვება დაიწყო, ვითომ ისიც ებრაელი იყო. მგონი, წინდაცვეთაც გაიკეთა. ჩემთვის არ უთქვამს რატომღაც მოერიდა. შემეხვეწა, თუ გკითხონ, უთხარი, ებრაელია თქო, გახსოვთ, ჩეკაში რომ დამიბარეს? თქვენ რომ არ წამყოლოდით, ჩემით ვერც მივიდოდი იქამდე. ურიაა შენი ქმარი, ბოგოო? — მკითხა გაწრიპულმა გამომძიებელმა. ლაწირაკმა. ხომ მოგიყევით? ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გამერტყა. რატომ შენს მეუღლეს არ მიყვებიო. მეორემ მჯიღი ჩაირტყა მკერდში, ჰაი დედასა, ერთი შენს ადგილას მე ვიყოო! მერე სადგურში გავედი გასაცილებლად. სხვათაშორის, თუ გახსოვთ, თქვენ მითხარით, გააცილეო. ოჯახებით მიდიოდნენ, ბარგი-ბარხანით. დიდი თუ პატარა, ბაქანზე დამხობილი, ასფალტს კოცნიდა. ჩემი ქმარი შორიდან დავინახე — ისიც სხვებივით მდულარე ცრემლით რწყავდა მიწას. მერამდენედ გიყვებით ამ ამბავს, მაინც მეცინება მივედი და ვკითხე, მოსე, ნამდვილად ხომ ლადო ერქვა, თუ ასე არ გეთმობა აქაურობა, რატომ მიდიხარ-მეთქი. სარა, დაგენაცვლეო, მითხრა, სამშობლო შენ ასეთ...

ანასტასია — სარაო?

მარიამი — ეს არ მითქვამს თქვენთვის? სარა დამიძახა!.. როგორც მერე შევიტყვე, იერუსალიმის საგიჟეთში ზის თურმე. ფანჯრიდან უყვარს ცქერაო. მითხრეს... მოსეს...

ანასტასია — ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი.

მარიამი — რა არ იცოდით?

ანასტასია — საგიჟეთში თუ იჯდა.

მარიამი — ხო, საგიჟეთი ყველგან საგიჟეთია...

ანასტასია — არ გეწყინოს და, რაღაცნაირად სასაცილო კაცი იყო. ფეხსაცმელები კი არ ეცვა, თითქოს გაწვრთნილი ვირთხებივით უკან დაჰყვებოდნენ...

მარიამი — რატომ გავყევი?

ანასტასია — მე ეგ არ მიკითხავს!

მარიამი — შემეშინდა.

ანასტასია — **(სიცილით)** — ალბათ ჩემთან მარტოდ დარჩენის არა?

მარიამი — შეიძლება... რა ვიცი... ხო, თქვენთან მარტოდ დარჩენის შემეშინდა....

უცებ გარეთ საშინელი სროლა ატყდება ძალიან ახლოს ისვრიან

— დაწექით, ჩქარა, დაწექით!

ორივენი იატაკზე წვებიან, სროლა გრძელდება...

პირველი მოქმედება მთავრდება

მეორე მოქმედება

პირველსა და მეორე მოქმედებას შორის თითქმის ნახევარი საათია გასული

სროლის ხმა კანტიკუნტადღა ისმის, ქალები ისევ იატაკზე წვანან

ანასტასია — **(სიცილგარეული ხმით)** — მარიამ, მარიამ!

მარიამი — რა იყო, დედა?

ანასტასია — მგონი, სროლა მიწყნარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — მერე ამაზე გეცინებათ?

ანასტასია — ხელი და ფეხი ველარ გამირჩევია, ისე დამიბუჟდა. აღარ ვიცი, რომელი რომელია. აი, რაზე მეცინება. ოთხფეხა თუ ოთხხელა არსება გავხდი.

მარიამი — კი ძალიან სასაცილოა...

ანასტასია — მარიამ, მარიამ!

მარიამი — რა გნებავთ, დედა?

ანასტასია — ასე რომ ვწევართ, საშიში არ არის?

მარიამი — რატომ უნდა იყოს საშიში?

ანასტასია — ვთქვათ და გაიღო კარი და შემოგლიჯინდა ორი ყაზილარი, რას აპირებ?

მარიამი — ვის რად ვუნდივართ, ნეტავ!

ანასტასია — გეგონოს!

მარიამი — ნუ გამაგიჟე, ქალო!

ანასტასია — რაო, რა თქვი, ქალოო? თუ მომესმა.

მარიამი — უკაცრავად, დედა.

ანასტასია — უზრდელი!

მარიამი — მეც ხომ ადამიანი ვარ, ბოლოს და ბოლოს, მეც გამიშეშდა ხელფეხი, მეც ველარ ვარჩევ, რომელი რომელია, მეც მაკანკალებს შიშისგან.

ანასტასია — მაგ წუწუნს გირჩევნია, მოხვიდე და მომეხმარო.

მარიამი — ახლავე, ბატონო.

წვალებ-წვალებით დგება

— პატარა კი აღარა ვარ, სამოცდაათს გადავაბიჯე... **(სიცილით)** სამოცდაათი წლისა ვარ, წარმოგიდგენიათ!

ანასტასია — რა უადგილო ადგილას იცი გაცინება, შე მართლა კვატა შენა!

მარიამი — სამოცდაათამდე დათვლაც კი გამიჭირდება...

შველის წამოდგომაში

— ფეხები გამართეთ, მოკაკვული ნუ გაქვთ. ნუ გეშინიათ. თამამად დააბიჯეთ. ყინულზე ხომ არ დგახართ. ემასე! გაგიშვათ ხელი?

ანასტასია — ჯერ არ გეგულებოდეს

მარიამი — არც გაგიგიათ? როგორი უმადური ხართ!

ანასტასია — შეიძლება, შეიძლება მართლაც ვიყო უმადური, მაგრამ სანამ ამას გავარკვევდეთ, მგონი...

ორივე ხელს (მუცელზე მიიდებს

— მგონი...

მარიამი — აჰ, არ ჩაისვაროთ, ახლავე ქოთანს მოგირბენინებთ!

ანასტასია — ამ შუა მუზეუმში გინდა ქოთანზე დამსვა?

მარიამი — პირველად ხომ არ იქნება!

ანასტასია — ეგ ხანა დამთავრდა. დღეიდან მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავს. არავისი დახმარება არ მჭირდება. უი, მგონი, მართლა ვიღუპები!

აჩქარებული ნაბიჯით გადის

მარიამი — **(დაადევნებს)** — იცოდეთ, წყალი არ მოდის!

თითებზე ითვლის

— წყალი არ მოდის, შუქი არა გვაქვს, გაზი ბჟუტავს, გათბობა არ არსებობს, რადიო არ მუშაობს, ტელეფონი გამორთულია. მოკლედ, ნამდვილი სამოთხეა. რა უცნაური სიზმარი ვნახე წუხელ. ჩემს დედამთილს როგორ მოვუყვები, სიცილად არ ეყოფა. თითქოს ცაში მივფრინავდი. რას არ ნახავს კაცი! ვითომ ქორი დამემგზავრა, ჭკვიანი, ძლიერი და მშვიდი მტაცებელი ჩიტი, რომელსაც სწორედ სიჭკვიანის, სიძლიერისა და სიმშვიდის გამო, გვეუხერხულება ჩიტი დავუძახოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩიტია და სხვა არაფერი. მკითხა, ვინა ხარ, რა არსება, რას წარმოადგენო. ჩემი დედამთილისა არ იყოს, მართლაც ზოოლოგიური ბუმია, თორემ სხვანაირად რითი უნდა ავხსნა ასეთი სიზმარი. ვუპასუხე, ადამიანი ვარ-მეთქი. ვერ გაიგო. ალბათ აქამდე არ ენახა ადამიანი. მაგრამ არ ჩამციებია და მეც მადლობელი დავრჩი მისი, თორემ, როგორ უნდა ამეხსნა ამ ჭკვიანი ჩიტისთვის, რა არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაა, რას წარმოადგენს ადამიანი! მერე მკითხა, საით გაგიწევია, რატომ და რა მიზნით მიფრინავო. ვუპასუხე, ისე, ჩემთვის, ყოვლად უმიზნოდ მივფრინავმეთქი. თავი დამიქნია, თუმცა შეეტყო, ესეც გაუგებარი დარჩა მისთვის. მართლაც, ჩვენში რომ ვთქვათ, რომელი ცოცხალი არსება იფრენს ცაში უმიზნოდ. ცოტა ხანს კიდევ დაჰყო ჩემს გვერდით, ზრდილობისათვის, მერე ნელ-ნელა ჩამომშორდა, გადაუხვია და წავიდა, თავის საქმეს ეწია... მთავარი ამ სიზმარში ის იყო, რომ ენით აუწერელ სიამოვნებას მგვრიდა მის გვერდით ფრენა. ამავე დროს, უცნაურია, რაღაც მტანჯავდა კიდეც, რაღაც მეწეოდა მიწისკენ უხილავი თოკივით და ეს მიკვირდა სწორედ, თითქოს ჩემი ადგილი მხოლოდ ცაში იყო...

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში კედლებიდან სურათებს ხსნის

— გეგონოსო! აღარაფერი აღარ შეარჩინა ღმერთმა, ხელსა და ფეხს ველარ ასხვავებს და მაინც — გეგონოსო! ვიღაც მართლაც რომ შემოეხეტოს ჩვენს ბინაში, ზედ შეაფრინდება და ეგ არაფერი — იმანაც, იმ ბანდიტმაც შეიძლება ისედაც წაწყმედილი სული კიდევ ერთხელ წაიწყმიდოს, მერე ულვაშზეც გადაისვას ხელი — ნახეთ, რა ბიჭი ვარო... ჩემი ქმარი მაღმერთებდაო...

დასცქერის სურათს

— ქმრად მარტო ამას თვლის, ამ ქოჩორა წინასწარმეტყველს. როგორი თვალები გაქვთ, ბატონო, ელმავლის პროჟექტორივით! რა ჩააქრობდა ამ თვალებს? — ვერაფერი! ვერც ჯალათის ტყვია, ვერც საქვეყნოდ შეჩვენება. მარტო ამ დედაბერმა შესძლო ეს. თურმე რეპეტიციებზე მის კალთაში თავჩარგული ტიროდა, პატიებას თხოვდა რაღაცისთვის, მთელი დასის თანდასწრებით. კაცები ცოლებს იმიტომ აღმერთებენ, ადამიანურად რომ იცხოვრონ, მეტი არაფერი. ამან კი, ქოჩორამ, ცოლის მართლა გაღმერთება მოინდომა, კერპად აქცია და იქამდე მივიდა, რომ უკვირდა კიდეც, სხვებიც, მასსავით, თაყვანს რომ არ სცემდნენ ამ ბებრუხანას. მაშინაც ბებრუხანა იყო, წარმოგიდგენიათ! მისი გულისთვის მთელი ქვეყანა გადაიმტერა. თანამოაზრეთა შექცეული ზურგები სახრჩობელას ყულფზე უარესია... მე კი — თხუთმეტი წლის გოგო, მართლაც, კვატა, ქუჩაში ველოდებოდი, რომ თეატრიდან გამოსულს, ერთი წამით მაინც მოეკრა თვალი ჩემთვის. მზესუმზირასავით, თითისწვერებზე ვიდექი ქუჩაში — დიდთავა, გაჩხიკული, ველოდი ჩემს ალექსანდრე მაკედონელს, არა — ზევს, ოლიმპოს მბრძანებელს! მერე ისე დამცინა ღმერთმა, ისე გამასწორა მიწასთან, რომ მისი რძალი გავხდი... **(ახლა სხვა სურათს იღებს)** აი, ამ კიდევ ერთი არარაობის, კიდევ ერთი ქოლგის ცოლი! „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ". გაიმეორე, ძაღლო!" მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ". ყეფით, ძაღლო, ყეფით! ავ, ავ, ავ!

ანასტასია ბრუნდება

ანასტასია — რა დაგემართა, უჩემოდ ყეფ?

მარიამი — მე შვილი როგორ უნდა მყოლოდა?..

ანასტასია — რაო, შვილიო? რა თქვი?

მარიამი — არაფერი... არაფერი... როგორ არის საქმე?

ანასტასია — მინდა გახარო, წყალი მოდის!

მარიამი — ვიცი, გავიგონე. ნიაგარას ჩანჩქერის გუგუნივით აღვიქვი, სიცოცხლის ხმასავით, ბეთხოვენის სიმფონიასავით.

ანასტასია — (**გადაქანდება**) — აჰ!

მარიამი — რა იყო, რა დაგემართა?

ანასტასია მოდი, მე სავარძელში ჩავჯდები... ცოტა ხანს... ასე აჯობებს.

მარიამი — ხო, ჩაჯექი, ჩაჯექი. შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთ საქმეზე იყავი, დასვენება გჭირდება.

ანასტასია — შემეშინდა...

მარიამი — შიშზე მეც ასე მემართება ხოლმე.

სავარძელში სვამს, ფეხებზე საბანს აფარებს გულმოდგინედ უკეცავს აქეთ-იქიდან

— ახლავე სათბურს მოგიტან, შეიძლება გაზმაც მოიმატა, რა იცი. ვთქვათ და შეეშალათ და გაზიც გამოუშვეს, შუქიც და წყალიც, ვთქვათ და მოეჩვენათ, აქაც ადამიანები ცხოვრობენო.. ხომ შეიძლება შეეშალოთ. ვინ რა იცის, რომ ჩვენ სამოთხეში ვცხოვრობთ, აღარც წყალი გვჭირდება, აღარც გაზი და აღარც სინათლე... ოჰო, საყურეები გაგიკეთებია! ვერ უყურებთ! კი მაგრამ...

ანასტასია — თაროზე ვიპოვე... ფირუზისაა.

მარიამი — ფირუზის კი არა — შუშისაა.

ანასტასია — ფირუზისაა-მეთქი!

მარიამი — კი, ბატონო, იყოს ფირუზის.

ანასტასია — ხომ მიხდება?

მარიამი — შენ ყველაფერი გიხდება.

ანასტასია — (კეკლუცად) — გმადლობთ.

მარიამი — არაფრის.

ანასტასია — მაჩუქე რა!

მარიამი — შენი იყოს.

ანასტასია — ო, რომ იცოდე, როგორ გამახარე. შენ გგონია, მართლა ახლა ვიპოვე? დიდიხანია იქ, ჩუმად, სარკესთან ვიკეთებ ხოლმე...

მარიამი — მართლა გიხდება ხომ იცი!

ანასტასია — ტყუილად მოხდენა არ გამიგია მე.

მარიამი — რატომ, ხომ არტყუებენ ხოლმე, გიხდებაო!

ანასტასია — როგორ არა, უმეტეს შემთხვევაში სწორედ რომ ტყუებენ, მაგრამ მე იმედი მაქვს...

მარიამი — არა, მე არ გატყუებ.

ანასტასია — შენ რა, შენიბით ედამიწყე ლაპარაკი?

მარიამი — უიმე!

ანასტასია — როდის აქეთაა, შენობით მელაპარაკები?

მარიამი — უკაცრავად, ჩემდა უნებურად...

ანასტასია — **(პაუზის შემდეგ)** — ვიცი, რომ არ მატყუებ, მაგრამ გშურს კი. ხომ მართალია?

მარიამი — რაო, მე თქვენი მშურს? რა უნდა მშურდეს?

ანასტასია — **(სიცილით)** — რატომ გაწიწმატდი ასე?.. აკი სათბურს მოგიტანო?

მარიამი — შეგცივდათ?

ანასტასია — ამ საყინულეში რომ დამცხეს, მაშინ უნდა გაგიკვირდეს. ისე თბილად კი მაცვია... ღარიბებს უყვართ თბილი ტანსაცმელი...

მუცელზე იდებს ხელს

— მაწუხებს...

მარიამი — ძალიან შეგეშინდათ.

გადის, ცოტა ხნის მერე ბრუნდება

ჩაიდანი დავდგი. გაზი ოდნავ ბჟუტავს...

ანასტასია — სურათები ჩამოგიხსნია...

მარიამი — ხო, მინდა გავწმინდო.

ანასტასია — ხომ გითხარი, მაგას ვერ მოესწრები-მეთქი!

მარიამი — რას ვერ მოვესწრები? ნუ შემშალეთ! ეგ როგორ იფიქრეთ?..

ანასტასია — რა როგორ ვიფიქრე?

მარიამი — ღმერთო ჩემო!

ანასტასია — ადრე მოგსვლია, ჩემო მარიამ, ადრე.

მარიამი — **(გაკაპასებული)** — ვერ ვიტან ამ სურათებს. სულ მინდოდა მათი ჩამოხსნა, სულ, სულ, ძილშიაც კი და აი, ახლა ჩამოვხსენი.

ანასტასია — მე ხომ გითხარი, მძულხარ-მეთქი?

მარიამი — კი, მითხარით და მეც გიპასუხეთ, მეც მძულხართ-მეთქი.

ანასტასია — ხოდა, ამ სურათებმა რა დაგიშავეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ ამ ქვეყნად, ვინც მე შეიძლება ნამდვილად მყვარებოდა... ალბათ შვილის სიყვარული არ გამომიცდია... ერთადერთი, რომელიც უნდა მყვარებოდა, თანაც თავდავიწყებით, თქვენ იყავით, თქვენ, ვინც ასე საშინლად მძულს... ამას ვერ გაგაგებინებთ, ვერ აგიხსნით. რაღაც **საშინელი აბდა-უბდა გამომდის. (სურათზე უთითებს)** ამათ შემაძულეს თქვენი თავი, მაგრამ უამათოდ ვერც თქვენ შეგხვდებოდით... გესმით რამე?

ანასტასია — ჩემო მარიამ, არაფერი ისე ზუსტად და ნათლად არ გამოხატავს ადამიანის განსაზღვრასა თუ სათქმელს, როგორც მისი აბდაუბდა საუბარი.

მარიამი — ესეც სხვისი სიტყვებია?

ანასტასია — არა, მარიამ, მე უკვე ჩემი სიტყვებით დავიწყე ლაპარაკი. ენა ამოვიდგი.

მარიამი — ოჰო? მომილოცავს!

ანასტასია — მადლობთ.

მარიამი — ასეთი რა მოხდა იმ ტუალეტში?

ანასტასია — განსაკუთრებული არაფერი... აი, საყურეები ვიპოვე!

მარიამი — კი არ იპოვეთ, დამალული საყურეები გამოაჩინეთ. მე მაგ საყურეებს რამდენი წელიწადია ვეძებ.

ანასტასია — მე კი რამდენი წელიწადია უკვე, რაც ყოველდღე, შენგან მალულად, ტუალეტში ამ საყურეებს ვიკეთებ და ვიცინი.

მარიამი — იცინით?

ანასტასია — ხო, საყურეებს სიცილი უხდება!

მარიამი — რას არ გაიგონებს ადამიანი თქვენგან!

ანასტასია — ჯერ სადა ხარ! ასე რომ, ტყუილად ჩამოგიხსნია სურათები, ჯერ მე სიკვდილს არ ვაპირებ... ვინ იცის, იქნებ მაგ სურათებს კიდევ მიემატოს ერთი ახალი სურათი. შენ რას იტყვი?

მარიამი — გათხოვებას აპირებთ?

ანასტასია — რა ვიცი... რა ვიცი... უცნაურად მაღელვებდა ყოველთვის ფირუზი... როცა ვღელავ, მე თვითონვე არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ...

მარიამი — ეგ ფირუზი კი არა — შუშაა!

ანასტასია — შუშაც მაღელვებდა, ქვაც, აგურიც, რკინაც, ფოთოლიც, ბალახის ღერიც, ყველაფერი, რასაც ვხედავდი ან ხელით ვეხებოდი... და ახლა ყველაფერს უნდა მოვშორდე, წარმოგიდგენია!

მარიამი — ნუთუ სიბერემ შეგაშინათ ასე?

ანასტასია — სიბერემ?

მარიამი — უკაცრავად, არ ვიცი, როგორ გელაპარაკოთ, ვიბნევი ხოლმე. ზოგჯერ ჩემდა უნებურად, ისეთი რამ წამომცდება, რომ...

ანასტასია — არაფერი ცუდი არ წამოგცდენია. მე უბრალოდ ერთი წუთით ჩავფიქრდი — განა შეიძლება სიბერემ ადამიანი შეაშინოს? სიბერე, ჩემო მარიამ სრულებითაც არ არის საშიში. ერთადერთი ხიფათი, რომელიც ამ დროს ემუქრება ადამიანს — სიკვდილია, თუმცა მისგან რომელი ასაკია დაზღვეული! ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენ სრული უსაფრთხოების ზონაში ვართ, ერთი რამ უნდა გკითხო, რასაც, რატომღაც, მხოლოდ დღეს მივაქციე ყურადღება — სახელით რატომ არ მომმართავ ხოლმე?

მარიამი — თქვენ რამდენი სახელი გაქვთ არ ვიცი, რომელი გესიამოვნებათ, რომ დაგიძახოთ...

ანასტასია — შენ გგონია, დედას რომ მეძახი, მსიამოვნებს?

მარიამი — რატომღაც შევეჩვიე... მაპატიეთ.

ანასტასია — არა, მარტო მაგიტომ არ მეძახი, რომ შეეჩვიე. დაიმახსოვრე, ასი წლის ქალი შეიძლება ოცი წლისაზე ახალგაზრდა იყოს. აქ სხვანაირად იზომება დრო, აქ სხვა რამაა გადამწყვეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — მაინც რა?

ანასტასია — აი, თუნდაც ეს საყურე! აბა, ერთი ეგ სურათი მომაწოდე, ხელში რომ გიჭირავს და ვეღარ იშორებ!

მარიამი — **(აწვდის სურათს)** — გავალ, ჩაიდანს დავხედავ. **(გადის).**

ანასტასია — **(სურათი ორივე ხელით უჭირავს და შესცქერის)** — საკვირველია...

შემოდის მარიამი, სათბური მოაქვს, შალში ახვევს

მარიამი — აი, ეს მიიდე მუცელზე.

ანასტასია — საკვირველია...

მარიამი თვითონ ადებს მუცელზე სათბურს, საბანს უსწორებს

მარიამი — აი, ახლა ჩაგიწყნარდება, გესიამოვნება სითბო...

ანასტასია — არც მე მგავს და არც მამამისს...

მარიამი — დიახ, მამას ნამდვილად არ ჰგავს...

ანასტასია — **(მკაცრად)** — გამომართვი ეს სურათი, მომაშორე!

მარიამი სურათს მაგიდაზე დებს

— კარგი გიქნია, რომ ჩამოგიხსნია. გაიტანე და სანაგვეში ჩაყარე სუყველა. ცოტა რომ ჩამიწყნარდება მუცელი, მეც მოგეხმარები ჩამოხსნაში. რამდენი არიან მაინც! ნუთუ ყველა ჩვენ დავხოცეთ?!

მარიამი — **(ნაძალადევი სიცილით)** — კარგით რა, დედა!

ანასტასია — **(ხელს ჰაერში მიმოატარებს)** — როგორ დაბნელდა...

მარიამი — ხო, ზამთარში ადრე ბნელდება...

ანასტასია — არ მიყვარს ზამთარი...

მარიამი — ზამთარი არავის უყვარს...

ანასტასია — როგორ დაბნელდა...

მარიამი — ზამთარია...

ანასტასია — სიბნელეში უკეთესად ჩანან...

მარიამი — ვინ?

ანასტასია — აგე, აგე!

მარიამი — დედა, რა დაგემართათ? აბა, მაჩვენეთ ხელები! როგორ გაგყინვიათ: ვის ხელავთ სიბნელეში?

ანასტასია — როგორ დაბნელდა...

მარიამი — დედა დედა, რა დაგემართათ?

ანასტასია — არ მიყვარს ზამთარი...

მარიამი — **(მხარში ჩააფრინდება, ანჯღრევს)** — დაგეძინათ;

ანასტასია — **(გამოერკვევა)** — ხო, დამძინებია... სათბური მესიამოვნა... რას ვამბობდით?

მარიამი — არაფერსაც არ ვამბობდით.

ანასტასია — როგორ არა, რაღაცაზე ვსაუბრობდით ტკბილად. ყველანი ჩვენ დავხოცეთო... ნადავლს ვთლიდით თუ ვიყოფდით... თუმცა, არაფერი დარჩენიათ გასაყოფი, გარდა მოგონებისა. ზოგს არც ეს დარჩენია. იცი, რა ვიფიქრე ახლა და რატომღაც მნიშვნელოვნად მივიჩნიე ეს ამბავი? — ჩემი ქმარი ამაყი იყო!

მარიამი — რომელი ქმარი?

ანასტასია — **(ცოტა ხნის მერე)** — სამივე... ხო, სამივე. თუნდაც იმიტომ, რომ აღარც ერთი ცოცხალი აღარ არის.

მარიამი — პოეტიც ამაყი იყო?

ანასტასია — შენ წარმოიდგინე, ისიც! ჩემი შვილი, ანუ შენი ქმარი კი ამაყი არ ყოფილა... გინდა გითხრა, ვის ჰგავს მაგ სურათზე და საერთოდ ცხოვრებაშიც ვის ჰგავდა?

მარიამი — **(სურათს დახედავს)** — ეს არა მგონია, ვინმეს ჰგავდეს.

ანასტასია — შენ, შენ გგავს ძალიან! ვერ ამჩნევ? თითქოს ჩემი კი არა — შენი შვილი იყოს. და იქნებ მართლაც ასეა, იქნებ... რა ვიცი...

მარიამი აბა, რას ამბობთ, რა საშინელებაა! როგორ შეიძლება! განა ადამიანმა ყველაფერი უნდა თქვას, რაც პირზე მოადგება? თუ თქვენ იმას მახსენებთ, რომ მასზე ათი წლით უფროსი ვიყავი!

ანასტასია — გახსენებ? განა ამის დავიწყება შეიძლება?

მარიამი — ვითომ რატომ არა. განა თქვენ ყველაფერი გახსოვთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტასია — რა თქმა უნდა!

მარიამი — სუფველაფერი?

ანასტასია — დიახაც!

მარიამი — მერე?

ანასტასია — რა მერე?

მარიამი — განა ასეთი რამ პირველია, განა ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა? მე არ შემეძლო უარი მეთქვა... იძულებული ვიყავი, დავთანხმებოდი... ჩემს ოთახში შემოდიოდა და დაჩოქილი მეხვეწებოდა...

ანასტასია — **(სიცილით)** — ყველა ლოთი არტისტია!

მარიამი — დიახ, მეხვეწებოდა, ცოლად გამომყევიო. მე თქვენ სულელი გგონივართ? არავის უნდა უბედური ოჯახის წევრი გახდეს. მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ, თქვენ მათქმევინეთ... ხო, არავის უნდა... აქ ფეხი რომ შემოვდგი პირველად, მომეჩვენა, მთელი ბინა აჩრდილებით იყო სავსე...

ანასტასია — როგორც ტრაგედიაშია არა?

მარიამი — **(ცოტა ხანს ჩუმად უყურებს. პაუზის შემდეგ)** — ღამით დაფეთებული წამოვარდებოდი ხოლმე ლოგინიდან...

ანასტასია — „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები"...

მარიამი — თქვენი ოთახიდან თქვენი ახალი ქმრის, ანუ პოეტის ბუტბუტი მოისმოდა, ალბათ ლექსებს წერდა...

ანასტასია — მე სრულებითაც არ მიშლიდა ხელს მისი ბუტბუტი, პირიქით, წყაროს რაკრაკივით ჩამესმოდა ძილში **(სიცილით)** შეიძლება იმიტომ რომ წყალწყალა ლექსებს წერდა.

მარიამი — ხო, თქვენ ყოველთვის ტკბილად გეძინათ, მაშინაც კი, როცა შუაღამისას ისევ სიზმრისგან თუ მოჩვენებებისგან დაფეთებული, საბაზანოში შევედი და იქ ჭერზე თოკით ჩამოკიდებული პოეტი დავინახე...

ანასტასია — კი, მაშინაც ტკბილად მეძინა. იცი, რატომ?

მარიამი — მე არ მიკითხავს, რატომ გეძინათ-მეთქი.

ანასტასია — ტკბილად იმიტომ მეძინა, ჩემო მარიამ, რომ მე იმის სიკვდილში არავითარი ბრალი არ მიმიძღვოდა. გესმის?

მარიამი — **(მოულოდნელად ატირდება)** — უიმედო შინაბერა ვიყავი უკვე და დავთანხმდი...

ანასტასია — ყველასა აქვს უფლება თავის სიცოცხლეს ისე მოექცეს, როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ. მე გამიკვირდა კიდეც, ეს უფლება რომ გამოიყენა. უფრო მეტს გეტყვი — მეცოდებოდა, ცოცხალი რომ იყო! როგორ შეიძლება ადამიანმა იცოცხლოს, თუკი ცხოვრებისა ეშინია, თუკი ცხოვრება და შიში მისთვის ერთი და იგივეა? მაგრამ მაინც მოასწრო ეცხოვრა, თუნდაც რამდენიმე წუთით, სანამ ყულფს ნასკვამდა. მაშინ აღარ ეშინოდა. ამდენად, ბედნიერი მოკვდა. ხოლო რაც შეეხება შენი შინაბერობის ამბავს, შენ დღემდე მაინც შინაბერად დარჩი, მიუხედავად იმისა, რომ გათხოვილი იყავი, თანაც ორჯერ, მოჩვენებებით სავსე ბინაში ცხოვრობდი, სისხლიან ლოგინში იწექი...

მარიამი — (უყვირის) — გაჩუმდით! **(ყურებზე ხელებს იფარებს)** გაჩუმდით!

ანასტასია — დღევანდელი ადამიანი, ჩემო მარიამ, ტრაგედიისათვის არ არის გაჩენილი. სანამ დღევანდელი ოიდიპოსი თავისი ხელით თვალებს დაითხრიდეს, ანუ სანამ ტრაგედიის ფინალამდე ჩავიდოდეს, ინფარქტით მოკვდება...

მარიამი — რა მიგავს მე მის დედას?

ანასტასია — მარიამ, მარიამ, აქამდე ვერ შეეჩვიე ჩემს ლაპარაკს? ზოგჯერ მე თვითონვე მიკვირს ხოლმე...

მარიამი — განა არ ვიცი, რატომაც მეთამაშებოდი შებრუნებულ რძალ-დედამთილობას...

ანასტასია — „მაინც სისხლის სუნი მომდის"...

მარიამი — თქვენ ისევ თქვენსას იმეორებთ!

ანასტასია — რაღა დროს ჩემი გამოსწორებაა! „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები“! გესმის, როგორ ჟღერს! არ მოგწონს? მე ეს სიტყვები მაბრუებს, თავბრუს მახვევს, რაღაც უცნაურ, ტკბილ, აჭრელებულ ბურანში შემათრევს ხოლმე, სადაც ვერაფერს ვხედავ, და, თანაც, არც მინდა, რომ დავინახო, რადგან ყველაფერი ჩემი არსების ნაწილია, ჩემგან არის თითქოს მოვლინებული ამქვეყნად, ჩემს მიერ არის, ამ დამათრობელ ბურანში ჩამალული. თითქოს ჩემი არსების ცენტრში ნაღმი აფეთქდა და ჩემი სხეული, დაქუცმაცებული, დაგლეჯილი, სივრცეში გაბნია. დაკარგული მაქვს მთლიანობის გრძნობა, თუმცა სხეულის ყველა ნაწილს ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთმანეთთან დაუკავშირებლად აღვიქვამ, როგორც ანატომიური ატლასის ფოტოილუსტრაციებს. მგონია, სივრცეში უზარმაზარი ადგილი მიჭირავს, გალაქტიკასავით, რომლის წიაღშიც მახსოვრობის ნაწილაკებს, პლანეტებივით თუ კომეტებივით, თავიანთი ორბიტა და სავალი გზა აქვთ, თუმცა არავითარი ლოგიკა რაც ყველა გალაქტიკისთვისაა დამახასიათებელი, ამ უცნაურ გალაქტიკას არ გააჩნია...

მარიამი — ღმერთო ჩემო, რა ლაპარაკის თავი აქვს ამ ქალს!

ანასტასია — **(სიცილით)** — ახლა შეამჩნიე?

მარიამი — ტრაგედიის გმირივით.

ანასტასია — ტრაგედიის გმირივით ყბედიაო, გინდოდა გეთქვა არა?

მარიამი — არა, ეგ არა როგორ გეკადრებათ.

ანასტასია — ის მაინც თუ იცი, რა არის ტრაგედია? არა, არ იცი. ისე ამბობ, ზერელედ, დაუფიქრებლად. ტრაგედიაა, როცა ერთი ადამიანი კვდება და მთელი კაცობრიობა თავზარდაცემულია; ახლა მთელი კაცობრიობა იღუპება და ადამიანი, ვითომც არაფერი, განაგრძობს ცხოვრებას. ტრაგედია ფარსად ვაქციეთ და ამიტომ გვსჯის ღმერთი ყველას, მათ შორის შენც და, რა თქმა უნდა, მეც... შენ, სცენის მუშასავით, ტრაგედიის დეკორაციებს აგებდი მხოლოდ, ტექსტი კი არ იცოდი. განა შეიძლება ვინმე ყრუ დარჩეს ამ სიტყვების მიმართ: „მთელი არაბეთის სურნელოვანი ბალახები ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდენ“, თუკი, რასაკვირველია, განგებ არ იყრუებს თავს?

მარიამი — მე ჩემი როლით, როგორ გითხრათ, კმაყოფილი ვარ. მადლობას ვწირავ, ღმერთს, ეს როლი რომ მარგუნა. ხელები ისედაც სუფთა მაქვს, არ მჭირდება არაბეთის ბალახები! არაბეთის ბალახები! არაბეთის ბალახები! ბალახით აივსო თითქოს სახლი. ქოთს აქაურობა!

ანასტასია — და მაინც ეს სუნი გერჩიოს შხამს, ტყვიას, თოკს, ბალიშს...

მარიამი — **(უყვირებს)**—დედა! **(გამოერკვევა, შეცვლილი ხმით)** გაჩუმდით, დედა... დავიღალე... **(სკამზე ჩამოჯდება)** გთხოვთ...

ანასტასია — ცოტა კიდევ უნდა მოითმინო... მე ახლა სიცოცხლისაგან ვიცლები, სიცოცხლე გამოდის ჩემგან, შხუილით, გუგუნით, დგაფუნით, ლანძღვა-გინებით შეჩვენებით წყევლა-კრულვით, როგორც მთელი საუკუნით დატყვევებული ჯინი — ბოთლიდან. ნელნელა ვთავისუფლდები სიცოცხლისაგან... ამიტომაც, ცოტა უნდა მოითმინო. თუ გინდა, ნუ მომისმენ, მე ჩემთვის ვილაპარაკებ. სხვათაშორის, ამას შეჩვეული ვარ...

მარიამი — იცით, რას ვფიქრობ — — თქვენ ჩემი არ გესმით... არც არასოდეს გესმოდათ...

ანასტასია — მართალი ხარ, ძალიან ძნელია, როცა ვერ გიგებენ, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ გაცილებით უარესია როცა, არაფერი გაქვს გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გები... საწყენად არ მიიღო, სრულებითაც არ ვაპირებ გაწყენინო, ისედაც, ვატყობ, მზადა ხარ ჩემს მოსაკლავად. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ამ შემთხვევაში, ანუ ჩვენს ურთიერთობაში, რომლის გარკვევაც, რატომღაც, მაინც და მაინც, დღეს მოვინდომეთ, არაფერია გაუგებარი. ყველაფერი დღესავით ნათელია.

მარიამი — **(წამოენთება)** — მაინც რა არის დღესავით ნათელი?

ანასტასია — აი, მაინც გაწყენინე!..

მარიამი — მაწყენინეთ? სრულებითაც არა... მაგრამ... რა ვიცი, როგორ გითხრათ... არა მგონია, პირადად მე, შეიძლება ჩემი გულუბრყვილობის გამო, არ მიმაჩნია ყველაფერი გასაგებად. პირიქით, ჩვენი ცხოვრება სავსეა გაუგებრობებით, წლების მანძილზე რომ გროვდებოდა და მთასავით იზრდებოდა, ვიდრე ბოლოს ჩვენც ქვეშ არ მოვყევით...

ანასტასია — აი, შენც, მგონი, ენა ამოიდგი!

მარიამი — ნუ დამცინით.

ანასტასია — მართლა, მართლა! დაგცინი კი არა... არ ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას. აღფრთოვანება? ხო, აღფრთოვანება ნამდვილად მოუხდება.

მარიამი — აღფრთოვანება რითი, ჩემი სიტყვებით?

ანასტასია — არა —შენით! მე, რომელსაც ათასი და ათასი შურიანი, მტრული, დაუნდობელი თუ აღტაცებული, სათვალითა თუ ბინოკლით გაათკეცებული მზერა ოდნავაც კი ვერ მაცდენდა გზიდან და წამითაც ვერ მავიწყებდა სათქმელს, ახლა შენი სიმშვიდისა მშურს... თუმცა, შენ ყოველთვის, დიახ, ყოველთვის, ახლა ვხვდები, მშვიდი იყავი. როდესაც მითხრა, დედა, გაიცანი, ეს ჩემი ცოლიაო, მომინდა სილა გამეწნა, ოღონდ მისთვის კი არა — შენთვის! ისეთი კამკამა, მიამიტი თვალებით მიყურებდი მეათე კლასელი გოგონასავით ლოყებაწითლებული. ოღონდ, ჩემთვის დღემდე გაურკვეველი დარჩა ერთი რამ, რაც, ხიმართლე ეგზისტენციალ, ყველაფერზე მეტად მტანჯავდა. იქნებ დამეხმარო, იქნებ ახლა მაინც ამომახსნევინო საიდუმლო...

მარიამი — რატომ შემირთო ცოლად არა?

ანასტასია — **(ცოტა ხნის მერე, თითქოს მარიამის მიხვედრილობამ შეაკრთოო)** — ხო...

მარიამი — გაინტერესებთ, რატომ შემირთო ათი წლით უფროსი და თანაც ასეთი მახინჯი არა?

ანასტასია — მახინჯიო არავის უთქვამს, მაგას ნამდვილად ამეტებ.

მარიამი — კარგი, ვთქვათ — შეუხედავი!

ანასტასია — ხო, ვთქვათ, დავუშვათ. თუ ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, ისე სიმართლეს ვერ გავიგებთ.

მარიამი — მაგრამ ასე ლაპარაკი მაინც არ შეიძლება.

ანასტასია — (მოულოდნელად ძალიან მკაცრად) — ის თუ შეიძლება, ქმარს პირზე ბალიში დააფარო და დაახრჩო?

მარიამი — გაჩუმდით! ხომ გაგაფრთხილეთ, ეგ არ თქვათ-მეთქი!

ანასტასია — როდის გამაფრთხილე?

მარიამი — ამ ხნის განმავლობაში სულ მაგას განიშნებთ, ეგ არა თქვათ, ეგ არა თქვათ-მეთქი. მაინც თქვით. ჯერ იგავებით, აფორიზმებით, არაბული ბალახების ანესტეზიით დაიწყეთ, ჯერ კიდევ გქონდათ შემორჩენილი სიბრალულის გრძნობა. განა ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა თქვენი არაბეთის სურნელოვანი ბალახები? ახლა კი ბლაგვი დანით პირდაპირ გულღვიძლში...

ანასტასია — **(შეჰკივლებს)** — აჰ?

მარიამი — დანა რამდენჯერმე გადაატრიალეთ კიდეც ჭრილობაში, სიამოვნებით.

ანასტასია — **(პაუზის შემდეგ)** — მე ყველაფერი დავინახე. თქვენი ოთახის კართან ვიდექი და ყველაფერს ვხედავდი... ეს ძველისძველი ნაცადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხია ასე იშორებენ დედები არასასურველ შვილებს...

მარიამი — ეს ქალი ნამდვილად გადამრევს და ამით დამთავრდება ყველაფერი. თუკი მართლა იქ იდექით, რატომ გამოგრჩათ ყველაზე მთავარი — მისი ხმა, ხმა, მისი დაფხრეწილი ხმა, თქვენ ხომ თქვით, ხმებს ვხედავო! მაშინ რატომ არ დაინახეთ ის ხმა, რომელიც ხელებში ჩაფრენოდა, ცდილობდა მათ აგლეჯვას ჩემი მკერდიდან, მე ხომ გულხელდაკრეფილი ვიდექი და ვლოცულობდი. იმიტომ რომ აღარ შემეძლო, აღარ შეშემეძლო აღარ შემეძლო იმის ყურება, რასაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღე ვუყურებდი — როგორ თქლეფდა მის არსებაში ჩაბუდებული კიბო მის ხორცს, მის ფილტვებს, მის გულმუცელს, მარტო ხმაღა ჰქონდა შერჩენილი და იმ ხმით მებღაუჭებოდა, თავისკენ მეწეოდა, მიზიდავდა, მიშველე, მომკალი, მიშველე, მომკალიო, ნუთუ ის ხმა არ დაგინახავთ? იხვეწებოდა სიკვდილს, ისევე როგორც ყოველდღე ექვსი თვის განმავლობაში და მართლაც სიკვდილი იყო მისი ერთადერთი ხსნა. ღმერთო, ვამბობდი, ღმერთო, მოკალი, რაღას უყურებ, მოკალი შენი ხელით, რამდენადაც შენ მოავლინე ამ ქვეყნად, როგორც დიდი გაუგებრობა, როგორც ტანჯვის ლოდი, რომლის თრევაც, რატომღაც, მაინც და მაინც, მე დამაკისრე...

ანასტასია — თუ შენ თვითონ დაიკისრე?

მარიამი — გაჩუმდი-მეთქი! **(ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, შეცვლილი ხმით)** მე მაბრალებენ მის სიკვდილს... ის ისედაც მკვდარი იყო...

ანასტასია — მე არ მინახავს და არც გამიგონია — მკვდარი იტანჯებოდეს.

მარიამი — გინდა სიმართლე გითხრათ? ერთადერთი ადამიანური, რაც კი ცხოვრებაში ჰქონია, ალბათ ეს ტანჯვა იყო... ისევე, როგორც თქვენი პოეტი ქმრისთვის ყველაზე ანასკვის წუთები... თუმცა, განა თქვენთვის სულერთი არ არის? თქვენ ხომ მას აღარც კი ამჩნევდით, იყო თუ არა. არ მახსოვს, თუ დალაპარაკებიხართ საერთოდ. ვერ ვიხსენებ. თითქოს ვერც კი ხედავდით, მაშინაც კი, როცა ერთად ვსადილობდით. მართალია, ეს იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაინც... თითქოს არც არსებობდა, ანდა უჩინმაჩინის ქუდი ეხურა... ხო, იტანჯებოდა, იტანჯებოდა, იტანჯებოდა...

ანასტასია — ნუ ამოიჩემებ ამ სიტყვას, ვიფიქრებ მართლა შეიშალამეთქი.

მარიამი — ის უნდა გიკვირდეთ, გონება ამდენ ხანს რომ შემრჩა.

ანასტასია — მაშ, ნათელი გონებით და...

მარიამი — დიახ, ნათელი გონებით და სუფთა სინდისით მოვუსწრაფე ტანჯვა. დე, ღმერთმა განსაჯოს. ყოველშემთხვევაში, თქვენ ჩემს მსაჯულად არ გამოდგებით. არ მინახავს, არ შემხვედრია ისეთი უცხო და განსხვავებული ადამიანები, როგორიც თქვენ იყავით ერთმანეთისათვის — დედა-შვილი! მან ორჯერ უარყო მშობლები, ერთხელ კოჯრის პიონერთა ბანაკის კოცონთან, მეორედ კი — უნივერსიტეტში შესვლის დროს. ორჯერ შეგაჩვენათ...

ანასტასია — და შენც ამიტომ მოკალი?

მარიამი — არ მომიკლავს, ხომ გითხარით... ტანჯვისგან გავათავისუფლე. ნუთუ მართლა არ გესმით ჩემი, თითქოს სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ...

ანასტასია — ერთი რამ მიკვირს ყველაზე მეტად — ასე გეზიზღებოდა და მაინც ცოლად გაჰყევი. ნუთუ საკუთარ თავს შენ თვითონვე მიუსაჯე ასეთი საშინელება? მშობლების უარყოფა მაშინ არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. უამრავი ადამიანი ამბობდა უარს დედაზე, მამაზე,

ძმაზე, ნათესავებზე. ეს ჩვეულებრივ და თანაც სამაგალითო საქციელად ითვლებოდა. საინტერესოა, შენ ვინ გითხრა ეს ამბავი, საიდან გაიგე?

მარიამი — თვითონ მომიყვა.

ანასტასია — რატომ?

მარიამი — არ ვიცი... მომიყვა... მეტი არაფერი... მოკლედ აღარ შემეძლო მისი ტანჯვის ყურება, მეც ხომ ადამიანი ვარ, ბოლოს და ბოლოს. იხვეწებოდა, ხრიალებდა, მემუდარებოდა, მეძახდა, მომკალიო. თქვენ ერთხელაც კი არ შესულხართ მასთან. თქვენ რა იცოდით, იქ რა ცეცხლი ტრიალებდა...

უცებ პირზე ხელს აიფარებს, ელდანაცემივით გაშეშდება

ანასტასია — რა დაგემართა, რატომ მიყურებ ასე, ხმა ამოიღე!

მარიამი — მაშ, თქვენ ჩვენი ოთახის კართან იდექით?

ანასტასია — აკი გითხარი, იქ ვიდექი-მეთქი.

მარიამი — მერე?

ანასტასია — რა მერე?

მარიამი — თუკი... თუკი იქ იდექით... ხო, თუკი ყველაფერს ხედავდით, რატომ არ შემოვარდით და ხელებში რატომ არ მეცით, არ გამაჩერეთ, რამ გაგაქვავათ, რა მოხდა ასეთი; არა, აქ რაღაც სხვა ამბავია. ოოო! აბა, შემომხედეთ!

ანასტასია — აკი გიყურებ!

მარიამი — კარგად, კარგად შემომხედეთ!

ანასტასია — აჰა, შემოგხედე!

მარიამი — მიპასუხეთ!

ანასტასია — რა გიპასუხო?

მარიამი — არაფერი არ უნდა მიპასუხოთ? თუკი იქ იყავით... ღმერთო ჩემო!

ანასტასია — (ძალიან მშვიდად) — განა მე ვთქვი, სუფთა ხელები მაქვს მეთქი?..

მარიამი — კართან იდექით...

ანასტასია — განა როდისმე წამომცდენია ასეთი რამ?

მარიამი — და მშვიდად უყურებდით ყველაფერს!.. რატომ არ შემოვარდით და არ გამაჩერეთ. ეს სიმართლე რომ იყოს...

ანასტასია — სიმართლეა!

მარიამი — მაშინ ჩემი თანაგამზრახველი გამოდიხართ! ყველა კანონით ჩემთან ერთად უნდა დაისაჯოთ!

ანასტასია — შენ გგონია, არ დავისაჯე და თანაც შენთან ერთად?

მარიამი — ორივენი ცეცხლზე უნდა დაგვწვან, კუდიანებივით... ნუთუ თქვენ მართლა იქ იდექით, კართან? არა, ვერაფერი გამიგია... თუკი ეს...

ანასტასია — „თუკი" სრულებით ზედმეტია. გვეყო თვალთმაქცობა. ან ვინ უნდა მოვატყუოთ, ვინ არის გამკითხავი, ვის წინაშე უნდა ვაგოთ პასუხი მე და შენ! მოკლედ, ასე იყო ეს ამბავი: დავინახე, როგორ დააფარე პირზე ბალიში შენს ქმარს, მისმა შიშველმა ტერფებმა კინაღამ საწოლის თავი გაამტვრიეს...

მარიამი — და თქვენ მშვიდად უყურებდით...

ანასტასია — როგორ გითხრა... მთავარია, რომ ხელი არ შეგიშალე შენი განზრახვის ასრულებაში.

მარიამი — არა, მე ამის გაგება ნამდვილად არ შემიძლია, ეს ჩემს ძალას აღემატება **(ტირის)** ნუთუ ოდნავ მაინც არ გეცოდებით, ნუთუ ასე გძულვართ. რატომ მაწვალებთ. მე თქვენთვის ხომ არაფერი დამიშავებია... ძალა გამომეცალა, მუხლები მიკანკალებს... რა გინდა ჩემგან, რა?

ანასტასია — როგორ ჩამობნელდა...

მარიამი — რას მერჩით-მეთქი!

ანასტასია — თანდათანობით... ნელა... მძიმედ...

მარიამი — მიპასუხეთ!

ანასტასია — არც შუქი გვაქვს...

მარიამი — მე მართლა არაფერი დამიშავებია თქვენთვის.

ანასტასია — თითქოს უზარმაზარი ლოდი გვაწვება ზემოდან... საცაა გაგვსრესს... ყველას... (სახეზე ხე-

ლებს აიფარებს. პაუზის შემდეგ ჩურჩულით) ვერაფერს ვხედავ...

მარიამი — (გაღიზიანებული) — ჩამოიღეთ ხელები და დაინახავთ.

ანასტასია — (ხელებს ჩამოიღებს) — ამას ხომ მოფიქრება უნდა! რა ადვილია ყველაფერი... თვალებზე გინდა აიფარებ ხელებს, გინდა — არა, შენი ნებაა, ოღონდ, ყველაფერს მოფიქრება ჭირდება...

მარიამი — თუკი ყველაფერი დაინახე, რატომ არ შემოვარდი, რატომ არ გამაჩერე, რატომ არ გადაარჩინე შენი შვილი-მეთქი?

ანასტასია — იმიტომ რომ მე თვითონ იმავე განზრახვით მოვდიოდი.

მარიამი — რა თქვი?

ანასტასია — დიახ... შუაღამისას ყვირილმა გამომაღვიძა. ვიფიქრე, ალბათ მარტოა, იმიტომ ყვირის ასე საზარლად-მეთქი. არ მეგონა, შენც თუ იქ იყავი და მორიგი კოშმარისგან შეძრულმა თუ გონებაშერყეულმა გადავწყვიტე ამესრულებინა ის, რასაც უკვე კარგა ხანია ვფიქრობდი — დავხმარებოდი ჩემს შვილს! თითქოს ვიღაცამ ჩამძახა, ეს შენი დედობრივი მოვალეობაა. მე ხომ ღმერთმა საშუალება არ მომცა, ნამდვილად, ბოლომდე, როგორც წესი და რიგია, განმეცადა დედობა. აკვანთან ჯდომის ნაცვლად დანჯღრეულ ავტობუსში ვიჯექი, „იავნანას“ ნაცვლად კუდიანების სიმღერას ვმღეროდი. შეშლილები ბედნიერები არიან-მეთქი, გითხარი. ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ასეთ ბედნიერებას ვერ გაუძლებს. მარტო შეშლილები არიან გაჩენილები ბედნიერებისათვის. და მეც — ბედნიერი, სიყვარულით ძალამოცემული, ფეხშიშველი, პერანგისამარა, გამოვემართე თქვენი ოთახისკენ. ნამდვილ ტრაგედიას ტყუილი არ უყვარს, ნამდვილ ტრაგედიაში სიკვდილიც ნამდვილია. დარწმუნებული ვიყავი, შენ, როგორც ყოველთვის, სამზარეულოში იჯექი და პაპიროსს სწევდი. კართან მოსულმა დავინახე, როგორ დაფარე ხელები პირზე და როგორ [illegible] ყველაფერი სწორად — როგორ გაათავისუფლე ტანჯვისაგან. ჯერ მინდოდა, დამეკივლა, ქვეყანა შემეყარა, მოგვარდნოდი, ხელიდან გამომეგლიჯა ჩემი უბედური შვილი, მაგრამ მაშინვე მოვეგე გონს და... შენდამი უსაზღვრო მადლიერების გრძნობამ ყელში წამიჭირა... კინაღამ დამახრჩო...

მარიამი — რაო, რა თქვი, მადლიერების გრძნობამო, თუ მომესმა?

ანასტასია — დაგბრუნდი, ლოგინში ჩავწექი და დიდხანს, დიდხანს ისევ ბედნიერი ვუსმენდი ჩვენს ბინაში უეცრად ჩამოწოლილ სიჩუმეს... ნუ ფიქრობ ამაზე, ნუ იწამებ თავს, ნურც ჩემს ხუმრობას უგდებ ყურს... (სიცილით) ჩემო ძვირფასო, მათ შორის, ვინც თავის სახლში, თავის საწოლში გარდაიცვალა, მოკლული უფრო მეტია, ვიდრე მკვდარი. დამიჯერე ბებერ კუდიანს — ოჯახი ბევრ დანაშაულს მალავს, უფრო ზუსტად — ოჯახის სახელით ბევრი დანაშაული მართლდება, მათ შორის, რა თქმა უნდა, მკვლელობაც. რას ეყოფა არაბეთის სურნელოვანი ბალახები სისხლიანი ხელების ტყეს. არაბეთის სურნელოვანი ბალახების წვიმაც რომ წამოვიდეს, მაინც საკმარისი არ იქნება.. ყოველთვის მძულდა ჩემი სახელი — ანასტასია, დღეს კი მივხვდი, ისიც ბალახსა ჰგავს, თავყვითელა, შხამიან ბალახს...

მარიამი — რა გაცინებთ?.. ღმერთო, რა აცინებს ამ ადამიანს?

ანასტასია — სხვათაშორის, შენი როლი დაგავიწყდა, აბა გაიხსენე!

მარიამი — რა დროს როლია!

ანასტასია — სწორედ რომ დროა! როგორც იქნა, ტრაგედიაში შემოგათრიე. სტატისტი ვარო! ვერ უყურებთ, რა თავმდაბალი ყოფილა, რა მორცხვი! სტატისტი კი არა — ერთიანად გათიბული მთელი არაბეთის ბალახების შამპუნიც კი ვერ გაგბანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე. გიხაროდეს, შენც ჩვენიანი ყოფილხარ. მომილოცავს!

ხელს უწვდის, მარიამი იჩოქებს და ხელზე კოცნის

— აი, ეს უკვე ნამდვილი ტრაგედიაა!

მარიამი — მე თქვენ ყოველთვის გაღმერთებდით... აი ახლაც... თქვენ არ იცით, რა ლოდი მომხსენით გულიდან...

ანასტასია — **(სიცილით)** — კარგი ერთი! ეგ ჩემი პროფესიაა, მეტი არაფერი. ამას მე ყოველ საღამოს ვაკეთებდი. დიდი ამბავი!

მარიამი — **(წამოდგება)** — რატომღაც მომინდა, თქვენთვის თაყვანი მეცა.

ანასტასია — საკმარისი იქნებოდა, ტაშს თუ დამიკრავდი, ანდა ყვავილს თუ მომართმევდი, თუნდაც, აგე იმ ქალალდის ყვავილს.

მარიამი — ვერ წარმოიდგენთ, როგორი შვება ვიგრძენი. მაჯლაჯუნასავით ყელში მყავდა ჩაფრენილი, ცოცხლად მჭამდა. მადლობთ, მადლობთ... და აი, ჩემი როლიც გამახსენდა: ავ, ავ, ავ!

ანასტასია — ყოჩაღ კუდრაჭავ ყოჩაღ!

მარიამი — ავ, ავ, ავ!

ანასტასია — უფრო თამამად, ნუ ნუ გეშინია!

მარიამი — ავ, ავ, ავ!

ანასტასია — აი, ახლა ნამდვილი მარიამი ხარ!

მარიამი — ხო, მე ახლა ნამდვილი მარიამი ვარ... ბებერი...

ანასტასია — რას ამბობ, მარიამ, რა დროს სიბერეა! შენ შეიძლება კიდევ გათხოვდე. რამდენ მოხუც სნეულ ადამიანს ჭირდება ტანჯვისგან გათავისუფლება. შენ კი ამის ოსტატი ხარ.

მარიამი — ...ბებერი და შხამიანი, როგორც შენ, ანასტასია! ტყუილად ფიქრობ, რომ თამაში დამთავრდა და სიმართლე ბოლომდე შევიტყვეთ. ტყუილად ფიქრობ, ტყუილად ამბობ, დებ თავს და ჩემს დამშვიდებასაც ცდილობ, რათა კიდევ უფრო დამამცირო.

ანასტასია — მარიამ?!

მარიამი — დიახ, დიახ, კიდევ უფრო რომ დამამცირო, მიწასთან გამასწორო შენი სიკეთით, სულგრძელობით, კეთილშობილებით. მადლობთ, ბატონო, არ მინდა, არ არის საჭირო. ყოველშემთხვევაში, მე არ მჭირდება ეგ სულგრძელობა, ეგ კეთილშობილება. რა უცნაურად საცოდავი არსებაა ადამიანი — თუ ეტყვი, მეც მტკივაო, ტკივილი გაუყუჩდება, თუ ეტყვი, მეც მკვლელი ვარო, სიხარულისაგან გული ებერება, თითქოს უარესი არ იყოს, როცა ყველას ტკივა ანდა როცა ყველა მკვლელია. მოკლედ, მე არ მჭირდება შენი მოწყალება. ის, რაც მე ჩავიდინე, ერთდროულად დანაშაულიც იყო და სასჯელიც, მკვლელიც ვიყავი და მსხვერპლიც. როგორ გაგაგებინო...

ანასტასია — არ არის საჭირო... მოდი, დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი...

მარიამი — არა, ბოლომდე მომისმინე. მარტო იმიტომ კი არ მოვკალი, რომ არავითარი იმედი აღარ არსებობდა მისი მორჩენისა, — არამედ — მინდოდა მომეკლა! მაგრამ მთავარი დამავიწყდა — ასეთ სიკვდილს ნამდვილად არ იმსახურებდა, ასე ადამიანებს შველიან. მე მას მოვექეცი, როგორც ადამიანს, აი, ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის. ხო, ბნელდება, ბნელდება, თითქოს ლოდის ქვეშ მოვყევით ორივენი...

ანასტასია — მარიამ, მოდი ჩემთან.

მარიამი — არა, ვერ მოვალ.

ანასტასია — რატომ, მარიამ?

მარიამი — იმიტომ რომ...

ანასტასია — განა საკმარისი არ არის, რაც ვთქვით?

მარიამი — ვინ იცის, რა არის საკმარისი და რა არა...

ანასტასია — დღევანდელი თამაშიც დავამთავრეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — თამაში შეიძლება დავამთავრეთ, მაგრამ...

ანასტასია — რა არ დაგვიმთავრებია, მარიამ?

მარიამი — ყეფა!

ანასტასია — განა ვინმემ დაგიშალა, არ იყეფოო?

მარიამი — ახლა ლაპარაკიც რომ დამავიწყდეს, ყეფით მაინც მოგიყვები იმას, რისი თქმაც ამდენი ყოყმანის, ამდენი წვალების მერე, ბოლოს და ბოლოს, მაინც გადავწყვიტე. როდისღა გეტყვი, თუ არა ახლა..

ანასტასია — ხვალ, ჩემო მარიამ, ხვალაც ამ თვისაა, ხომ გაგიგია!

მარიამი — ამ თვისა კია, მაგრამ ჩვენი თუ არის, ესაა საკითხავი.

ანასტასია — მე, პირადად, ხვალინდელ დღეს რომ მოვესწრები, ამის სრულ გარანტიას გაძლევ. აი, შენზე კი ვერაფერს ვიტყვი...

მარიამი — ამიტომაც ვჩქარობ, მინდა მოვასწრო, თან არ გავიყოლო ეს საიდუმლო.

ანასტასია — მე შობა მიყვარს, შობას უნდა შევხვდე.

მარიამი — მე კი აღარაფერი აღარ მიყვარს...

ანასტასია — გაჩუმდი! ეგ აღარ გაიმეორო!

მარიამი — რაც უნდა წინააღმდეგობა გამიწიო, ყეფით, ყაპყაპით, სტვენით, სისინით, მაინც მოგიყვები, ყურებზე ხელები რომც აიფარო, მაინც გაგაგებინებ... ვერსად გამექცევი.

ანასტასია — სად უნდა გავიქცე, განა ლოკოკინა ნიჟარიდან გარბის?

მარიამი — ხოდა, ვერსად გამექცევი... არ არსებობს მსოფლიოში მეორე ადამიანი, რომელსაც ასე ეხებოდეს ჩემი საიდუმლო, არ არსებობს ადამიანი, რომელიც შენზე უკეთესად გამიგებს მე.

ანასტასია — მეტი რაღა უნდა მითხრა! რა საიდუმლო უნდა იყოს იმაზე საშინელი, რაც უკვე მითხარი — შენი შვილი მე მოვკალიო და თანაც მინდოდა, რომ მომეკლაო! ეგა არსებობს ამაზე საშინელი საიდუმლო?

მარიამი — მოულოდნელად გული შემიხტა, ფანჯარას მივვარდი — ჩემი სახლის წინ იდგა... ბიუსტივით... ჩემს ოცნებაში სხვანაირად ვერც კი წარმოვიდგენდი, იმდენად მიუწვდომელი იყო ჩემთვის და საერთოდ მიჭირდა მისი ჩვეულებრივ, ცოცხალ ადამიანად წარმოდგენა...

ანასტასია — **(პაუზის შემდეგ)** გაჩუმდი! გიკრძალავ! არ თქვა!

მარიამი კიბეზე ჩავირბინე და მის წინ გავჩერდი...

ანასტასია — გაჩუმდი-მეთქი!

მარიამი — ნიკაპი თითით ამიწია და თმაზე ხელი გადამისვა...

ანასტასია — ღმერთო, გააჩუმე ეს ჯოჯო, დაამუნჯე!

მარიამი — ...თითქოს გამდნარი ოქრო გადამასხესო, ისეთი გრძნობა მქონდა... გატრიალდა და წავიდა. მე კი დარწმუნებული ვიყავი, ვერ მამჩნევდა, ვერ მხედავდა, როცა მზესუმზირასავით გაჩხინკული და დიდთავა თეატრის კართან ველოდებოდი, თითისწვერებზე შემდგარი. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი მაშინ და უკვე ორი წელი სრულდებოდა, რაც სხვას ვერავის და ვერაფერს ვხედავდი ამქვეყნად მის გარდა. სხვა არაფრის გაგონება არ მინდოდა და მეც მხოლოდ მისი ხმა ჩამესმოდა, მისი ამბებით ვიყავი სავსე, უფრო ზუსტად — თქვენი ამბებით. ვუსმენდი აღტაცების ოხვრას, სიამოვნების კრუტუნს, შურის სისინს უმწეობის წუწუნს, მორალისტთა კასტრირებულ შეგონებებს—როგორ აპირებდით ბრუკლინის ხიდიდან გადახტომას ხელჩაკიდებულები, როგორ გინდოდათ ჰაიტის დიქტატორისთვის ფუნიკულიორის სადგურის მიყიდვა...

ანასტასია — **(გაღიზიანებული, ნაძალადევი სიცილით)** — რად უნდოდა ჰაიტის დიქტატორს ფუნიკულიორის სადგური, რა თავში იხლიდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — მე ის ვიცი, რომ თურმე ამის გამო არ გაუშვეს მთელი დასი გასტროლებზე. გაფაციცებული ვიჭერდი ყველა ჭორს, თქვენზე ჭორებით სავსე იყო მთელი ქალაქი. ჭორი გულს მიკლავდა და თანაც ბოღმით ვიხრჩობოდი შენს მიმართ, თუნდაც იმიტომ რომ უკვე ორმოც წელს იყავი მიღწეული. წარმოგიდგენია — ეს რომ შეშურდება ადამიანს ვინმესი! მე კი — ახალგაბუმბლურ ბარტყს — მშურდა მთელი არსებით და საკუთარი თავი მეზიზღებოდა, ბავშვი რომ ვიყავი. სიცოცხლეს არ დავიშურებდი, ოღონდ მეც ორმოცი წლისა ვყოფილიყავი. შენი სახელიც მშურდა — ანასტასია, არ მეგონა, ამაზე უკეთესი სახელი მსოფლიოში თუ არსებობდა. უცნაურად სასურველი სიბილწეც ახლდა და ასევე უცნაური მუსიკაც. ანასტასია! — ვიმეორებდი მე — ანასტასია! და ამ მუსიკით ვთვრებოდი, ვბრუვდებოდი, თუმცა რაღა გაბრუება მჭირდებოდა ისედაც თავგზააბნეულსო!, ო, როგორ მძულდი, ო, როგორ მძულდი! არ არსებობდა ამაზე დიდი სიძულვილი...

ანასტასია — ტყუილად აფრიალებ სიძულვილს დროშასავით, მარიამ, სიძულვილი საკუთარი უმწეობის გამართლებაა, მეტი არაფერი.

მარიამი — **(არ უსმენს, განაგრძობს,)** — მაგრამ ამასთანავე და ეს იყო მთავარი, რაც ერთგვარ წონასწორობას მინარჩუნებდა უფსკრულის თავზე — მთელი ჩემი ახალგაღვიძებული სხეული მანიშნებდა, რომ მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც შენი ურცხვი სიცილის, შენი გამომწვევი სიარულის, შენი გრძელი პაპიროსის, ალისფერი ფრჩხილების, შეურაცხმყოფლად ამაყი მხრებისა და კატასავით მოთენთილი გაზმორების დამარცხება შეეძლო. როცა ის ჩემი სახლის წინ დავინახე — დაძაბული, ქუდმოხდილი, გუთნის ნიკაპიანი, სახეზე ქოჩორჩამოშლილი — პირჯვარი გადავიწერე, მაგრამ პირველი გამარჯვება, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა...

ანასტასია — გისმენ და მიკვირს, რა კარგი ლაპარაკი გცოდნია. უკეთესი იქნებოდა, შენს სიტყვებში სულ მცირედი სიმართლეც ერიოს.

მარიამი — ღმერთმა ხომ იცის, მართალს ვამბობ!

ანასტასია — ნუ გეწყინება და, ეს ყველაფერი ნაადრევად მომწიფებული, თავში სისხლავარდნილი ქალიშვილის მოგონილია. საწოლის ზმანებები...

მარიამი — ნიკაპი თითით ამიწია და თმაზე ხელი გადამისვა, თითქოს გამდნარი ოქრო გადამასხესო. მიყვარხარო, მითხრა...

ანასტასია — **(შეჰკივლებს, თითქოს უნდა პირზე ხელი დააფაროს)** — არა, არა, ნუ!..

მარიამი — და შუბლზე მაკოცა. დამდაღა. ნიშანი დამადო. თავის საკუთრებად მაქცია... მერე ისე დამცინა ღმერთმა, ისე გამასწორა მიწასთან, რომ მისი რძალი გავხდი...

ანასტასია — აი, ეს კი სიმართლეა, თუმცა სამწუხარო, მაგრამ მაინც სიმართლე.

მარიამი — საბედნიეროდ, შენი ირონია ჩემზე აღარ მოქმედებს. მე ახლა ჩემი ხანგრძლივი გამოცდილების ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მაცვია.

ანასტასია — **(სიცილით)** — საომრად მომზადებულხარ!

მარიამი — ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა უყვარს. ეს ღმერთის საჩუქარია, თუმცა ყოველთვის როდი ვექცევით მას საკადრისად. უმეტეს შემთხვევაში, ამ ღვთიური საჩუქრის არსი ჩვენთვის ბოლომდე ამოუხსნელი რჩება. შეიძლება იმიტომაც, რომ ძალიან ბევრს მოვითხოვთ მისგან ისე, რომ არ ვიცით, რა არის ბევრი და რა არის ცოტა. სინამდვილეში ის მეტად მარტივია, როგორც ყველაფერი ნამდვილად დიადი, რაც კი ადამიანის სანუგეშებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შექმნილი... **(ხმაგამოცვლილი)** ახლა მთავარია, ძალა მეყოს და ბოლომდე გითხრა სათქმელი...

ანასტასია — არ დაგიმთავრებია?

მარიამი — არა... ჯერ არა...

ანასტასია — ღმერთო დიდებულო!

მარიამი — ნუთუ შენ წონასწორობას არასოდეს კარგავ?

ანასტასია — ამას მე მეკითხები?

მარიამი — ნუთუ შეგიძლია ყოველთვის აუღელვებლად თქვა სათქმელი? საომრად მომზადებულხარო! დიახ, ეს ჩემი ომია, ომზე უარესი — წარღვნა, აპოკალიფსი რა ვიცი, რა შეიძლება იყოს კიდევ ომზე საშინელი? ჩემი შეცდომა და უბედურება ის იყო, რომ მეც მეტი მოვითხოვე მისგან. თუმცა ვინ მოქცეულა სხვანაირად! არ დავკმაყოფილდი იმით, რომ მიყვარდა, ვერ ჩავწვდი ამ საბედისწერო სიმარტივის აზრს. ამას მხოლოდ ახლა მივხვდი, სიბერეში...

ანასტასია — ალბათ მართლაც საშინელი გრძნობაა, გაჩნდე ამ ქვეყნად და არავინ შეგამჩნიოს, არავის უყვარდე. ამიტომ ზოგი თვითონ იგონებს სიყვარულს...

მარიამი — ხომ გითხარი, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მაცვია-მეთქი!

ანასტასია — ორივე ხელს ვწევ მაღლა. დღეს შეუდარებელი ხარ!

მარიამი — ვსწავლობთ, კარგი მასწავლებლები გვყავს! სულ ერთიანად ვკანკალებ. აი, ხელები გამილურჯდა...

ანასტასია — საკვირველია...

მარიამი — ღმერთმა დამცინა და იმისი რძალი გავხდი-მეთქი... არა, არავისი ბრალი არ იყო, ეს მე თვითონ მოვინდომე. ეს იყო იყო ჩემი ვერაგი, მიზანდასახული , ჯიუტი ქმედების შედეგი...

ანასტასია — მამა გიყვარდა და შვილზე გათხოვდი, თანაც საკუთარი სურვილით! კარგია, კარგი...

მარიამი — ჩვიდმეტი წლისა რომ გავხდი, სწორედ ჩემი დაბადების დღეს შევიტყვე მისი დახვრეტის ამბავი. ჩემთვის ეს იყო სტიქიურ უბედურებაზე მეტი. ჩემი ცხოვრების ნორმალური განვითარება შეწყვიტეს თუ შეცვალეს თითქოს... გზაზე რომ მიდიხარ და უცებ გზა ქვესკნელში ჩაინთქება — აი, ისე დამემართა. იმ დღეს დამთავრდა ჩემი ახალგაზრდობა.. მას მერე, შემიძლია ვთქვა, სულ ბებერი ვარ, რაც შენც შეამჩნიე. ამ მოურჩენელი ჭრილობით გავატარე მთელი ცხოვრება. ოღონდ სიცოცხლის ინსტინქტები ისევ ფეთქავდნენ ჩემში. სწორედ ინსტინქტების გამანადგურებელმა ლოგიკამ წარმოშვა ის ვერაგი განზრახვა, უფრო სწორად — შეშლილის რწმენა, რომ მისი შვილი, რომელიც მაშინ პირველ კლასში დადიოდა, იყო ის, ვინც მემკვიდრეობის უფლებით უნდა დაპატრონებოდა ჩემს არსებას, როგორც მამისგან დანატოვარ მიწას — ფეოდალი... ის იყო პრინცი, რომლის გაზრდასაც უნდა დავლოდებოდი, რათა გულში ტახტზე დამესვა. ალბათ ღმერთი ჩუმად დამცინოდა, რადგან ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მე ვფიქრობდი. ოღონდ, პრინცის ნაცვლად, საყდრის გლახა შემრჩა ხელში, რაიკომის ლოთი ინსტრუქტორი, რომელიც ლოთობის გამო რაიკომიდან ჩვენთან ბიბლიოთეკაში გადმოიყვანეს. ჩემთან შემოსვლა უყვარდა... ობოლი იყო, უმწეო, უნებისყოფო...

ანასტასია — არარაობა!

მარიამი — რძეს ვასმევდი ხოლმე. ლამბაქზე დაისხამდა და შიგ პურს ჩაიფხვნიდა... მწყემსის ობოლივით...

ანასტასია — კი, მწყემსის ობოლი იყო...

მარიამი — ნუ ბრაზობ ასე, გთხოვ.

ანასტასია — **(სიცილით)** — ო, მარიამ! მარიამ! ვერც დრომ, ვერც ასაკმა, ვერც კომუნისტებმა ვერ მომკლეს, შენ კი ნამდვილად მომკალი!

მარიამი — ზოგჯერ ისეთი საცოდავი თვალებით შემომხედავდა...

ანასტასია — შეიჩვიე, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — ხო, შემეჩვია...

ანასტასია — იცოდი, რაც აკლდა...

მარიამი — შეიძლება იმიტომ შემეჩვია, რომ სხვა არავინ იკარებდა ახლოს. არც არის გასაკვირი — რეპრესირებული მშობლები ყავდა, თანაც ორჯერ უარყო ისინი. ეს ყველამ იცოდა. თვითონ უყვებოდა ყველას. პირველი ამბავი შიშსა ჰგვრიდათ, მეორე კი — ზიზღს. დედამისი ახალი დაბრუნებული იყო ციმბირიდან. ო, რა საშინელ ამბებს ყვებოდნენ მასზე ანუ შენზე. ეს იყო ურჩხული, რომელმაც პირველი ქმარი, პირველსავე დღეს მოიდნო, მეორეს თავი დაახვრეტინა, თვითონ ათი წელი გადასახლებაში გაატარა, იქ კიდევ ერთხელ გათხოვდა, ახლა უკვე იაპონელზე. ჩამოსვლისთანავე ცნობილ ქართველ პოეტს გაჰყვა ცოლად, რომელიც ცოტა ხანში ჭერზე თოკით ჩამოეკიდა. თვითონ კი იმის ნაცვლად ქმარი რომ ეგლოვა, ღამღამობით არყით ილეშებოდა და იაპონურ სიმღერებს მღეროდა. შენი შვილი უკანასკნელი სიტყვებით გლანძღავდა ხოლმე, ძუკნას გეძახდა, მამის ღალატში გადანაშაულებდა...

ანასტასია — **(ფიქრიანად)** — მოგისმენია იაპონური სიმღერა?

მარიამი — რა თქვი? იაპონური სიმღერა? ალბათ... კი, მომისმენია.

ანასტასია — იმ უბედურ ჩემს შვილს ვინ ეტყოდა, რომ არავისთვის არ მიღალატია... როგორ შემცევდა უცებ... სხვათაშორის, მამაჩემიც მასთან თავშეფარებულმა ტერორისტმა მოკლა...

მარიამი — ჩვენთან ძალიან ცივა...

ანასტასია — დედა სხვაა, დედასავით მოქცევა სულ სხვა...

მარიამი — რა მითხარი?

ანასტასია — შენ ის გაცილებით ადრე მოგიკლავს, მარიამ!

მარიამი — არა არა, რას ამბობ!

ამ დროს გარეთ საშინელი სროლა ატყდება

— დაწექი, დაწექი ჩქარა!

სასწრაფოდ წვება

— დაწექი-მეთქი!

ანასტასია — არა, მარიამ... მე არაფერი მიჭირს... ტყვია ველარაფერს დამაკლებს...

მარიამი — ხომ ხედავ, ინგრევა ქვეყანა!

ანასტასია — გინდა იაპონურად გიმღერო?

სავარძლიდან დგება, იატაკზე შალს აფენს ზედ იჩოქებს, გულხელს იკრეფს

— და როცა მისი დროც მოვიდა,
როცა თქვა, ჩემი ბოლო ალუბალი ყვავისო,
მაშინ მოთოვა სწორედ...
გულხელი დაიკრიფა
და სიმღერა დაიწყო...

მღერის

— მერე გაჩუმდა... მთებზე თოვლი იდო.
ბარში კი ალუბალი ყვაოდა.
მათ შორის სიფრიფანა ცისფერი ზოლიღა იყო დარჩენილი...
და ამ ზოლს გადააბიჯა,
როგორც პაწაწინა ნაკადულს...

დაჩოქილი უხმოდ ირწევა, თითქოს ვიღაცას ესალმება თუ ეთხოვებაო

მარიამი — დედა!

სროლა კანტიკუნტად ისმის

— დედა!

ანასტასიას თავი მკერდზე ჩამოუვარდება და ასე გაქვავდება

მარიამი — **(წამოდგება)** — დედა!

სროლა ისევ ძლიერდება

— **(ოთახში დაეძებს, მაგიდის ქვეშ, თეჯირის უკან იხედება. ვერ ხედავს, რადგან ანასტასია აქ აღარ არის)** — კარგი, დედა, გეყოფათ თამაში. სად დამემალეთ? დედა, დედა! ბანზაი! სადა ხართ, სად მემალებით!

სროლა ძლიერდება

— დედა!

ტირილგარეული ხმით

ყაპ-ყაპ-ყაპ!..

□ დასასრული □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჩხენკელი

მორევი

რად გავს ის წამი — ფარდის აწევა,
პირველი ხილვა, ერთი შეხედვა
მზიან ამინდში მეხის დაცემას
ან უდაბნოში მგზავრის შეხვედრას?

ვერ მოერევა იმ წამს მორევით
ვერარა წამი, — გონს მოხვალ ვიდრე
უკვე ტრიალებს გულში მორევი
და შმაგი ბრუნვით უფსკრულში
გითრევს.

●

ეს ქალი დაქრის ვით ბედაური
და ვერ გაიგებ — ბედს მინდობილი —
ვისი სატრფოა, ვისი დობილი,
ვისი ნადობი თუ ნანდაური.

სად უღამდება, ვისი კარავი
აურჩევია ღამის სათევად,
ვისი ალერსის არის მპარავი,
ვის ემდურება, ვინ ენატრება.

არც საეჭველი რამე ხმაური,
არც უმცირესი რამ ნაკვალევი,
ეს ქალი დაქრის ვით ბედაური
ნაბადაკრული ცხენის ნალებით.

●

საოცარია და გასაკვირი
აულაგმავი შენი ლირწება,
აწყვეტილი გაქვს ყველა აღვირი,
თუმცა არ იცი თავდავიწყება.

აწ ეს სიშმაგე ვერრით დამცხრალი
მოგიბრუნდება პირქუშ გორგონად...
და შენს თვალებში — ბედზე
გამწყრალი —
ტირის პატარა, მორცხვი გოგონა.

●

და წაეფარა იმ სიყვარულს მდინარე მღვრიე
უშვერი ვნების, თავაწყვეტის, შმაგი ლირწების.
დღეს სხვა კაცია ხანდაზმული იგი — დე გრიე,
თუმცა კი ახსოვს დრო პირველი თავდავიწყების.

და უკვირს ახლა გულში ისევ რატომ გუბდება
იმ პირვანდელი სიყვარულის დაუნდობლობა
და რად იკვრება ვნების ცეცხლში ყინვის გუნდებად
კვლავ საშინელი დაეჭვება და უნდობლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

კარგი იყავი შენ პატრიცია,
მაცდური, მრუში და ცრუმეტყველი,
მაგრამ კეთილიც — შენი ღიმილის
შუქი ათბობდა ჩემს სიმარტოვეს.
გულით მიყვარდი, თუმც სიყვარული
შენ არ იცოდი, რადგან შენს გულში
ვესტას ტაძარის წმინდა ცეცხლივით
დღედაღამ ვნების ხანძარი ენთო.
ო, პატრიცია, დიადი რომის
გარეუბნების სიძვის დიაცო,
ვისთან ხარ ახლა, რომელი მამრის
სარეცელს ათბობს შენი სხეული.

●

და მიიწურა ეს წელიწადიც
ვით სიყვარული. დგას დეკემბერი.
მე არ ვთქვი და შენც არ დამიცადე,
არ შევაწუხეთ გრძნობა ბებერი.

ოჰ, ეს სიბერე! — ჩემთვის ზამთარი,
შენთვის იქნება ზაფხულის ბოლო
კუდის მოქნევა, — ვნების აფთარი
სიშმაგით ამ დროს იღვიძებს მხოლოდ.

არ იცდის დრო და შენც აღარ იცდი,
კვლავ იძირები ახალ მორევში...
მშვიდობით. გლოცავ, თუ არ დავიწყდი,
გწყევლი, შენს ნატვრას თუ ვერ
მოვეშვი.

იანუსი

ეს უცნაური იანვარი — თბილი და ცივი,
ორსახიანი პირფერობით რაღაცას უხმობს:
უკვე გარდასულს თუ მომავალს! — და გულში უხმოდ
მზებუდობაში დაშრეტილი სიცოცხლე კივის.

არ გათიშულა ჯერ ძველი და ახალი ჟამი,
ერთმანეთისთვის ჯერ სიბერეს და სიყმაწვილეს
არ უქცევიათ ზურგი, მაგრამ უკვე აწბილებს
აღმოსავლეთით ამომხდარი ვარსკვლავი ღამეს.

გინდა თუ არა, იხურება ერთი კარიბჭე,
მძიმე ალაყაფს ვებერთელას ჰკიდებენ ბოქლომს.
და აჰა, თავზე ძლიერი მზის გვეღვრება ოქრო
და მომღიმარი იანუსი სიმხნეს გვანიჭებს.

●

თვალები — ორი ცოცხალი მხეცი:
მშვიდი და შმაგი, ნაზი და მკაცრი...
და შემოსილი ლამაზი ბეწვით
მოდიხარ და მეც ბეწვის ქურქს მაცმევ.

ჩვენ ვკბენთ ერთმანეთს, ვეხვევით,
ვებრძვით,
სიკვდილს დავეძებთ ხარბი თვალებით,
და შემოსილნი ლამაზი ბეწვით
ერთმანეთს ვერსად დავემალებით.

ვეძებდით მუდამ და ახლაც ვეძებთ
ვებრძოდით მუდამ და ახლაც ვებრძვით,
ერთმანეთს, — ორი ლამაზი მხეცი,
ორი ნადირი მოსილი ბეწვით.

1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუმპე

ბზობასაც არ ვიშლით ჩვენ ბოზობას,
წითელ პარასკევს თვიურის სისხლით ვიღებებით.
დაბნელებული გვაქვს გული —
არაფერი გვიყვარს, არაფერი გვწამს!..
. . .
როგორ არა, როგორ არა! —
გვწამს მედინი წუთი.
გვიყვარს ღვინისსმა და თბილი ძუძუების სრესა,
შმაგი კოიტუსი — კაცებს,
ფასკუნჯის მესამე ლუკმა — ქალებს.
სიხარბისაგან ვიგრიხებით,
მსუნაგები ვართ!
ორგაზმია ჩვენი ღმერთი,
ჩვენი რწმენა — ღრეობის წუმპე.

●

შენ ლაჯებს შუა გიზის პატარა
ურჩხულის მსგავსი ქვეწარმავალი, —
დაუნდობელი, ურცხვი და ანჩხლი...
ის დაგატარებს მთვარეულივით
და დამშეული ფასკუნჯის მადით
გაპურებს, მაგრამ ვერაფრით გაძღობს.
შენი ძუძუთი არის გაზრდილი,
შენი სისხლით და შენი გულისთქმით,
შენსავ შიგანში ქვირითის მყრელი.

აღიარება შეკითხვით

მწამდა „ტყუ“ ძირი და ნაშობი მისგან „სი-ტყუ-ა“,
და არც ტყუილი მიკისრია მიდგომის ფასად,
როცა უნებურ სიბერიდან გამომიტყუა
შენმა რიოშმა სიყვარულმა, შენმა უსაზღვრო
ვნებათაღელვამ, რაც არა ცნობს დროსა და ასაკს,
რაც უფსკრულშია დამარხული, რაც ყრუა, რასაც
არ ახლავს გონი ცნობიერი, რასაც უსასო
დასასრული აქვს, რაც გვაშინებს და მაინც გვინდა,
ვიდრე ვიხილავთ ჩვენსავ სახეს გამოთლილს ქვიდან,
ქვიდან, რომელიც საფლავზე დგას!.. ოჰ, ეს ქვა-ძეგლი
ჩვენი სიცოცხლის, — საშინლად ყრუ, საზარლად მყისვე —
ასახავს განა ჩვენი ყოფის სიტკბოს და ხიფათს
წუთისოფელში? გვეტყვის განა გვირგვინი ეკლის
რად არის ჩვენი მეგზური და ცხოვრების მეკვლე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლობჟანიძე

ყველას გან მიტოვებული ზღვა

მოთხრობა

დათო პირს იპარსავდა და თან იმაზე ფიქრობდა, როდის დაიწყო აფხაზეთში ომი. არა, ოფიციალური თარიღი ძალიან კარგად ახსოვდა, კიდევაც რომ მოენდომებინა, მის დავიწყებას ვერც შეძლებდა, რადგან სამთავრობო ჯარების სოხუმში შესვლის დღიდან მხოლოდ და მხოლოდ მეორე თვე იწურებოდა. მისი ვონება ცოტა უფრო იქით, მოვლენათა ფესვებისკენ იყო მიპყრობილი და ზუსტი ადგილისა და მოქმედების დროის ძიებაში, ომის დაწყების აღდგენას ლამობდა. გასაპნულ სახეს სარკეში ყურადღებით დააკვირდა, თითქოს უცხო ადამიანს ათვალიერებსო და უაზროდ გამომზირალი თვალებით უკმაყოფილომ თეთრი ქაფით მოსვრილი ჯაგრისი კიდევ ერთხელ ჯიუტად მოისვა ნიკაპზე. საბაზანოს პატარა ფანჯრიდან, სექტემბრის თბილი მზით აფერადებულ სარკეში ქალის ლანდი გაკრთა, რომელიც შვილს ეს მერამდენედ ეკითხებოდა ერთი და იგივეს — სახლში როდის ჩამობრუნდებიო. ამ კითხვებითა და კიდევ იმით, რომ არ იცოდა რა ჩაეცვა, გაღიზიანებულმა ბიჭმა ზურგს უკან კარი მიაჯახუნა და ელექტრონათურა ჩართო. ლოყებზე წასმული თეთრი საპნის ფონზე თვალები უფრო ჩაუმუქდა. ჩაფიქრებული წარსულს ჩაბარებულ, იმ წუთში უკვე ომად ქცეულ ამბებს ჩხრეკდა და ტვინი გამალებით მისთვის მტკივნეულ კითხვაზე პასუხის გაცემას ლამობდა. არადა ის ხომ ყოველთვის გრძნობდა იმას, რომ აფხაზეთში ომი დიდი ხნის წინ დაიწყო. სხვებიც ხომ გრძნობდნენ ამას, სხვებიც ხომ ხედავდნენ? მერე?.. მერე დაჯექი და კერე... თავის თავს გამოაჯავრა დათომ. საიდან გამახსენდა ეს ბავშვობისდროინდელი გამოთქმაო, ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი.

„პერანგი გაგიუთოვე", კარს იქით მოისმა დედის დადარაჯებული ხმა.

როგორ არ გავდა ეს ხმა იმ ადრინდელ მზრუნველსა და თბილ ხმას, როდესაც შვილს მეგობრებთან ერთად ზღვაზე დასასვენებლად აცილებდა. ახლა კი შვილს, ქალის აზრით, იქ აცილებდა, სადაც ყუმბარებსა და ტყვიებს ისვრიან და ადამიანებს ბუზებივით ხოცავენ.

ბიჭსაც რაღაცნაირი გაორებული გრძნობა ჰქონდა, ვერ გაერკვია თუ როდის ჯობდა ზღვაზე ჩასვლა — მაშინ, როდესაც ჩიტივით მსუბუქი და უზრუნველი, მაგრამ ასევე დაუცველი იყო, თუ ახლა, როდესაც ოფიციალური მივლინებით დედაქალაქიდან საზღვარგარეთელი სტუმრები უნდა ჩაეყვანა საომარ მოქმედებათა ცენტრში. ახლა ის აფხაზებისათვის მტერი, მაგრამ მაინც ხელშეუხებელი პიროვნება იყო, მაშინ კი..

ვგავარ ნარკომანს? ერთხელ კიდევ შეავლო პაკუთარ თაკს სარკეში თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გამოხედვას სითბო და სიცხადე დაბრუნებოდა და თითქოს ირონიულადაც კი იყურებოდა. შეშუპებულ ქუთუთოებს მისი ახალი თანამდებობის კვალი აჩნდა... სარკეში თვალებს ღრმად ჩახედა, მოდუნებულ მზერაში საკმაოდ დამძიმებული სხეულის წონა შეიგრძნო.

არა, ასე აღარ შეიძლება: თუ სმას თავი არ დავანებე, მალე, ალბათ, ღიპიც დამედება. ამის გაფიქრებაზე სიმრგვალეშეპარულ მუცელზე შეშფოთებით დაიხედა. კარგი სანახავი კი ვიქნები მხრებგაჩხიკინებული და მუცელწამოზრდილი.

საზღვარგარეთელი სტუმრები... ნამეტანი ოფიციალური ხომ არ გავხდი, რა საზღვარგარეთელები ისინი არიან, მგონი სოხუმსა და გუდაუთაში ჩემზე ხშირად იქნებიან ნამყოფები.

თავიანთი გამყიდველი თანამემამულეების დასამოძღვრად მიდიან. რატომ არიან ისინი თანამემამულენი? ერთნი თავიანთ მშობლიურ მიწაზე ცხოვრობენ, მეორენი ჩვენს მიწაზე ცხოვრობენ და ჩვენვე გვეომებიან. ამაზე მეტი უნამუსობა შეიძლება? ებრაელები რომ ებრაელები არიან, საუკუნეთა განმავლობაში მათაც კი შეითვისეს სხვა ერების წეს-ჩვეულებები და მათ შესახებ ქვემოთ ნათქვამი უკვე ყურს აღარ ეხამუშება: ქართველი ებრაელი, რუსი ებრაელი, პოლონელი ებრაელი... სომეხი ყველგან სომხად რჩება... ნუ აჩმახებ, არც მთლად ასეა საქმე... განა ჯანაშია და გიორგობიანი არ იყვნენ, ერთი სიტყვაც რომ ვერ ათქმევინეს ქართულად? როგორი გულგრილობითა და შეუვალი სიმტკიცით გეუბნებოდნენ — ჩვენ ქართველები კი არა, აფხაზები ვართო. ხომ კარგად გახსოვს ივნისის ის თბილი საღამო, მეგობართან მისულს აღფრთოვანება თითქმის ტკივილად რომ გადაგექცა, პურ-მარილი მიატოვე და სახლში კუდამოძუებული გაიქეცი. შენს მეგობარსაც არ უდარდნია ძაან შენს წასვლაზე, მანაც სტუმრების — ბევრია შენს თავს; იმ სტუმრების, რომელთაც ახლა ხელში ავტომატი უკავიათ და შენს სისხლხორცს შეუბრალებლად მუსრავენ. მეორე დღეს თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე ყასიდად შეეკითხე თემოს, რა ქენი, ბიჭო, გააცილე სტუმრები?! თუმცაღა იმ წამსვე შენივე ხმის შეგრცხვა და შეკითხვა ასე გადააკეთე — რა ქენი, თემო, ცოლ-ქმარი გააცილე? ივნისის ნათელი და თბილი მზე ისე საამოდ აცხუნებდა სკვერს, რომ ირონიით ნათქვამი სიტყვები — ბიჭო და სტუმრები — იმ ნათელში რაღაცნაირად ყალბად გაისმა. საკუთარ თავში ბოღმის პატარა წინწკლები აღმოაჩინე, შეიგრძენი. შენ ამან უფრო გაგაფითრა, გაგაოგნა, ვიდრე იმან, იმ სახეთეთრმა — შავთვალა გოგონამ, როცა მთელი კატეგორიულობითა და ამასთანავე გულგრილობით მოგახსენა... დიახ მოგახსენა, კი არ მოგახალა; მას არც უცდია შენთვის გული ეტკინა, დაერწმუნებინე, არა, უბრალოდ, ჩვეულებრივად, შეიძლება ითქვას — სხვათაშორის, ცნობისათვის — ნუ ხართ ეს ქართველები ასეთი ჩერჩეტები — მერე რა მოხდა გიორგობიანი რომ ვარ, არ შეიძლება გიორგობიანი აფხაზი რომ იყოსო? არ შეიძლებაო, შენ მტკიცედ უპასუხე. ივნისის იმ თბილ ღამეს უპასუხე, იმიტომ რომ იმ წუთში შენ ასე გწამდა, ასე გჯეროდა, მეორე დილით კი ივივე ივნისის ნათელსა და თბილ მზეში წუხანდელ შენს მტკიცებას თითქოს ყავლი გაუვიდა, თითქოს გაშიშვლდა, გვარის წარმომავლობა გალღვა და მხოლოდღა გრძელ-შავთმიანი, სახეთეთრი, ოდნავ მოჭუტული თვალებით, თითქოსდა რომ გეკეკლუცებოდა კიდევაც, აფხაზი ქალი შეგრჩა. თუმცა შენ მეორე დილითაც არ იყავი იმაში დარწმუნებული, რომ იმ კეკლუცმა, თავისუფალქცევებიანმა გოგონამ ქართული არ იცოდა. არ ვიცი, თქვა და მორჩა, სხაპასხუპით მოგაყარა რუსული სიტყვები. ოცი, ოცდაორი წლის ხომ იქნებოდა ის გოგონა? აი, როდის დაიწყო ბრძოლა აფხაზეთში —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენდაკარგულმა თუ გონდაკარგულმა მამრმა საკუთარ ერს გამოუცხადა ომი, სასტიკი, ფარული, სისხლიანი და უკურნებელი...

ქმარმა, ახალგაზრდა ჯანაშიამ კი ამოღერღა რამდენიმე წინადადება ქართულად: უგულოდ, უგერგილოდ და თითქმის რაღაცნაირი ზიზღითაც, მაგრამ დათოს გაფითრებულ სახეს რომ შეხედა, შემცბარმა, შეშინებული ღიმილით ბოდიში მოიხადა. ბოდიში არა საკუთარი თავის გამო, არამედ ცოლის სიჯიუტისათვის — რას ვიზამთ, ქალებს ოდითგანვე მოკლე ჭკუა და გრძელი თმა აქვთო, ანდაზაც კი მოიშველია. დათო ამან უფრო გააბრაზა, რადგან კაცი თავის წამიერი სისუსტის დასაფარავად ცოლის ზურგს ამოეფარა. ამას, ალბათ, ის ინსტინქტურად მიხვდა, ტანმა უგრძნო, ალბათ დათოს თვალებში დაინახა საკუთარი დამანჭული ტუჩები და ცბიერი თვალების მოზეიმე ნათება, რომელიც სტუმრის ხელშეუხებლობისა და გაპრანჭული ქალის თვითდაჯერებულობის კედელს ამოფარებული ჯიუტად, გამაღიზიანებელი. მოსაბეზრებელი კილოთი აგრძელებდა გადაგვარებულ ქართველთა აფხაზური ჩამომავლობის მტკიცებას. შიგა და შიგ ხაზგასმულად დამახინჯებულ ქართულ სიტყვებს შორის, რაღა თქმა უნდა, პირზე ცბიერი ღიმილით, მოკრძალებული მობოდიშებით, გამართულ რუსულ სიტყვიერებას იყენებდა. ბოლოს ისიც კი დაამატა, რა სასულელია — მიწა მიწაა, ვისი ერქმევა რა მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰაერია ყველასთვის საერთო, ასევე მიწაცო... ამ სიტყვების წარმოთქმისას მან ეშმაკურად გაიღიმა და სმენადქცეულ ბიჭებს ღვინიანი ჭიქა მიუჭახუნა.

დათომ საპნიანი თასი ხელში უხერხულად შეატრიალა, შიგ ფუნჯი ამოაწო და საპონშემხმარ ყვრიმალებზე ერთხელ კიდევ ჯიუტად გაისვა.

რატომ არ შეასხი ის ღვინით სავსე ჭიქა სახეში, შენ ხომ ამის სურვილი გწვავდა, მთელი შენი არსება ხომ ამას მოითხოვდა. ამის გაკეთება შენ იმიტომ კი არ გინდოდა, რომ აფხაზი იყო, არამედ იმის გამო, რომ ის უკვე უჯიშო გამხდარიყო; ეს მან თვითონაც ძალიან კარგად იცოდა, ცბიერად მოციმციმე თვალებით ამას გეუბნებოდა და თითქოს გიწვევდა კიდევაც — მერე რა, აფხაზი თუ არა ვარ, ვისი რა საქმეა მე ვინ ვიქნებიო... შენ მისთვის კი არ გინდოდა სილის გალაწუნება, არამედ იმ მანჭვა-გრეხისათვის, რომლის მეშვეობითაც სხვა ადამიანი სულ სხვა ადამიანად გაჩვენებდათ თავს. შენც დიდი მოთმინებითა და სახეზე სულგრძელი კაცის ღიმილით ჭიქა მიუჭახუნე და მისი მშვენიერი ცოლის სადღეგრძელო დალიე. ამის შემდეგ იქ გაჩერება აღარ ისურვე, გამომშვიდობებისას ქალს ხელზე ეამბორე, ვაჟს ხელი ჩამოართვი და ბოლო სიტყვებიც უფრო შენი განსწავლულობის საჩვენებლად თქვი, ვიდრე ცოლ-ქმრის რაიმეში დასარწმუნებლად: რაც შეეხება ჰაერისა და მიწის ყველა ადამიანისათვის საერთოობას, შენი აზრი არაა, ეგ დოსტოევსკის „იდიოტიდან“ არის, და თუ შენ ნამდვილად იზიარებ მაგ აზრს, მაშინ რა გაყვირებთ, აფხაზეთი ჩვენი მიწაა, ქართველებო, აქედან წაეთრიეთო...

მერე, სახლისკენ მიმავალი მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, ის წინადადება მართლა „იდიოტიდან“ იყო თუ „ძმები კარამაზოვებიდან“, გადაჯიშებული ცოლ-ქმრის არსებობა სულ დაგავიწყდება, თითქოს შენთვის იმ წინადადებას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე გიორგობიანისა და ჯანაშიას გააფხაზებას...

დათომ გაჭრილ ნიკაპზე ცივი წყალი მოისვა, თავი უკან გადასწია და ყელის პარსვას შეუდგა. სისხლის წვრილი ხაზი ჭიასავით მიიკლაკნებოდა. დაბლა, თეთრი საპნის, შავი ბეწვებისგან ჭუჭყისფრადქცეულ, ბლანტ მასაში ერეოდა და იკარგებოდა.

ვინ იცის, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, თექვსმეტი ქართველიდან ერთერთი იმ ჯანაშიას ტყვიით იქნა მოკლული ამის დასამტკიცებლად — აი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა ვარ აფხაზიო და კიდევ იმ წამიერი შეკრთომის საფასურად, ერთი წლის წინ თბილისში ცოლის საქციელის გამო ბოდიში მოიხადა, როდესაც დათოს გაფითრებულ სახეს შეეჩეხა. აჰაო, დასცა ყიჟინა,დაუმიზნა ავტომატი და ესროლა ქართველებს. სინამდვილეში დათოს ესროლა, უფრო სწორად, მის გაკვირვებულსა და ზიზღჩამდგარ თვალებს დაახალა ავტომატის ჯერი — რა შენი საქმეა მე ვინ ვიქნები, შენ ვინ გეკითხება, აქამდე სად იყავი, აქამდე სად იყავითო!..

სად ვიყავით და... სუ, გეყოფა, გაჩუმდი თემურ, სირცხვილია, გაიგებენ, თავი მოგვეჭრება, ტუქსავდა მარგო თავის უგერგილოსა და უნაყოფო ქმარს...

ბიჭმა მეორე გაჭრილზეც თხელი ქაღალდი მიიწეპა... სუფთად გაპარსულ სახეს კიდევ ერთხელ შეხედა სარკეში: თვალებში შვება ჩადგომოდა, თითქოს მისდამი ნასროლ ავტომატის ჯერს გამოეფხიზლებინოს.

როცა უფრო ვფრთხილობ, სწორედ მაშინ უნდა დავისერო სახე.

სისხლით მოსვრილი ქაღალდის ნაგლეჯები მოიცილა, პირზე ცივი წყალი შეისხა, ფრუტუნ-ფრუტუნით კისერიც დაიბანა და აბაზანის კარს ქუსლი კრა, ფართოდ გამოაღო. დღის ნათელზე ნათურამ ელვარება დაკარგა. ბიჭმა თავი შეიმშრალა, ყელზე პირსახოცმიკრული დერეფანში გამოვიდა და ოთახში მოფუსფუსე დედას შეეკითხა, აფხაზეთში ომი როდის დაიწყოო. დედამ გამომცდელად შეხედა, დაღლილი თვალები ჩაუმუქდა და წყნარად, თავისთვის ჩაილაპარაკა — ომი აფხაზეთში, შვილო, მე რომ სტუდენტი ვიყავი, მაშინ დაიწყოო...

ჰაო, უცებ ვერ გააცნობიერა აბაზანაში შებრუნებულმა დათომ. ის სარკეში კვლავ დასერილ ყელს ისინჯავდა. მერე ჩაიბურტყუნა, შენ ხომ ორმოცდაათიანი წლების ბოლოს იყავი სტუდენტიო.

„არა, ის სიზმარი როდის ნახე, სიზმარი რომ მომიყევი"... ბიჭი თან იმაზე ფიქრობდა, რა ჩავიცვაო. პიჯაკი კიდევ ჰო, სექტემბრის ბოლოს, სალამოს ვერილება, რა ვიცი როდის ჩამოვბრუნდები, შეიძლება თვითმფრინავი აღარც კი იქნეს... თუ დამცხება პიჯაკს ხელში დავიჭერ, ყელსახვევს რა ვუყო, დასერილ ყელზე მოისვა ხელი: „აი, ის რომ მითხარი, აფხაზეთი განადგურდებაო"...

დედა ხმას არ იღებდა, აბაზანიდან შვილის გამოსვლას ელოდა, სამზარეულოში გაზქურასთან იდგა და აშიშინებულ ჩაიდანს დაჰყურებდა.

საოცარ სიზმარს მოუყვა დედა. ვითომდა მოხუცი ქალი გამოეცხადა ხელში მოთუხთუხე ქვაბით. ფლავი ბუყბუყებდა, მაღლა ამოსვლას ლამობდა, ჭურჭლის კიდემდე მოაღწევდა, ამოფუვდებოდა, თითქოსდა საცაა უნდა გადმოსულიყოს, მაგრამ ამ დროს გამობერილი ბუშტები ყრუ ტკაცანით სკდებოდა და მოთუხთუხე სქელი, ბლანტი მასა დაბლა ქვაბის ფსკერისკენ მიიწევდა. შავთავშალიანმა დედაბერმა დედამისს უთხრა, შვილო, აფხაზეთი განადგურდება, ხოლო ვინც გადარჩება, ის გვარს შეიცვლისო...

ვინ შეიცვლის გვარს, რომელი ძმა? ის, რომელიც აფხაზად წერია, თუ ის რომელსაც თავისი წარმომავლობა არ დავიწყნია და ისევ ქართველად იწერება? ყველაფერი ხომ თავის საწყის მდგომარეობას უბრუნდება, ბუნება ხომ გაურკვევლობას ვერ იტანს? შეიცვლის ის, ვინც ადრე შეიცვალა, უფრო სწორად — „გადმოიცვლის" — თავის ძირსა და ფუძეს დაუბრუნდება. ბუნებაც დაწყნარდება, დამშვიდდება, თავის კალაპოტში დაბრუნებული დაშოშმინდება. მე კი მინდა ასე, მაგრამ ასე მოხდება?

ახლანდელი მისი „ზღვაზე მივლინებით წასვლა", სულაც არ გავდა სხვა დროს ზღვაზე დასასვენებლად გამგზავრებას. მაგრამ ბიჭს სხვა სახელი ვერ მოეძებნა, რადგან ომში წასვლა რაღაც ხმამაღლა კი არა, უფრო თავის მოტყუებად ჟღერდა, თვითონ ის შინაგანად ამისთვის მზად არ იყო. უფრო სწორად, მან არ იცოდა ომი რა იყო, კინოფილმებში ნანახი და წიგნებში წაკითხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც გამქრალიყო და მისი გონება არაფრისმთქმელ, მშრალი კვამლივით მორიალე სიტყვა — ომს — ამოევსო, რომელსაც ვერც ხედავდა და არც ხელის შეხება შეეძლო, რაც უფრო მეტს იჭყლეტდა ტვინს, მისთვის მით უფრო გაუგებარი ხდებოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა, და მის ადგილს ყოველთვის სიტყვა ზღვა იკავებდა; მშვიდი, ლურჯად მოკამკამე წყალი, პატარა ტალღებით ნაპირს რომ ლოკავდა, გახურებულ ფეხებზე რომ ელამუნებოდა. აქ ყველაფერი ცხადი და ნათელი იყო, ბიჭმა ზღვის სუნიც კი იგრძნო და ყელში მლაშე წყლის გემოს მქონე ნერწყვი გადაყლაპა.

დიდ ფინჯანში ჩასხმული ქაფქაფა ჩაი მოხვრიპა, პურის სქელი ნაჭერი აიღო, საკარაქედან მარგარინს თხელი ფენა ჩამოაჭრა. საკარაქეო, ჩაეღიმა. მაინც ძველი სახელით მოიხსენიებდა ახლა სამარგარინედ გადაქცეულ ფაიფურის დაბალ, ფართო თეფშს, რომლის კიდეებსაც წარსულის მოსაგონრად თითქმის შეუმჩნეველი ყვითელი ზოლები აჩნდა.

„თუ გინდა სუფსაც გაგიცხელებ“... თქვა წყნარად დედამ, მაგრამ ბიჭის გაღიზიანებულ სახეს რომ შეხედა, სასწრაფოდ დაუმატა, „სახლში როდის დაბრუნდები?“

ხომ მომკლა ამისმა სუფმა და სიზმრებმა: რა ვიცი როდის დავბრუნდები, შეიძლება სულაც იქ დავრჩე.

„არ ვიცი, დედა. ჩავიყვან დელეგაციას სოხუმში“...

„შენ არ წახვიდე გუდაუთაში, შვილო, ხომ იცი ცუდი სიზმრები მაქვს“...

„ოჰ, შენა და შენი სიზმრები, კაცს ჭამას არ დააცლი წესიერად“... ბიჭმა თავის უხეშ, სიმივით დაჭიმულ ხმას მიაყურა, მერე დედის მოღუშულ დაძაბულ სახეს შეავლო თვალი და თვითონაც *მოიღუშა.*

რატომ ხდება, რომ ყოველი ჩემი გამგზავრებისას ჩვენს შორის ასეთი გაურკვეველი, ბოლომდე უთქმელი, უხერხული სიჩუმე წვება ხოლმე.

„არა, გუდაუთაში მე ვინ ჩავიყვანო. ალბათ, სოხუმში დაველოდები დელეგაციას“, თბილი, რაც შეეძლო ძალდაუტანებელი ხმით უპასუხა დედას.

ქალი იქვე სკამზე იჯდა. ბიჭი მის მზერას გრძნობდა, ისედაც ცხელ ჩაის კიდევ უფრო მეტი ხმაურით ხვრეპდა და მისი ყელიც რაღაცნაირ არაბუნებრივ ხმებს გამოცემდა — ყლუპ, ყლუპ, ყლუპ...

პირში ისევ ზღვის გემო იგრძნო. მარგარინია მარილიანიო, გააცნობიერა ბოლოს, მაგრამ ლურჯად მოლივლივე ზღვის ხატება მაინც აღარ მოცილდა. აფხაზეთი აქ არაფერ შუაშია, შუაშიც და თავშიც ზღვაა, ზღვის წართმევა უნდათ — იქით რუსებს, ზემოთ ჩრდილოეთ კავკასიელებს, აქით სომხებს... მე კი წვერი საგულდაგულოდ გავიპარსე, თეთრი პერანგი ჩავიცვი, ზედ ლურჯი ყელსახვევიც ჩამოვიკიდე. თავს ვის ვაწონებ? ყველაფერს ამას არ ჯობია, ხელში ავტომატი მეჭიროს და ვიბრძოდე...

„რა გიჭირს, შვილო, ჩახვალ და ჩამოხვალ... ჩაიყვან იმ სომხებს... მაინც რა უნდათ“... დედა თითქოს შვილის ფიქრებს მიხვდაო, ხაზგასმით წარმოთქვა წინადადების პირველი ნახევარი, მეორე ნაწილი კი ისე, იმ ხაზგასმულობის კვალის დასაფარავად მიაყოლა.

„დედა, რა ვიცი რა უნდათ“, დათომ პირიქით წინადადების მეორე ნახევარზე დასვა მახვილი. ახლა დედის ცრემლებიღა მაკლია, რომლებსაც აუცილებლად შემდეგი სიტყვები მოჰყვებოდა, არ დამღუპო, შვილო, შენ რომ რამე დაგემართოს, ხომ იცი, თავს აღარ ვიცოცხლებო.

აბა ადრე როგორ იყო, ნუთუ ასე აცილებდნენ შვილებს დედები?

„ნუ გეშინია, დედა“, ბიჭმა საბოლოოდ დაიმორჩილა თავი და დინჯად, რბილი ხმით თქვა, „არ დავრჩები, კიდევაც *რომ მოვიხდომო, იქ ვინ დამტოვებს,* ჯარისკაცების მეტი რა ყავთ“...

რატომ ვიხმარე სიტყვა ყავთ? ხომ უნდა მეთქვა, ჯარისკაცების მეტი რა გვყავსო, შეცბუნდა ბიჭი. ქალმა შვილს გუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შეცვლა შეამჩნია, თვითონაც შეშფოთდა და კვლავ რაღაცის სათქმელად მოემზადა. ბიჭმა დაასწრო, ცარიელი ფინჯანი მაგიდაზე დადო, სკამი ხმაურით უკან მისწია, დედას მზერა გაუსწორა და თქვა, დღეს საღამოს თუ არა, ხვალ აუცილებლად ჩამოვალო. მერე დინჯად, ზომიერი ნაბიჯებით საძინებელ ოთახში გავიდა, ზურგიან სკამზე გადაკიდული პიჯაკი ჩაიცვა, მაგიდიდან სიგარეტი აიღო და იქვე მუქ-ყავისფერ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას დასწვდა, რომელზედაც ოქროსფერი ასოებით ლამაზად იყო ამოტვიფრული — „ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი“. მაშინ რომ ეს საბუთი მდებოდა ჯიბეში? თუმცა როგორ მედებოდა, როცა საერთოდ არ არსებობდა ასეთი კომიტეტი. ახლა ეს საბუთი არსებობს, მაგრამ ის საბუთი აღარ არსებობს, რომლის ძალითაც თავიდან ბოლომდე გააშიშვლეს ამ ათიოდე წლის წინ სოხუმში, რკინიგზის სადგურის მილიციის განყოფილებაში. ისე ცხადად დაუდგა თვალწინ იმ გარდასული შემოდგომის წვიმიანი დღე, რომ უნებურად ფანჯარაში გაიხედა, ახლაც ხომ არა წვიმსო. არა, სარკმელს სექტემბრის თბილი, ოქროსფერი მზე მოდგომოდა. საათზე დაიხედა, თერთმეტი ხდებოდა. დრო ჯერ კიდევ მაქვს, სამსახურში თორმეტზე უნდა ვიყო, იქიდან მანქანით გავალთ აეროპორტში, თვითმფრინავი, მგონი, პირველზე მიფრინავს. ტანში უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა, მის წინ ღია კარადის სარკიდან გამომზირალ, ჯერ კიდევ კაცობაში შეუსვლელ ახალგაზრდას შეავლო თვალი. ახლა ის აღარც გამხდარი იყო და არც მსუქანი. მოციმციმე სარკიდან საშუალო ტანის, თვალებში სევდაჩამდგარი ბიჭი იყურებოდა. მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ხელი მოისვა, თითქოს თავიდან იმ მოქუფრული შემოდგომის დღის წვიმის წვეთებს იცილებსო...

...სადგურის კიბეზე, წვიმისაგან თავიდან ბოლომდე გალუმპული დათო სოხუმელ ბიჭს ელოდებოდა, სახეს ცხვირსახოცით იმშრალებდა და სადგურის წინ აქა-იქ გამკრთალ ქოლგიან ქალებს უყურებდა, ხანდახან გუბეებად დამდგარ წყალს შეავლებდა თვალს, ამიტომ ვერც კი შეამჩნია მასთან მოახლოვებული ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ტყავის თხელი ქურთუკი ეცვა. დათომ უცბად ვერ გააცნობიერა მისგან რას მოითხოვდნენ. თავიდან ის ბიჭი ნაცნობი ეგონა, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა გაიფიქრა, უცხოა, შეიძლება სიგარეტი უნდაო. იმან კი ჯიქურ მიახალა, თქვენი საბუთებიო. ისეთი კატეგორიული ტონით, ისე მბრძანებლური ხმით თქვა — თქვენი საბუთებიო, თითქოს დათო პატარა მაწანწალა ყოფილიყოს, ის უცნობი კი ინგლისის ძვალმსხვილი პოლიციელი... იყო კიდევ სხვა რაღაც გამაღიზიანებელი იმ აგენტის ხმასა და თვალებში — ქართულად მოლაპარაკე დათოს ის უცხოელად თვლიდა, სხვა ქვეყნის მოქალაქედ, რომელიც მის ქვეყანაში უსაბუთოდ მოგზაურობდა. ბიჭს ჯიბეში საბჭოთა მოქალაქის ისეთივე პასპორტი ედო, როგორიც მას, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილ აგენტს, და ამოღებაც დააპირა, მაგრამ როცა მის ბოროტად მოელვარე თვალებს შეხედა, უცებ გადაიფიქრა — რა საბუთი გინდა, ზღვაზე დასასვენებლად ვარ ჩამოსულიო. აგენტი ბიჭს სადგურის მილიციის განყოფილებაში „ეპატიჟებოდა“, ის კი თავის ახლობელს ელოდებოდა, ძველებურად წყლის გუბეებში წვიმის წვეთებისგან გაკეთებულ წრეებს უყურებდა. სადგურის შენობიდან ორი ფორმიანი მილიციელი გამოვიდა. აგენტმა მათ გასძახა. ამ დროს კიბეს დათოს ახლობლის მანქანაც მოადგა, გაჩერდა. კარი გაიღო და მანქანიდან გადმოსული ბიჭი მისკენ ღიმილით წამოვიდა. ისა და მილიციელები მასთან ერთდროულად აღმოჩნდნენ. რაშია საქმეო, იკითხა დაბნეულმა დათოს ახლობელმა, მერე აგენტს მიუბრუნდა, — ვერ ხედავ, ჩემთან არის მოსული, მე ხომ კარგად მიცნობო. არ ვიცი, უნდა შევამოწმოო, უარყოფის ნიშნად თავი გადაიქნია სამოქალაქო ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანმა აგენტმა. აფხაზი სუკელია, მაგისი ბოზი დედაო, გადაულაპარაკა ბიჭმა დათოს; წავალ, ვიღაცას ვნახავ, ახლავე მოვბრუნდებიო. თქვა და ისევ მანქანაში ჩაჯდა.

განყოფილებაში ბიჭი გაჩხრიკეს, ჯიბეში პასპორტი და ორას მანეთამდე ფული უპოვეს. ვენები გულდასმით შეუმოწმეს, მოყოლებული ხელის მტევნებიდან, იღლიებით დამთავრებული. „პრაკოლი“ რომ ვერ უპოვეს, ახლა პასპორტის სურათზე დაიწყეს ბოროტი ხუმრობა, შეხედეთ ნამდვილი „სანქცია“ არისო. იმ აფხაზ აგენტზე მეტად, ჯერ კიდევ გაუაფხაზებელი, მაგრამ ქართველობა-დაკარგული მილიციელები იღრიჯებოდნენ, სუკელს თვალებში შესციცინებდნენ, მის აშკარა სიამოვნებას ცდილობდნენ. ის კი იდგა სერიოზული. დინჯი, მათ ლაქუცს ყურადღებას არ აქცევდა და დათოს ბოღმიანი თვალებით უყურებდა. ეს უკანასკნელი დინჯად იცვამდა პერანგს, ჯინსის ქურთუკს. პასპორტი ფულთან ერთად ისევ ჯიბეში ჩაიდო, რაღაცით უკმაყოფილო მილიციელებს მიუბრუნდა, ღიმილით ხელი დაუქნია და ისიც კი უთხრა — კარგად იყავითო. განყოფილებიდან ათიოდე მეტრში ახლობელს შეხვდა, რომელსაც ვიღაც მაიორი მოენახა და მის დასახსნელად მოჰყავდა.

მაშინ რომ ეს საბუთი მქონოდა, რას ვიზამდი? არაფერს! ალბათ ისევე გავაჩხრეკინებდი თავს, ისეთივე ღიმილით გამოვეთხოვებოდი იმ მილიციელებს.

დათომ საბუთი ჯიბეში ჩაიდო, სიგარეტს მოუკიდა და დერეფანში მომლოდინე დედას უთხრა, წავედიო. მშვიდობით გევლოს, შვილო დედამ პირჯვარი გადაწერა, წინ წაუძღვა, კარები გაუღო ღიმილმორეულ შვილს.

ვერ არის საქართველოს საქმე კარგად' ისე მაცილებს, თითქოს მართლა ომში მივდიოდე. ამ დროს მისთვის რომ გეკითხათ, „მართლა ომი“ რა არისო, ვერ გიპასუხებდათ, რადგან თვითონაც არ იცოდა რა იყო „მართლა ომი“.

ქუჩაში ისეთი სიწყნარე ეფინა, თბილი მზე ენთო, რომ კაცს შეეძლო ყველაფერზე ეფიქრა, გარდა ომისა. ქუჩის ბოლოს, თვალმისაწვდენზე. ლუდის მოძრავი კასრი მოჩანდა. გვერდით, სახლის კედლის ძირში უბნის ბიჭები ჩაცუცქულიყვნენ.

აღარ მინდა ეს დალევა, თუმცა არაყი თუ არა აქვთ, ლუდს კიდევ არა უჭირს რა. დათომ სიგარეტი გააბოლა, ისეთი სახის მიღება დააპირა, თითქოს ძალიან მეჩქარებაო, მაგრამ თავისი გადაწყვეტილების უაზრობას იმ წამსვე მიხვდა და გულში გაეცინა.

„დათოს გაუმარჯოს, ასე გაპარსულ-დაბანილი საით მიიჩქარი, პახმელიაზე არა ხარ? მოდი, ერთად გამოვიდეთ“.

სისულელეა თავპატიჟის დადება. შეკრებილთ სწრაფი მზერა მოავლო. ყველანი აქ არიანო, გაიფიქრა. ყოველ შემთხვევისთვის საათზე დაიხედა, დრო ჯერ კიდევ საკმარისზე მეტი მაქვსო და ხმამაღლა მიესალმა ბიჭებს. ზოგიერთი გადაკოცნა კიდევაც. მისი ტოლები სახელდახელოდ მოწყობილ ქვის სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ, კედლის სიგრილესთვის შეეფარებინათ თავი. უმცროსები ფეხზე იდგნენ, ათლიტრიანიდან, ქაფიან, ღია თაფლისფერ ლუდს სახლებიდან გამოტანილ სხვადასხვა ზომისა და ფორმის კათხებში ასხამდნენ. ლუდის გვერდით ორი თეთრი, მაღალყელიანი არაყის ბოთლი იდგა.

რას არ დალევენ, ეგღა აკლიათ ლუდი უარყოდ მიხრთვან.

„ჩვენც ახლა დავიწყეთ, ყველას არც კი დაგვილევია პირველი ჭიქა“.

„რა თქვით, ვარგა ქე მაინც ლუდი?“ იქვე რუხი პურის ნატეხები და უკვე გასუფთავებულ-დანაწევრებული ცხიმიანი თევზის სქელ-სქელი ზურგის ნაჭრები ეყარა.

ბედი არ გინდა? თავი სპორტულ შარვალსა და მოკლესახელოებიან თხელ მაისურში წარმოიდგინა. ხელში არაყით სავსე. მოლივლივე ასგრამიანი ჭიქა შეატრიალა, თაფლისფერ ბოცას მოჭუტული თვალით გახედა და არაყი უცებ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრა. მეორე ხელში მიჩეჩებული ლუდის კათხა მიიყუდა, ბოლომდე გამოცალა, თან იმაზე ფიქრობდა, ამ დილაადრიან იმ ადუღებულ წყალს რა მალევინებდაო.

„თევზი მიაწოდეთ, თევზი“.

სუნი ამივაო, ამის თქმა დააპირა დათომ, მაგრამ უმალვე თავი შეიკავა, მიწოდებული პურისა და თევზის ნაჭრები გემრიელად ჩაღეჭა.

ოხ, აფხაზების დედა ავატირე, ჩვენებმაც გააჩმახეს საქმე, მაინცდამაინც ახლა მოუნდათ არძინბასთვის ჭკუის სწავლება...

„სოხუმში მივდივარ“, მიმართა ერთი კვირის წვერგაუპარსავ ოცდათხუთმეტ წლის ახალგაზრდას, რომელიც კედლის ჩრდილში ნებივრად იჯდა.

„აჰა, ზღვაზე მიდიხარ? კარგია ახლა ზღვა, ბარხატნი სეზონია“, — თქვა მან ჩახლეჩილი ხმით.

„იცოცხლეთქვა, ზღვა კარგია, ომი რომ არ იყოს“...

„ომი?“ ისე გაიკვირვა წვერგაუპარსავმა, თითქოს ეს სიტყვა პირველად გაეგონოს.

„კაიფში ხარ, გიო? უთხრა მას გვერდით მჯდომმა ბიჭმა.

„არა, ჩემი დედას გეფიცები, კაიფი და ყველაფერი ახლა აფხაზეთშია“...

გიო. რაღა დროს მაგის გიოობა, თვითონ არ უნდა რომ გიორგი დაუძახონ. ქართველებს გაზრდა არ გვინდა, სულ ვცდილობთ პატარებად დავრჩეთ, — მოვალეობის გრძნობა დავკარგეთ. მეც ასე არა ვარ? სამსახურში ხანდახან დავითს დამიძახებენ, მეჩოთირება, სულ მგონია, სხვას ეძახიან-მეთქი...

„როდის ჩამოხვალ?“ ლოყებზე ხელი მოისვა გიომ. „ჩვენი ძმა კარგ პურ-მარილს კისრულობს, იმ საქმეზე, შენ რომ ჩაუწყვე“...

ღმერთი სამობით არისო და მასაც ბევრი აღარ უუარებია. ერთი კათხა ლუდიც ჩამოცალა, ბიჭებს მადლობა გადაუხადა, თვითმფრინავში მთვრალი ჯდომა ტეხავსო, თქვა და გამოემშვიდობა. იქვე, სადაც ლუდს ყიდიდნენ, ვინ იცის რამდენი ხნის გაუტანელი ნაყარეკარა: თევზის თავები აქა-იქ ხორცშერჩენილი ძვლები, ჭუჭყიანი ქაღალდები და, რაღა თქმა უნდა, თუმცა წყალგარეული, მაგრამ მაინც წებოვანი ლუდის გუბეები. ცა კი ისეთი სუფთა, ისეთი კამკამა და თბილი იყო, რომ შეჭიკჭიკებული დათო ფილოსოფოსობის ხასიათზე დააყენა.

სადაც ადამიანია, იქვეა ნაგავი და ნანგრევები. უფრო შორს აღარ წასულა, რადგან, ჯერ ერთი, უკვე აგვიანდებოდა და მეორეც, ყელზე წაჭერილი ყელსახვევი აწუხებდა...

●

გარდა იმისა, რომ სომხები ტარაკანებივით შავები იყვნენ, დელეგაციის ოთხივე წევრს კიდევ ერთი თვალშისაცემი დეტალი აერთიანებდა — ყველას ჭრელი ყელსახვევი ეკეთა.

კიდევ კარგი ოთხნი არიან, ორ-ორი ერთად დასხდნენ, ეხლა მაგათთან ლაპარაკის თავი ნამდვილად არა მაქვს. გავიგეთო, აფხაზეთში სომხურ ოჯახებს ძარცვავენ ქართველი ჯარისკაცებიო. ის რატომ არ გაიგეს, იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, სომეხთა ბატალიონები რომ არის შექმნილი და ქართველებს საკუთარ მიწაზე აღარ გვაჩერებენ...

ყვავილს ყველა მწერი ეტანება, სილამაზე ყველას ხიბლავს. ლამაზად მოფარფატე პეპელა ყვავილზე წამით შეყოვნდება, მისი სურნელით ძალას მოიკრებს, და კვლავ ლურჯად მოლივლივე, მოლულუნე მზით გამთბარ კამკამა სივრცეს დაუბრუნდება. ამ პეპლებს ვგავართ ჩვენ, ქართველები. სომხები კი ის ფუტკრები არიან, რომლებიც ყვავილს ნექტარს წოვენ და თავიანთ ბუდეში მიარბენინებენ...

განა ის რაფაელი, შენ და მალხაზი ხან რაფოს რომ ეძახდით და ხან რაფიკას, ამ სილამაზის „განცდაში“ ყველანაირად არ გიწყობდათ ხელს? თვითონ კი ფუტკრის შესაშური დაუღლელობით დაბზუოდა ზღვასა და ხმელეთზე, სარჩო-საბადებელს აგროვებდა, მყარად ფუძ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნდებოდა მისთვის უკვე თავისად ქცეულ სხვის მიწაზე. საკუთარი მოტორიანი ნავით რომ გადაგიყვანათ გაგრიდან ხუთ კილომეტრზე გაშლილ, მალხაზის მიერ „თავისუფლების სავანედ“ მონათლულ, „დიკი“ პლიაჟებზე. მოტორის გამაყრუებელ გუგუნსა და მზის დამაბრმავებელი შუქით თვალმოჭრილებს, მოჭუტული თვალებით არ შემოგთავაზათ, ხომ არ მოწევთო? როგორ არ მოვწევთო, სიხარულით აჭყლოპინებულებმა უპასუხეთ, მისი ქვეშ-ქვეშა, დამცინავი გამოხედვისათვის ყურადღება არ მიგიქცევიათ, ხელიდან გამოგლიჯეთ შეკეთებული პაპიროსი. დაბოლილებს, მზის მცხუნვარებით, მოტორის გუგუნით დაღლილებს, იმ პეპელასავით, ყვავილზე დასასვენებლად რომ დაფრინდება, თქვენც ერთი სული გქონდათ ყვითელი ქვიშის პლიაჟზე როდის წამოწვებოდით — თქვენ მშობლიური მიწა მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად გჭირდებოდათ!..

დათომ საათს დახედა: ორს ოცი წუთი აკლდა.

როდის იყო საქართველოში რამე თავის დროზე კეთდებოდა. სალონს ხმაურით, გადალაპარაკებ-გადმოლაპარაკებით, ჩექმების ყრუ ბრაგვანით ფორმიანი ჯარისკაცები ავსებდნენ. თვითმფრინავის უკანა მხრიდან სიგარეტის სუნი მოდიოდა, მალე კვამლმაც მოაღწია, რასაც შეძახილები და პირველი სადღეგრძელო მოჰყვა. კახეთის ბატალიონიდან ვარო, თქვა უხილავმა. მხიარულმა ხმამ — რატომაც არ დავლევ, ომში იქნება კიდევაც მომკლან, სასმელზე რაღაზე ვთქვა უარიო. ეს სიტყვები არ იყო გულით ნათქვამი, ის გაგონილს ლაპარაკობდა — რომ ყოველ ომში სისხლი იღვრებოდა. მაგრამ ის უხილავი ბიჭი იმდენად პატიოსანი ჩანდა, რომ ვერც კი მალავდა თავისი ხმის თეატრალურობას, სცენაზე წარმოთქმული სიტყვების მიღმა, დაბლა — პირველ შრეში — ომში იქნება კიდეც მომკლანო — ის საპირისპიროს ფიქრობდა: რა ომი, რის ომი, თქვენ გიჟები ხომ არა ხართ? ხელდახელოდ შეგვყარეს, ფორმა ჩაგვაცვეს, ხელში ავტომატი დაგვაკავებინეს, ეს იყო და ესაო. იქ სახლში ქეიფს მომაცდინეს, აქ რაღაზე დავიკლოო. უხილავ ხმას ომი არც ენახა და არც ჰქონდა გაცნობიერებული თუ სად მიდიოდა; შესაძლო სიკვდილზე ხომ საერთოდ არ უფიქრია, ეს ისე, სალონში თავისუფლების მოსაპოვებლად — ხმამაღლა ლაპარაკისთვის, სიგარეტის მოწევისათვის და არყის სმისთვის თქვა... ომში იქნება კიდევაც მომკლანო...

ნახევარი საქართველო გალოთებულია, ნახევარი განარკომანებული, რითი გინდა ომის მოგება? სომხებმა, თითქოს შეთანხმებულები იყვნენო, ოთხივემ ერთად მიიხედა უკან, რა ხდება, ეს ყაყანი საიდან ისმისო. მათ კისრები მოღრეცოდათ და ამის გამო პირები ოდნავ ღია ჰქონდათ დარჩენილი, თითქოს უჰაერობას უჩივიანო.

საცაა, ალბათ, ნერწყვი წამოუვათ, ხომ შევთავაზე აეროპორტის გვერდით, ჯარისკაცებით სავსე სახინკლეში შესვლა. იმათ კი იუარეს. თავიანთ თავს დააბრალონ. გუდაუთაში არძინბა აჭმევთ ქართველების ხორცისაგან დამზადებულ კერძებს.

მეც კაციჭამია ხომ არ გავხდიო, უსიამოვნოდ შეიჭმუხნა დათო.

სალონში სიხალვათე იყო, მეტი წამსვლელი კარგა ხანი აღარ ემატებოდა. ბიჭმა ილუმინატორში გაიხედა. სატვირთო მანქანები თვითმფრინავს სცილდებოდნენ. მუშები ერთმანეთს ხელების ქნევით რაღაცას ელაპარაკებოდნენ, თითქოს ისინი სხვა სამყაროში იყვნენ. მერე კალთები ჩამოიფერთხეს და აეროპორტის შენობისკენ წავიდნენ. მალე ყრუ ჯახანი გაისმა, შემოსასვლელში წამიერი სიბნელე ჩამოწვა.

კარები დახურეს, ალბათ მალე გავფრინდებით.

სალონში სუსტი შუქი ჩართეს, რომელიც დღის მძლავრ სინათლესთან რაღაცნაირ კონტრასტს ქმნიდა, ვითომ ისინი, სადღაც, ცალკე წყალქვეშა ნავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ისხდნენ. დათოს მოპირდაპირე მხარეს ჯინსის შავ შარვალსა და ქურთუკში გამოწყობილ ცხრამეტიოდე წლის ბიჭს წინა თავისუფალი სავარძლის საზურგეები გადაეკეცა, ზედ გაშლილი ფეხები შემოეწყო და სქელტანიან წიგნს კითხულობდა. მუცელთან, წელში გაჩრილი პისტოლეტი მოუჩანდა. ავტომატი გვერდით ედო.

დელეგაციის ის ოთხი წევრი რომ არა, დათოს იმ წუთში გადაწყვეტილად არც კი შეეძლო ეთქვა, თუ რისთვის და სად მიდიოდა, რომ საქართველოში ნამდვილად ომი მძვინვარებდა და ამ ომში შეიძლება ის ბიჭი, ახლა გულდასმით წიგნის ფურცლებს რომ ჩაჰყურებდა, ანდა სულაც უკან მსხდომნი, არყით რომ ცდილობდნენ მათში უკვე, შორიდან, მაგრამ მაინც შეღწეული მაგიური სიტყვის ძალის დავიწყებას, დაღუპულიყვნენ...

დათომ ფეხები გაჭიმა, საზურგეს მიეყრდნო. თვითმფრინავი აგუგუნდა, ადგილს მოსწყდა და დიდი სისწრაფით წინ გავარდა...

... ის და მალხაზი ნავის უკანა მხარეს ისხდნენ, ზურგჩანთები ნავის ფსკერზე ელაგა. ნავი კი დიდი სისწრაფით ლურჯ, ლივლივა ზღვას მიაპობდა; უკან აქაფებული წყლის თეთრ, ფართო კვალს ტოვებდა. წინიდან სასიამოვნო, შვებისმომგვრელი ჰაერის ნაკადი სცემდათ, რომელსაც ნავის ქროლვისგან აშხეფებული ზღვის გრილი წვეთები მოჰქონდა. თეთრი, ქათქათა შენობებიანი მწვანეში ჩაფლული ქალაქი უკან რჩებოდა, წინ, მარჯვენა მხარეს უკიდეგანო ლურჯი ზღვა მტრედისფერ, უღრუბლო ზეცას ერთვოდა. ცაზე დაკიდებული დიდი, წითელი მზე თითქოს მათ მოსდევდათ, ვერ იქნა და ვერ გაასწრეს, სავსე ოქროსფერი დისკო სულ წინ ხვდებოდათ. მარცხნივ, მათ თვალსაწიერზე გადაშლილ სანაპიროზე დაპატარავებული ადამიანები ჩრდილებივით მოჩანდნენ; აქა-იქ თეთრი კარვები გაეშალათ. სკამის საზურგეს მიყრდნობილი ბიჭები რაფოს შავად მბზინავ თავსა და დაძაბულ, მზემოკიდებულ მხრებს ხედავდნენ. დროგამოშვებით ის თავს უკან მოატრიალებდა, ბიჭებს გაუღიმებდა, როგორიაო — ხმამაღლა ყვიროდა და მზის სხივებზე მბზინავ ოქროს ორ კბილს აჩენდა. იმ წუთებში, როცა ის უკან იყურებოდა, ნავი მიმართულებას კარგავდა, ლარივით გაჭიმული კვალი მრუდდებოდა, წონასწორობა დაკარგული ბიჭები ერთმანეთს ეხლებოდნენ და ასევე ხმამაღლა უყვიროდნენ — წინ იყურეო. მერე იმაზე ფიქრობდნენ, რაფიკა რას გულისხმობს, როცა გვეკითხება — როგორიაო? — იმას. მოსაწევი როგორიაო, თუ იმას — როგორ მოგწონთ ჩემი ზღვაზე ნავარდიო. ორივეს ენის წვერზე ადგა — კარგია, კარგიაო, მაგრამ ლაპარაკის თავი აღარც ერთს აღარ ჰქონდა. უფრო სწორად მათ უკვე ლაპარაკიც კი ეზარებოდათ და რაფაელის გაკრიალებულ ოქროს კბილებს ისინი ღიმილითვე პასუხობდნენ.

თვითმფრინავმა ჰაერში წრე მოხაზა. აეროპორტის შენობა და მისი შემოგარენი სადღაც შორს მოიტოვა. უკნიდან უკვე შეზარხოშებული ხმები მოისმოდა.

რა იყო, „შპრიცით“ ხომ არ შეისხეს. ასე უცბად რამ დაათრო?! ამათ რა უნდა იომონ...

„მომისმინეთ ამის დედა ვატირე, ვაგება არა გვაქვს? სულ ავაფეთქებ ამ თვითმფრინავს! აბა რა იყო, ერთი სადღეგრძელო არ უნდა მათქმევინოთ?..“

სომხებმა ყურები ცქვიტეს, შემკრთალი ღიმილით დათოს შეხედეს.

ამათ, მგონი, ქართული იციან, რა უცებ მოატრიალეს თავები.

არაფერიაო, დათომ წყნარად გადაულაპარაკა მათ.

დამშვიდებული, გრძნობამორეული ხმა დედის სადღეგრძელოს ამბობდა.

ახლა მალე შავლეგოსაც შემოსძახებენ, გვიყვარს ქართველებს ქეიფი და მოგვკალი თუ გინდა. დათომ უბანში მოქეიფე ბიჭებს გაუღიმა. იმ ორიოდე ბოთლ არაყზე გაჩერდებოდნენ? როგორ გეკადრებათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი კი მათ ცხვირის წინ საჭეს ჩაურენოდა და მის წინ უძრავ, მოკამკამე ზღვას ერთგვარი გულგრილობით გაჰყურებდა.

ალბათ ისიც სომეხთა ბატალიონში იბრძვის ჩვენს წინააღმდეგ. მაშინ კი იმ მცხუნვარე მზის ქვეშ რაფო ისე ტკბილად უღიმოდა, ისეთი ალერსიანი მზერით უყურებდა მათ, თითქოს ეუბნებოდა — იკაიფეთ, ბიჭებო, ახალგაზრდები ხართ, დატკბით ამ მზითა და ამ ზღვით, მეტი რა არის ჩვენი ცხოვრება, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთო. ნაპირზე მისულებს კი ოცდაათი მანეთი გამოართვა, ორი პაპიროსი. (მეტი ახლა ჯიბეზე არა მაქვსო), სიგარების პრიალა ქაღალდში ბალიშა კამფეტივით შეხვეული „ატრავა“ დაუტოვა და მიწაზე გადასულ ბიჭებს ზურგჩანთები მიაწოდა. ხომ კარგი იყოო, ხმამაღლა გაიმეორა, ბიჭების უხმო დასტური რომ მიიღო, რაც იმათი თავების კანტურით გამოიხატა, მეორე დღისთვის ჩამოსვლას დაპირდა. (დღეს უკვე გვიანია, აქეთ მომავალი კლიენტები აღარ იქნებიანო).

სალონში მართლა შავლეგო დააგუგუნეს. მღეროდნენ არეულად, ხმები ხშირად ბღავილში გადადიოდა, მაგრამ შექეიფებულ მომღერლებს ეს ეტყობა აღარ ანაღვლებდათ, რადგანაც უფრო მეტი ჟინითა და სიმძაფრით უწევდნენ ხმებს სულ უფრო მაღლა.

„დედას ვუტირებთ რუსებსა და აფხაზებს, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო“... გუგუნებდა თვითმფრინავის სალონი.

რაფიკა მეორე დღეს „თავისუფლების სავანეში“ არ ჩავიდა. ბიჭებმა კარვები მწვანედ აბიბინებულ ტყის სიღრმეში მოწანწკარე პატარა ნაკადულის გვერდით გაშალეს და მზის მცხუნვარებას გარიდებულები მოტორიანი ნავის ხმის ყოველ გაგონებაზე — ეს კი ნამდვილად რაფოაო, იძახოდნენ და ზღვისკენ კისრისტეხით გარბოდნენ. რაფიკამ თავისი საქმე კარგად იცოდა (როცა გელოდებიან, აუცილებლად უნდა დააგვიანო), მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ბიჭებს თუ ნამეტანი გააღიზიანებდა, შეიძლება უსიამოვნებაც შემთხვეოდა. ამიტომ მესამე დღეს ისევ დიდი ბოდიშებითა და მობრწკიალე ოქროს კბილების ღრეჭით სანაპიროს მიადგა. მგზავრებს ბარგის გადატანაში მიეხმარა და ნავსაყუდელთან ჩაცუცქულ ბიჭებს ერთი „პაკეტი“ მაცანი ჩაუტანა. რაფო, რაო, ხომ მშვიდობაო, დაცინვით მიუგდო მალხაზმა. მშვიდობაო, ვითომ დაცინვა ვერც კი შეამჩნიაო, ხმამაღლა მიესალმა მოქუფრულ ბიჭებს.

ერთი კვირის თავზე კვლავ ეწვიათ. ბიჭებს მისაცემი ფული დააკლდათ. ეგ არაფერი, ჩვენს შორის მაგაზე ლაპარაკი იქნებაო, თქვა და იმ ფულის სანაცვლოდ ათჯერ მეტად ღირებული რადიომიმღები წაიღო. ისინი კი რაფიკას „ატრავითა“ და რუსის ქალების სიშიშვლით გაბრუებულები მზის მცხუნვარე სხივების ქვეშ, ყვითელ ქვიშაზე ეყარნენ და ლურჯად მოლივლივე ზღვას გაჰყურებდნენ; დროგამოშვებით, უმიზეზოდ ხმამაღლა იცინოდნენ და მათ გვერდით ურცხვად წამოპლაკულ დედიშობილა ქალებს მკვრივ მკერდსა და ბარძაყებზე ეალერსებოდნენ...

კუდიანი მეფეს ეახლა და მოახსენა: დიდებულო მეფეო, ერთ რჩევას მოგცემთ, ქალაქის ირგვლივ განლაგებულ მტრის ბანაკშიო, ეშმაკურად ჩაიჩიფჩიფა უკბილო მოხუცმა, ჩვენი ქალაქის რჩეული ქალები გაუშვი, უდაბნოში ნახეტიალები მეომრები მათ დააცხრებიან, ბრძოლის სურვილი გაუნელდებათ, ჩვენ მტრებად აღარ ჩაგვთვლიან და ჩვენს ქალაქსაც ვეღარ აიღებენო...

ღამით, შორს, მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავების ფონზე, გაბრდღვიალებული გაგრა და ბიჭვინთა მოჩანდა. სუსტად მქროლავ ნიავს შორეული, გაურკვეველი მუსიკის ჰანგები მოჰქონდა. ზღვა ოდნავ. ყრუდ ხმაურობდა, პატარა ტალღებით ფოთლების შრიალისმაგვარი ხმით ელამუნებოდა გახურებულ სანაპიროს. ქვიშაზე წამოწოლილი, კაიფში მყოფი ბიჭები (უკვე ცალ-ცალკე თავიანთ ქალებთან) მშობლიური მიწისა და წყლის სუნთქვას კი აღარ უსმენდ-

ნენ, არამედ მათ მკლავებში აკვნესებული ქალების ოხვრაზე, მათი სიფხიზლედაკარგული, ჩამქრალი ტვინის რომელიღაც მივარდნილ კუნჭულში მაინც ოდნავ მბჟუტავი წერტილის წრეში მოქცეულები უხმოდ, ტანის რიტმს აყოლილნი გამალებულები ფიქრობდნენ — მართალია, როგორც ჰაერია ყველასათვის საერთო, ასევე მიწაცო...

მერე რუსის ქალებისგან ძალაგამოცლილნი, სომეხი რაფოსგან სიფხიზლეწართმეულნი, არა თუ იმ ქალაქს აიღებდნენ, სადაც მათი სამშობლოს მტერი გამაგრებულიყო და უნასთა ბუდესავით სისინებდა, არამედ აგერ, ორ ნაბიჯზე მოელვარე მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავებით განათებულ ქალაქებსაც ველარ დაიცავდნენ, საიდანაც (ღამის იმ უძირო სიმშვიდეში თითქოს თავიანთ დაუცველობას გლოვობენო) უხილავი, გაურკვეველი, მაგრამ ამასთანავე ნაღვლიანი მუსიკის შორეული ჰანგები მოისმოდა...

ახლა ის ქალები სნაიპერებად ყავთ, ხოლო რაფოები წინახაზის მოიერიშე მებრძოლებად.

უკანა სალონში სიმღერა დაამთავრეს და უხილავმა, სითბოშეპარულმა, არყისგან გაბრუებულმა ხმამ ახალი სადღეგრძელო წამოიწყო. დათომ იმ ხმას მიაყურა, მის პირდაპირ მჯდარმა ჯინსიანმა მეომარმა წიგნის კითხვას თავი დაანება და გაიყურსა. სომხები სავარძელში შესწორდნენ, თითქოს ისინიც სადღეგრძელოს უსმენენო...

„...ჰო, რა იყო, ბიჭებო, ჩვენს მტრებს გაუმარჯოთ, მერე რა რომ ჩვენი მტრები არიან, ხომ გაგიგონიათ — ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო... — ჰოდა გვიმტრონ, რასაც გამოგვრჩებიან იმასაც ნახავენ“...

მერე მალხაზი ომში წავიდა, ავტომატი დაიკავა ხელში. რას არ მოესწრება ცოცხალი კაცი, თქვა მაშინ დათომ, ვინ იფიქრებდა მალხაზი თუ იარაღს დაიჭერდაო. ოთხკაციანი ჯგუფი აფხაზების ზურგში ღრმად შევიდა და ერთ-ერთი ქართველი გლეხის ოჯახში გაჩერდა ღამის გასათევად. მზვერავთა იმ პატარა ჯგუფს აფხაზური შენაერთების, უფრო სწორად პარტიზანული რაზმების ადგილმდებარეობის გარკვევა ჰქონდა დავალებული. მასპინძელმა ვახშამი გაუწყო დაღლილსა და მოშიებულ ბიჭებს. მხედრიონელები ვართო, როცა უთხრეს, სახეზე უსიამოვნო ფერმა გადაჰკრა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თვალებში გამკრთალი შიშისა თუ გაკვირვების მეტი სხვა არაფერი დაუმჩნევია. მასპინძლის თოთხმეტი წლის ბიჭუნა თავიდან მორცხვად უყურებდა იარაღასხმულ მეომრებს, მაგრამ მალევე გაუშინაურდათ და ერთ-ერთი მებრძოლის ავტომატსაც კი წაავლო ხელი. მამის მკაცრ გაფრთხილებაზე იარაღს თავი დაანება და გაბუსხული ტუჩების ბერვით მეორე ოთახში დედასთან გავიდა. ოჯახის უფროსის თქმით, სოფელი სანახევროდ იყო დაცლილი. რაც შეეხება აფხაზ მეომრებს, ისინი დღემდე სოფელში არ გამოჩენილანო. შუაღამეს ბევრი აღარაფერი აკლდა, დასაძინებლად რომ დაწვნენ და დაღლილებს უმალვე მკვდრებივით დაეძინათ.

დილით საომარი მანქანის ხმაურმა გააღვიძათ. ალბათ ჩვენები შემოვიდნენო, გაიფიქრეს. მაგრამ უცბად არ გასულან, მალხაზმა ფრთხილად ფარდა გადასწია და ფანჯარასთან მკვდარივით გაფითრდა. ეზოში აფხაზი მეომრები იყვნენ, მათ წინ მასპინძლის თოთხმეტი წლის ბიჭუნა იდგა და იმ ოთახისკენ ათითებდა, სადაც მათ ეძინათ. მტრის ტყვიამფრქვევი პირდაპირ მათკენ იყო მოშვერილი. მასპინძელი არსად ჩანდა. ერთმა მეომარმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წამოდგა და ოთახში მყოფ ბიჭებს დაუძახა — ვიცით, რომ ოთხნი ხართ, თქვენს წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, ტყვედ დაგვნებდითო. ოთხივემ ერთმანეთს უხმოდ გადახედა, რა ვქნათო. იმ პატარა ნაბიჭვარმა ჩაგვიშვა, ხედავ? გველისწიწილი... მოწინააღმდეგის რაზმი დიდი ჩანდა: ოცი კაცი, საბრძოლო მანქანა, რომელიც პირდაპირ კედელთან მოაყენეს და, ალბათ, იმ ბიჭის მიერ ჩადენილი საქციელის საზღაურად არ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ესროდნენ სახლს ყუმბარას. სმენაგამახვილებულ ბიჭებს გარედან ბავშვის ლაპარაკიც კი ესმოდათ, რომელიც მეომრებს გაცხარებით ერთსა და იმავეს უმეორებდა — ოთხნი არიან, ოთხივე პრეზიდენტის მოღალატეა, ხომ დაიჭერთ მაგენს, დედამ თქვა, მოღალატეები არიანო...

მალხაზს ცივმა ოფლმა დაასხა, დანარჩენებს გადახედა, ერთ ადგილზე გაქვავებულებს იარაღის აღებაც ვერ მოეხერხებიათ.

ამ ქვეყანაზე მხოლოდ ის არის შეუძლებელი, რომ გიჟი თავის სიგიჟეში დაარწმუნო, მაგრამ ამ ბავშვის სულს რაღას ერჩოდა, რამდენი ასეთი ოჯახი გაუბედურა.. მისი ბოროტი სვლა გრძელდება, ჯერ კიდევ ზეიმობს. ამ ბავშვის რა ბრალია, ჭურს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს... გაახსენდა მისმა პატარა დამ რომ მამასთან დაასმინა — ბიჭებში სიგარეტს ეწევაო. კაცს ხმა არ ამოუღია, მეორე ოთახიდან გოგონას სქელტანიანი გადაშლილი წიგნი გამოუტანა და უთხრა თუმცა ქალი ხარ, მაგრამ რომ გაიზრდები შეიძლება ბიჭი გეყოლოს, გიჯობს ეს მოთხრობა წაიკითხეო. ისე ჯობდა მამამისსაც ასეთი მოთხრობები ეწერა.

დედას თითქოს გულმა უგრძნო, ჯარისკაცების მხრიდან გამოვარდა, ბიჭს მკლავში ხელი დასტაცა და სახლის უკან წაიყვანა. მალხაზმა კისერმოღრეცილი ბავშვის მოზეიმე თვალებს შეხედა და მიხვდა, რომ სიკვდილი მასთან იქვე, გვერდით იდგა. ოთახში მძიმე სუნი დატრიალდა, ვიღაცამ შარვალში ჩაისვარა. მწარედ ჩაიცინა და ისიც დაიჯერა, ახლა მატეო ფალკონე რომ თვითონ ყოფილიყო, ხოლო ის ბიჭუნა მისი შვილი, ალბათ, იმასვე გააკეთებდა, რაც ფალკონემ გააკეთა... თვალწინ თავისი დისშვილი, ამ ბავშვის კბილა ბიჭუნა დაუდგა, რომელსაც საკუთარი სახე ამ ბავშვის სახით შესცვლოდა, ოღონდ თვალები მოზეიმე კი არ ჰქონდა, არამედ, პირიქით, ჩაფიქრებული და სევდიანი. არა, მაინც ვერ გავიმეტებდიო, გულში თავისთვის გაიმეორა და ფერდაგაწეული პატარა ფანჯრიდან ნათელ, თბილ მზეს შეხედა. ჯარისკაცების ყაყანი და ამუშავებული საბრძოლო მანქანის ხმაური აღარც კი ესმოდა. ნახევრადშემოტრიალებულმა ადგილზე გაქვავებულ მეგობრებს შეხედა თვალებში აღარც შეკითხვა ედგა და აღარც მათი პასუხი აინტერესებდა, მისთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო, უბრალოდ მას მოსვენება უნდოდა, როდესაც აღარავის შეაწუხებდა და აღარც თვითონ შეწუხდებოდა.

მაგრამ ჩემი და მტრის ჯარისკაცების სიკვდილი ხომ ბავშვს დაედება ცოდვად, მთელი ცხოვრება გატანჯავს, სწორედ ვიქცევი ვითომ?

ბიჭუნა რა შუაშია, ბრმა იარაღია, მე მის აზროვნებას ვებრძვი, ცოდვები მას მოეკითხება.

ვინ იცის, აფხაზები რა შეურაცხყოფას მოგაყენებენ, შეიძლება ისეთი რამეც კი გაკადრონ, რაც ვაჟკაცისთვის სიკვდილზე უარესია.

ღმერთო, ჩემი ცოდვილი სული შენთვის მომიბარებია, პირჯვარი გადაიწერა მალხაზმა. გამოვდივართო, ხმამაღლა დაიძახა, საწოლის ქვემოდან ხელყუმბარა გამოიღო, ზედ არც დაუხედავს, მარცხენა ხელით რგოლი გამოაძრო და კარისკენ წავიდა სანამ ავტომატმომარჯვებული მოწინააღმდეგე შესძახებდა — ხელები, ხელებიო, მან ხელყუმბარა საბრძოლო მანქანის უკან შეჯგუფებულ მებრძოლებში ჩააგდო. იმ წამსვე ავტომატის ჯერი მკერდში სეტყვასავით ეძგერა და ზურგზე გადააქცია...

რამ წამოუარა ნეტავიო, ეუბნებოდა ერთ-ერთი გადარჩენილი მებრძოლი დათოს ტყვეების გაცვლის დროს. დღესაც ხომ ცოცხალი იქნებოდა, ვინ იფიქრებდა, მალხაზი თუ ასეთ რამეს იკისრებდაო...

დათო გაძვალტყავებულ, წვერმოშვებულსა და თვალებში ნაღველჩამდგარ ბიჭს უსმენდა, რომელიც ფიქრებით ისევ იქ, იმ სახლში იმყოფებოდა, სადაც ის თავის ორ მეგობართან ერთად ტყვედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიყვანეს, სადაც მალხაზმა მისივე თქმით, ოთხი მეტრის მებრძოლი გაიყოლია თან. ის ყრუ ხმით, სრულიად გულგრილად, ისე რომ არც თავს იმართლებდა, არც თავი დამნაშავედ მიაჩნდა, ყვებოდა: აფხაზებს ჩვენი შტაბი აეღოთ ბიჭებს საომარი მანქანა ვერ დაუძრავთ და იქვე მიუტოვებიათ, მტერს კი ის მანქანა აუმუშავებია და იმ სოფლისკენ წამოსულა, სადაც ჩვენ ოთხნი ვიყავითო.

დათოს შეკითხვაზე, იმათ რა იცოდნენ თქვენ სად იყავითო, ბიჭმა ერთგვარი ხალისითაც კი განაგრძო — არა, რა თქმა უნდა, ისინი ჩვენი გულისთვის კი არ წამოსულან იმ სოფელში, თავში აზრადაც არ მოუვიდოდათ ასე სულელურად, მათ ზურგში ასეთ სიღრმეზე თუ შევიდოდით. სოფელში შემოსვლისას გაიგეს ჩვენი იქ ყოფნა, იმ ლაწირაკმა მოგვაყენა კარზეო...

დათოს ნათქვამზე, თქვენ თუ იცით, რამხელა ცოდვას იდებთ კისერზე, ბავშვის გამცემლობაზე რომ ლაპარაკობთო, მან მშვიდად უპასუხა — თავიდან ეზოს წინ ბიჭუნა საბრძოლო მანქანასთან რომ დავინახეთ, გაგვიხარდა კიდევაც, რადგანაც ჩვენი შტაბის მანქანა ვიცანით და ვიფიქრეთ, ჩვენები აქეთ წამოსულანთქო, მაგრამ ის თურმე მტერს ელაპარაკებოდა.

„შეიძლება მასაც ჩვენები ეგონნენ, ა?"

„ჩვენები? ო, არა, რას ამბობ"...

იმ ბიჭუნას რა ერქვა ხომ არ გახსოვსო, შეეკითხა დათო; მართლა, რამდენი წლის იყო? დაუმატა იქვე, არ მახსოვს, რაღაც უცნაურ სახელს ეძახდა დედამისი; წლოვანებით, რა გითხრა, ვერც კი შეატყობდი, რამდენი წლის იყო, შეიძლება თოთხმეტის, შეიძლება თექვსმეტის. სულ დაბლა იყურებოდა, ლაპარაკისას თვალებში არ შემოგხედავდა, თანაც ბნელოდა იქ როცა მივედით, მეორე დღეს კი იმის თავი ვიღას ქონდა მისი წლოვანება გვერკვია... რა იმის ბრალია, მისი მშობლების ბრალია ყველაფერიო, თითქოს გულიდან მძიმე ტვირთი მოიცილაო, ბოლო წინადადება ერთგვარი შვებით წარმოთქვა ტყვეობაში ნამყოფმა.

მშობლების ბრალი?! მაშ იმ ოჯახში ეს სიტყვები არ თქმულა: „დედაკაცო, ჩემია თუ არა ეს ბიჭი"... ნეტავი კიდევ დიდხანს თუ იცოცხლა მატეო ფალკონემ?..

სალონი ახმაურდა, დათო გამოერკვა, ილუმინატორში გაიხედა. უკვე ზღვის თავზე იყვნენ, თვითმფრინავი დაცარიელებულ სანაპიროზე დაცემულ თავის მკრთალ ჩრდილს მიჰყვებოდა. ზღვასაც თითქოს სილურჯე დაჰკარგვოდა, მის ზედაპირს მკრთალი ბაცი ფერი ედო. ჯარისკაცებს ქეიფი დაემთავრებიათ და ჩასასვლელად ემზადებოდნენ. აეროპორტის შენობის წინ ხალხის მოზრდილი ჯგუფი გამოჩნდა და თვითმფრინავის ბილიკზე დაშვებისთანავე მისკენ დაიძრა. დათოს პირდაპირ მჯდარმა ჯინსებიანმა ბიჭმა წიგნი დახურა და ზურგჩანთაში ჩადო. შემდეგ წელში გარჭობილი პისტოლეტი მოისინჯა, ცალი ხელი ზურგჩანთას წამოავლო მეორეში ავტომატი დაიკავა, ჯერ დათოსკენ შემობრუნდა, თითქოს რაღაცის კითხვა უნდაო, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს, გასასვლელისკენ უხმოდ წავიდა.

თვითმფრინავზე მიმდგარ ტრაპს ხალხი ჭიანჭველებივით მიესია. ორ რიგად ჩამწკრივებული ავტომატიანი ჯარისკაცები მათ უბოდიშო მუჯლუგუნებით იგერიებდნენ და ხმამაღლა ყვიროდნენ, უკან, უკან დაიხიეთ, თვითმფრინავიდან ჩამოსულები გაატარეთო. ყურისწამღები წიაქი იდგა, ვინ ჩემოდნებს მიათრევდა, ვის ჩანთები ეკავა, ერთ მამაკაცს ველოსიპედიც კი გაედო მხარზე. ტრაპის კუთხეში მიმწყვდეული ქალი შესაზარად კიოდა, ბავშვს მაღლა აღმართული ხელებით ჰაერში იჭერდა; რადგან უკან მიბრუნება არ შეეძლო, მის წინ კიბის საფეხურზე მდგარ ჯარისკაცს შესძახოდა სახეში — რას შვრებით, მხეცებო, ბავშვი არ გამიჭყლიტოთო.

ვთქვათ ქალები და ბავშვები მიდიან, მაგრამ ეს კაცები?! დათომ ზორბა, თეთრპერანკიან კაცს შეხედა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ადამიანური სახე დაეკარგა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, გამალებით ქშინავდა და მხრების ენერგიული მოძრაობით გზაზე, ვინც კი წინ შეხვდებოდა ყველას თელავდა.

ცხრა აპრილსაც მართლა ასე ხომ არ იყო? ბიჭმა მის გვერდით მდგარ სომხებს შეხედა, მათი თვალების დანახვას შეეცადა. ისინი არაფრისმთქმელი, დაღლილი მზერით უყურებდნენ ბრბოს, ეტყობოდათ უკვე დიდი ხანი მიჩვეულნი იყვნენ ასეთ სანახაობას. რამდენიმე კაცს საიდანღაც კიბე მოეტანა, თვითმფრინავის თავთან, მფრინავების გამოღებულ კართან მიედგა და ზედ მიცოცავდა.

მფრინავებიც ფულს აკეთებენ, ჯარისკაცებიც ფულს აკეთებენ და, საერთოდ, ამ ომიდან ყველა რაღაც გამორჩენას ელის...

იქით შავფორმიანი სამხედრო პოლიციელი, გვარდიის ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცს ეკამათებოდა, იარაღის თბილისში წაღება არ შეიძლებაო. ეს უკანასკნელი, როგორ თუ არ შეიძლებაო, ყვიროდა, ჩემს საკუთარ ავტომატს აბა თქვენ ხომ არ დაგიტოვებთო. მალე ეს კამათი ყვირილსა და გინებაში გადაიზარდა. აეროპორტის კომენდანტი რომ არ გამოჩენილიყო, იმ იარაღს, ალბათ, სიამოვნებით დააცლიდა გვარდიელი პოლიციელს; თქვენი ბოზი დედაო, იგინებოდა ულვაშიანი ჯარისკაცი, თან გამალებით ასფალტზე იფურთხებოდა. თვითმფრინავიდან სატვირთო მანქანებში თბილ ქურთუკებსა და პროდუქტების სხვადასხვანაირ ყუთებს ცლიდნენ.

ჰოო, დათომ მზეს შეხედა. ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. რა დროს თბილი ქურთუკებია ჩანს არც ისე იოლად არის საქმე, როგორც ხალხს წარმოუდგენია, ნუთუ ომი ზამთარშიც გაგრძელდება?

დათოს გამხდარი ბიჭი მიესალმა, შემდეგ სტუმრებსაც ჩამოართვა ხელი. აეროპორტის გასასვლელში, მზის გულზე, პირდაპირ მიწაზე ჯარისკაცები წამოგორებულიყვნენ და ერთმანეთს ლაზღანდარობდნენ.

მესამე დღეა აქ გვაყურყუტებენ, შესჩიოდა ერთი მეორეს. ასე არ გვითხრეს ოჩამჩირეში უნდა წაგიყვანოთო? რატომ არ მივდივართ?

მართლაცდა რატომ არ მიდიან, დათომ მათ ჭუჭყიან სახეებსა და იქვე მიყრილ ლუდის ბოთლებს მოავლო თვალი, მერე საათს დახედა — სამის ნახევარი ხდებოდა. მეც სიამოვნებით დავლევდი ერთ კათხა ლუდსო, ნერწყვი გადაყლაპა. ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, ამ გამხდარმა ბიჭმა როგორ მიცნო, ცხოვრებაში პირველად ვხედავო. თუმცა ჩვენს ცნობას რა უნდოდა, ამ ალიაქოთისა და ქაოსის ფონზე ჩვენს მეტი, პიჯაკებსა და ყელსახვევებში გამოწყობილი, სხვა ვინ არისო.

აეროპორტის დირექტორის კაბინეტში სიგარეტის ბუღი იდგა. კაბინეტი სიტყვაზე ითქმის, თორემ ის მოზრდილი ოთახი სადგურის მოსაცდელს უფრო გავდა. ჩია ტანის კაცი მათ ფეხზე წამოუდგა და, სათითაოდ, ყველას გულდაგულ ჩამოართვა ხელი. ვიცი, თბილისიდანაც დარეკეს, ჩვენგანაც, მარჯვენა სადღაც მაღლა აიშვირა, გუდაუთაც თანახმაა, ოღონდ მარტო დელეგაციის წევრები ჩამოვიდნენ, გამცილებელს არ მივიღებთ, ქართველის დანახვაც არ გვინდაო. ტელეფონმა დარეკა. ერთი წუთითო, ბოდიში მოიხადა, ყურმილს დასწვდა და ალო, ჰო, ალოო, ხმამაღლა ჩასძახა.

დათომ ოთახი მოათვალიერა. მათ გარდა კიდევ ოთხი-ხუთი კაცი იმყოფებოდა იქ, რომლებმაც ტელეფონის ზარზე ლაპარაკი შეწყვიტეს. კედელზე საბჭოთა კავშირის გადიდებული რუკა ეკიდა. იქეთ თვითმფრინავის ლამაზი სურათი მიეწებებინათ, რომლის ქვემო ნაწილზე თეთრი, ლამაზი შრიფტით გასული წლის კალენდარი იყო დაბეჭდილი. კაფანდარა კაცი ლაპარაკს მორჩა, ყურმილი დადო და უმისამართოდ თქვა. ლოთი იყოო. ვინ იყოო? ოავიდან ვერ მიხვდა დათო. ჰოო, ლოთი, გააცნობიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მერე. ოთახში მსხდომთ სახეზე მოწ-ყალე ღიმილი გამოეხატათ, ისეთი, კაცს რომ ონავარი ბავშვის ანცობაზე გაეცინება ხოლმე. რაო, დავაბრუნებო? იკითხა ვიღაცამ. ჰოო, თქვა კაფანდარამ, საწვავი ჩამოიტანეთ, ჩაასხით და წაიყვანეთო. როგორია, ჰა, გააგრძელა ცოტა ხნის შემდეგ, მეორე ვერტმფრენიც რომ წაგვართვას საწვავთან ერთად, შეიძლება მისი ნდობა? რა ვიცი, თვითონვე უპასუხა თავის ეჭვებს და თავი გადააქნია.

მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, დათოს მიუბრუნდა, ასე ვქნათ ბატონო — დავითო — სიტყვა შეაშველა გამხდარმა ბიჭმა და დათოს გაუღიმა. ასე ვქნათ, ბატონო დავით, — მტკიცე ხმით განაგრძო კაფანდარამ — შენ სოხუმში დაელოდები, სტუმრებს კი ვერტმფრენით ათ წუთში გუდაუთაში ჩაიყვანთ; ეს საკითხი ყველასთან შეთანხმებულიაო. კარგით, ბატონოო, თქვა წყნარად დათომ.

ნაწყენები ხომ არ დარჩნენ. ჩემი უფროსი განმარტოებით ერთი საათი ესაუბრა, ერთად ისაუზმეს კიდევაც. აეროპორტში მანქანით მივიყვანეთ, აგერ, აქამდეც ჩამოვაცილე. მეტი რაღა უნდა მექნა, ვერტმფრენამდეც მივყვები და ეგ იქნება...

კაფანდარა კაცი თითქოს მისი ანალიზის დამთავრებას უცდიდაო, წამოდგა, ისევე გულთბილად გამოემშვიდობა ყველას სათითაოდ, როგორც მისალმებისას გააკეთა, კარამდე მიაცილა, ვერტმფრენის მფრინავებს უთხრა — უკან სწრაფად დაბრუნდითო და ახმაურებული ტელეფონის აპარატისკენ მიბრუნდა.

არძინბა არ წაართმევთ ვერტმფრენს? საინტერესოა...

ის და გამხდარი ბიჭი მანქანით ქალაქის ქუჩებში მიქროდნენ. დათო აეროპორტის უფროსის კაბინეტში გაჩენილ უკმარისობის გრძნობაზე ფიქრობდა: მაინც რა იყო, მეასეჯერ ეკითხებოდა თავის თავს, მასპინძლის პასუხისმგებლობა სტუმრის მიმართ, თუ, უბრალოდ, სამსახურეობრივი, წვრილი ეხელის შიში დამეუფლა საქმის ბოლომდე შეუსრულებლობის გამოო. გრძელ ქუჩაზე მოწყობილი რამდენიმე პოსტი ისე გაიარეს, არავის გაუჩერებია, შემდეგ მარჯვნივ ხეებით დაბურული ბაღის ჭიშკარში შევიდნენ. იქაც, რამდენიმე წუთი, მიხვეულ-მოხვეული გზით აღმართში იარეს და თეთრი, სვეტებიანი, მრგვალი ორსართულიანი შენობის წინ გაჩერდნენ.

აი, თურმე საითკენ გამოიშვირა აეროპორტის დირექტორმა ხელი, როცა თქვა — ჩვენგანაც დარეკესო. აქ ოდესღაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირანი დააბიჯებდა. აბა რატომ ჰქვია მისი სახელი ამ აგარაკს? გამოზომილი, გათვლილი ნაბიჯებით, წელზე ხელებშემოწყობილი ბოლთას სცემდა, ალბათ, ხშირად ზღვის გუგუნს მიაყურადებდა და თავისთვის წყნარად ჩაილაპარაკებდა — ეხ, ზღვაო, ზღვაო, რა ჩემი ბრალია ხალხი თუ ბრბოაო. ასფალტმოგებული ეზოდან, რომელსაც წინა მხარეს რკინის თეთრად შეღებილი მოაჯირი გასდევდა, მთელი ქალაქის ხედი იშლებოდა. პალმისა და ფიჭვის ხეები მზის მცხუნვარებას ანელებდნენ. ზღვა თითქოს მოაჯირის ძირში გადაშლილიყო: გარკვევით ჩანდა მისი ყველასგან მიტოვებული, უკაცრიელი, ქაღალდის ნაგლეჯებით, ცარიელი ბოთლებითა და დაჭმუჭნული პლასტმასის ქილებით დანაგვიანებული სანაპირო. ოდნავ შესამჩნევი, პატარა ტალღები ვერცხლისფრად იქოჩრებოდნენ, მზის შუქზე ბრჭყვიალებდნენ, შემდეგ ნაპირს მოახლოვებულნი უჩუმრად ქრებოდნენ. ზღვა თითქოს აღარც ისეთი ლურჯი ჩანდა, ადრე რომ ახსოვდა დათოს; არათუ ფერი, გემო და სუნიც კი დაკარგვოდა ადამიანებისგან მიტოვებულს. თავის გრძნობებს მიყურადებულმა ბიჭმა გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ მას ზღვაში ბანაობის სურვილიც კი არ ჰქონდა.

დათოსგან ხელმარცხნივ, ოდნავ მოშორებით, ფანჩატურში სამი ჯარისკაცი იჯდა. ავტომატის ლულებს დაყრდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობილნი, წამლისაგან გაძეძგილები „ყვინთავდნენ.“ ხანგამოშვებით, სადღაც შორიდან, მსხვილკალიბრიანი ზარბაზნის გასროლის ხმა ისმოდა. ბუჰ, გადაიელიდა ხმა. სმენაგამახვილებული ჯარისკაცები თავებს მაღლა ასწევდნენ, გაოცებულები ერთმანეთს შეხედავდნენ დაწყლიანებული თვალებით, თითქოს ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ამბავია, რა ხმაური ისმის, ან ჩვენ სადა ვართო. მათ ძალიანაც კარგად იცოდნენ რა ამბავიც იყო, სადაც იყვნენ, და სწორედ ამიტომ ამბობდნენ, აქ რა გვინდაო. ისინი, ახლა, სულ სხვა ქვეყანასა და სამყაროში დააბიჯებდნენ, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ და იმ ბერიკაციანით წასთვლემდნენ, ხელჯოხზე დაყრდნობილს, ბუხრის წინ, მზერას ცეცხლი რომ მოსტაცებს ხოლმე...

ალბათ დაცვის ხალხია. რომელს იცავენ, რას გაიგებ, ათი უფროსი მაინც ზის აქ, ამ თეთრ, გაპრიალებულ შენობაში, რომელსაც იმ კაცის სახელი ჰქვია, აი, ეს ომი თავის დროზე გათვლილ-გაანგარიშებული და წინასწარ დაგეგმილი რომ ჰქონდა...

ამათ ახლა საჭმლის გაგონებაც არ უნდათ, მე კი მომშივდა — მარტო ხომ არ ვჭამ, ან სად უნდა ვჭამო, მე რა ვიცი.

ბუჰ, გადაიარა ზარბაზნის შორეულმა ხმამ. სად ისვრიან ნეტავი?

გამხდარი ბიჭი მიუახლოვდა. შეგვიანებისთვის ბოდიში მოუხადა, მაგრამ დათოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ეს ბოდიში სხვა რამისთვის იყო გამიზნული და არა შეგვიანებისთვის. არც შემცდარა.

„ომია, ძმაო და თუ ისეთი პატივი ვერ გეცით, გული არ დაგწყდეს, არ დაგვემდურო“... გაიგრძელა გამხდარმა ბიჭმა და დათოს დერეფანში ხელმარჯვნივ კარზე მიუთითა, აქ მობრძანდითო, თან მეორე სართულზე ამავალი კიბის წინ ასვეტილ ორმეტრიან დამცველს უთხრა, აქ არავინ შემოუშვაო.

ოჰო, გოჭი თუ არა, რამე ცხელი საჭმელი მაინც ხომ იქნება. ჯანდაბას, ლუდი და სოსისი იყოს, ამაზეც ყაბულსა ვარ; ომია, მართლა ძველი დრო ხომ არ არის...

„ჰო, მართლა, რატომ ჰქვია ამ აგარაკს სტალინის სახელი, აქ ისვენებდა ხოლმე?“ კითხა დათომ გამხდარ ბიჭს.

„არა, მხოლოდ ერთი საათით ყოფილა. ამ ადგილის უკვდავსაყოფად განა ის ერთი საათი საკმარისი არ იყო?..“ ბიჭს ხმაში ხრინწი გამოერია და დათოს ორაზროვნად გაუღიმა.

ფარდებჩამოშვებულ, შემოდგომის თბილი მზით განათებულ დიდ, ოქროსფერ ოთახში მუხის უზარმაზარი მაგიდა იდგა. მაგიდაზე თეთრი ხელსახოცი გაეშალათ, ხელსახოცზე კი ფარდებში მოლივლივე მზის სხივებზე რამდენიმე ამპულა ბრჭყვიალებდა. ამპულების გვერდით რეზინა და ერთჯერადი „შპრიცი“ იდო...

დათო შეკრთა. მართლა ვგავარ ნარკომანს? მის გვერდით მომღიმარ, თვალებდაელმებულ ბიჭს გადახედა. მან დათოს შეკრთომა შეამჩნია და გაღიმებულმა უთხრა:

„ნუ გეშინია, ნემსი ახლად-ახალი, უხმარია“...

„არა“, როგორც იქნა ხმა ამოიღო დათომ, „აღარ ვიკეთებ“... ახლა იმაზე გაბრაზდა, ამ ბიჭთან რომ ტყუოდა, მას ხომ იმის თქმა უნდოდა „არ ვიკეთებო“, თქმით კი „აღარ ვიკეთებო“, თქვა. ამით თითქოს კიდევაც ეთანხმებოდა და კიდევაც არ ეთანხმებოდა იმ შეხედულებას, რომელიც დღევანდელ საქართველოში ბატონობს — „აჰ, არ კაიფობ? აბა უკეთესს რას აკეთებ?..“ „აქ იმდენი სისხლი დაიღვრება“... აგრძელებდა დაბნეული და ნელ-ნელა იმასაც აანალიზებდა, რას ვლაპარაკობო. რა მომდის, მე ხომ მინდა — დაიღვარა — ვთქვა, ამ დროს ვამბობ, დაიღვრება-თქო. „აქ იმდენი სისხლი დაიღვრება“... ფუჰ, ისევ... თვალწინ დედის სიზმარი დაუდგა: განადგურებული აფხაზეთი, ჯიშგამოცვლილი ჯანაშია, გიორგობიანი, ავტომატიანი რაფიკა, ის და მალხაზი ტიტველი ქალების ჯგროში, ხელყუმბარისგან აფეთქებული ჯარისკაცები მოგლეჯილი ხელებითა და ფეხებით...

ეროვნული

მორფის ამპულად გადაქცეული, დაპატარავებული საქართველო...

„დაჭრილ მეომრებს შეუნახეთ, იმათ დაჭირდებათ“... თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ კვლავ სისულელეს ლაპარაკობდა, რადგან იმ წამალს დაჭრილს არავინ შეუნახავდა, აქვე, ამ ოთახში, მისი წასვლისთანავე გაიკეთებდნენ.

ქართველებმა ომის ახალი ფორმა მოვიგონეთ, შეტევის წინ კარგია წამლის გაკეთებაო. ის, როგორც ამბობენ, შეტევის წინ ორას გრამ არაყს ასმევდა ჯარისკაცს... მას მერე დიდი დრო გავიდა, ცხოვრება შეიცვალა, ყველაფერი წინ მიდის, რაღა თქმა უნდა, ტექნიკაც და საშუალებებიც...

დათო მიხვდა თავის სულელურ მდგომარეობას, მიხვდა, რომ ოფიციალური პირივით ელაპარაკებოდა თავის ტოლ ბიჭს, ამიტომ წამით გაჩუმდა, დაწყნარდა, გამოშტერებულ ბიჭს გაუღიმა და წყნარად თქვა, არა, ძმაო, თბილისში მართლა ყველა ნარკომანები კი არა ვართ... ამას ჯობია სადმე ერთი კარგად ვისადილოთო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბივი ძნელაძე

ეს ლექსები, ბუნებრივია, სხვადასხვა დროსაა დაწერილი.

თუმცა, როგორც ბრძენმა ბრძანა, — დრო ყოველთვის ერთია!..

მელექსენი მითაჟამიდან ნანატრი თავისუფლებისაკენ სწრაფვაში წურთიდნენ ღვთივჩადგმულ ამაყ სულს და ტანჯვის გზებით ისწრაფვოდნენ სასუფევლისაკენ!..

...სასუფევლის ერთი წელიწადი დედამიწის 1000 წელიწადს უდრის, თურმე!..

...ვ ნ ა ხ ო თ!..

ავტორი

„...ვაი, რა კარგად მოვსთქვემდი, —
მეტყოდა ვინმე თუ ბანსა!..“

დავით გურამიშვილი

ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის

...ყური დაუგდეთ
(ამას ვერ შესძლებს ყველა!..)
არა სიტყვათ აზრს,
არამედ — სიტყვათ ჟღერას:
ტალღად ტალღაზე
სიმი იღვრება ბგერის, —
— ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...სული ჟღერს
(ოღონდ, —
სულიც არის და სულიც!), —
ზღვის,
ოკეანის,
მდინარის ხმად და...
ღელის!..
ყური დაუგდეთ,
კარგად დაუგდეთ ყური:
— ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...ადი-
ჩამოდის,
ადი-
ჩამოდის ბგერა, —
ქვევიდან —
ზევით,
ზევიდან —
ისევ ქვევით...
გჯერა? —
მე მჯერა,
გინდა მომკალი — მჯერა:
— ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...აქვს ქვეყნად ყოველს
შესაფერისი რიტმი,
საგანთ ბუნების
შესაბამისად მჟღერი!..
ვიტყვი კი არა —
სიმღერასავით ვიტყვი:
— ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მე დამინახავს
ფერთან ფერობა ფერის.
(ო, ეს ძნელია,
წარმოუდგენლად ძნელი!..), —
სიტყვად დედდება
სული და სისხლი ჩვენი:
—ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...სულის ცეცხლზე დუღს
ცრემლი — მომდგარი თვალზე,
ოდეს იღვიძებს
ჭირის და ლხინის გენი!..
დღეს ცოტამ იცის,
ბევრი მიხვდება ხვალ-ზეგ:
— ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...არა სიტყვათ აზრს, —
არამედ — სიტყვათ ჟღერას!..
ყური დაუგდეთ
რხევას და რწევას ბგერის! —
არ შეიძლება აქ არ ერიოს ზენა:
— ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...რ ა მ-დ ა რ ი-დ ა რ ი-
რ ა მ-ტ ა რ ბ-ტ ი რ ო-რ ე რ ი...
ა დ ა მ ი ა ნ ი
ლ ა პ ა რ ა კ ი ს დ რ ო ს
მ ღ ე რ ი ს!..

შავი ღამე...

I

სიკვდილის ფერი დასდებია
ჩემს საწყალ სოფელს,
ხრეშს ახრიალებს
მდინარეთა ჩამხმარი ფსკერი...
ნისლოვან ციდან
ვარსკვლავები თავს გამოყოფენ
და სახურავებს
წამიერად ახალისებენ!..

ხოლო ჩიტებს და ადამიანებს —
მზე ენატრებათ...
მზე კი — მკვდარია!..
ბავშვებიც, ღმერთო, დასევდიანდნენ,
და არაფერი არ უხარიათ!..

ჩემს საწყალ სოფელს
დასდებია სიკვდილის ფერი...
ძირს ვერ პოულობს, —
ცაში ეძებს კაცი სამართალს...

(შემს დას — ელიკოს)

—ძუნწი გახდაო, —
გაკვირვებით „მიკი" მიცქერის,
და ვიგინები
მისამართით...
უმისამართოდ!..

II

...ჩაქვში...
ბურნათში...
ჩხარში...
ხაშმში...
წალენჯიხაში,
ფოთში....
თბილისში...
ფშავში...
გალში... რეხში.... ყვარელში, —
ყველას რაღაცის ეშინია,
ყველას — ვიღაცის, —
თავს უშიშრად გრძნობს
ეკლესია პეტრე-პავლესი!..

ვეღარ!..

სუნთქავს სამყარო!..
შენც სუნთქავ და სამყაროც
სუნთქავს!..

საკუთარ სხეულს, —
ვითა ტაძარს, —
გარს ვუვლი ლოცვით...

ცალკერძ — სული სწუხს,
ცალკერძ — გმინავს ჯვარცმული
ხორცი, —

ჯვარცმა სულისა —
ვის უნახავს,
ანდა - ვის უთქვამს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტანჯე. მაწვალე. მჯიჯგნე. მგვემე.
მარბიე. მფანტე.
ხორცი — ღამეა!
სული — დღეა! —
როგორც ვთქვი წეღან!..

...ხორცს — მოერევი, —
ხორცს — გააქრობ,
ვით თოვლის ფანტელს...
სულს — ღვთისგან ჩადგმულს —
ვეღარაფერს დააკლებ,
ვ ე ღ ა რ!..

აკაკის საფლავთან თქმული!..

„...აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია..“

ილია

...მე, ღვთისნიერო, შენს საფლავზე —
კრძალვით და კვნესით, —
შენს მაგივრად წავიკითხე
ერთხელ ეს ლექსი:

„...მიმყვება სადარდელი —
საფიცარ-საესავის'
სახატე საქართველოს
ზეიმს ვერ დავესწარი!..

გული ჩემი, — მკვნესარი,
მოქვითინე ჩანგია!..
ამოვედი მზესავით...
მთვარესავით ჩავდივარ!..“

...წყნარად და მშვიდად —
შეგიძლია საფლავში იწვე:
აწმყოც გვწყალობს და...
მომავალიც ეჭვს აღარ იწვევს!..

მეგონა ვკვდებოდი და ვთქვი:

...მიჯიჯგნ-მოჯიჯგნეს,
მიმოძარცვეს,
მიმოანგრიეს,
მიყარ-მოყარეს,
მიმოარბიეს,
მიმოახრეს, მიმოჟლიტეს,
მიმოამტვრიეს, —
ამერ-იმერში დააყენეს
სისხლის ტბორები!..

...მოიყოლია მყრალმა დათვმა
მგელი, აფთარი...
ამოევსება ყველას მალე
პირისღრუ ქვიშით! —
სულს განუტევებს შინამტერიც
ფართხალ-ფართხალით, —
ამოიხრჩობა საკუთარ სისხლში!..

რაო, რა მოხდა, —
შემოვარდნენ უცხო ტომები?!..
არა და არა! —
შინა მტერმა,
ვითომ მოყვარემ,
ვითომ მხსნელმა და
ვითომ მომხმარემ, —
დაბეგვა ჩვენი მიწა-წყალი —
დათვის ტორებით!..

...ახლა აქ ვარ და სამოთხეში
ვწუხვარ მამულზე, —
ეს მწარე ფიქრი —
არაფერზე არ გაიცვლება!..
ღმერთი მოწყალედ გადმოხედავს
ნანგრევ-ნამუსრევს, —
მამული ჩვენი —
კვლავ სამოთხედ გადაიქცევა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ეს არი უთუმცაო!..

გაწვიმდება, ალბათ... თუმცა
არც ეს არის უთუმცაო...
ფერით ოქროს მოჰგავს თუ ცა —
ანუ — მწიფე თუთუნსაო, —

ამტკიცებდა ამით თომა
(სიტყვა მისი არ გაწბილდეს!..) —
ვინ იცისო, — ამიტომაც
შეიძლება არ გაწვიმდეს...

...გვალვა დროშებს აფრიალებს,
ცეცხლის თვალებს აბრიალებს,
ფერად ფარდებს ფხრიწავს ქარი...

ღმერთო! ღმერთო! — გევედრები! —
ერთი — გადმოათქრიალე!
ერთი — გადმოაჩქრიალე —
ამ გადამწვარ მიწას წყალი!..

ვარ!..

ნაკლებ მიკვლეულ-მოკვლეულია
ეს თემა, — ანდა —ბურუსში ცურავს;
უმრავლესობა მოკლებულია
ბედნიერების შეგრძნების უნარს!..

ნაკლებ მიკვლეულ-მოკვლეულია,
ანდა — ახსნილი არ არის სულაც;
უმრავლესობა მოკლებულია
უბედურების შეგრძნების უნარს!..
მზე მავანისთვის ანთია ბუნდად,
გაჩენას ბედი დაედო ხუნდად;

და, რაკი გაჩნდა, — სვას, ჭამოს უნდა.
იცოცხლოს უნდა,
და... მოკვდეს უნდა!..

...სულ სხვაა კაცნი — ყველაფრის
მგრძნობნი,
ვინც — ხატად ღვთისა — წილია
მთელის...
საკუთარ თავის მცნობნი და მჯობნი, —
უცნობის მცნობნი,
უთქმელის მთქმელნი!..

...მიწის და ზეცის მაძევს იერი,
ვარ უმამური,
ვარ — უდედური...
უბედურებით ვარ ბედნიერი,
ბედნიერებით ვარ უბედური!..

ადუღდა მიწა...

ბოდიში ყველას,
ვისაც ცოტა მზე,
ან ცოტა მთვარე
წავართვი, თუნდაც!..
მე თქვენს წინაშე
ცოტა ცოდვა მძევს,
უმეტეს წილად —
სიკეთე მსურდა!..

...დაგლეჯილია ქართული სული,
დაფლეთილია ქართული დროშა!..
ლირწ სუდარაში
ვარ გალურსული
და ამღვრეულად რაღაცას ვროშავ!..

...ადუღდა მიწა!..
ზეცა ჩამოსკდა!..
მზე ჩადის, როგორც
სულის ამოსვლა!..

●

ახლა, ახლა, ახლა, ახლა,
ახლა, ახლა, ახლა, ახლა,
არც გუშინ და არც გუშინწინ,
არც ხვალ, არც ზეგ და არც მაზეგ,
ახლა, ახლა, ა, ეს წამი,
წამი, წამი, — მხოლოდ წამი, —

ერთი თვალის შევლება,
ერთი ყლუპის დალევა,
ერთი გაღიმება და
ერთი შემოხედვა!..
ერთი გაელვება,
ერთი წამღერება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ასხივლება,
ერთი ასხივება, —
ახლა, ახლა, ახლა, ახლა,
ახლა, ახლა, ახლა, ახლა,
თვალთა გადაბინდვამდე,
სულის გადაჩრდილვამდე, —

არ ჩააქროთ სინათლე, —
ნუ ჩააქრობთ სინათლეს,
ნუ ჩააქრობთ სინათლეს,
არ ჩააქროთ სინათლე!..

არც გუშინ და არც ხვალ, —
ახლა! ახლა! ახლა!

რთული გამოცანა

არ არსებობს
კითხვა თითქმის,
ანდა — თითქმის არ არსებობს, —
პასუხი რომ არ გამეცეს, —
ან ისეო, ან ასეო!..

ამ ერთ კითხვას
ვერ ვპასუხობ, —
თუ ბიჭი ხარ — შენ თქვი რამე:
მთვარის ტოტებს
თეთრი თხები
ნეტა როდის შეტკივრავენ?!..

დამტვრეულ გზაზე — დანჯღრეულ ურემით!..

მე წუთისოფელს მივათრევ, როგორც
ბებერი ხარი — დანჯღრეულ ურემს...
ტყე-ტყე და ხევ-ხევ,
ღრე-ღრე და გორ-გორ,
და სევდიანად გავყურებ ფურებს!..

ჩემთვის არავის არ ემეტება
ცვრიან-რძიანი ქორფა ბალახი...

დამტვრეულ გზაზე მივეხეტები,
დამცირებული და განალახი!..

მიხვდი?! —
ფურებში ვგულისხმობ ქალებს, —
ვარ ცალყელა, — გამოუცვლელად...
ვიცი: სულს მალე,
მალე, სულ მალე
დავლევ, — ულლიდან გამოუხსნელად!..

გზა — იქეთურ-აქეთური...

წუხელ, — სიზმარში, —
დედაჩემის მეწვია სული
(ფორმას ვერ გეტყვით, —
რა ფორმა და რა სახე ჰქონდა!)
უხმოდ მეფერა, —
გრილი ნისლით მომბანა წყლული,
თვითონ არ ჩანდა....
და თუ ჩანდა, —
ოდნავ,სულ ოდნავ!..

...ნეტარებაში დამათენდა.
გავალე თვალი:
სიცარიელეს ამოევსო
სივრცე-გარემო...

ახლაც ჩამესმის დღე და ღამე
დედის ხმა მკრთალი:
— შემისრულებდე, —
რაც გთხოვე და დაგიბარეო!..

...მარადღვთიური არს კავშირი
დედაშვილური,
ამ უწყვეტ კავშირს ვერ დასაზღვრავს
მქირდავ-მკილავი...
...სასაფლაოსკენ ჩვენგან მიდის —
გზები ხილული,
სასაფლაოდან ჩვენსკენ მოდის —
გზა უხილავი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მე ერთხელ ლექსი დავწერე
(ამას ვფიქრობდი გუშინ...), —
იმ ლექსში ვთვლიდი „ღმერთებად“
ტოლსტოისა და რუსთველს!...

იმ ლექსის კორექტურაში
ჩავწერ ალექსანდრ პუშკინს...
ჩავწერ ვაჟას და ილიას, —
ამათთან ძმობა მსურს მე!..

...აკაკი? გალაკტიონი?
ბარათაშვილი? ვაჟა?
გურამიშვილი?
ვინ კიდევ!..
ვინ დარჩა?! — ბევრი დარჩა!..

...როგორც რეიტინგს ელო თვლის —
ასე ქართველნი თვლიან:
მუხრანი საქართველოსთვის
აუცილებელია!..

გოგლა, ბატონო!..

ტყეში ჩხიკვი აჩხავლდა...
გასკდა გული, ჩახჩა ხმა!..

..სად არის მზე, —
შენ რომ თქვი, —
ამოვაო ჩახჩახა!..

სიკვდილის შემდეგ თქმული...

ხრიოკზე ვხოხდი,
ხლახვნით და ხლაკვნით, —
ცამ წმიდა ცრემლი
მაცოცხლებლად გადმომაცვარა...
ყოვლადძლიერმა
აიღო ხარკი:
ჯოჯოხეთიდან
სამოთხეში
გარდმომაცვალა!..

...ზემორე აზრი
რა ენამ და რა პირმა ჩმახა, —
დარდი და წუხვა —
საზოგადო მხოლოდღა ვარგა:
კერძო ცუდყოფნას ვინღა ჩივის,
თუ ჩემი ძმა ხარ, —
ჩემი ქვეყანა მყოლოდა კარგად!..

ნაბრძნობი წამის გონითი გახსენება

თბილ თოვლში თვლემდა შუადღე,
ხეები იდგნენ რინდულად...
წყალგაღმა მთები მოჩანდნენ
ნისლებში გადაბინდულად!..

ხურდა მიწაც და ქვა-რიყეც,
რასაც კი მზე ჩარებოდა...
არაფერსა და არავის
არსად არ ეჩქარებოდა!..

განაბულიყო სამყარო
ბალღური მზერის არეში...

თურმე სადა ხარ, — იწყება
ავთა გრიგალთა თარეში!..

...იგრიალა და იგრგვინა!..
დღეს ყველაფრისთვის მზადა ვარ;
რაც გარდასულა — არ მოვა!
რაც მოვა — ისიც გარდავა!..

...თბილ თოვლში იდგა შუადღე, —
ის წამი დღემდე რინდულა...
წყალგაღმა მთები მოჩანდნენ —
თამამად და რაინდულად!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი

ავდარში... დარში...
წვიმაში... ქარში...
მიწაში... ცაში...
კაცში და ქალში...
სისხლში და წყალში...
მსხალში და ვაშლში...
ცრემლში და თაფლში...
გულში და თვალში...
სულში და ხმაში...
ჩემში და სხვაში...
სხივილში... სხივში...
ვაიში... ვიშში...
გენში და ჯიშში...
მზეში და ჩრდილში...

სიხარულში და...
სიყვარულში და..

სიმღერაში... ცეკვაში...
დედო ზართა რეკვაში...
გადაკისკისებაში...
გადაკასკასებაში...
გადახითხითებაში...
გადახარხარებაში, —

ყველაფერში — სევდა!..
სევდა...
სევდა...
სევდა...
ყველაფერი სავსე არის სევდით!..
...ეს ყოფილა, ღმერთო, ჩემი სვე და...
ეს ყოფილა, ღმერთო, ჩემი ბედი!..

18. 10. 96 წ.
ღამე. 3 საათი.

უეცარი წინასწარმეტყველება...

მე ამ სტრიქონს ვწერ
ფანქრით, —
არა ფლომასტერითა, —
მე ეს ფანქარი მისახსოვრა
    გელა ბიწაძემ...
...ერთ მშვენიერ დღეს
    აირევა მონასტერი და...

და ძაღლი პატრონს ველარ იცნობს,
    დედამიწაზე!..

ფიქრებს მივცემდი
    სხვა დინებას
    სხვა წყობილებას,
მაგრამ... უეცრად დამიმძიმდა
    განწყობილება!..

სრულყოფა

მე — მე არა ვარ...
ჭეშმარიტად, — მარტო არა ვარ...
მეც ვარ, სხვაცა ვარ,
ის სხვა — მეც ვარ,
ვარ და... არცა ვარ!..
განგებამ მჯიჯგნა
მციცქნა, მწიწკნა,
    მაპატარავა, —
ვინ იცის —
იქნებ ბალახი ვარ — ქათამნაცარა!..

მე თავიდანვე
ბედისწერის თამაშს მივენდე,
წუთებს ვთვლიდი და წამებაში
ჩქარა გადის დრო!..
მომეცი ხელი,
დამამშვიდე, დამაიმედე,
შენს სრულყოფაში განმაზავე
    სამარადისოდ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვარკი

არავინ უწყის — არსებას ჩვენსას
სადა აქვს ფესვი, სიგრძე და განი...
სიცოცხლის ხეზე გამობმულ ნაყოფს, —
უთუოდ მოსწყვეტს სიცოცხლის ქარი!..
თავის დროს სჭნების არსი ყოველი,
თავის დროს სწყდება ცხოვრების
წყარო...
სიცოცხლის ხე კი (ეს დალოცვილი!..)
ჰყვავილობს მარად,
ლაღობს და ხარობს!..

...სირთულეშია სიმარტივე და...
სიმარტივეში სირთულე სთვლემის!..

ერთი შეხედვით — ასე უბრალოდ
მოწყობილია ცხოვრება ჩვენი!..

...მზის ზევით — მზეა!
მიწის ქვეშ მიწა!
სულს იქით — სული!
კვარკს იქით — კვარკი!..

— თუ მარადისად არ ჩაგვთქვა
ღმერთმა, —
არც სამუდამოდ
ვბარდებით არქივს!..

●

... თუ ვინმე სადმე რითიმე
დაღონებულა ისე
როგორც მე დავღონდი ერთხელ,
როცა თვალი შევასწარი
დედაჩემის სევდიან სახეს, —
მაშინ... ადამიანი
ათასჯერ უფრო უბედურია, —
ვიდრე გვგონია!..

...თუ ვინმეს რამე ოდესმე
გახარებია ისე,
როგორც მე გამიხარდა
ერთხელ, —
ჩვენი წისქვილის სათავეში, —
მეზობლის გოგოს დანახვა, —
მაშინ... ადამიანი
ათასჯერ უფრო ბედნიერია, —
ვიდრე გვგონია!..

არეული

ნუ დამისაქმებ,
შენ ნურაფერს ნუ დამისაქმებ, —
მე თვითონ ვიცი ჩემი საქმე, —
ჩემი იმანო!..
ამ ხასიათზე გეზს ავიღებ
გუდანისაკენ, —
მინდა ცოტა ხნით
სიმშვიდეში გადავიმალო!..
თუ ვერ დავბრუნდე —
შენ იცოცხლე ჩემს მაგიერად,
ისევე, როგორც მე ვცოცხლობდი
ვიღაცის ნაცვლად...
...მუსიკოსთაგან მომწონს გლიერი,
ქალბატონთაგან —
თუნთულა გვანცა!..
...სად გადახტება ზოგჯერ ფიქრი —

●

წარსულზე ფიქრი მართლაც სულ
სხვაა, —
ჩამხავრებული:
დღეს — ბუჩქნარშია!
საჩინოზე გამოვა ხვალ-ზეგ!..
(რამ და ვინ მისცა ადამიანს
ამხელა გული,
ან — ამოდენა წარმოდგენა
საკუთარ თავზე!..).
კაცს ვერ შეიცნობ —
თუ არ ძალგიძს ჩაძერომა სულში...
ეს რომ შეიძლო, —
თავი შენი უნდა შეიცნო!..
...არა გუშინწინ, —
გოეთემ თქვა, —
და არა გუშინ:
ნუ იბრიქები, —
მოვა შენიც დრო!..

გზები — წამებში გადასაფრენი...
... იქედან აქეთ რამხელა გზაა,
აქედან იქეთ — აღარაფერი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ანდრონიკაშვილი

ისევ და ისევ ფეთქავს ეს გული

ბნელი ღამეა, დავსეირნობ გრძელ ხეივანში,
ბუჩქებში მშვიდათ შეყუჟულან
მხდალი ზღარბები,
ცაზე მთვარეა ისე ნაზი, ისეთი წმინდა,
რომ მე სიცოცხლე, ცხოვრება მინდა.

ჩემს გამოფიტულ თავს და გონებას,
მხოლოდ ერთი აქვს
სურვილი დიდი,
რომ შენთან ერთად, ჩემო ძვირფასო,
ავმაღლდე სადღაც, ზეცაში მშვიდი.

მხოლოდ ერთსა ვთხოვ ღმერთს
და განგებას,
რომ შემისრულოს ნანატრი დიდი,
მე შეიძლება უკვე მიყვარხარ,
შენს მუხლს მამთხვიოს
კრძალვით და რიდით.

თუ ნაკადული მოძრაობს სადმე,
რაც უნდა იყოს,
ჩუმი და ნელი,
ყველაფერია ბარაქიანი,
სიცოცხლით ხარობს
ბუჩქნარიც ბნელი,
ცრემლით აივსო ტანჯული სული,
ისევ და ისევ ფეთქავს ეს გული!

1996 წ. აგვისტო

თარგმნა **დოდო ხანთაძე-იაშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ექვთიმიშვილი

ჰონორარი

მოთხრობა

ვუძღვნი ჩემს ძმას
თენგიზ ექვთიმიშვილს

ოცდათხუთმეტი წლის კაცს მეუღლისგან სახსოვრად საწერი მაგიდა, სუნამო და შავ ჩარჩოში ჩასმული პატარა ფოტო დარჩა.

ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი ვერის სასაფლაოს ღორღიან მიწას რომ მიაბარა და სურათი კედელზე ჩამოჰკიდა, ორი წლით თვითონაც დაიმარხა.

ორი წლის შემდეგ ორი ტომარა ცარიელი ბოთლი ჩააბარა მაღაზიას.

მიიხედ-მოიხედა.

„პირდაპირ წახვალ — არაყი დაგაღრჩობს". „მარჯვნივ წახვალ — ჯიხურს დადგამ." ბოძზე ერთი ფრთა ან მომძვრალიყო ან ქარს წაეღო.

წვერი გაიპარსა. გაყვითლებულ ჟურნალებს მტვერი ჩამოაბერტყა. აქა-იქ დაბეჭდილი საკუთარი მოთხრობები გადაიკითხა, ღრმად ჩაისუნთქა და ერთი პატარა ნოველა გამოგლიჯა რევანს.

დაუბეჭდეს. ჰონორარით ლამაზად გამოჭედილი რკინის ჯვარი დადგა საფლავზე. მერე მთელი წელიწადი კოვზის და კალმის მეტი აღარაფერი აუღია ხელში. შვილი მე არ მრჩება — ერთ წიგნს მაინც დავტოვებო.

ამასობაში დრო შეიცვალა. ჰონორარი კი არა, სტამბის ხარჯები იქით გასასტუმრებელი გახდა.

ფულის სესხება არც უფიქრია, პირდაპირ ჩაუცმელ „დუბლიონკას" დაადგა თვალი. დიდხანს კი ყოყმანობდა, ფულიც და თბილი ზამთარიც ტყუილად არ დაეკარგოო.

— თუმცა რა იცი, რა ხდება, შეიძლება მოგებაც ვნახო. — სასწორის მეორე პინაზე იმედი დასდო და თითიც დააწონა: ბოლოს და ბოლოს ჩრჩილები შემიჭამენ, თან მგონი ქართულად ტყაპუჭი ჰქვიაო. ძველ მოთხრობებს ახლები დაუმატა და ეცა კარადას.

ზაფხული იყო — გასაყიდად ვერსად ჩააბარა. დაელოდა. შემოდგომაზე ფასი დაუკლო და ერთ საკომისიო მაღაზიის დირექტორს მხარზე ხელიც დაჰკრა: — გიხდება, მშვიდობაშიო!

ზოლას „პროსპექტი", ბალზაკის „ქუჩა", გოგოლის „შესახვევი", თავის თაროებიანად, ახალგაინტელიგენტებულ ქალბატონს მიჰყიდა.

ფულს ფული დაემატა.

რედაქციაში უარს რატომ ეტყოდნენ. მობრძანდით — დაბრძანდით, რამდენ ეგზემპლარად, როგორ ქაღალდზე გნებავთ, გარეკანს როგორს ინებებთ —ამდენი და ამდენი გადაიხადეთ და ასე თვე-ნახევარში ტირაჟი ჩაიბარეთო.

სახლამდე შვიდი კილომეტრი ღიღინით იარა: როგორც უანგარიშეს, ერთი ეგზემპლარი ერთ ლარზე ცოტა მეტი ჯდებოდა.

„სამი გაზეთის ფასადაც რომ გაიყიდოს — არაფერს ვაგებ, თუ გამიმართლა კიდევ... ვინ იცის!" გაზეთი ძვირი რომ იყო დაავიწყდა, ბინის კარი მშვენიერ გუნებაზე შეაღო და სავარძელში გაიტრუნა.

ერთმა თვემ ტომარამოკიდებული კაცივით, სვენებ-სვენებით გაიარა. ტირა-

ჟი გადაუთვალეს, შეუფუთეს და ხელი ჩამოართვეს, აბა შენ იცი, წარმატებას გისურვებთო. გაკვირვება რომ შეატყვეს — ჩვენ სავაჭრო ფირმა არა ვართ, დანარჩენი თქვანზეაო, უთხრეს.

მეტი რა ჩარა იყო. მეგობარს ორი დღით მანქანა სთხოვა და სამასი ცალი მაღაზიებში თვითონ ჩამოარიგა.

ამასობაში დაზამთრდა. წიგნები თითო-თითოდ იყიდებოდა. თანდათან, თითქოს პირი შეკრესო, მაღაზიებში ჯერ ჩამოუფასეს, მერე კი ის ორი ხელისგულისოდენი ადგილიც დაამადლეს, წიგნები თაროებზე რომ იკავებდნენ.

ზამთარს თოვლი მოჰყვა, თოვლს სუსხი, უფულობა და სიხარულიც კუდამოძუებული, სადღაც გაიპარა.

1.

საწერ მაგიდასთან სავარძელში ჩაძინებული, დილის სინათლემ გამოაღვიძა. ღამენათევი სუფთა ფურცელი მოწყენილი შეჰყურებდა.

საფერფლე გადაყარა. პირჯვარი გადაიწერა — ღმერთო, ერთი-ორი საათით ტკბილად ჩამაძინეო, ტახტზე ლოგინი გაშალა, გაიხადა და საბანში გაეხვია.

ისმინა ღმერთმა, ჩათვლიმა.

ბოლო ხანს ფულს აღარ დარდობდა. ეგ იყო უკვირდა: ავტორს და ერთ კაცს თუ მოსწონს, შედევრი თუ არა, კარგი მაინცაა, აბა რა სჭირსო. „წიგნს არაფერი, ხალხს, სჭირს, კროსვორდები სჭირს“. ხანდახან კი ახერხებდა — თავს იმშვიდებდა.

კარზე ზარის ხმამ ძილი დაუფრთხო, მაგრამ ისე მხიარულად რეკდა ვიღაც, შეკურთხება გადაიფიქრა.

— ღიაა, ღია! შემოდი.

სტუმარი სავარძელში ჩაჯდა.

— მე მგონი არ გეწყინება, თენგიზ. შენ საქმიანი კაცი ხარ, დილაადრიან სტუმრად არ მოხვიდოდი, ჩემთვის კი ადრეა. თორმეტზე უჩასთან, გალერეაში უნდა ვიყო, ვერნისაჟი აქვს ბიჭს! მანამდე ციტას ვიკოტრიალებ, თუ დამაცლი.

— ვერა, შენს წასაყვანად მოვედი.

— სად? ხომ გითხარი სადაც მივდივარ, — მეგობარი ჩაათვალიერა, — შენ ყოჩაღ, კარგად შემოსილხარ.

— გითხარი თავის დროზე, მაგ კალმისტარს თავი გაანებე-მეთქი.

— ეხლაც მითხარი!

— ეხლა გვიანია, ადექი, ძაღლების ჩხუბზე უნდა წაგიყვანო.

— ძაღლებიც ჩხუბობენ, კაცო?

— ჩხუბობენ რომელია! ერთ პიტცბულზე ნიძლავი მაქვს დადებული. თუ მოვიგე ნახევარი შენი იყოს, არც იქ დაგაგვიანებ.

— ნახევარი რამდენია, თენგოს ვენაცვალე?

— სამასი ლარი. წამოხვალ თუ კოტრიალი გირჩევნია?

— ოო... მოვდივარ, მოვდივარ! — ტაში შემოჰკრა, — შენ კარგი სიგარეტი გექნება, ერთს მოვწევ და ავდგები, არ მაწყენს მწერალ კაცს არც ფული, არც ზედმეტი შთაბეჭდილება, შენ რას იტყვი?

— აღარ ვეწევი, შენთვის კი წამოვიღე ერთი ბლოკი, მანქანაში გელოდება. ჯერ ეგ მოსწიე, რაც გაქვს, ა?... მწერალ კაცსო, როგორ თქვი? შენ მწერალი ხარ?

— კი?

— აბა ესენი ვინ არიან? — თენგიზმა თაროებისკენ შეატრიალა სალონში გაკრეჭილი თავი. — შენ საქმე არა გაქვს და წერ!

— არც მაგათ ჰქონდათ სხვათაშორის, საქმე, და ერთი საფერფლე მომაწოდე თუ ძმა ხარ.

— ხო, ხო, ხო, რა უმუშავია! — თენგიზი ფურცელს ატრიალებდა ხელში, — დადხანს მოუნდი?

— მთელი ღამე! ვერა და ვერ ვიმშობიარე, ისე ორსულად კი ვარ.

— მერე ცოტა მაგრად უნდა გაიჭინთო

— მაგრად არ შეიძლება.

— აბა რა გეშველება? სადამდე გაიბერები? უნდა გასკდე? მწერალმა მხრები აიჩეჩა: ᲐᲑᲝᲠᲢᲘ!

ეროვნული

ყელიანი თეთრი სვიტრი და ხაკისფერი ვილვეტის შარვალი ჩაიცვა.

რაღაც ისეთი მზეა, ჭყაპია არა გარეთ? — კარადის ქვემოდან მაღალყელიანი ბათინკები გამოაძრო. გემრიელად მოირგო თეთრ წინდებზე. ბოლოს შავი ტყავის ქურთუკი ჩაიცვა, სპორტულ ჩანთაში ათი ცალი წიგნი ჩადო ისე, „ყოველ შემთხვევისათვის", ჩანთა ბეხარზე გადაიკიდა და ხელები გაშალა: — წავედით.

●

ძაღლებმა დაგლიჯეს ერთმანეთი. ვუბერთელა, ფეხდამსხვრეული კავკასიური ნაგაზი ვეღარ დგებოდა. შუა ჩხუბში შავმა ინგლისურმა პიტცბულმა კბილები გააწკაპუნა. ჩვენებური ძაღლებისთვის ეს იგივეა, რაც ძიუდოისტისთვის ტატამზე მოწინააღმდეგის ხელის ტყაპუნი. გადამთიელმა ძაღლებმა ამას ალღო აუღეს და გადამწყვეტ მომენტში იყენებენ კიდეც. ეხლაც გაუვიდა: როგორც კი იგრძნო პიტცბულმა ქედში ჩავლებული ეშვების ოდნავი მოდუნება, სისხლიანი კუნთი შეატოვა ნაგაზს პირში და ყბის ერთი გაქნევით ჩააჩოქა.

თენგიზმა სიამოვნებით გადათვალა მოგებული ფული. მერე შუაზე გაყო.

— კარგი ფეხი გქონია, ხომ იცი. მაგრამ მე მგონი გამოფენაზე აღარ წამოვალ ერთი კვირა დღე მაქვს, წავალ სადმე, ხორცს ვასიამოვნებ, თუ წამოხვალ არ ინანებ. უჩასთან ხვალ წავიდეთ. ერთად!.

— დღეს გახსნაა, დღეს გაეხარდება, ორივენი თუ მივალთ მითუმეტეს.

— ეიცი, მაგრამ რაღაც არა ვარ ეხლა ბჭ ტერების ტიტინის ხასიათზე. დაჯექი.

ფილარმონიამდე მანქანის მოტორს უსმენდნენ.

— სიგარეტი ჩაიდე ჩანთაში, არ დაგრჩეს!

— კარგი გამახსენე! ერთი მაქ. შუქნიშანთან შეუხვიე, წიგნის მაღაზიაა. დიდი ხანია მანდ არ ვყოფილვარ. ეჭვი ერამე გაიყიდა.

— რად გინდა? ფულის მეტი რა გაქვს.

— შენც უჩასავით ლაპარაკობ. გუშინ ტელეფონში მეუბნება, ერთი წიგნი წამომიღეო. ვიღაცისთვის უნდა, ეტყობა. წადი ბიჭო, მაღაზიაში იყიდე-მეთქი, კინაღამ ეწყინა — ფულს მოგცემ შე წუწურაქოო. გესმის? სხვას რომ თავი დავანებოთ, მომბეზრდა ამ „არ გაყიდულას" გაგონება. შენ, თუ გინდა წადი, ნუღარ დამელოდები, აქედან ფეხითაც ადვილად ჩავალ.

— სად მეჩქარება? — უყვარდა თენგიზს მანქანა და არასდროს ბრავინ ჩამოუსვამს შუა გზაზე.

„საგანძური", წითელი ასოებით ეწერა მაღაზიას, ორივენი გადმოვიდნენ.

— უცებ ვნახავ, შენ იჯექი.

— ჩამოვალ ერთი მეც, მაინტერესებს რა ხდება თქვენთან, მწერლებთან.

— მანქანა ჩაკეტე. წიგნები არ მოიპარონ.

შესასვლელთან სუნამოები იყიდებოდა, მარცხნივ სათამაშოები და ვიდეოკასეტები. წიგნის განყოფილება მარჯვენა კედელთან ატუზულიყო. ალბათ ეშინოდა აქედანაც არ გამაგდონო.

ეროტიკას თაროების ნახევრის ანექსია მოესწრო. მეორე ნახევარს პატიოსნად იყოფდნენ ჰოროსკოპები, დეტექტივები, აზიური რელიგიები და ლიტერატურა.

ძლივს მიაგნო თავის წიგნებს: ბოლო თაროზე შემოეწყოთ შტაბელებად.

— როგორ მიდის ვაჭრობა?

გამყიდველმა იკადრა, და საჯდომი ასწია.

— რა ვიცი, არაფერი იყიდება, — ნელ-ვალე მოიხსნა და გაიზმორა.

— ასე თუ ზის ეს, თევზივით, რა უნდა გაყიდოს.

— ჩემები რას შვებიან? ეს სადაა რომ შემოგიწყვია კი მაგრამ...

— შენები რომელია? ა, ისინი, ის ორი ცალი გავყიდე.

— ორი ცალი ორი თვის წინ იყო გაყიდული.

— მაგაშია საქმე. უკან უნდა გაგატანო, ადგილს მიკავებს.

— რაო? ხომ არ მომესმა. რა თქვა?

— შე ნახევარფაბრიკატო, ვის ეუბნები ამას? გინდა, უცებ გაგინთავისუფლო ადგილები?

— მოიცა თენგო, დაწყნარდი, მე მოველაპარაკები. მე მგონი გავუგებთ ერთმანეთს, მისმინე გენაცვალე, — მწერალმა მხარზე მოჰკიდა ხელი გამყიდველს და მელოტი თავი თაროებისკენ მიატრიალებინა.

— აი, ამ თაროზე, ამათ ცოტას თუ შეავიწროვებ, ერთი-ორი წიგნიც ჩაეტევა.

— ეგ არ იქნება!

დაარტყა ბეჭედი ნოქარმა. — აქ მთელი ევროპა დევს, ბატონო, თანამედროვე ევროპა და ამერიკა.

— სულ გადაბულბულებული ექნება ახლა მაგას.

— მერე როგორ გგონია, მაგათ უფრო ჭირდებათ ამ წიგნების გაყიდვა თუ მე? ა? ძია კაცო!

— ეგ მე არ ვიცი. მე ვიცი, რომ ამას უფრო ნახულობენ.

— რა თქმა უნდა, ჩემები მაკულატურასავით გიდევს და ვინ შეხედავს? მომაწოდე ერთი, რომელიმე ამ ძვირფასი წიგნებიდან. ნახე რა წერია შიგ.

— რა უნდა ვნახო კაცო, შენები წაიღე და მორჩა.

— ნახე-მეთქი, შე ლიტერატურულო რენეგატო შენა! — ეხლა უკვე თენგიზს მოუწია გაშველება, მწერალს გამყიდველის ყური ჩაებღუჯა. ცხვირზე წიგნს აჭყლეტდა.

— ნახე-მეთქი.

— ყური, ყური კაცო! ვნახავ.

— არა, შენი გაშვება არ შეიძლება! ისეთი მაგარი ხარ, მაინც დაინახავ, ხედავ? რაო, რა წერია? ძეხვი, ტურა, ქოლერა, წუმპე და ბოსელიო, ხო?!

— კარგი ეყოფა; ხალხი შეგროვდა, წადი თუ ჩემი ხათრი გაქვს მანქანაში ჩაჯექი, ჩვენ რაღაცას მოვილაპარაკებთ. ხომ ასეა ბიძაჩემო?

— გამიშვას კაცო, აბა რას ვიზამთ.

„რენეგატი“ ყურს ისრესდა. მანქანის კარის ჯახუნი რომ გაიგონა, ერთბაშად მოლოდინში გაინაბა.

— შენ გგონია ფულს მოგცემ? ჩამოიღე ზემოდან ის წიგნები!

გამყიდველი შეცბა და უცებ შეხტა ტაბურეტზე.

— ყველა არ გინდა, ძალიან ხომ არ შეგვიწროებ ამ თაროს, სამი ცალი გეყოფა... კარგი ბიჭი ხარ, ეხლა ორი თაროზე დადე, ერთიც ვიტრინაში.

— ვიტრინაში „პლეიბოები“ მიდევს.

— ერთი ცალი ამოიღე მერე, შე კაცო.

— სხვადასხვა ნომრებია. სხვადასხვა „აბლოშკები“ აქვს...

— ისევ ადგილი? კარგი მომეცი, ერთ ცალს ვიყიდი და ეს წიგნი იმის ადგილზე დადე. ნახე რა ლამაზი გარეკანი აქვს. დაგიმშვენებს ვიტრინას

ვიტრინაში ერთი „პლეიბოის“ ადგილი ცისფერყდიანმა წიგნმა დაიკავა.

— ფული?

— გადავიფიქრე, იცი გენაცვალე, ამის ყიდვა, — თენგიზმა ჟურნალი ორ ნაწილად გახია და დახლზე აკურატულად დადო, — ადგილი ამას აღარ ჭირდება. სახლში წაიღე, ოჯახში გამოგადგება და ვაი შენი ბრალი, თუ იმ წიგნმა ადგილი შეიცვალა... ისე, ჩემზე ამბობენ სიფთაზე კარგი ფეხი აქვსო. დღეს კარგი ვაჭრობა გექნება.

მანქანაში დაბღვერილი მწერალი დახვდა.

— გაიხედე ბიჭო ვიტრინისაკენ.

— რა უთხარი ასეთი.

— ეს მე და ამან ვიცით და ეხლა წარბი გაშალე, თორემ რა შენთვის მიყურებია, რა იმისთვის.

მანქანა დაიძრა.

— ისე, შენ რომ არ გიცნობდე და მაინცდამაინც წიგნის ყიდვა მინდოდეს...

— ვიცი თენგო, ვიცი... მართალი ხარ.

— არა, იმიტომ კი არა...

— ვიცი, ვიცი...

2.

პირველი გიმნაზიის ასახვევთან გადმოვიდა მანქანიდან. მხარზე ჩანთაგადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებული იდგა და უფანჯრო გალერეას ათვალიერებდა.

ამ ადგილას თხუთმეტი, ოცი წლის წინ, კაცი იდგა ხოლმე მოლბერტთან. გაუთავებლად ხატავდა თეთრ-ცისფერ შენობას. ზამთარში მასაც და ხეებსაც თოვლით მორთავდა, გაზაფხულზე იმავე ტილოს ფერებს უცვლიდა. ხატავდა ზაფხულს და შემოდგომას. წლიდან წლამდე გრძელდებოდა ეს ხატვა თუ ფერება. ტილო თანდათან ფერად ბარელიეფს დაემსგავსა. არავინ იცოდა ვინ იყო ის კაცი. არც ის, მოულოდნელად რატომ გაუჩინარდა.

ალბათ ქალი შეიყვარაო. გაიფიქრა მწერალმა და ქუჩა გადაირბინა. „გაუმართლა უჩას. ასეთ ამინდს თუ ნატრობდა ალბათ". ლურჯ ცაზე ნამცეცა ღრუბელიც არ იყო. თოვლი დნებოდა.

— ჩანთა დატოვეთ, ჩანთით ვერ შეგიშვებთ, — შეაჩერეს შესასვლელში.

— სიამოვნებით ქალბატონო, დიდი სიამოვნებით , ერთი წიგნი ამოიღო და ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო.

უჩა კუთხეში იდგა, იუპიტერებით განათებული, ინტერვიუსთვის ემზადებოდა, ორი ხელის გული ერთმანეთს შორიდან მიესალმა.

„წვერი გაუპარსია, არ უხდებოდა. კიდევ კარგი მიხვდა".

ათჯერ ნანახი ნახატები ერთხელაც ჩაათვალიერა. მერე ერთ ტილოსთან შეჩერდა, ახლოს მივიდა, კინაღამ ცხვირი მიადო. ერთ ფერში ფუნჯის სხვადასხვა მოძრაობას დააკვირდა. ბევრი ტვინის საჭყლეტი აქვს ამასაც მუშაობის დროსო, გაიფიქრა.

„მერე უფასდება კიდეც, რამდენი ხალხია! სხვას თუ არა, თვითონ ხომ მოსწონს და რამდენჯერაც უნდა შეხედავს. ჩემს წიგნს ათჯერ ხომ ვერ წავიკითხავ, დიდებული მუზა დასკუპებია ჩვენს ძმას ზურგზე, დიდებული".

— ეს დღეს არის ამდენი ხალხი. ხვალიდან შეიძლება ხუთი კაციც არ შემოვიდეს, — თითქოს ფიქრებს მიუხვდაო, უჩამ ხელი გადახვია, დაბალი იყო და მაჯა ჩამოადო მხარზე.

— ეს ინვენტარია თუ...

— ინვენტარია. მეც მთელი დილაა ფეხზე ვდგევარ, ჩამოვჯდეთ.

დარბაზის შუაგულში ბრინჯაოს დაბალი ტაიჭი იდგა.

— მომილოცავს! დღეს შენი დღეა! — მწერალმა მუხლზე ხელი დაჰკრა მხატვარს.

— გშურს?

— რა თქმა უნდა. დახატავ და ის მაინც იცი, ერთ შეხედვას არავინ დაგამადლის. აჰა, წიგნი მოგიტანე.

— ვიყიდე უკვე, — უჩა უცებ წამოდგა და კვერნის ქურქიან ქალბატონთან მივიდა. «Мой мальчик» — უჩას შავი ხელთათმანით ნიკაპზე მოეფერა. ტაიჭთან რომ დაბრუნდა, ყურები ისევ გაწითლებული ჰქონდა.

— ვისთვის გინდოდა.

— რა?

— წიგნი.

— ჰოო, ვისთვის? — უჩამ თვალები მოწკურა, — იქ, მარცხნივ ტილოს ხედავ? „მთვრალი მთვარეო" რომ დავარქვით. მაგას ათვალიერებს. ყვითელი მაუდის მანტო აქვს მოხურული. შავი შლაპა ახურავს და ჩექმაც შავი აცვია.

— მაგის არდანახვა შეიძლება?

— მოგეწონა?

— გიყვარს?

— მე და სიყვარული? — მხატვარმა მხარი გაჰკრა მწერალს, — შენ მინდა გაგაცნო.

— მშვენიერი აზრი მოგსვლია, ძმაო, მშვენიერი. ხატავს?

— არა, გობელინებს ქსოვს.

— კარგია, კარგი. ოფოფები არ ეყოლება.

— არც ოფოფები ყავს და არც დატიტყნილი ივლის ოთახებში.

— აა, შენ მაქორწინებ? ჰე, ჰე! მოიცა ერთი ავუარ-ჩავუარო. სახეს ვერ ვხედავ.

წამოდგა, ვითომ შემთხვევით, ოდნავ მხარი გაჰკრა.

— უკაცრავად, ქალბატონო.

— არა უშავს. აქ ყველა ასე დაბნეული დადის!

„რბილი ხმა ჰქონია“. ტაიჭზე შემომ-ჯდარი უთვალთვალებდა „საცოლეს“.

— მშვენიერი არსებაა... — არავინ უს-მენდა, არც არავინ უპასუხა.

— რა გჭირს ბიჭო! — უჩას გაფაც-ცებულ მზერას თვალი გააყოლა. თეთრი მაქმანებით გაწყობილ ლურჯ კაბაში ჩაცმული ქალი დიდ ტილოსთან იდგა და სიამოვნებით აქნევდა ბრილიანტის საყურით დამშვენებულ თავს. რაღაცაში ეთანხმებოდა დაბალ, წითელკოსტუმიან მამაკაცს.

— მოხდა რამე?

— მგონი... მგონი! — მხატვარს პირი ყურებამდე გაეხა, — რა ფეხი გქონია? თუ გაიყიდა საღამოს გირეკავ! წავუქე-იფოთ. ეხლა კი წავედი, ცოტა ხნით გა-ერთე როგორმე. თუ მალე მოვრჩი, დღე-სვე გაგაცნობ.

მწერალმა ლურჯი ქალბატონი წითე-ლი მენეჯერი, უჩა, გრძელთმიანი ჟურ-ნალისტი გოგონა ისევ იუპიტერების შუქზე დასტოვა და ჩანთას რაღაც, მა-ნამდე უცნობი, სევდა გამოაყოლა შენო-ბიდან.

3.

ამინდის ხათრით სახლის გზას ფეხით გაუყვა, მაგრამ ჩანთამ დაღალა. უნივე-რსიტეტის წინ, მარმარილოს დაბალ ღობეზე ჩამოჯდა. სიგარეტს მოუკიდა და ერთი არაუშავს აზრი მოუვიდა თავ-ში.

იქვე, ჯიხურში პატარა ბრტყელი ბოთლით კონიაკი იყიდა, ორი ყლუპით ნახევარი დალია, ჩანთა ქვეშ ამოიდო, წიგნები გვერდით მოუწყო, ქურთუკის საყელო აიწია და მოიბუზა.

„წიგნებს ვყიდი, რა მოხდა მერე?! ვინ რა იცის ჩემი რომაა. ხალხი რაღას არ ყიდის. სტუდენტებს კითხვა უყვართ. ჩემს დროს, ყოველშემთხვევაში, ასე იყო. კითხვა კი უყვართ — ფული არა აქვთ. ორმოცდაათ თეთრს დავაფასებ. სულაც გავაჩუქებდი, სახლამდე თრევას ხომ სჯობს. მაგრამ გადასაყრელი ეგო-ნებათ და ვაითუ, უარიც მითხრან ვინ-მემ“.

ხუთიოდე მეტრის მოშორებით ხნი-ერი ქალი მზესუმზირას ჰყიდდა.

— რა ღირს ბები მზესუმზირა?

— ერთი ჭიქა ოცი თეთრი, შვილო. — ქალს ეტყობა პალტო არ ჰქონდა და ორი ხალათი ერთმანეთზე ეცვა.

„აჰა, ორი ჭიქა მზესუმზირა ხომ ღირს, წიგნია ბოლოს და ბოლოს. თან ჭიქა ნახე“...

— რა ღირს ეს წიგნი? — მკვეთრმა, მაგრამ სასიამოვნო ხმამ თავი ააწევინა, თეთრბერეტიან გოგონას შუბლზე ჩა-მოყრილი თმები უცინოდა მხოლოდ, წიგნი ხელში ეჭირა და ფურცლავდა.

— ორმოცი თეთრი, — ცივად უპასუ-ხა.

გოგონამ რომელიღაც გვერდი ჩაიკი-თხა და უკან დადო.

— კარგი წიგნია, იყიდეთ.

— თქვენი დაწერილია?

— ...ჰო! ჩემი დაწერილია. არ მოგ-წონთ?

— მშვენივრად სწერთ, მაგრამ...

— მაგრამ და არ ვარგა ერთი და იგი-ვეა. ასე არ არის?

— მე ეგ არ მითქვამს, — მწვანე კაშ-ნე ჩამოიწია, — უბრალოდ, რაღა დროს ია და სერაფიტებია...

— მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, თუ საიდუმლო არ არის, რომელ ფაკულ-ტეტზე სწავლობთ?

— მაგას აქვს რაიმე მნიშვნელობა? — შუბლზე თმები გაწი-გამოწია და თაფ-ლისფერი თვალებით დააკვირდა. — და-სავლეთ ევროპის ლიტერატურის და...

— ყველაფერი გასაგებია, — ესიამოვ-ნა ამ უცნობთან საუბარი, წამოდგა, — თქვენ ალბათ სარტრი, კაფკა, კამიუ...

— გამოიცანით. ვგიჟდები კაფკაზე.

— კაფკა გიყვართ?!

— ვგიჟდები-მეთქი, ხომ გითხარით.

— ჰოი, საოცრებავ! ყველაფერი გამი-გია, კაფკას სიყვარულის გარდა. დაგლუ-პავენ ეგენი გოგონა, დაგლუპავენ.

— თქვენ რა! კაფკა არ მოგწონთ?!

„ რა გინდა ახლა, ამ ლაწირაკს რომ უთხრა? „GS-ვით პასუხები ექნება ჯი-ბეში“.

ეროვნული

— ჭეშმარიტად უდიდეს პატივს ვცემ, თქვენი ხათრით შემიძლია მოვიწონო კიდეც, მაგრამ ნეტს ნუ მომთხოვთ, სიყვარული გამორიცხულია და ნაწყენი რომ არ წახვიდეთ, ამ წიგნს გაჩუქებთ, თან პირობას გაძლევთ — დავივიწყებ ენძელასავით რომ გამომეცხადეთ და ამაღამ ნიანგების ორთაბრძოლაზე დავწერ რამეს.

— გმადლობთ. — წიგნი ჩანთაში ჩადო და ხელი გაუწოდა. ახლა უკვე თვალებიც უცინოდა, — მე აქ ერთი ლექცია მაქვს. ისტორიის. მაინც არ ვუსმენ. ვნახავ ერთი, ვის არ მოსწონს კაფკა.

—მეც ალბათ, ერთი საათი აქ ვიჯდები, მეც მაინტერესებს, ვინ გიჟდება მაგ გონებადაწიოკებულზე.

— აბა, არ მოიწყინოთ, ერთი საათით! გოგონამ გაულიმა და კარისკენ გაიქცა.

●

სტუდენტები მიდი-მოდიოდნენ, ზოგმა ფასი იკითხა, ზოგი ხელში ატრიალებდა და უკან დებდა. კონიაკი დაიცალა, გოგონა არ გამოჩნდა. მოშივდა.

— ბები, ერთი ამ წიგნებს მიმიხედე. გადავირბენ, შევჭამ და ხუთ წუთში აქა ვარ, — მზესუმზირის გამყიდველი გაახსენდა.

— კარგი შვილო, მაგრამ ეს ოხერი მილიცია არ მასვენებს. რომ გამაგდოს? აჰა! ისევ აქეთ მოდის.

— შენი დარდიც ეგ იყოს! ხუთ წუთში არავინ დაიტაცებს, ჩანთას კი წავიღებ.

მადა კარგი აღმოაჩნდა, ორი ულუფა ბიფშტექსი და ორი კოკა-კოლა ჩაიტია ცარიელმა მუცელმა.

უკან რომ დაბრუნდა, „ბები“ იქ აღარ დახვდა.

წიგნები აკრიფა. „ერთი, ორი, სამი... ერთი გოგონას ვაჩუქე, უჩასათვის არ მიმიცია. მეცხრე სად არის? მეცხრე!“

„ა“, „მოიპარეს?“ „მოიპარეს“. „ბიჭო, წიგნი მოიპარეს!“ კინაღამ შეხტა სიხარულისაგან. „ჩემი წიგნი უნდათ და ფული არა აქვთ?“ „არიქა ბიჭო!“ წიგნები ამოიღლიავა და ბაღში ფეთქებებით შევიდა, სტუდენტებმა ჭუკჭუკულურტული შეწყვიტეს.

— ინებეთ საჩუქარი მწერალთა კავშირისაგან!

— ინებეთ საჩუქარი...

უცებ ჩამოარიგა რვა წიგნი, რვა მადლობა გაიგონა და ბედნიერი დაუყვა ვარაზის ხევს.

„ხედავ კაცო შენ? ხედავ? მოიპარეს“. უხაროდა.

„არა, კარგად მოვიფიქრე იქ დაჯდომა, ნაღდად მოეწონა იმ გოგოს, ვიღაცას უთხრა, იმან კიდევ ვიღაცას და იმ ვიღაცამ მოიპარა კიდეც... უჰ! რა ვაკადრე.. აიღო კიდეც, მე ხომ არ დამელოდებოდა აბა! შეიძლება თვითონ „ენძელამ“ მოიყვანა ვინმე საყიდლად. მე კი ამ დროს მუცელს ვივსებდი. გული ხომ მიგრძნობდა — იჯექი-მეთქი აქ! ვაჩუქებდი, აბა მართლა ორმოც თეთრს ხომ არ გამოვართმევდი“.

„ რაო, იმ ვირიშვილმა — ტყუილად მიკავებს ადგილსო? არ ძმაო, შეიძლება წიგნი უწიგნურმა გაყიდოს?“

„ხვალაც ხომ არ მივსულიყავი? მოვიდე და დავარიგო? არა? ეხლა ნურას უკაცრავად, ყველაფერს თავის ფასი აქვს. თან ხვალამდე ბევრს წაკითხულიც ექნება. ხვალ ვინმე უსაქმურს ვნახავ და იმასაც დავსვამ სადმე. თუნდაც პედაგოგიურის წინ, რატომ მარტო იქ, თეატრალურთან, სამხატვრო აკადემიასთან... აჰ, ეგენი წიგნებს არ ყიდულობენ“.

ვარაზის ხევი კი არ ჩაიარა, ჩაიფრინა. ქვემოდან ამოხედა მზეს, უნივერსიტეტის თეთრი გედივით შენობას რომ ამოფარებოდა.

თეთრ გედს სტუდენტები ეძახდნენ ამ შენობას.

„ეჰ. თამრიკო“.

ზოოპარკის შესასვლელთან ისევ ის „ბები“ იჯდა. ტომარა გაენახევრებინა.

— რაო, მაინც გამოგაგდო იმ ოხერმა, იმან?

— ა, შენა ხარ? გამომაგდო, მაშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, აქ არ ჯობია? ბავშვებიც დადიან, არა?

— ჰო, დილაობით ალბათ იქნებიან.

— ბები, ეხლა კარგ ხასიათზე ვარ და დიდი პარკი გამიკეთე. ერთი ლარის მზესუმზირა უნდა ვიყიდო, სახლამდე რომ მეყოს.

— შვილო, — დაიბნა ქალი, — აი, იქ რო წიგნები გედო, ერთი ცალი ავიღე. ქაღალდი აღარა მქონდა, მითხარი როგორა ჰყიდდი და ფულს მოგცემ.

ტომრის გვერდით ფურცლებგანახევრებული ცისფერი წიგნი იდო. ქალმა გაშალა, ერთი ფურცელი კიდევ ამოხია და პარკი გააკეთა.

— ჰა, რას გაჩუმებულხარ. როგორა ჰყიდდი-მეთქი?

— ორ ლარად!

— ჰოდა, გაგივსებ ამ პარკს და გავსწორდებით კიდეც.

— არ მინდა მზესუმზირა. ორი ლარი მომეცი!

— ძაან ძვირი ხომ არ იქნება, შვილო ა?

— ორი ლარი-მეთქი, ორი ლარი!

— აჰა, შენა და...

— აბა, არ მომაწყევლო იცოდე! — ფული ჯიბეში ჩაიდო და ხელი დაიტყაპუნა.

— ერთი ცალიც გაიყიდა!

4.

ზამთრის მოკლე დღე გზაში შემოელია. კარს რომ აღებდა, უკვე ბნელოდა. ფარდები გასწია და მთვარის ცივმა შუქმა საწერი მაგიდა, სავარძელი, სკამზე შეგდებული თბილი შარვალი გაანათა.

ქურთუკი არ გაუხდია, ისე წამოწვა ტახტზე. ოთახს ავეჯის გრძელი ჩრდილები სერავდნენ, მხოლოდ თაროებამდე ვერ აღწევდნენ. წიგნები თითქოს მის დანახვაზე აჩურჩულდნენ.

ერთი დაჭიმული ნერვი გადატვირთული ამწის რკინის ბაგირივით გაწყდა და მწერალი ტახტიდან შეშლილივით წამოაგდო.

ქურთუკის სახელოებში მუშტი ჩამალა, თითებით დაიჭირა და თაროებს მივარდა. პირველი მინის მსხვრევის ხმერე აღარაფერი გაუგონია.

— გადმოეთრიეთ დაბლა, თქვენი! ჩამოეთრიეთ! პირველ რიგში შენ, შე მართლა ტვინდაწიოკებულო! შენც, შე ბლუკუნა ირლანდიელო! დაბლა, თქვე დედის მკვლელებო... ორივე! ორივე!

კიდევ ჩაიმსხვა მინა.

— სულ „სემიჩკის“ პარკებად უნდა გაქციოთ... ჩამოდი, ჩამოდი შე სისხლის აღმრევო! თფუი, შე სქესის მონავ, შენც იატაკზე უნდა ეგდო. შენ სადღა იმალები, შე სანაგვეში მძრომიალევ!

„სემიჩკის“ პარკებად, „სემიჩკის“ პარკებად!..

ქურთუკი გაიხა. სისხლიანი მინა და წიგნები ერთმანეთში აირია.

— თქვენ მანდ იყავით, თქვენ ნუ გეშინიათ. ამათი... ჰაა! არ გეზარებოდა წერა, არა? შე ცვედანო! კარგია, შენგან ბევრი პარკი გამოვა!..

მსხვრევა ნგრევით გული რომ იჯერა, დაიხარა, პირველივე წიგნი, რომელიც ხელში მოხვდა, ამოიღო, ფურცელი ამოხია, პარკი გააკეთა და ქუჩაში გავიდა.

ერთი კვარტალი ფეხით გაიარა. ნაცნობი სახლის პირველ სართულზე ფანჯარაზე დააკაკუნა.

— „სემიჩკა“ არ არის! — გაიგონა. შუშაბანდშიც შუქი ჩაქრა.

ისევ დააკაკუნა. ფანჯარაში თავწაკრული ქალი გამოჩნდა.

— არ არის-მეთქი, ქართულად არ გითხარი წელან?

— იქნებ შემოგრჩა, ერთი ჭიქა მინდა. ცოლი მყავს ფეხმძიმედ...

— მომეცი აქ ეგ პარკი. — ფანჯარა დაიხურა და ისევ გაიღო.

— დაუხლელია იცოდე! ერთი ლარი უნდა, სამი ჭიქა ჩაეტია.

— შენ ისე მიშველე, ორი იყოს. ხვალისთვის კი ბლომად დახალე, ბევრს წავიღებ.

პარკი ალამივით ეჭირა და გამარჯვებული ჯარისკაცივით ნელი ნაბიჯით თავაწეული მოდიოდა. დაუხლელი მზესუმზირის ნელ-ნელა ფცქვნაში ნერვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყნარდა. იმ ნაგავს რა მოუვლის სახლშიო, იმასღა ფიქრობდა.

5.

პარკი საწერ მაგიდაზე დააგდო. ნათურა არც ახლა აუნთია. წიგნების გროვას ფეხი გაჰკრა და ტახტისაკენ წავიდა.

მინის წრიპინი ნაბიჯზე დაეწია. მოიხედა.

მთვარეს სარკეებად ექცია მინის ნამსხვრევები. ღამენათევი, დასისხლიანებული რამდენიმე წყვილი თვალი ნაღვლიანად შეჰყურებდა. ოთახში წელში მოხრილი, უცნობი ჩრდილები ბორგავდნენ.

ერთი წუთი მონუსხული იდგა. მერე ყუთი მოიტანა და მუხლებზე დაეშვა. მინის ნამსხვრევები ფრთხილად გამოაცალა გროვას. ყუთი რომ გაავსო, წიგნებს მიუბრუნდა. სათითაოდ, ხელისგულით გადაწმინდა და თავის ადგილებზე შემოაწყო.

მთელი დღის დაღლილობა და ნაღველი ერთბაშად მოეშვა. ქურთუკი გაიხადა, ტახტზე წამოწვა, ზოზრები შეიხსნა, ფეხსაცმელი კარისკენ გაისროლა.

ის იყო უნდა ჩაეთვლიმა, მაგიდაზე მზესუმზირის პარკს მოჰკრა თვალი. „ეს ხვალ იყოსო, გაიფიქრა.

თბილმა პლედმა ვერ უშველა. კარგა ხანს იწრიალა. ბოლოს წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, პარკი გაშალა, ჩაკეცილი ადგილები სათუთად გაასწორა და ისევ წამოწვა.

ვერც ახლა მოისვენა. ისევ წამოდგა, მაგიდის უჯრაში წებო იპოვნა. ფურცლებზე აბზაცი წაიკითხა, თაროდან წიგნი ჩამოიღო და ხელები დაიბანა.

ამოხეული ფურცელი ფრთხილად, ხელის კანკალით ჩააწება. სულის შებერვით გააშრო.

მერე წიგნი დააბინავა, მაგიდასთან სავარძელი მიიჩოჩა, ფურცელი ამოიღო და ტრაფარეტზე დაამაგრა.

●

დილით, როცა მზემ ააწევინა თავი, მაგიდაზე ისევ სუფთა ფურცელი იდო. მხოლოდ ახლა, ზემო კუთხეში მსხვილი ასოებით სათაური ეწერა: ე ნ ძ ე ლ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მიბჩუანი

პავლე ინგოროყვა აფხაზთა ეთნოგენეზისის შესახებ

აფხაზთა ეთნოგენეზისის პრობლემის კვლევა მეცნიერულ დონეზე დიდმა ქართველმა სწავლულმა, კრიტიკოსმა და მოაზროვნემ პავლე ინგოროყვამ აიყვანა. უსაზღვროდ დიდია მისი ამაგი ამ თვალსაზრისით ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე, რაც დღემდე, სამწუხაროდ, სათანადოდ შეფასებული არ არის.

პ. ინგოროყვას გამოკვლევა „აფხაზეთის" სამეფოს შესახებ, ეს არის ქართველი ერის ბნელი ისტორიული ლაბირინთების ელვარე ნიჭითა და მაღალი გონების შუქით გასხივოსნება, წინაპართა ნაკვალევისა და გზა-ბილიკების წარმოჩენის ალღო და უნარი, რაც მხოლოდ რჩეულთ თუ ძალუძთ.

მეცნიერი, რომელსაც მშრალი ფაქტების გარდა ალღო და ინტუიცია არ გააჩნია, დიდი შედეგების მომცემი არ არის. პ. ინგოროყვა ამ მხრივაც ბუნებით დაჯილდოებული პიროვნება იყო.

აფხაზთა ეთნიკური ვინაობის მრუდე სარკეში წარმოჩენამ, ისტორიული სინამდვილის იგნორირებამ, ველიკორუსული ბოლშევიკური იდეოლოგიის სასარგებლოდ, თავის დროზე ნოყიერი ნიადაგი მოამზადა აგრესიული აფხაზური სეპარატიზმის ჩასახვისა და შემდგომ მისი სწრაფი ზრდა-განვითარებისათვის, რამაც ბოლოს აფხაზეთის პროვოკაციულ ომამდე მიგვიყვანა. სამწუხაროდ, ამაში არამც თუ უცოდველი არ არის ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, არამედ მათ გამოკვლევებმა აფხაზ სეპარატისტებს გარკვეული სტიმული მისცეს ემტკიცებინათ, რომ ლიხის (სურამის) ქედამდე ძველი ეგრისი ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის ხალხთა განსახლების ტერიტორიას წარმოადგენდა. ის მეცნიერები (ს. ჯანაშია, არ. ჩიქობავა) დღეს რომ ცოცხალნი იყვნენ, თვითონვე უარყოფდნენ ამ შეხედულებებს, რადგან ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბევრი მასალა გამოვლინდა ასეთი ნაჩქარევი დასკვნების საწინააღმდეგოდ, თუმცა მათ სასარგებლოდ მაშინაც არავითარი ფაქტი არ არსებობდა სამი საეჭვო გეოგრაფიული სახელის გარდა, რომელთა ახსნის მათეულმა ვერსიამ კრიტიკას ვერ გაუძლო (იხ. ქვემოთ).

აქედან გამომდინარე, აფხაზთა ეთნიკური ვინაობის ასეთმა არასწორმა მიდგომამ აიძულა პ. ინგოროყვა, ამ საკითხისადმი საგანგებო თავი მიეძღვნა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „გიორგი მერჩულე" (თბ., 1954).

პ. ინგოროყვა წერს: „ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს — „აფხაზთა სამეფოს" დაარსების გამო ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც ამ დროს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, მოხდა დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების მიერ (რომლებიც, ამ მცდარი შეხედულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად, არა-ქართველ ტომად არის მონათლული), და ვითომც ამის შემდეგ ორი მომდევნო საუკუნე (მე-9-10 საუკუნეები) — ეს არის ერთგვარად „აფხაზური ერა“ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში“ (გვ. 115). ამასთან დაკავშირებით იქვე ავტორი იმოწმებს ციტატას საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოდან, რომელშიც აფხაზები წარმოდგენილი არიან არაქართული მოდგმის ტომად (იხ. საქართველოს ისტორია, I, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948, გვ. 146-147).

პ. ინგოროყვა თავის ვრცელ გამოკვლევაში ამ მცდარ დებულებას მეცნიერული საბუთიანობით უარყოფს და ასკვნის, რომ არა მარტო მე-8 საუკუნეში, „არამედ საერთოდ მთელი ძველი ისტორიის მანძილზე, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) — ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულის დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები — ქართები, მეგრელები და სვანები“ (გვ. 116). საკმაოა, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოთ ხსენებულ ხავსმოდებულ დებულებას დღესაც იცავს ზოგიერთი ქართველი მკვლევარი. ამ დოგმად ქცეულ ცრუ თეორიებსა და დებულებებს ოქტომბრის დროშებივით აფრიალებენ აფხაზი სეპარატისტები და ლიხის ქედამდე გაბატონების სურვილი მოსვენებას არ აძლევთ. ამ „საშვილიშვილო“ საქმეში მათ დამხმარე არ გამოელევათ. გასაოცარია ის ფაქტიც, რომ პროაფხაზური ორიენტაციის ქართველი მკვლევარები „მკაცრად ილაშქრებენ“ აფხაზი სეპარატისტი კოლეგების წინააღმდეგ მაშინ, როცა ფაქტიურად ერთი და იგივეს გაიძახიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქართველი ისტორიკოსები დელიკატურ, აკადემიურ სტილში, ეთიკური ნორმების დაცვით „აკრიტიკებენ“ თავიანთ აფხაზ „ოპონენტებს“, რომელთა უხეში, „ამოხეთქილ“ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის საერისთაოს სამხრეთ საზღვრად მიჩნეულია კელასურის ზღუდე-კედელი, რომელიც მდ. კელასურის შესართავთან იწყება, ქ. სოხუმიდან 4 კმ-ზე სამხრეთით. ეს ზღუდე მიჰყვება კელასურის ხეობას და ქერჩის მთის ხაზით გადადის ფანავის ქედზე კოდორის ხეობაში.

სამხრეთის საზღვარი აფხაზეთის საერისთაოს ჰყოფდა ეგრისისაგან.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იყო კავკასიონი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი — შავი ზღვა.

პ. ინგოროყვას აზრით, აფხაზეთის საერისთაოში VIII-X საუკუნეებში და შემდგომ საუკუნეებში მოსახლეობდა ოთხი ქართველური ტომი: 1. აფხაზები; 2. სანიგები (სანიხები), ანუ ჰანიოხები; 3. აბსილები (აფსილები); 4. მისიმიანები.

მოგვიანებით აფხაზეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე ჯიქები ჩამოსახლდნენ. ეს არის აფხაზეთის ჯიქეთი.

ამის შემდეგ პ. ინგოროყვა აფხაზეთის გეოგრაფიულ დაყოფას წარმოგვიდგენს, რომელიც ეთნიკური განაწილების პრინციპს ემყარება. თუმცა ამ შემთხვევაში ირღვევა ზემოთ შემოთავაზებული აფხაზეთის ოთხ ტომად წარმოდგენის დებულება, რადგან ტომობრივ-გეოგრაფიული დაყოფის დროს იგი შვიდ ერთეულს შეადგენს, კერძოდ:

1. მთიანი აფხაზეთი, ანუ ძირითადი აფხაზეთი. იგი მოიცავდა მდინარე ბზიბის ხეობის შუა და ზემო ნაწილს, მდინარე ფსოუს ხეობის ზემო ნაწილს, მდინარე მძიმთის შუა და ზემო ნაწილს. მძიმთას, რომელიც აღლერთან ერთვის შავ ზღვას, ანტიკური ხანიდან XVII საუკუნემდე ეწოდებოდა **აბასხი** — აფხაზთა მდინარე.

2. ზღვისპირა აფხაზეთი, ანუ სამხრეთი ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). მოიცავდა ტერიტორიას — სოხუმი, ლიხნი-ბიჭვინთა, გაგრა და აღლერის სექტორი.

3. ინგოროყვას მტკიცებით, III-IV საუკუნეებში ეს ტერიტორია აფხაზთა ტომის ფარგლებში გადასულა. პოლიტიკური ცენტრი ყოფილა ცხუმი, ხოლო საეკლესიო — ბიჭვინთა.

3. აფხაზეთის ჩრდილოეთი მხარეები — შიდა ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). ეს არის სოჭის რაიონი, დაწყებული მდინარე **აბასხის** (მძიმთის) ხეობის დასავლეთიდან, ვიდრე მდინარე — ახეუნთა (შახე).

4. აფხაზეთის ჯიქეთი, ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი — მოიცავდა ახლანდელ ტუაფსის რაიონს, მდინარე ახეუნთიდან (შახედან), ვიდრე ნიკოფსიამდე. პ. ინგოროყვას აზრით, ჰენიოხთა განსახლების ამ ადგილზე ჯიქები ჩამოსახლდნენ მოგვიანებით, რაზედაც ჯუანშერის ცნობაც მიგვანიშნებს: „ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. ცენტრი აფხაზეთის ჯიქეთისა იყო ქალაქი ნიკოფსია, რომლის ძველი სახელი „ლაზიკა“ ყოფილა. არიანეს პერიპლუსში, აგრეთვე, V ს. ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში ეს პუნქტი მოიხსენება სახელწოდებით „ძველი ლაზიკა“.

5. ისტორიული აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი შეიცავდა ორ მხარეს: **აფშილეთი,** მდ. კელასურის ზემო ნაწილი და მისი მიმდგომი ზონა გუმისთის ხეობიდან, ვიდრე კოდორის ხეობამდე. მთავარი პუნქტი აფშილეთისა იყო **წიბელი** (წიბელთა), წებელდა (სიტყვიდან „წიფელი“).

6. **მისიმიანეთი** — კოდორის ხეობა, წებელდის ზემოთ კლუხორის უღელტეხილამდე. მთავარი პუნქტი ყოფილა **ჩხარი** (თანამედროვე ჩხალთა), რომელსაც აგრეთვე „რკინის-ციხე“ ერქვა.

7. „ეგრის-წყალსა და კლისურას შუა ქვეყანა“ — ეს იყო ბუფერული ზონა ეგრისსა და აფხაზეთს შორის, რომელიც კავშირში იყო როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან (საერისთაოსთან). მისი საზღვარი იყო დასავლეთით — მდ. კელასური და აღმოსავ-

ლეთით მდინარე ღალიძგა (მეგრ. „ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“).

ამ ბუფერული ზონის ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე ოჩამჩირის რაიონს და გულრიფშის რაიონის სამხრეთ ნაწილს. ეს ბუფერული ზონა მე-7 საუკუნემდე ეგრისის ნაწილი იყო. მე-8 საუკუნიდან ეს ზონაც „აფხაზთა სამეფოს“ ნაწილია, ხოლო XII-XIII საუკუნეებში, როცა ცხუმის საერისთაო ძველი აფხაზეთის საერისთაოს საზღვრებით შემოიფარგლა, ეს ბუფერული ზონა XVII საუკუნემდე კვლავ ეგრისის სამთავროს შემადგენლობაშია.

ქართულ მატიანეებში ამ ბუფერულ ზონას „ეგრის-წყალსა და კლისურასა **შუა ქუეყანა**“ ეწოდება (ამჟამად ამ მხარეს „აბჟუა“-ს ეძახიან, რაც აბაზურია და ნიშნავს „შუა ქუეყანას“). ძველქართულად „ქუეყანა“ სინონიმია ცნებისა „სოფელი“, ამიტომ ადგილობრივნი ამ მხარეს XVIII-XIX საუკუნეებამდე „შუა სოფელს“ ეძახდნენ.

ამის შემდეგ პ. ინგოროყვა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობას არკვევს. მეცნიერის აზრით, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში აფხაზეთის მხარეთა ტერიტორია მთლიანად დასახლებული ყოფილა ქართველური ტომებით — მოსხებით (მესხები), მეგრელ-ლაზებითა და სვანებით. სახელდობრ:

1. „შუა სოფელში“ ესახლნენ მეგრელ-ლაზნი, დღევანდელი მდინარე ღალიძგიდან მდინარე კელასურამდე.

2. მთა აფხაზეთში (ძირითად აფხაზეთში) ესახლნენ „მოსხები“, იგივე მესხები. მეცნიერს აქ მოჰყავს ანალოგი მეგრულ-ლაზური და მესხური ტომების თანამეზობლობისა სამხრეთ კოლხეთში (გურულები და ქობულელ-აჭარლები), სადაც სამეგრელოსა და ჭანეთს შუა ზოლთაშორისად არის შემოჭრილი მესხური ტომის შტო (იგულისხმებიან გურულები და აჭარლები). თუ რომელ დიალექტზე ლაპარაკობდნენ ძირითადი აფხაზები, ანუ მოსხები (აბასხები-აბაზგები, რომლებიც ნ. მარის აზრით, არიან სვანები) ამის შესახებ. პ. ინგოროყვა გადაჭრით ვერაფერს ამბობს, მაგრამ ფიქრობს, რომ მათი ენა იყო საკუთრივ ქართული. ეს აზრი ემყარება აფხაზეთის ტერიტორიაზე მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების ქართულ წარმომავლობას [სოჭი, ბიჭვინთა, ბზიფი (ბზები), უღაღი უღაღანი), ლაიაში (ლიაში), წიფელი (წიბელდა), წურწუხი, გუბი, ფშაური, ჭალა, ზეგანი, თხილარი (თხილნარილთხინა), მარცხული, კაპოეტი და სხვ.] პ. ინგოროყვა ამასთან დაკავშირებით წერს: „ანტიკური ხანის ყველა ძველ წყაროში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1-ლ საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა აფხაზებს ეწოდება მხოლოდ ეს სახელი **მოსხი** [რაც შეეხება ტერმინებს აბასხი, აფხაზი, დიალექტური სახესხვაობაა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი“, — ესენი ბევრად უფრო გვიანაა ხმარებაში“] (გვ. 137). პ.ინგოროყვა იქვე იმოწმებს ძ.წ. V ს. ბერძენ ავტორს ჰელანიკე მიტილენელს, რომელიც თანამედროვე აფხაზეთში მოსახლე ტომს უწოდებს — **მოსხი,** რომლის მოსაზღვრენი არიან ჰენიოხები, კორახები, კერკეტნი და ქარიმანტნი. ჰენიოხებში პ. ინგოროყვა გულისხმობს სანიხ-სანიგებს, კერკეტებში კავკასიონის ქედს გაღმა მოსაზღვრე ჩერქეზებს, ხოლო კორახებში — თანამედროვე კელასურის ხეობის მცხოვრებლებს. პ. ინგოროყვა იმოწმებს, აგრეთვე ძ. წ. IV ს. ავტორს პალეფატე აბიდოსელის, რომელიც დღევანდელ აფხაზეთში მოსახლე ტომს **მოსხის** ეძახის, რომელსაც ემეზობლებიან კერკეტნი და ქარიმანტნი.

პ. ინგოროყვას სიტყვით, უფრო გვიან ხანაშიც, მითრიდატე პონტოელის ომების ისტორიკოსები და აგრეთვე თვით სტრაბონი (ძ. წ. 64-ახ. წ. 24) აფხაზებს იცნობენ სახელწოდებით — **მოსხი,** რომელთაც ესაზღვრებიან ჰენიოხები და კერკეტები.

შემდეგ მეცნიერი „აფხაზ“ ტერმინის წარმომავლობის ლინგვისტურ ანალიზს იძლევა. პ. ინგოროყვას მტკიცებით, „მოსხი“-ს არქაული დიალექტური ფორმებია: მოსხი (მოსოხი)-მასხი (მასახი)-ბასხი (ბასახი). ამ უკანასკნელი ფორმიდან **ბასხი** (-ბასახი) უნდა მომდინარეობდეს აფხაზთა ერთ-ერთი კლანის ეთნიკური სახელწოდება **ბასხოგი** (იმოწმებს ლ. ლიულიეს), აგრეთვე შიდა აფხაზეთის თემის სახელწოდება **ბასხი.** აქიდან მომდინარეა-**ბასხი-**ბასილი-ბასარი (შდრ. ქართული გვარები — ბასილია, ბასილაია, ბასარია). **ბასილი-**დან ნაწარმოებად მიაჩნია გეოგრაფიული სახელწოდება **ა-**ბსილეთი (-სა-ბასილ-ეთი), საიდანაც ქართული ენის ფონეტიკური კანონის — რედუქციის, ე.ი. ძირის ხმოვნის ამოღების გზით (რაც აუცილებელი წესია ხმოვნიანი ახალი ფორმანტის მიმატებისას): მიღებულია ფორმა: **ა-ბ-ბილ**-ეთი, იგივე **ა**-ბსილ-ია (გვ. 139).

რაც შეეხება -ხი დაბოლოებას, იგი დამახასიათებელია ქართველი ტომების სახელწოდებებისათვის და ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ანალოგიურ ფაქტებს, მაგალითად, მოსო-ხი (მეს-ხი), კოლ-ხი, კა-ხი, ტაო-ხი, ჰენიო-ხი, სანი-ხი და აბას-ხი აქ შეიძლებოდა ანალოგიური ფაქტების დამოწმება, როდესაც -ხი ბოლოკიდურ ფორმანტს ზოგჯერ -გი სუფიქსი ცვლის (მაგ,. აბასხი-აბაზგი, სანიხი-სანიგი), ან კიდევ, როდესაც -ხი და -გი -კი სუფიქსით იცვლება (სანიკი, მოსინიკი, აბასკი და სხვ.)

პ. ინგოროყვა ა- სუფიქსს ქართული სა-ს შინაარსის მატარებლად მიიჩნევს, ე.ი. აბასხი ნიშნავს სა-ბასხეთს. მაშასადამე ა-ქვეყნის (მხარის, კუთხის) აღმნიშვნელი მაწარმოებელი სუფიქსია. ანალოგიისათვის მოჰყავს გეოგრაფიული სახელი **აჭარა,** რომელიც „ჭან“ სატომო სახელიდან მომდინარედ მიაჩნია. ე.ი. **აჭარა** უნდა ნიშნავდეს საჭანო, ანუ ჭანიეთს.

იქვე ავტორი შორეულ წარსულში მესხთა ტომის ფართო განსახლების შესაძლებლობაზეც მიგვანიშნებს, რომ თავიდან მესხებით ყოფილა დასახლებული არა მარტო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ანუ სა-მცხე) და მისი მიდამოები, არამედ შიდა ქართლიც **მცხეთა,** აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი — ფშავ-ხევსურეთი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იმოწმებს იმ ფაქტს, რომ ფშავ-ხევსურებს „მოსოხ“-ის („მოსოქ“-ის) სახელით იცნობენ დაღესტნელი ავარები.

პ. ინგოროყვას სასარგებლოდ მეტყველებს მასალა, რომელიც მას არ დაუმოწმებია, კერძოდ, მესხური (ძველქართული?) ენობრივი ელემენტი საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებობს სვანეთის ტოპონიმიკურ არსენალში (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს..., გვ. 34-41). გარდა ამისა, აფხაზეთი, როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებს — ნამესხარია, დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი ნასვანარიცაა და თავისთავად იგი იყო ძველი ეგრისის, ანუ ძველი ლაზიკის ნაწილი. სხვათაშორის, აკად. კ. კეკელიძე ძვ. წ. IV-III საუკუნეებში მცხეთის მიდამოებში სვანურენოვან მესხთა ტომის არსებობას ვარაუდობდა (კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის..., გვ. 13). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სვანეთის ერთ-ერთ ძველ კუთხეში, ლეჩხუმში, გვხვდება გეოგრაფიული სახელი **მცხეთაშ.** თუმცა არაა გამორიცხული მისი სხვა მიზეზით გაჩენაც. საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთ ნიუანსში ზანურთან შედარებით სვანური ქართლურთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, მაგალითად ქართ. **ა**-ს სვანურში **ა**-დ, ხოლო მეგრულში **ო**-დ გადასვლა და სხვ. (ქართ. ქათამი, სვან ქათალ, მეგრ. ქოთომი; ქართ. ასი, სვან. აშირ, მეგრ. ოში და ა.შ.).

სვანთა და მესხთა ეთნოგენეტიკურ ურთიერთობაზე სხვა საგულისხმო ფაქტებიც მეტყველებენ (თ. მიბჩუანი, სვანთა და მესხთა ეთნოგენეტური....).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ნ. მარის აზრით, სვანური ენა მესხურის განაყარია. იგი თვლიდა, რომ თამარ მეფის დრომდე სვანური ენა ჯერ კიდევ ატარებდა მესხურ ელფერს (Н. Я. Марр, К дате эмиграции мосхов из Армении. с. 1690). ნ. მარისავე სიტყვით, სვანებისა და აფხაზების ძირეული ეთნიკური ფენა მოსხებიდან მომდინარეობს (იქვე, გვ. 1690). ნ. მარის მოსაზრებით, ხალხი, რომელიც სვანური ტომებისგან შედგებოდა, თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“ (Н. Я. Марр, Из поездок в Свянию, с. 32, 34).

ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხები (ყარაჩაელები, ბალყარლები...) სვანების სატომო სახელად ხმარობენ ტერმინს **ებზე,** რომელიც მომდინარეობს „აბაზგ“ — „აფხაზ“ სიტყვიდან (ს. ჯანაშია).

ყველაფერი ეს რეალურად არსებული შორეული ისტორიული ვითარებიდან მომდინარეობს, ანუ როცა ხდება წინარე ქართული ეთნოპოლიტიკური რომელიღაც გაერთიანების (მუშქებ-მოსხების?) დაშლა, გეოგრაფიული დანაწევრება, რასაც შედეგად ენობრივი დიფერენციაცია უნდა მოჰყოლოდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე, მდ. ჭოროხიდან ანაპამდე გამოვლენილია ზანურთან (მეგრულ-ჭანურთან) ერთად ათეულობით სვანური (წინარე ქართული) წარმოშობის გეოგრაფიული სახელები (თ. მიბჩუანი, კ. მერეტუკოვი, ზ. რატიანი).

ყველა ეს არგუმენტი პ. ინგოროყვას დებულების სასარგებლოდ მეტყველებს.

3. **შიდა ჰენიოხეთი** (სოჭის რაიონი) პ. ინგოროყვას აზრით, ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში ყოველთვის დასახლებული იყო მეგრელ-ლაზებით (ჰენიოხები-სანიხები-სანიგებისანები).

4. **ზღვისპირა აფხაზეთი** (ძველი სამხრეთ ჰენიოხეთი) მეცნიერის აზრით ანტიკურ ხანაში ჰენიოხების განსახლების ტერიტორიას წარმოადგენდა, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულიდან მესხების (აფხაზების) სატომო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

5. **აბსილეთი (ძველი** კორახეთი) პ. ინგოროყვას აზრით, ნარევი, ორი ქართველი ტომის: მეგრელ-ლაზებისა და მესხებისაგან შედგებოდა.

6. **მისიმიანეთი** (ძველი კოლაეთი) მკვლევარის აზრით მეგრელ-ლაზებისა და სვანების ნარევი ტომის დასახლება იყო. აქ პ. ინგოროყვას მხედველობაში აქვს კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ.წ. II ს.) ცნობა „სუანო-კოლხების“ შესახებ, რომლებიც, როგორც დგინდება ცხოვრობდნენ არა კოდორის ხეობაში, არამედ დღევანდელ გაგრა-ბიჭვინთის სექტორში. მისიმიანები მეორე სვანური ტომია აფხაზეთის ტერიტორიაზე.

7. **აფხაზეთის ჯიქეთის,** ანუ ძველი ჰენიოხეთის (ტუაფსის რაიონი) მოსახლეობად პ. ინგოროყვა მეგრელ-ლაზთა ტომს — ჰენიოხებს (სანიხებს) მიიჩნევს, რომლებსაც შემდგომ ჯიქები შეერივნენ. პ. ინგოროყვა იშველიებს XI ს. ქართველი მემატიანის, ლეონტი მროველის ცნობას კავკასიის ხალხების ეთნიკურ-ტომობრივი კუთვნილების შესახებ. ლეონტი მროველი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ეგრისელებს უწოდებს, რომელთა განსახლება აღწევს „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწვდების წვერი კავკასისა“. ლეონტი მროველის ცნობით, ეგრისი ნიკოფსიამდე („ძველი ლაზიკა“) აღწევდა. ხოლო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ ეს არის მდ. ნიკოფსიის ჩრდილოეთით მომდინარე, რომელიც ავრეთვე შავ ზღვას ერთვის.

შემდეგ პ. ინგოროყვა იმოწმებს ბერძნულ წყაროებს, სადაც „აფხაზი“ და „ეგრისელი“ ერთმანეთის სინონიმებია, აფხაზთა მეფეებსაც ეგრისელებს უწოდებენ და სხვ. (გვ. 131).

„შუა სოფლის“ (მდინარეების კელესურისა და ღალიძგას შორის) მოსახლეობა პ. ინგოროყვას უდაო მტკიცებით არიან ლაზ-მეგრელები, ანუ ეგრისელნი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პ. ინგოროყვას სპეციალური გამოკვლევა აფხაზეთის ტოპონიმიკაში. ამ შემთხვევაშიც მკვლევარი ეყრდნობა ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების ავტორთა ცნობებს, ასევე ისტორიულ რუკებს. საყურადღებოა, რომ არა მარტო დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ ნიკოფსიიდან („ძველი ლაზიკა“) მდინარე ენგურამდე ამ მასალების მიხედვით, არც ერთი ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის გეოგრაფიული სახელი არ გვხვდება. ვინც ამ მასალებს იცნობს, ის ამაში, ალბათ, დაგვეთანხმება. პ. ინგოროყვა აკი თვითონაც ამბობს: „ამ ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვპოვებთ ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით. ამის მიხედვით სრულიად აშკარა ხდება უსაფუძვლობა იმ შეხედულებისა, რომელიც ამ მხარის ძირითად მოსახლეობას ჩერქეზულ შტოს მიაკუთვნებდა“ (გვ. 146).

პ. ინგოროყვას სიცოცხლეში (1893-1983) არ იყო შესწავლილი და გამოვლენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ათეულობით სვანური წარმოშობის ტოპონიმი, რაც დიდი მეცნიერის მოსაზრებებსა და მტკიცებებს კიდევ უფრო საფუძვლიანს გახდიდა.

პ. ინგოროყვა ეხება „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორიას. მას აქვე მოჰყავს ეგრის-აფხაზეთის მეფე-მთავართა გენეალოგიური ნუსხა. მეცნიერის მტკიცებით, „აფხაზეთის სამეფოს“ ყველა მეფე ქართული წარმოშობის, ქართული ენისა და კულტურის მატარებელი იყო. ამიტომაც აღმოსავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის მეფე-მთავრები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ასე მოხდა მე-8 საუკუნეშიც, ლეონ II აფხაზთა მეფის ერისთავი, რომელმაც ბიზანტიის ბატონობისაგან იხსნა აფხაზეთი და მერე მთელი დასავლეთი საქართველო.

ქართლის ერისმთავარს ნერსე II-ს, როგორც ჩანს კავშირი ჰქონდა დამყარებული აფხაზთა მეფე ლეონ II-თან. წინასწარ ნერსე II-მ თავისი ოჯახი გახიზნა ლეონ II-ის კარზე უფრო გვიან, აქვე, დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე თავშესაფარს პოულობენ არაბთაგან ლტოლვილი იბერიელი ემიგრანტები. ეს ახლო კავშირი და თანამშრომლობა ძალაში რჩება შემდგომ ხანაშიც.

პ. ინგოროყვას სამართლიანი შენიშვნით, ქართველი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ ლეონ II-მ ხაზართა ჯარის დახმარებით „გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“ (მატიანე ქართლისაჲ), ნიშნავს დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებას ბერძენთა ბატონობისაგან.

ნიშანდობლივია ინგოროყვასეული განმარტება გიორგი მერჩულის ძეგლში საქართველოს მთლიანობის კლასიკური ფორმულისა: „**ქართლად** ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა **ქართულითა ენითა** ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. პ. ინგოროყვას სამართლიანი შენიშვნით, ამ ქართულ ერთიანობაში იგულისხმება აფხაზეთიც, რადგან გიორგი მერჩულემ თავისი ნაწარმოები („გრიგოლ ხანძთელი“) დაწერა X საუკუნის შუა წლებში, ხოლო „აფხაზეთი“ (დასავლეთი საქართველო) ბერძენთაგან განთავისუფლებული იქნა ერთი საუკუნით ადრე, როდესაც „აფხაზეთში“ საერო და საეკლესიო ენად ქართული გამოცხადდა, ბერძნული კი განდევნილ იქნა. მაშასადამე, X საუკუნეში „აფხაზეთში“ (დასავლეთ საქართველოში) „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვოდა და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებოდა“, ამაზე მიგვანიშნებს თვით

ცნება: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების“, ე. ი. ქართლად იწოდებაო დიდი ქვეყანა და არა მარტო ეთნოგრაფიული ქართლი (იბერია).

X საუკუნეში „აფხაზეთში“ (დასავლეთ საქართველოში, ცენტრით ქუთაისი) ამ დროს არსებობდა ქართული საეკლესიო მწერლობის დიდი ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ივანე მინჩხი. აქ „აფხაზეთში“ ქართულ ენაზე იწერებოდა საისტორიო ძეგლები, მატიანეები, მათ შორის აღსანიშნავია „ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“, რომელიც ბაგრატ III-ს შეუდგენია.

პ. ინგოროყვას გამოყენებული აქვს მდიდარი საარქივო, საეკლესიო მასალა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნოტაციები (ნუსხები) და სხვ.

აფხაზეთში საეკლესიო რეფორმა პ. ინგოროყვას გამოკვლევით 830-იან წლებში უნდა ჩატარებულიყო. ამ დროს აფხაზეთში ხდება საერო და საეკლესიო ენად ქართულის შემოღებაგავრცელება, ქართული სკოლების ჩამოყალიბება, ქართული მწერლობის განვითარება, ქართული კულტურის კერების შექმნა.

ბოლოს პ. ინგოროყვა ასეთ დასკვნამდე მიდის:

1. დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც საშუალო საუკუნეებში **აფხაზეთის** სახელწოდებით არის ცნობილი, მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედლიდან ვიდრე „ძველ ლაზიკამდე“ (ნიკოფსიამდე), დაახლოებით დღევანდელი ნოვოროსისკის მახლობლად. ეს ტერიტორია დღეს მოიცავს აფხაზეთის ჩრდილო ნაწილს, ადლერის, სოჭისა და ტუაფსის რაიონებს.

2. აფხაზეთის ტერიტორია ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში ისტორიულად ძირეული ქართული ქვეყანაა. ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში აქ ცხოვრობდა ქართველთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები.

3. თითქოს მე-8 საუკუნეში მომხდარიყო აფხაზეთის დაპყრობა არაქართველთაგან — სინამდვილეს არ შეეფერება. აფხაზეთის ქართველებმა ამ დროს შეძლეს ბერძენთა ბატონობისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლება.

4. „აფხაზეთის სამეფოს“ ხელისუფლება, დღიდან მისი დაარსებისა, არის გამტარებელი მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა. კერძოდ, განდევნილ იქნა ბერძნული საეკლესიო ენა და მისი ადგილი ქართულმა ენამ დაიჭირა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, ჩამოშორდა მას და დაუკავშირდა ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს. ხანა „აფხაზეთის სამეფოს“ არსებობისა, ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

5. შედეგი ამისა გახდა IX-X საუკუნეებში ქართველი ხალხის, იმერ-ამერის კულტურული და პოლიტიკური გაერთიანება.

6. სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური გაერთიანების საფუძველი ხდება არა მარტო ეკლესია, არამედ ენის ერთიანობა, როგორც მწერლობაში, ისე ეკლესიაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

7. ამ პრინციპით ხდება, აგრეთვე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილის-ჭანეთ-ლაზეთის საერთო ქართულ სამყაროში დაბრუნება.

ამგვარად, აფხაზთა ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა ეთნოლინგვისტურ და ტოპონიმიკურ მასალის ანალიზს ჯერდება. არ მიმართავს ანთროპოლოგიურ მონაცემებს, რომელიც ამ შემთხვევაში ერთ-ერთ უმთავრეს მეცნიერულ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს; არც თქმულება-გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემებს იშველიებს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვან დამხმარე მასალას წარმოადგენს; არაფერს ამბობს გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ადიღურ-აბაზური ეთნიკური ელემენტის შემოჭრის შესახებ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამ შემთხვევაში უნდა წარმოჩინდეს, რამეთუ ამ მოვლენამ ისტორიულ აფხაზთა (ქართველთა) გაუცხოების ტენდენციის დამკვიდრება გამოიწვია, რასაც ნებსით თუ უნებლიედ ხელს უწყობდნენ შინაურნი და გარეშენი. მეცნიერი ასევე არაფერს ამბობს აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლებზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, აფხაზთა გვარსახელებზე და სხვ.

პ. ინგოროყვა მსჯელობს მხოლოდ იმ ტოპონიმებზე (სულ 136 ერთეული), რომლებიც ძველ წერილობით წყაროებშია დაფიქსირებული. მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ აფხაზეთის ძველი ტოპონიმიკა ძირითადად მეგრულ-სვანურია და უმთავრესად ხაზს უსვამს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ძირითადად მესხურ (ქართულ) წარმომავლობას.

ყველა ის მასალა, რომელიც პ. ინგოროყვას არ გამოუყენებია, ისევ და ისევ დიდი მეცნიერის დებულებათა სისწორეს ადასტურებს. ამიტომ ფასდაუდებელია პ. ინგოროყვას წვლილი ისტორიულ აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხის გამოკვლევაში.

საკვლევით სწორ შეფასებას აძლევს პ. ინგოროყვას ღვაწლს პროფ. ჯ. კორძაია როდესაც წერს: „ღრმა რწმენა იმისა, რომ ჭეშმარიტება და სამშობლო ყველაზე მაღალი კატეგორიებია, ყველაზე წმინდა ღირებულებებია, ყველაზე ძირეული პოსტულატებია, რომლებიც განსაზღვრავენ (და უნდა განსაზღვრავდნენ) ადამიანის ცხოვრების საზრისს, მისი სოციალური და პიროვნული მოღვაწეობის აზრს, მისი ყოფიერების წესს, მის სიტყვასა და საქმეს, პავლე ინგოროყვასათვის იყო წყარო იმ სულიერი ენერგიისა, რომელმაც მას არასდროს, არც ერთ ვითარებაში და სიტუაციაში ქედი არ მოახრევინა, არ მოდრიკა და არ დააჩოქა გამეფებული პოლიტიკური და იდეოლოგიური მოთხოვნების, გაბატონებული კონიუნქტურის წინაშე. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ, მთლიან, განუყოფელ, გაუბზარავ პიროვნებად — პავლე ინგოროყვად რჩებოდა და დარჩა... ქართული ცივილიზაციის მკვლევართა შორის ძნელად თუ მოიძებნება მეორე პიროვნება, რომელსაც ისე მასშტაბურად და ისეთ მაღალ პროფესიულ დონეზე ეკვლიოს ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების ყველა ძირითადი ეტაპი, როგორც ეს გააკეთა პავლე ინგოროყვამ. ამ მხრივ იგი დიდი ივანე ჯავახიშვილის გვერდით დგას“ (როსტომ ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 1994, გვ. 316).

აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხში პ. ინგოროყვას ივ. ჯავახიშვილისა და მარის მოსაზრებისათვის არ გადაუხვევია, პირუკუ, მან მეცნიერულად დაასაბუთა ეს დებულებები. ეს ეს რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ისევ დავიმოწმებთ ივ. ჯავახიშვილის დასკვნას ამ საკითხში, კერძოდ, დიდი მეცნიერი წერდა: „როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფსილ-აფხაზებს და სვანებს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველის ისტორია, ტფ.., 1913,გვ. 55).

ნ. მარის მოსაზრებით, ხალხი რომელიც სვანური ტომებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო **აბასხი** (XB.т.II,в.I, СПб,1913,с. 32,34).

ს. ჯანაშიას თქმითაც კი: „საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილში, წინ უსწრებდა

სვანურ-ზანური მოსახლეობა“ (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, გვ. 300).

საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ რატომ მაინც და მაინც პ. ინგოროყვაზე გადატყდა იმპერიის ანტიქართული იდეოლოგიის ქვაბში გამოხარშული აფხაზ სეპარატისტთა და მათ დამქაშთა მრისხანების ჯოხი?!

აფხაზეთზე პ. ინგოროყვას ღრმა მეცნიერული გამოკვლევა მხოლოდ ნიჭით უმეცართ, ეგოისტებსა და დემაგოგებს ძალუძთ არ აღიარონ. სამაგიეროდ მომავალი თაობები პავლე ინგოროყვას ილია ჭავჭავაძესა და ივანე ჯავახიშვილთან ერთად დიდების კვარცხლბეკზე აღაზევებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

„საქთამექა“ და სხვა საიდუმლო ჯგუფები

შინიდან წაგვრილთ
ყველა მახსოვხართ ჩემს ძმასთან
ერთად,
ვის არ გეღირსათ თქვენი
ცხოვრება
ვერ შეაგუეთ მტარვალი
ღმერთთან,
ვერ სცანით ეშმას მაცხოვარობა

გიორგი მაისურაძე

ამ რამდენადმე ბავშურსახელიანი, მაგრამ სერიოზული საქმისათვის შექმნილი ჯგუფის წევრებიდან პირველად ოთარ მაისურაძე წაიყვანეს. ეს მოხდა 1942 წელს.

ძალზე ძნელი იყო შინსახკომისათვის, მისი უშიშროების სამმართველოსათვის რაიმეს გამოპარება. ყველა ჯგუფში, დიდსა თუ პატარაში, რამდენიმე თუ არა, ერთი დამსმენი მაინც ჰყავდათ, ტყუილად კი არ უთქვამს ა. მიქოიანს „ჩეკას“ 20 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე, 1937 წელს: სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელიაო.

შევარცხვინე ისეთი სახელმწიფო, რომლის ერთ-ერთი უმაღლესი ხელმძღვანელი საჯაროდ დაიტრაბახებს, ჩვენს ქვეყანაში ყველა პოლიციის აგენტიაო.

ყოველი მოქალაქის რა მოგახსენოთ, ღმერთმა დაგვიფარა, მაგრამ ბევრი რომ აიძულეს, გახრწნეს და გაათახსირეს, ესეც ფაქტია. თავისი ნებითაც რომ ჯაშუშობდნენ, ესეც სინამდვილეა...

დავუბრუნდეთ ოთარ თეოფილეს ძე მაისურაძესა და მის მეგობრებს. როგორც ოთარის მეგობარმა და მასთან ერთად გასამართლებულმა ავთანდილ გელაძემ გვითხრა, დაპატიმრების დროს თავად ავთანდილი (აგრეთვე გიორგი გოშაძე) მეათე, ხოლო ოთარი მეცხრე კლასის მოსწავლე იყო და ის 1926 წლის მიწურულს უნდა იყოს დაბადებული.

ო. მაისურაძის ბედთანაა დაკავშირებული ორჯონიკიძელი მიხეილ ოქროპჭრიძე. ის ოსეთში ცხოვრობდა, იქვე დაამთავრა ქართული საშუალო სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში გადმოსული დამწყები პოეტისათვის მფარველობა გიორგი ლეონიძეს გაუწევია...

მიხეილ ოქროპირიძის ლექსები მალე ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ გამოჩნდა (მაგალითად 1940 №8 — „ვაჟას ცრემლები“).

მიხეილი და ოთარი, რომელიც აგრეთვე ლექსებს წერდა, ჯერ თბილისის პირველი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ გაერთიანებაში (ხელმძღვანელი— ს. წვერავა), შემდეგ კი მასწავლებელთა სახლის წრეში (ხელმძღვანელი ან. თევზაძე) დადიოდნენ.

ეს იყო ოფიციალურ ჩარჩოებში მოქცეული, ლაგამამოდებული, უშიშროების მეთვალყურეობით დაცული წრეები. მაგრამ, როგორც პოეტმა შალვა მჭედლიშვილმა გვიამბო, მ. ოქროპირიძე და ო. მაისურაძე არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის „ქარიშხალის“ გამოცემაშიც მონაწილეობდნენ.

ამასთან, ვიდრე იმ შედარებით დიდ არალეგალურ ჯგუფში გაერთიანდებოდნენ, რომლის წევრობისთვისაც ისინი დააპატიმრეს, მათ მცირე საიდუმლო ჯგუფიც ჰქონდათ, რომელშიც მათთან ერთად შედიოდნენ პოეტი ავთანდილ შიშინაშვილი, კრიტიკოსი ვანო ხალიფაშვილი. მათ იარაღის შენახვაში ეხმარებოდა მხატვარი ზელიმხან გოგოლაშვილი (ნაწილი იარაღისა, რომელიც ზელიმხანმა მათ ვერ გადასცა, შ. მჭედლიშვილს და მის დეიდაშვილს გოგი კორკოტაშვილს კახეთში გაუხიზნავთ; ჟურნალ „ქარიშხალზე“ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ, ნარკვევში შ. მჭედლიშვილზე).

ორიოდე სიტყვა ვანო ხალიფაშვილზე. 20 წლის ვანო (ის 1920 წელს დაიბადა) 1941 წელს ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ (№2-3) ბეჭდავს ვრცელ კრიტიკულ წერილს, რომელშიც საკმაოდ საფუძვლიანად აანალიზებს ჟურნალების „ოქტომბრელისა“ და „პიონერის“ 1940 წლის ნომრებს. გარდა ამისა, ვ. ხალიფაშვილი ბეჭდავდა მოთხრობებს.

და ამას აკეთებდა კაცი, რომელსაც მხოლოდ საშუალო სკოლა ჰქონდა დამთავრებული (1939), ხოლო უმაღლესში შესვლა არც უცდია — იქ რა უნდა მასწავლონო — ბევრჯერ უთქვამს თავისი სკოლელი მეგობრის, ჟურნალისტ ალიოშა კოკაიასათვის. მართლაც, თანმიმდევრული თვითგანათლებით ვანო მრავალმხრივ ცოდნას იყო დაუფლებული. მე მინახავს ვ. ხალიფაშვილის „ჩემი ლაბორატორია“ — მომავალ მოთხრობებში გამოსაყენებელი შესანიშნავი ქართულით გამართული „ლექსიკოლოგიური მასალებით“ სავსე ორი საერთო რვეული, რომლებსაც ძმის ხსოვნასთან ერთად სათუთად ინახავენ ვანოს დის ნინო კუპრაშვილის ოჯახში (ძმისავე საპატივცემულოდ ქალბატონ ნინოს თავისი ვაჟისათვის ვანო დაურქმევია).

რამდენიმე სიტყვა ვანოს არალეგალურ მუშაობაზე. ამ ახალგაზრდის განწყობილების გასაგებად უნდა აღინიშნოს, რომ მან სამხედრო ბილეთიც კი არ აიღო. ა. კოკაიასათვის გაუმხელია: მე ამათთვის არ ვიბრძოლებ, ამათთან რა საქმე მაქვსო...

კაცი, რომელიც ასე ფიქრობდა, ცხადია, ეცდებოდა მოენახა და შეერთებოდა საქართველოს ბედზე მზრუნველ ხალხს. ერთხელ გახარებულ ვანოს კიდეც უთქვამს ა. კოკაიასათვის: არალეგალური ჯგუფი ვიპოვე, მაგრამ შენ ამ საქმეში არ ჩაგრევო. რეპრესირებული მამის გამო მზოგავდაო — განმარტა ბატონმა ალიოშამ.

მაგრამ არც შინსახკომს ეძინა. ის რომ ადამიანთა ყოველ ნაბიჯს დარაჯობდა, ამის ერთ მაგალითს ახლა მოგახსენებთ. თანაც ეს არის ისეთივე დრამატულ-ანეგდოტური ამბავი, როგორიც შემთხვევია ტიციან ტაბიძეს, დაკითხვებით გაწამებულს არალეგალური ორგანიზაციის წევრად გიორგი ააკაძე რომ დაუსახელებია...

იგონებს ა. კოკაია: ყოველდღე ერთად ვიყავით და, აი, ერთ დღეს რამდენიმე დღით გაქრა... როცა გამოჩნდა, მითხრა: ამხანაგების წრეში ვთქვი — ბუკინისტებთან რემარკი ვნახე-მეთქი. ეს ვიღაცამ შინსახკომს გააგებინა. ყოველდღე მიბარებდნენ. დამკითხავდა ერთი დაბალი, ჯმუხი, შავგრემანი სომეხი (ა. მარქაროვს გვაგონებს რ. კ.). ჩამაცოდა: ,ბუკინისტებთან რომ რემარკი ნახე, რა დავალება მოგცაო... დაკითხვების დროს ჩემი ნამდვილი გვარი (კირაკოზოვი) რომ გამოჩნდა, მგონი იმან მოალბო ის გამომძიებელი და მომეშვა...

ვანო ხალიფაშვილის დასახასიათებლად საჭიროდ ვთვლით მოვიტანოთ პატარა ამონაწერი მისი წერილიდან, რომელიც თავის დას ქალიშვილის შეძენის გამო მისწერა: „აქედანვე გთხოვ, ქართულად აღზარდოთ ბავშვი. მოდას ნუ აყვებით და სახელიც ქართული დაარქვით. აქვე ვურთავ სახელების სიას, ამოარჩიე, რომელიც უფრო მოგეწონოს“...

მერე, როგორც ვთქვით, იყო ო. მაისურაძისა და მ. ოქროპირიძის არალეგალური ჯგუფი. კვალში ჩამდგარ შინსახკომს ვანო მოგვიანებით პოეტ შალვა მჭედლიშვილის სტუდენტურ ბინაში ემალებოდა (ამაზე უფრო დაწვრილებით ნარკვევში შ. მჭედლიშვილზე), ბოლოს შინსახკომმა თელავში, საკუთარ ოჯახში მიაგნო 1943 წლის აგვისტოში. ერთხანს შინსახკომის შინაგან ციხეში ჯიჯგნეს, მერე ათწელმისჯილი, თბილისის გამანაწილებელ ციხეში იყო, ბოლოს რუსთავის კოლონიაში გარდაიცვალა 1944 წლის დასასრულს... ბევრს ეცადა ოჯახი, მაგრამ ცხედარი არაფრით არ დაანებეს...

ახლა კვლავ ო. მაისურაძისა და მ. ოქროპირიძის პირველ არალეგალურ ჯგუფს მივხედოთ. ეს ჯგუფი მალე დაიშალა — ა. შიშინაშვილს ტუბერკულიოზმა მოუღო ბოლო, გ. მაისურაძის მიხედვით, ამ ჯგუფში მყოფი ორი უცნობი არმიაში გაუწვევიათ, ვახტანგ ფიცხელავა საავადმყოფოში წაიყვანეს.

შემდეგ მ. ოქროპირიძე თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და სხვა არალეგალურ ჯგუფში მოხვდა. რა გასაკვირია, რომ მისი მეგობარი ო. მაისურაძეც ამ ჯგუფში აღმოჩნდა.

1942 წლის დასაწყისში შექმნილ 12 კაციან ამ ჯგუფში შედიოდნენ: დავით გაჩავა (შემდეგ რუსთავის თეატრის რეჟისორად მუშაობდა), ავთანდილ გელაძე, ერეკლე გიგაური (გომბორელი ხევსური ყოფილა), გოგი გოშაძე, კახიანი, ოთარ მაისურაძე, მიხეილ ოქროპირიძე, მიხეილ წიკლაური, ვალიკო ხუჭუა, გიორგი ჯანგველაძე... ჯგუფის არსებობა იცოდა ელგუჯა მუნაღარიშვილმა (მამა ემიგრაციაში ყავდა).

მოგვიანებით ჯგუფს ფრონტიდან დაბრუნებული გ. მაისურაძეც შეუერთდა. ის 1941 წელს წავიდა არმიაში — მამაჩემს შეეძლო დავეტოვებინე, მაგრამ მე თვითონ წავედი, მინდოდა კომუნისტებს გავქცეოდი, გადავსულიყავიო გვითხრა გ. მაისურაძემ (თუმცა მოგონებაში წერს: მინდოდა ომს უჩემოდ არ ჩაევლოო).

სტალინგრადში საველე მეცადინეობის დროს გიორგის ყურები და ხელები მოეყინა და გაათავისუფლეს.

აი, რა ამოძრავებდა, რას ფიქრობდა ამ დროს გ. მაისურაძე და საერთოდ ზოგიერთი სხვა ქართველი ახალგაზრდა: “1942 წლის გაზაფხულზე საქართველოს რადიოს ვუსმენდით, გადმოსცეს გერმანელთა გენერალის ბრძანება: კავკასიის ფრონტს აფრთხილებდა, რომ კავკასია რუსეთი არ არის და აქაურ ხალხს რიდით მოეპყრან. შემდეგ რადიომ თქვა, რომ ამიერკავკასიაში შეიქმნება საქართველოს სახელმწიფო. ამ ცნობამ ჩვენზე დიდი ძალით იმოქმედა, გვიბიძგა, რომ მოგვეძებნა ანტისაბჭოთა დიდი ჯგუფი. რადგანაც ასეთი ჯგუფის აღმოჩენა კონსპირაციის გამო ძნელი იქნებოდა, აზრი დაგვებადა, რომ ჩვენ თვითონ ჩამოგვეყალიბებინა ახა-

ლგაზრდული ჯგუფი და თან დიდი ჯგუფის ძებნა გაგვეგრძო“.

რაღაც ამგვარმა ძიებამ უბიძგა გიორგის მეორეჯერ ჯარში წასასვლელად... გაგრასთან უღელტეხილზე დაიჭრა და მალე, 1942 წელსვე თბილისში დაბრუნდა.

უმცროს ძმას გიორგისთვის გაუმხელია არალეგალური ჯგუფის არსებობა. თუ გიორგი თავისი მოქმედების მოტივირებაში მთლად თანმიმდევრული ვერ არის, ოთარმა მტკიცედ იცოდა რა უნდოდა.

გ. მაისურაძე ძმის შესახებ: „მითხრა, მინდა კომუნისტებმა მომკლანო, მე მასში ვიგრძენი ბედისწერისაგან ატაცებული. ერთი-ორჯერ ვურჩიე, ჯგუფიდან გამოსულიყო, მე ხომ ვიყავი იქ, მას კი პოეზიისათვის მიეხედა. მან მიპასუხა — ეს ორივე ერთის განუყოფელიაო“ („თეთრი გიორგი“, 1993, №2).

მართლაც, ო. მაისურაძე 1942 წელს „წითელი ეშმაკების“ წინააღმდეგ მებრძოლ ანტიკომუნისტურ ლექსებს წერდა:

ქართველო რაინდო, მტერი არ დაინდო
და დროშა მტრის სისხლით გალაქე,
წითელი ეშმაკი სწრაფი და ხელშმაგი
მუსრავს შენს სოფლებს და ქალაქებს

ლექსების წერა ოთარს 10 წლისას დაუწყია, მაგრამ თავის ნახელავს 1940 წლიდან თვლიდა ნამდვილ ლექსებად, თუმცა მაშინაც 15 წლის ბავშვი იყო.

ოთარი ვერ იტანდა თავისა და მისი სალოცავი საქართველოს უფლებაშეზღუდულ არსებობას: „როდემდე უნდა შევაგუო გრძნობა ფარული, როდემდე უნდა ვემუდარო მტარვალს შენდობა?!“ ასეთ ყოფასთან შეურიგებლობა და ბრძოლა იყო მისი მამოძრავებელი და მაცოცხლებელი ძალა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ამ ბრძოლაში დაილუპებოდა. მას კიდეც ერჩივნა დაღუპვა უფლებააყრილ ცხოვრებას: „ვიყავი ერთ დროს მოგუგუნე, როგორც ფაზისი და სიჭაბუკის გაზაფხულზე გამთელეს ფეხით“. (სხვათაშორის, ოთარის — ესეც დონიმი იყო ო. ფაზისი“).

დიახ, ასე იწინასწარმეტყველა თავისი ადრეული დაღუპვა. აი, კიდევ ერთი მაგალითი ამ წინაგრძნობისა, „ანდერძად“ დატოვებული: „ზეცაში მოწყდა ვარსკვლავი ერთი, მაგრამ ვარსკვლავებს არ გაუგიათ“.

ო. მაისურაძის ამ ლექსებს ვაფასებთ არამარტო ანტიკომუნისტობისათვის, არამედ იმიტომაც, რომ 17 წლის ყმაწვილის მიერ დაწერილი ეს ლექსები მომწიფებული პოეტის სერიოზული ნახელავია.

შვილების ანტისაბჭოურ გზაზე დადგომას უდაოდ ხელი შეუწყო მამის თეოფილე მაისურაძის მაგალითმა. ის ადრე მეფის არმიის, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ოფიცერი იყო. 1924 წელს დაუპატიმრებიათ, 1937 წელს თავს შუა აზიაში გადახვეწით უშველია...

ვაჟები გრძნობდნენ, რომ მამას გულზე არ ეხატა კომუნისტები...

ცხოვრებაც ბევრ რამეზე აფიქრებდა იმდროინდელ ბავშვებს: „მდინარე ვერეზე საბანაოდ ჩასული ბავშვები ქვიშაში ვპოულობდით ჰილზებსა და ნასროლ-დაჭეჭყილ ტყვიებს. ლაპარაკობდნენ, რომ იმ ადგილზე ღამ-ღამობით სროლის ხმა ისმოდა და ადამიანებს ხვრეტდნენ“ (გ. მაისურაძე, „თეთრი გიორგი“, 1990, №2-3).

დღეს დანანებით იხსენებს ავთანდილ გელაძე: ოთარის სახით საქართველომ შესანიშნავი შემოქმედი დაკარგა, ის ნაღდი პოეტი იყო, თავის ძმაზე გაცილებით ნიჭიერი. აბა მეც რომ რაღაცას ვჯღაბნიდი, ის იმასთან რა მოსახსენებელია (ამ გულწრფელმა აღიარებამ თავიდანვე ნდობით განგვაწყო ა. გელაძის ნაამბობისადმი).

მაგრამ დავუბრუნდეთ მეორე არალეგალურ ჯგუფს. **ა. გელაძე:** ყველაფერი 1942 წელს მოხდა. ოთარისთან ლიტერატურის სიყვარულმა დამაახლოვა, „დეზერტირების“ ბაზართან ბარაკში

ვიღაცის პატარა ნაქირავებ ოთახში მიმიყვანა და შეკრებილებს უთხრა: როგორც მე, ისე ენდეთო.

ეს იყო ლიტერატურის მოტრფიალეთა შეკრება, პოლიტიკურ წრედ შემდეგ იქცა. შენიღბვისათვის სუფრა იყო გაშლილი... 5-6 შეკრებას დავესწარი. ეს ძყო სექტემბერ-ოქტომბერში. ორიოდეჯერ მაისურაძეების საკუთარ სახლში შევიკრიბეთ ფალიაშვილის ქუჩაზე...

რას ვფიქრობდით, რა გვამოძრავებდა? გერმანელები კავკასიონს მოადგნენ, უკან დახევისას კომუნისტები ყველაფერს აფეთქებდნენ. ჩვენ არ უნდა მიგვეცა ამის საშუალება. უნდა დაგვერაზმა სკოლები, ინსტიტუტები... საქართველოს ახალგაზრდობა მომზადებული იყო იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწია საქართველოს ნგრევისათვის.

სხვათაშორის, ქართული მილიცია ჩვენს მხარეს იყო. ერთხელ კომენდატის საათის დროს ვარაზის ხევით ვაკეში ამოვდიოდი. პატრულმა (რუსი ჯარისკაცი და მილიციელი) დამაკავა. დილამდე კომენდატურაში გაჩერება დიდად არ მანაღვლებდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ჯიბეში თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი მედო, გადასაგდებად კი არ მემეტებოდა. მილიციელს გადავუჩურჩულე: უნდა გავიქცე, ხომ არ მესვრი-მეთქი. ქართველს როგორ გესვრი?! ხევთან გაჩახტი, თუ გავისროლო, არ შეგეშინდესო. ასე გავიქეცი....

გომბორის ტყეში ჯარიდან გაქცეული ახალგაზრდები იმალებოდნენ. იმათთან იარაღი მიგვქონდა, სამხედროებთან ვყიდულობდით — მათთან, გარდა მეზღვაურებისა, კარგი ურთიერთობა გვქონდა.

საჭიროების შემთხვევაში გომბორელი ჯარისკაცები თბილისში უნდა ჩამოგვეყვანა.

თუ არ ვცდები, გიგაური იყო იმ გომბორელების ხელმძღვანელი, ის ჩვენთან შეხვრებით ხნიერი იყო...

ჯგუფში კონსპირაციის გასაძლიერებლად გადავწყვიტეთ ჯაჭვური ნიხტემა შემოგვეღო. მე ოთარიასთან ვიყავი ერთ რგოლში.

ხდებოდა ხოლმე, ახალგაზრდები ერთმანეთს შეელაპარაკებოდნენ. ასეთ დროს, ჩვენიანებს ერთმანეთი რომ არ დაგვეზარალებინა, ვითომ გაგულისებულნი ასეთ ფრაზას წამოვისროდით: სასწორი გაარკვევს, ვინაა ჩვენს შორის მართალი. ამით ვხვდებოდით, რომ ჩვენიანი უნდა ყოფილიყო და ერთმანეთს გავეცლებოდით.

ა. გელაძის მიერ გახსენებული ასეთი საგულისხმო წვრილმანების შემდეგ მოვუსმინოთ მიხეილ წიკლაურს, რომლის წინადადებით ჯგუფს შერქმევია „საქთამექა“ (საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდები): ოთახი „მიხაილოვის საავადმყოფოში გვქონდა, იქ ვიკრიბებოდით. პროკლამაციები დ. გაჩავას მოჰქონდა. მასში ეწერა: რუსებს არ გაყვეთ, ჩვენ ხელი არ უნდა გავანძრიოთ, ომის ქარტეხილები საქართველოს გვერდს აუვლისო. მერე ჩვენ აგიტაციას ვეწეოდით. საქართველოს მთავრობა ემიგრაციიდან უნდა ყოფილიყო, ნახსენები იყვნენ გ. რობაქიძე, ნ. ჟორდანია, შ. მაღლაკელიძე ... მ. ოქროპირიძესა და კახიანს დ. გაჩავამ შემახვედრა. იარაღი საკმაო გვქონდა, რუსი ჯარისკაცები ჭიქა არაყისთვის ყველაფერს იძლეოდნენ...

გ. მაისურაძე: „მხოლოდ მას უკან, რაც ჯგუფი დაუახლოვდა ტყეში გასულ გომბორელ ხევსურებს, მათ ხელმძღვანელ ერეკლე გიგაურს, დადგა საკითხი შეიარაღებული აჯანყებისა შესაფერის პირობებში. გერმანელების შემოსვლის შემთხვევაში ვაპირებდით ბრძოლას ახალი დამპყრობლის წინააღმდეგ. ვიცოდით, რომ გერმანელებს მოყვებოდა ქართული ნაწილები. ვფიქრობდით, მოკავშირეები მათ შორისაც მოგვენახა. გერმენელების უკან დახევასთან ერთად შეწყდა ჯგუფის არსებობა და 1943

წლის იანვრის ბოლოს დააპატიმრეს ოთარი და ჯგუფის ორი წევრი — გოშაძე, გელაძე“.

როგორც ვხედავთ, ზოგი გერმანელების მიერ წითელი იმპერიის დამარცხებაში საქართველოს ხსნას ხედავდა, ზოგს ეშინოდა ამან ახალი დამპყრობელი არ მოგვივლინოსო. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა ერთი არალეგალური ჯგუფის წევრებს შორისაც კი იყო...

ამ მეორე, თორმეტკაციანმა ჯგუფმა 3-4 თვე იარსება. რა თქმა უნდა, ჯგუფი ვიღაცამ გასცა. ვინო — 1992 წელსაც, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კითხულობდა გ. მაისურაძე. გიორგი იხსენებდა ვიღაც პავლიაშვილს, ჯგუფს შეკრებებს ესწრებოდა, მერე რატომღაც ჩამოგვშორდაო...

ა. გელაძე უფრო კატეგორიულია: ვფიქრობ, იოსებ პავლიაშვილი პროვოკატორი იყო. ჩვენზე გაცილებით უფროსი, მგონი ექიმი, ვითომ ჩვენს წრეს ხელმძღვანელობდა. ყველაზე მეტად ის ლაპარაკობდა საქართველო არ დავანგრევიოთო და ა. შ. მერე ჩვენ დაგვაპატიმრეს და ის კი არც გამოჩენილა. ყველა მოვითხოვდით სასამართლოზე მის მოყვანას, მაგრამ არაფერი გაგვივიდა...

მ. წიკლაური კი ამბობს: გიგაური პირზე წაგვიყენესო.

გამოირკვა, რომ ოთარის წაყვანისას გიორგი ეზოში არ ყოფილა, როგორც ეს ო. მათიკაშვილს ახსოვს. მამამ და გიორგიმ არ იცოდნენ, რა მოუვიდა ოთარძს. ხმა გავრცელდა ოთარმა ვიღაცას სცემა და ალბათ მილიციაში იქნებაო. გამოდის, რომ ბინა მაშინვე არ გაუჩხრეკიათ, ეტყობა მოგვიანებით, გიორგის დაპატიმრებისას ჩაატარეს ეს ოპერაცია. ალბათ მკითხველს დაებადება კითხვა: როგორ გადარჩა ოთარის ლექსები? ამაზე პასუხს გვაძლევს გ. მაისურაძის წინასიტყვაობა, „მერანში“ წარდგენილი, ჯერაც გამოუცემელი მისი მოთხრობების კრებულიდან „კანონი — ტაიგა“: „ლექსები დაპატიმრების დროს გადაურჩა ჩხრეკას ერთი კეთილმოსურნე „ჩეკისტის“ წყალობით, რომელმაც გადაათვალიერა ის ლექსები და დედას ხელში შეაჩეჩა“.

ოთარი უკვე მაშინ ბეჭდავდა ლექსებს „ოქტომბრელსა“ და „პიონერში“. მაგრამ მას ჰქონდა ლექსები, რომელთა არათუ დაბეჭდვა, ვინმესთვის ჩვენებაც საშიში იყო. 1942 წელს დაწერილი ო. ფაზისის ამ ლექსებიდან რამდენიმე („ანდერძი“, „სონეტი“, „მეგობარ პოეტს შალვა გომბორს“ — ე. ი. შ. მჭედლიშვილს) პირველად 1989 წელს დაიბეჭდა კრებულ „იახსარში“ (2)...

გიორგი 2-3 კვირით გვიან დააპატიმრეს. ის ბალნეოლოგიურ კურორტში დადიოდა ნაჭრილობევის სამკურნალოდ. მაგრამ გიორგის აზრით, ის ძმასთან ერთად უფრო იმიტომ არ დააპატიმრეს, რომ მოერიდნენ ორი ძმის ერთად წაყვანას...

კიდევ კარგიო, ამბობდა გიორგი ჩვენთან საუბრისას, რომ ახალი ჯგუფიდან არავინ იცოდა იმ პირველი არალეგალური ჯგუფის არსებობა, თორემ ჩვენ — ძმებსა და მ. ოქროპირიძეს უფრო მეტი მოგვეხვდებოდაო.

მ. წიკლაური: საგარეჯოს სადგურში ჩამომსვეს მატარებლიდან — ორნი მოვიდნენ უშიშროებიდან. ერთმა შემაგინა და გამარტყა. მიმიყვანეს შინსახკომში.

უფროსმა გამომძიებელმა დამკითხა, მე თეთრ გიორგის მეძახიანო — იცოდე, გაქცევა არ გაბედოო.

ჯგუფის წევრებს ბრალდებად წაუყენეს: არალეგალური ორგანიზაციის წევრობა, აგიტაცია-პროპაგანდა, შეიარაღებული აჯანყების განზრახვა...

ა. გელაძე: ჩვენი ბედი, რომ ადგილზე ვერ წაგვასწრეს... 1943 წლის იანვარში სკოლაში მივდიოდი. ალაყაფის კარებთან გამაჩერეს და მითხრეს: ჯარში რატომ არ ხარო. ჯერ არ მიწევს, ოცდახუთიანები მიჰყავთ, მე კი 26-იანი ვარ-მეთქი. შენ დეზერტირი ხარო. სახლის წიგნაკი აიღე და კომისარიატ-

ში წავიდეთო. უფროსი და ამედევნა — მოხალისედ არ წახვიდეო, ჩამჩიჩინებდა...

მიმიყვანეს ძნელაძის ქუჩაზე, მილიციაში. თურმე დის მოცილება უნდოდათ. ვინა ხარო, რა საბუთი გაქვსო? წადი, პასპორტი მოიტანეო.

როცა და წავიდა, სხვაგან, თურმე შინსახკომში, მიმიყვანეს. დამსვეს დერეფანში. გაიარა ვიღაც ქალმა: უი, უი, საწყალი, ვინ დაიდო ამ ბავშვის ცოდვაო, ჩამოიარა სხვა ქალმა, ასევე ჩაიდუდუნა. თურმე ჩემი დამუშავება დაიწყეს...

შემიყვანეს დიდ კაბინეტში. კაბინეტის პატრონმა გვერდზე დამიყენა, გვარ-სახელი მკითხა, მერე, ეს ჩვენი გაცნობისა იყოსო — მხეთქა. გავუშალე, ვხეთქე და ამოვაყირავე. იყვირა. შემოვარდა ვიღაც ახმახი, ერთი მლეწა და მეტი აღარაფერი მახსოვს, კიდევ მირტყა თუ არა. რომ გამოვფხიზლდი, თეთრხალათიანი პულსს მისინჯავდა.

მე რომ ამოვაყირავე, თურმე ჩემი გამომძიებელი ვლადიმერ დოლიძე ყოფილა. 2-3 დღე აღარ გამოვუძახივარ, მერე დაიწყო დაკითხვები, მაგრამ რომ ვლეწე, აღარ გაუხსენებია, მგონი ეშინოდა... ხან არაფერს არ მეკითხებოდა, ისე მთელ ღამეს გამაჩერებდა ფეხზე მდგარს. ერთი პატარა ლექსი აღმომიჩინეს: „ობოლია ჩემი ნავი, უნიჩბო და უიალქნო, ობოლია ეს საფლავი, — მოდით, დაიტირეთ ხალხნო, ობოლია ჩემი გული და ობლადვე დარჩება წავა ყველა ფიქრი რთული და ოცნებაც გაქრება“. ჩამიჯინდა გამომძიებელი: რატომ დაწერე ეს ლექსი, რატომაა შენი ნავი ობოლი, უნიჩბო და უიალქნოო?... 4-5 ღამე გამათენებინა ამ კითხვებით.

გამომძიებლები ცდილობდნენ მეტი ეთქმევინებინათ ჩვენი ანტისაბჭოთა მუშაობის შესახებ. არ იტყოდი, მაინც წერდნენ. ჩვენებებს არ ენდოთ, რაც უნდოდათ, იმას წერდნენ. თანაც რუსულად დაგკითხავდნენ და ავსებდნენ ოქმს. ბევრმა კი რუსული არ იცოდა...

ისე კი გამომძიებელმა ყველა ჩემი ნაბიჯი იცოდა. საიდან? მერე, რომ დავუკვირდი, მივხვდი, გვითვალთვალებდნენ. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: მეათე კლასში ვიყავი. ვაკის მილიციასთან მე-9 სკოლა ჰოსპიტლად გადააკეთეს და ჩვენ პეტრიაშვილის ქუჩაზე გადაგვიყვანეს. 1943 წ. 3 იანვარს სკოლიდან გამოვედით. ვაკელები ფეხით მივდივართ. გოგონებმა თქვეს ვიგუნდავოთო. სამკურნალო კომბინატის პირდაპირ ერთი ძველი მახინჯი სახლის ეზოში შევედით. ჩემს მეგობარს, შემდეგ ცნობილ კალათბურთელ მალხაზ ეგანოვს ჩხუბი მოუვიდა ამ ეზოს ბიჭებთან. მალხაზმა სცემა მათ.

გუნდაობის მერე ნელა მოვდივართ, კლასელები ტრამვაის შეახტნენ, დავრჩი მარტო. თურმე მალხაზზე გაბრაზებული ერთი ბიჭი ჩემთვის დანის ჩარტყმას აპირებდა, უცებ ვიღაც მაღალმა კაცმა სტაცა ხელი:.. შემდეგ ის კაცი შინსახკომში ვნახე და მივხვდი, რომ მაშინ ჩემს გვერდით შემთხვევით არ აღმოჩნდა — დაგვყვებოდა...

შინსახკომი შინსახკომია, მაგრამ სხვებიც რომ საზიზღრად იქცეოდნენ! სკოლის დირექტორს რომ ეთქვა, ეს რა ქნეს ჩვენმა მოსწავლეებმაო, გაუგებდი —ოფიციალური პირია და იძულებულიაო. მაგრამ როგორ ავხსნათ, რომ ერთერთ მშობელს (ს. ჩ-ს) თავი გამოუდვია, სკოლაში მიტინგი მოუწყვია, გაგვლანძღა, სულ დორბლებს ყრიდა თურმე...

მ. წიკლაური: ძიება დიდხანს გაგრძელდა. გამომძიებელი იყო ჩიჩურიძე, ისე კი რაფავაც დაგვკითხავდა (მაგალითად, მეკითხებოდა უნივერსიტეტიდან ვის იცნობო), გვცემდნენ — იატაკის ჯოხივით გადაჯვარედინებულ ფიცრებზე გამაკრეს, შარვალი ჩამხადეს და წნული თოკით მცემეს დუნდულებზე და ფეხის გულებზე...

ა. გელაძე: დაკითხვისას ვნახე სასტიკად ნაცემი დ. გაჩავა, ორ ზედამხედველს ძლივს მიჰყავდა (გ. მაისურაძე: იმ დროს მილიციაშიც, შინაგან ციხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც, სიკვდილმისჯილთა საკნებშიც ზედამხედველებად უმეტესად ოსები იყვნენ.).

მ. წიკლაური იმასაც იხსენებს, ჩემამდე ცოტა ადრე, 1942 წელს ჩემს საკანში გ. ქადაგიძე, გვერდით კი (კაკუნით ვიგებდით) იმერლიშვილები ყოფილან გამოწყვდეული (ყველანი შეთქმულთა ჯგუფიდან იყვნენ, 1942 წელს დახვრიტეს), ხოლო ჩემს დროს აქ ისხდნენ ლ. ბალიაური (ის და გ. ქადაგიძე სტუდენტობის დროს გავიცანი), ალ. ჭელიძე და მისი და ელიკო; ჩვენი ჯგუფიდან — გაჩავა, ჯანგველაძე; სამედიცინო ინსტიტუტიდან — ჩიჩუა, იქ მოკვდაო; ინდუსტრიული ინსტიტუტიდან — გიგა ძამაშვილი (დახვრიტეს ან დაიღუპა).

მ. ზანდუკელი დაკითხვაზე პირადად არ გვინახავს, მაგრამ ვიცოდით, რომ იჯდა — განაგრძობს მოგონებას მ. წიკლაური — მასთან არავითარი კავშირი არ გვქონია, ამბებს გაჩავასაგან ვიგებდით...

საბოლოო სიტყვაში ოთარს უთხოვია: ჩემს უფროს ძმას სიცოცხლე შეუნარჩუნეთო.

1942 წლის 9 მაისს ჯგუფი შინაგანი ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა დახურულ სხდომაზე შინსახკომის შენობის სარდაფში.

ა. გელაძე: ყველამ მივაწექით პავლიაშვილს, ყველამ უარვყავით ჩვენებები, ვთქვით: ხელი იმიტომ მოვაწერეთ, რომ გამომძიებელი გვცემდა...

ამან ტრიბუნალს გული ვერ აუჩუყა — დ. გაჩავას, ი. გიგაურს, კახიანს, ო. მაისურაძეს, მ. ოქროპირიძეს მ. წიკლაურს, ხუჭუას, და ჯანგველაძეს დახვრეტა გამოუცხადეს, რაც 45 დღე სიკვდილმისჯილთა საკანში საშინელი მოლოდინის შემდეგ 10-10 წლით შეუცვალეს (ასეთი ბრძანებულება სწორედ მაშინ გამოსულა და 1941 წლის შეთქმული ბიჭების გასამართლება ოდნავ რომ დაყოვნებულიყო, ისინიც გადარჩებოდნენ).

ასევე 10-10 წელი მიუსაჯეს ა. გელაძეს, გ. გოშაძესა და ჯ. მაისურაძეს, 7 — ე. მენაღარიშვილს (ეს უკანასკნელი ჯგუფს მიაკერეს: ა. გელაძე: უნივერსიტეტში ტანკების სურათების გამოფენა ყოფილა. ბიჭები გერმანულ ტანკებს იწონებდნენ. ე. მენაღარიშვილს არც ავი უთქვამს, არც კარგი. დაუსმენლობისათვის დააპატიმრეს).

ა. გელაძე: განაჩენი რომ გამოაცხადეს, ერთმანეთს ხელი მოვხვიეთ და რაღაც სიმღერის მაგვარი წამოვიწყეთ...

ახლა გ. მაისურაძესაც მოვუსმინოთ: „1943-45 წლებში ჩემთან ერთად თბილისის პატიმართა ბანაკებში იჯდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრი მიხეილ ოქროპირიძე. მას და ჩემს ძმას ოთარ მაისურაძეს, აგრეთვე სხვა ექვს ყმაწვილ კაცს (თორმეტიდან) ჯერ დახვრეტა მიუსაჯეს, თვენახევარი სასიკვდილო საკანში გაატარებინეს და შემდეგ ეს უმკაცრესი განაჩენი ათი წლით პატიმრობით შეუცვალეს. მათგან ჩემი ძმა და კიდევ ოთხნი თბილისის ბანაკებში არ გადმოუყვანიათ, ციხიდანვე შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს... მიხეილი ღრმაღელის №58 ბანაკში 1943 წელს მოიყვანეს, შემდეგ იყო ავჭალისა და რუსთავის ბანაკებში“ (ვინც საკანში წერდა... „თბილისი“, 1991, 19. XI).

სწორედ რუსთავის ბანაკში, საიდანაც თავისიანებს ლექსებს ატანდა, გარდაცვლილა მ. ოქროპირიძე 1947 თუ 1948 წელს.

ო. მაისურაძე კი, ნიჟნი ტაგილში გადასახლებული, 1944 წლის მარტში გარდაიცვალა დისტროფიით.

1950 წელს თავად გადასახლებაში მყოფმა შალვა მჭედლიშვილმა გაიხსენა თავისი მეგობრის ოთარ მაისურაძის მწარე ხვედრი და ლექსი უძღვნა მის ხსოვნას:

დე, ყველა, ყველა გადამავიწყოს
ბედისტრიალმა უკულმართულმა,
შენ ერთს ვერასდროს გადაგივიწყებ,
ჯვარზე რომ გაცვა მიწამ ქართულმა
... შენც არ გეღირსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მრავალთ, მიყრა მშობლიურ მიწის,
ცაღაა მოწმე უცხო ქვეყნისა,
შენი სამარე სხვამ არვინ იცის!..

ნიჟნი ტაგილშივე დაღუპულა ი. გიგაური. მათთან იყო გადასახლებაში მ. წიკლაური.

ა. გელაძეს 1947 წლამდე ყულარის მეევნახეობის მეურნეობაში ამუშავებდნენ, სამ თვეს ღრმაღელეში ელმავალმშენებელ, შემდეგ კი შამპანურის ქარხნებს აშენებდა. აქ მათი ჯგუფიდან მხოლოდ ხუჭუა ყოფილა. სხვებიდან ა. გელაძე გულთბილად იგონებს კიტა ბუაჩიძეს, შალვა მჭედლიშვილსა და ტყვედ ყოფნისათვის დაპატიმრებულ დავით ნიკოლაძეს (მე, პატარა ბიჭს, მიპატრონა, ელექტრიკოსობა შემასწავლა, რაც შორეულ ჩრდილოეთშიც გამომადგაო).

1948 წლის 19 აგვისტოს მთელი საქართველოდან შეკრებილი პოლიტპატიმრების ორი ეშელონი გაუგზავნიათ თბილისიდან ერთი შუა აზიაში, მეორე — ვორკუტა-ინტაში.

ა. გელაძე ინტაში აღმოჩნდა, მხოლოდ ის იქ გელაძე კი არ იყო, არამედ პატიმარი ე — 599. სამთვიანი კურსები დაამთავრა სამთო ოსტატისა, მაღაროში მუშაობდა, ვიდრე ჩამონანგრევში არ მოყვა. ამის შემდეგ ელექტროქვესადგურში გაამწესეს იქ დრო ჰქონდა და წიგნებს დაეწაფა...

ა. გელაძე: ბანაკში ხომ გამომწყვდეული ვიყავით, ერთხანს რეჟიმი გამკაცრდა და ბარაკშიც გვკეტავდნენ.

პურს ერთად ვჭამდით მირიან აბულაძე, დავით ნიკოლაძე, ტარიელ ქუთათელაძე და მე.

ინტაში იყო აგრეთვე საშა პაპავა (ადრე ქუთაისის პედინსტიტუტის დირექტორი, მერე ცკ-ის მუშაკი, 1937-ში დანაპატიმრები), მამობას გვიწევდა... გულთბილად ვიგონებ აგრეთვე რამაზ კობიძესა და ამირან მორჩილაძეს... ნეტა აქ და-ძმანი იყვნენ ერთმანეთში ისე კარგად, როგორც ინტაში ჩვენ, ქართველები ვიყავით! ერთი შესაკრები გვქონდა, რუსებმა „ვესიოლაია ბრატია“ შეარქვეს, იქ თავს ვიყრიდით, ვმღეროდით, ვცეკვავდით...

ა. გელაძე 1953 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ შესთავაზეს: სამშობლოში რა გინდა, აქ დასახლდი „თავისუფლადო“. თავზევით ძალა არ იყო. იქ დაასრულა სწავლა, იქ შეირთო ცოლი — მასავით განაწამები დასავლეთუკრაინელი ქალი და მშვენიერი ოჯახი შექმნა.

საქართველოში 1955 წელს ჩამოვიდა, მაგრამ საკუთარ სახლში არ ჩაწერეს ... მხოლოდ 1960 წლიდან ელირსა მშობლიურ ქალაქში ცხოვრება.

ამ ჯგუფის წევრთაგან ხუჭუაც ჩრდილოეთში იხდიდა სასჯელს, ა. გელაძის მეზობლად ვორკუტაში. სამშობლოში დაბრუნებული ბრმა ნაწლავის ოპერაციას გადაჰყვა. არალეგალური ჯგუფის წევრებმა და სხვა ინტელებმა საშა პაპავას თაოსნობით ხუჭუას ბავშვებს რაღაც სტიპენდიის მაგვარი აძლიეს ერთხანს.

ახლა დავუბრუნდეთ გ. მაისურაძეს. ის პირველად გამეცნო როგორც წევრი გომბორის ტყეში გასულთა ხელშემწყობი თბილისის ჯგუფისა, რომელიც იმაზე ზრუნავდა, რომ სასტიკ ომში საქართველო არც საბჭოეთს წაელეკა და არც გერმანიას.

გ. მაისურაძემ (დაიბადა 1923 წ.). 10 წელი გაატარა ციხესა და ბანაკებში (თბილისი-ღრმაღელეს ბანაკი; 1947 წ. ცოტა ხნით გაგრაში სანაპიროს გამაგრების მშენებლობაზე, ყაზახეთი — 1948 — 1953 წლები — №4 სპეცბანაკი).

გადასახლებულ შვილებთან რომ ახლოს ყოფილიყო, მათი ყოფა რომ ოდნავ შეემსუბუქებინა, მაგ ყაზახეთში გადავიდა. თუ როგორი იყო ეს ყოფა, კარგად დაგვისურათა გ. მაისურაძემ (აკბაი, „მნათობი“, 1990, №7): „ციმბირის უსასრულო სტეპის ყაზახისტანის მხარეს „არის პატიმართა სახელგანთქმული ბანაკები: ყარაგანდა, ყარაბასი, ბალხაში, ჯესკაზგანი, კინგირი, ბაიკონური. კარსაკპაი და სხვა. ორ-

მოციანი წლების მიწურულს ამ ძველი ბანაკების ქსელში ხატოვანად ჩაექსოვა ახალი სპეციალური ბანაკები: „სტეპლაგი“, „პესლაგი“, „ლუგლაგი“, სადაც პოლიტპატიმრებს ზურგზე, მარჯვენა ფეხსა და მარცხენა ხელზე ნომრავდნენ. ღამე ბარაკებში ჰკეტავდნენ. პატიმარს უფლება ჰქონდა წელიწადში მხოლოდ ორი წერილი გაეგზავნა თავისიანებისათვის. თუკი ვინმე გაბედავდა თავისი პატიმარი ენახა, ამაოდ, პაემანის უფლებას არ მისცემდნენ და მხოლოდ გაწბილება შერჩებოდა“.

„ბანაკს არცთუ უმართებულოდ, ოფიციალურად „პესლაგი“ ანუ „ქვიშობბანაკი“ ერქვა, გარეთ და შიგნით ყველგან ქვიშა იყო, ლოგინში, ტანსაცმელში, საჭმელში, ჭამისას ხრაშახრუში გაჰქონდა! ლაპარაკისას ენას ჩლიქავდა, ყურებს ახშობდა, ცხვირის მოხოცვისას— ნესტოებს სისხლს ადენდა, ქუთუთოების დაფახულებისას თვალს ჭრიდა“.

ბანაკის მცველებს რომ გაქცეოდი, იქ დასახლებული, ჯილდოს მიღებას დახარბებული ციმბირელი კაზაკები დაგიჭერდნენ...

გოგის თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, ჭიათურაში მუშაობდა მაღაროს წყალსაქაჩ ტუმბოზე. აი, იქ დაწერა პირველი მოთხრობა პატიმრობის თემაზე — „აკრძალული არე“ (მანამდე პატიმრობაში სცადა რამდენადმე სერიოზული ეტიუდის „აქლემის“ დაწერა) მერე თბილისში ამას შეემატა ამავე თემაზე შექმნილი მოთხრობები: „კანონი — ტაიგა“ (1957), „ჯაბანი“ (1958), „საგუშაგო ჯიხური“ (1959).

მიუხედავად იმისა, რომ ვითომ პოლიტიკური დათბობის წლები იყო, არავინ უბეჭდავდა — „შევიგენი, რომ, უნდა მეწერა ჩემთვის, უმკითხველოდ, „საკუთარი უჯრის“ ანაბარად“.

გ. მაისურაძე 1956 წელს დაბრუნდა საქართველოში და შექმნა ოჯახი (ის იყო პოეტ ნაზი კილასონიას მეუღლე). ეს ის დრო იყო, როცა რეპრესირებულები რეაბილიტაციაზე ზრუნავდნენ. გ. მაისურაძის პოზიცია კი აქ სულ სხვანაირი იყო: „ხრუშჩოვმა ამნისტიას მოაყოლა რეაბილიტაცია. არსებულ მთავრობას სურდა მართალი და მტყუანი ყველა ტყუილ-უბრალოდ დაღუპულად გამოეცხადებინათ. მე უარვყავი რეაბილიტაცია, რადგან ჩვენი ჯგუფი სინამდვილეში არსებობდა. რაც მთავარია, არ შემეძლო ჩემი ძმის და იმათი თავგანწირვა, ვინც ამ საქმეს შეეწირა, მათი სახელი ჩემი სარეაბილიტაციო „შეღავათებისათვის“ მემსხვერპლა“ („თეთრი გიორგი“, 1990, №2-3).

უმცროს ძმას, ო. მაისურაძეს არ დასცალდა თავისი ნიჭის ბოლომდე გამომჟღავნება, გადასახლებიდან დაბრუნებულმა გიორგიმ კი, მიუხედავად პოლიტიკურად საშიში დროისა (აღარაფერს ვამბობთ გადასახლებიდან დაბრუნებულის საერთო-საყოფაცხოვრებო გაჭირვებაზე), ადრევე დაიწყო ციხეებსა და ბანაკებში განცდილ-გადატანილზე წერა. „მე რომ ციხის მოთხრობების წერას შევუდექი, ჯერ არ იყო გამოვლენილი არც პასტერნაკის „დოქტორი ჟივაგო“ და არც სოლჟენიცინი, რაც შემდეგ დისიდენტობად მოინათლა“.

„ხშირად გავიგონე ზოგზოგების პირიდან: ახლა პატიმრობაზე წერა მოდაშიაო. განა მოდა შეიძლება იყოს იმათთვის, რომლებმაც განიცადეს საბჭოთა ქვეყანაში პატიმრობა, განა მოდა ეთქმის იმ ციხეზე წერას, რომლის პყრობილნიც იყვნენ ათეული მილიონობით ადამიანი და მათმა ნახევარმა გარეთ ვერ გამოაღწია“.

და გოგი წერდა ყველაფრის მიუხედავად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. მაისურაძე (ისევე როგორც სხვა გადარჩენილნი) თავს ვალდებულად თვლიდა საკნებსა და გადასახლებაში დაღუპულთა სათქმელი ეთქვა ლექსად, მოთხრობად თუ მოგონებად.

ამ მხრივ არცთუ ცოტა გააკეთა. 1992 წელს გარდაცვლილს ამ თემაზე დაწერილიც საკმაო დარჩა. და მაინც გაცილებით მეტის ღირსად თვლიდა ბოროტების იმპერიის ციხეებსა და [illegible] ში დაღუპულებს:

თქვენ გელოდებათ სხვა პანთეონი,
არა ციმბირი, არა ტაიგა,
სალოცავ მთაზე მშობელი ერი
თქვენს გაწამებულ სულებს აიტანს.

ამ გაწამებულ სულებში, ცხადია, თვით გოგი მაისურაძეც უნდა მოვიხსენიოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ბიორგაძე

ვიქტორ გაბესკირიას ორი ტრაგედია

„უფსკრულთან“, „ბურიის მთებზე დაუთოვია“

ვიქტორ გაბესკირია ეკუთვნის ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული დრამატურგიის განვითარებაში.

მწერლის ბიოგრაფი ელენე კვირკველია წერს: „ვიქტორ გაბესკირია ცნობილი პოეტი იყო, როდესაც კოტე მარჯანიშვილს თავისი პირველი პიესის („ლაქაშებს შორის“) ორი მოქმედება მიუტანა წასაკითხად. გაეცნო თუ არა მას, კოტემ განსჭვრიტა მთელი პიესა, იგრძნო საით მიუწევდა გული ავტორს და სთხოვა დაემთავრებინა იგი.

ვიქტორი შეუდგა მუშაობას, კოტე მოსკოვს გაემგზავრა. გაემგზავრა და აღარც დაბრუნებულა...

ამგვარად, პოეტის ოცნებას, „ნათლობა“ მაგიური ოსტატის ხელით მიეღო, ფრთები შეეკვეცა (საბჭოთა ხელოვნება, 1966, № 3).

მიუხედავად იმისა, რომ მწერლისათვის საოცნებო „ნათლობა“ არ შედგა, მისთვის დიდი რეჟისორის ინტერესი უთუოდ ძლიერი სტიმული გახდა, რადგან სწორედ ამის შემდეგ იწყება ვ. გაბესკირიას მჭიდრო ურთიერთობა თეატრსა და დრამატურგიასთან.

ამგვარი ბედი ეწია დრამატურგის პირველ პიესას, რომელსაც ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ თვით მწერლის ოჯახშიც კი და ნაწარმოებზე წარმოდგენას გვიქმნის ის რეცენზიები, რომლებიც დაიბეჭდა სპექტაკლთან დაკავშირებით (დასახელებული პიესა „ლაქაშებს შორის“ წარმოადგინა 1934 წელს ქუთაისის თეატრმა რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით).

ნაწარმოები ეხებოდა იმ პერიოდისათვის მეტად აქტუალურ თემას — კოლხეთის ჭაობის ამოშრობას. მასში კონფლიქტი ძირითადად აგებული ყოფილა ორი მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელთა დაპირისპირებაზე. „მოწინავე ადამიანების — ინჟინერ არჩილის, ბათურიასა და სხვების მისწრაფებებს წინ ეღობებიან ყოფილი ფეოდალები ლევან ჯაიანის მეთაურობით. პიესაში თავიდანვე იგრძნობა ძველის დამარცხებისა და ახლის გამარჯვების აუცილებლობა.

თემის აქტუალობასთან ერთად ელ. კვირკველია თვლის, რომ დრამატურგმა მასში უკვე „გამოავლინა საკუთარი ხელწერა. როგორც ყოველთვის, მას აქაც აინტერესებს ადამიანი, ფსიქოლოგიური თვალთახედვით მისი ყოველმხრივ აწონ-დაწონა და საბოლოოდ სრულყოფილად გამოვლინება“

ქართულ ლირიკასთან და ეპოსთან შედარებით „ქრონიკულად სუსტი“ დრამატურგია XX საუკუნეში აშკარად აღმავლობის გზაზეა, რომლის წარმატება 40-იანი წლებიდან დაკავშირებულია ვიქტორ გაბესკირიას სახელთანაც, რომელმაც ახალი ორიგინალური დრამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით გაამდიდრა ქართული დრამატურგია.

1939 წელს ვ. გაბესკირია ქართველ მაყურებელს გაეცნო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დრამით „მათი ამბავი" (რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი). შემდეგ მას მოჰყვა პიესები: „მარტოხელა" (1939), „გაზაფხულის დილა" (1952), „უფსკრულთან" (1953), „გურიის მთები დაუთოვია" (1957), „შრიალებენ ვერხვები" ..... და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ვ. გაბესკირია ლირიკოსად რჩება დრამატურგიაშიც, მის პიესებში ყველაზე მეტად ლირიკული ინფორმაციები ისმის და ლირიკული სიტუაციები ჭარბობს. თემატიკა კი ძირითადად განისაზღვრება ყოფითი და ზნეობრივი მოტივებით, რომელიც ოჯახისა და ცოლ-ქმრის ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს.

კიდევ ერთი მახასიათებელი: იგი არასოდეს ყოფილა ოფიციალური იდეოლოგიის ტყვეობაში, რომლის მიხედვით საბჭოთა ქვეყანაში თითქოს მხოლოდ ზნესრული ადამიანები ცხოვრობდნენ, აგრეთვე მას შემოქმედების მიზნად არ დაუსახავს ე. წ. „დადებითი გმირების" გამოხატვა.

თუ პოეზიაში ვ. გაბესკირიას ლირიკა არ გამოირჩევა სიმძაფრით და პოლიტიკური პრობლემატიკით, მისი დრამები ყურადღებას იქცევს საბჭოური სინამდვილისათვის დამახასიათებელი მძაფრი შეურიგებელი კოლიზიებით, მოუწესრიგებელი კონფლიქტებით, და ყოფითი სურათებით, რომლებიც გადაჯაჭვულია ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან, რაც ხშირად ტრაგიკულში გადაიზრდება...

ვ. გაბესკირიას შემოქმედებითი ინტერესის სფეროში დგას ადამიანი, თავისი სოციალური ყოფით, ადგილითა და როლით საზოგადოებასა თუ ოჯახში.

ბუნებრივია, ამ დროს პირველ პლანზეა რიგით ადამიანთა ზნეობრივი სახე, მისი შინაგანი ბუნება, რომელიც დრამატურგის ისტორიულ ეპოქაში თანდათანობით ჰკარგავდა ეროვნული ზნეობრიობისათვის მახასიათებელ თვისებებს. ამდენად, ეპოქისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ვ. გაბესკირიას ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, რაც განაპირობებს მისი თემატიკის აქტუალობასა და ცხოველმყოფელობას.

მაგრამ მხოლოდ ეს როდი განაპირობებს შემოქმედის წარმატებას: აუცილებელია მწერლის ოსტატობა, კომპოზიციისა და სიუჟეტის, ტიპაჟისა და ხასიათების ენის მხატვრული დაძლევა; საბედნიეროდ, ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთმა უკეთესმა ლირიკოსმა პოეტმა დრამატურგიაშიც გამოამჟღავნა არაორდინალური სტილი (ეს იგრძნობა მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებშიც, რომლებიც ავტორმა მიუძღვნა პოეზიის, თეატრისა და დრამატურგიის საკითხებს).

წინამდებარე წერილში განვიხილოთ მწერლის „დრამები" („უფსკრულთან" და „გურიის მთებზე დაუთოვია"), რომლებსაც არა მხოლოდ თემატიკურად აქვთ საერთო (ოჯახის პრობლემა), არამედ ჟანრობრივი თვალსაზრისითაც: როგორც ერთი, ისე მეორეც, ჩემი აზრით, მიეკუთვნება ტრაგიკული ჟანრის ნაწარმოებებს საბჭოთა სინამდვილეზე, მაგრამ რამდენადაც დრამის ეს სახეობა მაშინდელი დოქტრინით პრაქტიკულად აკრძალული იყო, მწერალი იძულებული გახდა თავისი ქმნილებებისათვის ეწოდებინა დრამები.

ა) ტრაგედია „უფსკრულთან"

პიესის სათაური მიგვანიშნებს უბედურების მაუწყებელ სიგნალზე, რომელიც გაისმის განწირულთა გადასარჩენად. ტრაგედიის თითქმის ყველა მოქმედი პირი უფსკრულის პირსაა მისული, ყოველი მათგანი საზოგადოების თანადგომას საჭიროებს, ანთიმოზ ტორონჯაძე, თამარი, გოგი, ევგენი ამაშუკელი, მინადორა, გიგო, ვარლამი, კუკური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურმიშხანი, იასონი. — აი, განწირულთა სრული შემადგენლობა, რომელთათვისაც ცხოვრების რიტმი დარღვეულია, მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამგვარი ყოფა საზოგადოების ერთი ნაწილისათვის დროებითია, ხოლო მეორე ნაწილისათვის — სამუდამო. ამას განაპირობებს არა მარტო დრამატურგის სუბიექტური დამოკიდებულება მოქმედ პირთადმი, არამედ მათი რეალური სახე — პიროვნული ღირსებები და ადგილი საზოგადოებაში.

პიესაში მოცემულია მძაფრი, ცხოვრებისეული კოლოზიები, რომლებიც ძირითადად ნაჩვენებია ორი ოჯახის მაგალითზე. უფსკრულის ერთ მხარეს დგას მშრომელი, კეთილშობილებისა და სიწმინდის ეტალონი — ანთიმოზ ტორონჯაძე რძლითა და შვილიშვილით, ხოლო მეორე მხარეს, — მინადორასა და ევგენი ამაშუკელის ძველი „არისტოკრატული“ ოჯახი გარშემორტყმული რწმენისა და საქმის თანაზიარი ფუქსავატი ძმაკაცებით.

პიესაში მოქმედება მიმდინარეობს ახლო წარსულში, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, დაახლოებით 50-იანი წლების დასაწყისში.

ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია, თამარი, ომში დალუპული გმირის ქვრივი. მიუხედავად ქალური სისუსტისა, თავისი ფიზიკური და სულიერი მომხიბვლელობიდან გამომდინარე, იგი მაინც სიმპათიებს იმსახურებს..

საბედისწერო აღმოჩნდა თამარისათვის საცხოვრებლად თბილისში გადასვლა და ამაშუკელებთან დამეზობლება. ევგენისა და კატოს ენერგიული შეცადინეობით თამარი დროებით ივიწყებს ქვრივისა და დედის მოვალეობას. ძნელად, მაგრამ მაინც სჯობნის შავ სამოსელს შინაგანი მოთხოვნილება სიხარულისა და ბედნიერებისა. იგი ევგენი ამაშუკელის ცოლი ხდება. შორიდან ლამაზად დანახულ ამაშუკელთა ოჯახს ახლოს გაცნობისას თამარისათვის ფარდა აეხადა; მოჩვენებითი არისტოკრატობისა და კეთილშობილების მიღმა, ჯანსაღ ადამიანურ გარემოში აღზრდილმა ქალმა უზნეოთა სამყარო იხილა: რომ არა ანთიმოზის შემწყნარებლობა და განსაცდელში ჩავარდნილი რძლისათვის დახმარების ხელის გაწოდება, თამარი ამ მცდარი ნაბიჯის მსხვერპლი გახდებოდა.

პიესის გაცნობისას ბუნებრივად იბადება აზრი, რომ თამარის მცდარი ნაბიჯი არც მხოლოდ ევგენის გაიძვერობისა და მოქნილობის ჩვენებას ემსახურება და არც მხოლოდ თამარის ქალური სისუსტის აღიარებას.

სოფელში შეხვედრისას ევგენმა თამარს „გაანდო“ — შენი თბილისიდან წასვლა ისე განვიცადე, თითქოს ბნელი ოთახიდან ანთებული შანდალი გაიტანესო“. ევგენის სიტყვების სიწრფელის არ სჯერა მკითხველს და, რაც მთავარია, თვითონ თამარს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ამაშუკელის ნების უნებლიე აღმსრულებელია, მისი სახით სიკეთისა და სინათლის სხივი შეიტანა მწერალმა ამაშუკელთა ოჯახში, მაგრამ სიბნელეს ჩვეულმა ხალხმა ვერ იგუა ნათელი. ანთიმოზის მიერ თამარის შეწყნარება ევგენის, მინადორას, გიგოს, კუკურისა და ლურმიშხანის განწირულობაზე მიგვანიშნებს...

პიესის სხვა ღირსებებთან ერთად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მთავარი და აუცილებელი — დასმულ საკითხთა აქტუალობა: ოჯახის პრობლემა მარადიულ თემათა რიცხვს განეკუთვნება. ამ მხრივ გამონაკლისი არც თემატიკით მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული მწერლობაა.

ანთიმოზის განდობა რძალთან („გულში მაქვს ჩათქმული ჩუმად, ჩემ გუნებაში ფიცი მაქვს მიცემული, ისე ვიცხოვროთ, როგორც ჩემი გიორგის სახელს შეჰფერის, რაც მას უყვარდა ის ვაკეთო). მისი კაიკაცობის კიდევ ერთი დადასტურებაა, მაგრამ ამ ნათქვამს სხვა აზრობრივ-სიუჟეტური დატვირთვა აქვს. ანთიმოზი თამარს ამას ეუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება მაშინ, როდესაც თვითონ სამუშაოდ მიდის და რძალს სტუმრად მისულ ევგენთან ტოვებს. მან თამარს გულისნადები გაანდო და ამით შეახსენა ქვრივს მოვალეობა გარდაცვლილი მეუღლის წინაშე. მართალია, მაშინ ანთიმოზი მოსალოდნელ უბედურებაზე არ ფიქრობდა, მაგრამ მოქმედ პირთა მიერ მომავლის განცდა, ქვეცნობიერი შიშის გამოხატვა ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე, გაბესკირიასათვის სიუჟეტის განვითარების ჩვეული ხერხია (მოვიგონოთ „ახალი წლის ღამე").

თამარის უბედურებაც ანთიმოზის „გაფრთხილებიდან" იწყება და არა ევგენის გაცნობიდან (სწორედ იმ დღიდან იცვლის სახეს თამარის ცხოვრება).

სამეცნიერო ლიტერატურაში თავის დროზე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ იდეურადაც და სიუჟეტური თვალსაზრისითაც პიესები „უფსკრულთან" და „ახალი წლის ღამე" იდენტურია. ამის საფუძველს იძლევა ვ. გაბესკირიას გატაცება და ინტერესი ადამიანური ყოფის, და იმ სოციალური გარემოსადმი, რომელშიაც ხდება ამა თუ იმ პიროვნების ფორმირება და სრულყოფა. დრამატურგის მიზანია მკითხველს უჩვენოს ერთი შეხედვით მაღალ, არისტოკრატიულ, კულტურულ ოჯახებში როგორ ირღვევა ყოველგვარი ზნეობრივი ნორმები, როგორ ხდება ადამიანური ღირებულებების გადაფასება.

პიესა „უფსკრულთან" დაწერილია 1955 წელს. ნაწარმოებში აღწერილი ეპოქა და მისი დაწერის დრო საინტერესო და მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გასარკვევად, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო პასაჟით იკვეთება დრამატურგის დამოკიდებულება მოვლენებისადმი (50-იან წლებში რეპრესიები ჯერ კიდევ ძალაშია და, როგორც ჩანს, მისი სუსხი ხალხს კვლავ აკრთობს), კერძოდ, ევგენისა და ვარლამის კამათში თავი იჩინა ევგენი ამაშუკელის ოჯახის „დამსახურებამ" 30-იანი წლებში. ოგი გამოცდილი თაღლითი და დამსმენი აღმოჩნდა, რაც ნათლად ჩანს ვარლამთან საუბრისას წაყენებული უმართებულო ბრალდებებიდან:

„ევგენი — ვის ესარჩლები შენ? თვითმკვლელს? ნუთუ არ იცი, რომ ჩვენს დროში თვითმკვლელი ყველა შემთხვევაში დასაგმობია? ამის გარდა, იცი რა გითხრა? კონტრრევოლუციურ ლაპარაკს თავი გაანება შენ.

ვარლამი — (ოდნავ შემკრთალი) დაუფიქრებელი ლაპარაკი კი ვიცი, შეიძლება, მაგრამ ამგვარი? არასოდეს!

ევგენი — მე შენ გაფრთხილებ?

ვარლამი — ჩემს გულში რაც არის, მე არ ვიცი? ტყუილა ნუ მაშინებ.

ევგენი — რა თქვი ამას წინათ შენ? რაზე გვეკამათებოდი?

ვარლამი — რა ვთქვი?

ევგენი — ერთ დროს ბოლშევიკები ადამიანებისაკენ მხოლოდ ტყვიებს უშვებდნენო, — ხომ თქვი?!

ვარლამი — (გულწრფელად აღშფოთდება. იგონებს). მე ვთქვი: იყო დრო, როდესაც ბოლშევიკები მტრებისაკენ ტყვიებს და მეხსაც უშვებდნენ, ახლა კი იმ ფაბრიკას, რომელიც საუკეთესო კამფეტებს და ბისკვიტებს უშვებს, „ბოლშევიკი" ჰქვია, რა არის ამაში ცუდი?

ეს არ არის ვარლამის შესაშინებლად უბრალოდ ნათქვამი სიტყვები. ამით სამაგიეროს გადახდის ჩვეული ფანდი გაიხსენა განრისხებულმა ევგენმა. აღნიშნული დიალოგი უნებურად გვაგონებს მინადორას საუბარს გადარჩენილ ოჯახზე, ხელუხლებელ სიმდიდრეზე, ღირსეულ ქმარზე და მოულოდნელად ყველაფერს ფარდა ეხდება — შენარჩუნებული ოჯახი და სიმდიდრე გაყიდული სინდისის ფასად.

50-იანი წლების დასაწყისი ძირეულად განსხვავდება თავისი იდეოლოგიით 90-იანი წლების რეჟიმისაგან. ეს ის პერიოდია, როდესაც სისხლიანი აქციის მონაწილეთა ნაწილი ჯერ კიდევ ლაღად გრძნობს თავს და აღნიშნული თემაც მკაცრადაა ტაბუირებული. მიუხედავად ამისა, მწერალმა ვერ შესძლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმილი, სათქმელის უთქმელობა, მკითხველისა და მაყურებლისათვის იმ ტკივილის დაფარვა-გაუზიარებლობა, რასაც იწვევდა ევგენის მსგავს სინდის დამსუბუქებულ ადამიანთა ქმედება.

რეპრესიებზე იმ დროს ნათქვამი მართალი სიტყვა მწერალს გმირობადაც ეთვლება და ღირსებადაც.

ნიჭიერმა დრამატურგმა კარგად უწყის, რომ პიესებისათვის ერთერთი ნაკლია სუსტი, დაუსრულებელი დიალოგები. ამიტომაა, რომ გაბესკირიას პიესებში მოქმედ პირთა საუბარი ძირითად შემთხვევაში არის სხარტი და ლაკონური, ერთი შეხედვით მცირე, უმნიშვნელო დიალოგებში სრულადაა გამოხატული მოქმედი პირის შინაგანი სამყარო. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მაგალითიც ასეთთა რიცხვს განეკუთვნება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პიესას არავითარი ნაკლი არა აქვს.

მართებულად შენიშნავს, გ. ციციშვილი, რომ „პიესისა და სპექტაკლის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ზოგი ნატურალისტური დეტალისა და ყოფა-ცხოვრებითი მოტივის გაცილებით უფრო მეტი დოზით ჩვენება, ვიდრე ეს საჭირო იყო ძირითადი სიტუაციის განვითარებისათვის. ასეთია, მაგალითად ევას ხასიათის გადმომცემი უმთავრესი ეპიზოდები“ (გ. ციციშვილი, წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე, 1959, თბ., გვ. 172).

ამ შენიშვნას საფუძველი აქვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გმირის წარმოსახვის გაბესკირიასეულ თავისებურებას, მაშინ შეიძლება დრამატურგსაც მოვუძებნოთ გამართლება. კერძოდ, ვ. გაბესკირიასათვის არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. ავტორი თითოეული მათგანის შემოყვანას პიესაში დიდი სიფრთხილითა და სიყვარულით ეკიდება. ევას სახე, მართალია, სიტუაციის განვითარებისათვის არსებითი არ არის, მაგრამ იგი აუცილებლად ცხოვრებისეული და ბუნებრივია. ევას მსგავსი „შეპრეკილი“ დედაკაცები ყველგან არიან, ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი ესმით და, რაც მთავარია, ყველაფერს თავისებურად ნათლავენ. ამიტომ არ იშურებს დრამატურგი არც სიტყვას, არც მხატვრულ საშუალებებს ევას სახის სრულყოფისათვის.

ვ. გაბესკირიას სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ პიესაში ზოგიერთ უარყოფით პერსონაჟსაც კი აქვს გარკვეული ზნეობრივ დატვირთვა. რიგი მათგანი თავისებურ ზნეობრივ კათარზისსაც განიცდის. მაგალითად, ვარლამი, კატო, რომელთაც თამარისა და ანთიმოზის ადამიანურმა ღირსებებმა სინდისის ძარღვი შეუტოკა.

მოქმედ პირთა ხასიათის თავისებურება, მრავალფეროვნება, სიუჟეტის განვითარების ბუნებრიობა, იდეურ-თემატური მიზანდასახულობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ პიესა „უფსკრულთან“ მივიჩნიოთ ქართული დრამატურგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

დასახელებული ღირსებების მიუხედავად ვ. გაბესკირიას შემოქმედებიდან არსებობისათვის ბრძოლის ყველაზე რთული გზის გავლა სწორედ ამ პიესას მოუხდა.

პიესის პრემიერა შედგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში 1953 წლის 29 სექტემბერს (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე).

აი რას წერს ამის შესახებ აკ. ბაქრაძე: — „მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ვიქტორ გაბესკირიას „უფსკრულთან“. პიესაში ბიჭუნა, რომელიც დედამ მიატოვა, მძიმედ ავადდება და კვდება. ზოგიერთი აღშფოთდა, როგორ შეიძლება, რომ საბჭოთა პირობებში ასეთ ვითარებაში გარდაიცვალოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაშინ ამ საკითხის გასარკვევად სამი კაცისაგან შემდგარი კომისია გამოჰყო. მე არ წამიკითხავს კომისიის დასკვნა და არ ვიცი, რა გადაწყვეტილება მიიღო მან. ვიცი მხოლოდ, რომ წარმოდგენა მოიხსნა რეპერტუარიდან“ (აკ. ბაქრაძე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკა-

დემიური თეატრის დირექტორი (სტენოგრამა), გაზ. „თბილისი“, 15. 01. 1976).

სპექტაკლი ამ ზომამდე მიიყვანა ზოგიერთი იდეოლოგიური დოგმატიზმის ტყვეობაში მყოფი რეცენზენტის მოსაზრებამ.

კ. მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერზე ვკითხულობთ: „ანთიმოზის შვილი იღუპება, ბავშვი კვდება, იასონი თავს იკლავს, თამარი ცდილობს თავი მოიკლას. ეს სიკვდილის აპოლოგიაა და სხვა არაფერი“.

იმისათვის, რომ პიესას ეარსება სცენაზე, ვ. გაბესკირია იძულებული გახდა პიესაში შეეტანა ზოგიერთი ცვლილება. ეს ცვლილება არ ეხება ნაწარმოების იდეურ მხარეს. ავტორმა მხოლოდ ტრაგიკული მომენტი შეამცირა. პიესის მეორე ვარიანტში ბავშვი ცოცხალი რჩება.

ამის შესახებ კ. კალაძემ იხუმრა კიდეც:

„თეატრთან ერთად დადგა
„უფსკრულთან“,
მაგრამ უფსკრულმა ვერ შეაშინა,
და მაყურებელს ჩასჭიდა ხელი:
კეთილმა რჩევამ გადაარჩინა.
გახარებული უთუოდ, ამით,
ჩვენც გაგვახარებს ახალი დრამით“.

ეს შემდეგ, თორემ მაშინ არც თეატრსა და არც ავტორს სახუმაროდ არ ჰქონდა საქმე (გარკვეული ცვლილებების შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში კვლავ ჩაჯდა დაწუნებული სპექტაკლი).

იმდროინდელი რეცენზიებიდან ვგებულობთ, რომ დასახელებულ სპექტაკლს მაყურებლის დიდი ინტერესი გამოუწვევია. ამას ცხადყოფს შემონახული მასალები იმ საჯარო განხილვებიდან, რომელიც 1954 წლის 12 აპრილს, თეატრის კოლექტივთან ერთად, მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. განხილვაში ავტორთან ერთად მონაწილეობდნენ: ნ. კაკაბაძე, ნ. ყიასაშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვ. იმავე წელს პიესის განხილვა მოეწყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და სამედიცინო ინსტიტუტში.

ამ განხილვებზე სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცეს: მაგალითად, დ. ბენაშვილმა წარმოდგენას „მამხილებელი სპექტაკლი“ უწოდა და საგულისხმო მოსაზრებაც გამოთქვა: „თავისი უკანასკნელი პიესით „უფსკრულთან“ ავტორმა მიზნად დაისახა ჩვენი რეალური ცხოვრების მხატვრული ჩვენება და მასში მოქმედი ძალების ისე დაპირისპირება, როგორც ეს სინამდვილეშია და არა ისე, როგორც ეს ეჩვენება ზოგიერთი დრამატურგის ახირებულ ფანტაზიას“ („დ. ბენაშვილი, „მამხილებელი სპექტაკლი“, კომუნისტი, 2. 04. 1954).

გასათვალისწინებელია აგრეთვე გ. ციციშვილის მოსაზრება: „უფსკრულთან“ ძლიერია კომპოზიციური მთლიანობის თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია მიმზიდველი, ფერადოვანი და ბგერადი ენა. ოსტატურად არის აგებული პიესის დიალოგებიც. საერთოდ, ეს ნაწარმოები პროფესიონალური ოსტატობის თვალსაზრისით ქართული საბჭოთა დრამატურგიის მიერ უკანასკნელ პერიოდში შექმნილ პიესებს შორის უსათუოდ გამოირჩევა“. (გ. ციციშვილი, წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე, თბ., 1959, გვ. 172).

პიესის პოპულარობით უნდა აიხსნას, რომ მის შესახებ გამოხმაურებას ვხვდებით არა მარტო სპეციალისტებისა და ლიტერატორების მხრიდან, არამედ რიგითი მაყურებლიდანაც. ამაზე მეტყველებს 1954 წლის 13 აპრილს „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული ნ. კიკვაძის წერილი „ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ“ რომელიც დაიბეჭდა რუბრიკით — მაყურებელი სპექტაკლის შესახებ.

კიდევ ბევრი რეცენზიისა და განხილვის გახსენება შეიძლება, მაგრამ ვფიქ-

რობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული პიესა „უფსკრულთან“.

რაც შეეხება ნაწარმოების ჟანრულ კლასიფიკაციას, დაბეჯითებით შეგვიძლია მას ტრაგედია ვუწოდოთ, რამდენადაც მასში ასახვა ჰპოვა კეთილისა და ბოროტის შეურიგებელმა ბრძოლამ, ტრაგიკულმა სიტუაციებმა, ძლიერი სულიერი ტანჯვისა და მსხვერპლის გაღებით: ტრაგედიის პირველი რედაქციის მიხედვით, რომელიც უნდა აღდგეს, იღუპება (კვდება ან თავს იკლავს) რამდენიმე პერსონაჟი.

ბ) ტრაგედია „გურიის მთებზე დაუთოვია“

(ბიძინა — საბჭოური ეპოქის ტრაგიკული გმირი)

ვის ომებში არ დაგვიღვრია სისხლი და აუცდენელი იყო მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობაც: ძალაუნებურად აღმოვჩნდით შიგ ჩათრეულნი....

ამ აზრით 40-იანი წლების წინააღმდეგობის მოძრაობა არ უპირისპირდება და ხელოვნურად ნურც დავუპირისპირებთ ჩვენს მეომართა ბრძოლებს, რაკიღა ქვეყნის ცხოვრება თავისთავად მოითხოვს ერთსაც და მეორესაც — ისევე როგორც მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს. ეს ყოველივე ერთმანეთს ავსებს და ერთნაირად გამოხატავს დაწყევლილი თაობის ბედისწერას.

როსტომ ჩხეიძე

ვ. გაბესკირიას ტრაგედია „გურიის მთებზე დაუთოვია“ დათარიღებულია 1957 წლით. მასში მოქმედება გაშლილია გურიის ფონზე, ხოლო დრო — მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდია (1944 წელი).

ისტორიულად ცნობილია, რომ ამ ომში რუსეთის სახელმწიფოსთან ერთად მონაწილეობდნენ მის მიერვე დაპყრობილი ქვეყნების ხალხებიც. სწორედ ამ თემას ეძღვნება დასახელებული ნაწარმოები — სამმოქმედებიანი ტრაგედია.

პიესის კოლიზია აგებულია დედა-შვილს შორის მძაფრ პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტზე.

ივლიტა ორმოცდახუთ წელს მიღწეული მოხდენილი გარეგნობის ქალია, რომელიც მეორედ გათხოვილა მამიაზე (სოფელ თხემლიანის მეურნეობის დირექტორზე). ეს ქორწინება ივლიტასათვის, მისი აზრით, „იღბლიანია“, მაგრამ მის ბედნიერებას ჩრდილს აყენებს ომში დაღუპულ ერთადერთ შვილზე დარდი, თუმცა ეს ერთგვარ სიამაყესაც გვრის და შავოსანი დედა მხრებგაშლილი დააბიჯებს საზოგადოებაში — ყველას თამამად უსწორებს თვალს.

უეცარი მეტამორფოზა განიცადა ივლიტამ, როგორც კი შეიტყო, რომ მისი „ომში დაღუპული“ შვილი ბიძინა გმირი კი არ არის, არამედ ხალხის უჩუმრად მის სახლში შემოპარული დივერსანტია, რომელსაც თავისი მამის მსგავსად უსაზღვროდ სძულს საბჭოთა ქვეყანა.

აი დიალოგი, რომელიც გაიმართა დედა-შვილს შორის:

ბიძინა: ტყვედ რომ ჩავვარდი პატიმრობა მქონდა მისჯილი.

ივლიტა: მაშ, შენ გმირი აღარა ხარ?

ბიძინა (ბრაზობს) შენ რას მეკითხები? (ყვირილით) შვილი ცოცხალი დაგიბრუნდა!

....

ჩემმა მოსვლამ კი არ გაგახარა, არამედ დაგაღონა.

მე ის კაცი ვარ, ახლა მთელ გურიაში გაშმაგებით რომ დაეძებენ.....

ივლიტა: დივერსანტებს დაეძებენ...

ბიძინა: დიახ, მე ის გახლავარ (გესლიანი ღიმილით).

აი, უკვე ვხედავ როგორ ქრება შენს თვალებში დედური გრძნობა, სამაგიეროდ აენთო, აღეგზნო, ის, რასაც თქვენ საბჭოთა პატრიოტიზმს ეძახით...

წადი აცნობე ყველას რომ აქ ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

... წადი, დაუმტკიცე შენი ერთგულება!

(ივლიტა თანახმაა დამალოს საკუჭნაოში შვილი, მაგრამ მანამდე ეტყვის): მე არ მომწონს ის, რასაც შენ აკეთებ!

... (თითქმის ყვირილით) მე ნამდვილად მიყვარს საბჭოთა ქვეყანა! ის ქვეყანა კი, საიდანაც შენ მოხვედი, ნამდვილად ბნელი, წყვდიადით მოცული მგონია,

(... შემდეგ მოლბა ივლიტა: რამდენიმე დღე ჩემთან დარჩიო, — მიმართა შვილს).

ბიძინა: როგორც ის ციხე არ გადაკეთდება სხვა რამედ, თხემლიანის თავზე — რომ არის ძველი ციხის ნანგრევი, ასევე ჩემი გარდაქმნა არ შეიძლება; მე რაც ვარ, ის უნდა ვიყო...“

— ივლიტას დემონსტრაციული პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ მისთვის სამშობლო, საქართველო „შერწყმულია“ საბჭოთა ქვეყანასთან. ასეც იყო ბევრისათვის, რაც გაჩნდა ახალი გეოგრაფიული ტოპონიმი „საბჭოთა კავშირი“. აქედან გამომდინარე ის ავადმოსაგონარი ომიც „სამამულოდ“ მონათლეს და ივლიტასაც ეამაყებოდა „სამშობლოს“ დამცველი შვილის დედობა.

პირველი მძიმე განცდა, რომელიც ივლიტას ტყვედყოფილი შვილის გამოჩენისას დაეუფლა ისაა, რომ ბიძინა სამშობლოსათვის თავდადებული გმირი არ ყოფილა.

ივლიტაში დედურ გრძნობასთან ერთად თავს იჩენს ჰაჯი-უსუბისეული ზნეობრივი კონცეფცია. ჩვენი აზრით. მეორე უფრო ძლიერია, ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს დრამის ფინალი და დედა-შვილს შორის თვითმკვლელობამდე გამართული დიალოგი, ბიძინას კითხვაზე — „შენ ხომ ჩემთან ხარ?! — ივლიტა პასუხობს, რომ ის არის იმ შვილთან, რომელიც ფრონტზე დაეღუპა,, რომლის ხსოვნასაც ხალხი პატივს სცემდა.

ამგვარად, დედა ანტიპოდია შვილის. ამას, რა თქმა უნდა, განაპირობებს ივლიტას პიროვნული ბუნებაც, ეროვნულად მომხიბვლელი ქალბატონი განებივრებულია მეორე მეუღლითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით, რაც მის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებს კიდეც. მეტიც, მისი სიამაყე იმდენად ამბიციურია, რომ თუმცა უყვარს შვილი, მაგრამ დაღუპული შვილის სახელი გულის სიღრმეში, სადღაც, ახარებდა კიდეც.

ასე რომ, იგი ტიპიური სახეა იმ „გაორებული საბჭოთა ადამიანისა“, რომელზედაც მიუთითებდა გრიგოლ რობაქიძე. ყოველივე ეს დედის ზედაპირულ ბუნებაზე მიგვანიშნებს; იგი მოწყვეტილია ეროვნულ ძირებს, ქართველი დედის ტრადიციულ ხასიათს, საკუთარ სამშობლოსა და მისთვის დამახასიათებელ სხვა ატრიბუტებს, ერთი სიტყვით, აკაკი ბაქრაძის ტერმინს თუ მივმართავთ ივლიტა „მოთვინიერებული“ უეროვნო ქალია, რომლის ეროვნულ ვინაობაზე მისი სახელი და გვარი არაფერს გვეუბნება.

ბიძინას თვითმკვლელობის შემდეგ ივლიტაც თავს იკლავს ხალხის თანდასწრებით, მაგრამ არა იმიტომ, რომ შვილის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე აღარ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ მან საკუთარ თავს არსებობის უფლება წაართვა, როგორც მოღალატე შვილის გამზრდელმა დედამ.

ვინ არის ბიძინა?

იგი ეროვნულ ფესვებთანაა დაკავშირებული და მისი ცნობიერება ჩამოყალიბებულია ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეალებზე. იგი მამის ღირსეული შვილია, რომელზედაც ზეგავლენა ვერ მოუხდენია საბჭოთა პროპაგანდას, რომელიც ადამიანს სულს აცლიდა და სოციალურ მანეკინად აქცევდა, რომ საკავშირო ცენტრიდან ადვილი სამართავი გამხდარიყო. ამიტომ ბიძინასთვის სამშობლოს თავისუფლება დედასა და საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასია. იგი უშიშარია და გაბედული

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამასთან გამტანია და ცდილობს არც დედა გასცეს და არც მეგობარი გაამტყუნოს, რომელიც, როგორც თვითონ ფიქრობს, აიძულეს, რომ მისი სამყოფელი გაეთქვა).

ვიდრე გავიცნობიერებდეთ ბოლომდე ბიძინას ბუნებასა და პოზიციას, ვუპასუხოთ კითხვას: ჰქონდა თუ არა ავტორს საფუძველი ნაწარმოებში შემოეყვანა პერსონაჟი, რომელსაც საბჭოური წყობილება არ სწამს, უარს ამბობს საბჭოურ არმიაში სამსახურზე და მეორე მსოფლიო ომში, ე. წ. „სამამულო ომში“ მონაწილეობაზე.

მიმდინარე ეტაპზე ერთნი ფიქრობენ, რომ სსრ კავშირში გაერთიანებულ ერებს (ე. წ. „ძმათა კავშირს“), როგორც ერთი სოციალურ-პოლიტიკური სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მონაწილეობა უნდა მიეღოთ, მაგრამ მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი თვით იყო აგრესორი, რომელმაც იარაღით დაიპყრო სუვერენული რესპუბლიკები (მათ შორის საქართველოც) და სისხლში ჩააბრჩო თავისუფლების მოყვარე ხალხები, რაც გამორიცხავდა ამ უკანასკნელთა მხარდაჭერას დამპყრობელი რუსეთის სახელმწიფოსადმი. ასე თუ ისე ამ საკითხზე ისტორიკოსები დღეს დუმილს ირჩევენ, თუმცა მას თვით ისტორიამ გასცა პასუხი, როცა „ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარზე“ თვით რუსმა ხალხმა და რუსეთის დღევანდელმა სახელმწიფომ უარი თქვა...

პიესის მკითხველისათვის ძნელი არ არის გაიხსენოს თავისი სამშობლოს ანექსია და სისხლიანი ათწლეულები, რომლებმაც განსაზღვრა კიდეც ფრონტზე იძულებით გაწვეული ბიძინას პოზიცია და პოლიტიკური კონტრასტი.

თუ გავითვალისწინებთ ბოლო ათეულ წლებში და განსაკუთრებით მიმდინარე ეტაპზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო, დოკუმენტურ, მხატვრულ ლიტერატურასა და პოლიტპატიმართა მოგონებებს, რომლებიც ახლაც ისტამბება, საქართველოში უმრავლესობა ანტისაბჭოური განწყობილებისა იყო, ხოლო მისი ერთი გაბედული და უშიშარი ნაწილი აშკარად უარს ამბობდა სისხლისმღვრელ ომზე და ფრონტიდან გამოიქცა...

ამგვარად, მწერალს საფუძველი ჰქონდა თავის ნაწარმოებში შემოეყვანა მეორე მსოფლიო ომში გაწვეული ურჩი და გაუტეხავი ხასიათის ქართველი ახალგაზრდა, როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი. თუმცა, ეს ავტორის დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, თუნდაც 50-იანი წლების მეორე ნახევარში (1957 წ.), ისიც იმ ავტორისთვის, რომელსაც რამდენიმე წლით ადრე (1953 წელს) ცენზურამ მოუხსნა სპექტაკლი „უფსკრულთან“, როგორც საბჭოთა სინამდვილისათვის მიუღებელი ნაწარმოები.

ჩვენი აზრით, ბიძინა სამშობლოს მოღალატე კი არაა, არამედ მტერია საბჭოური წყობილების და იმ სისტემისა და იდეოლოგიის, რომელიც გმირის სამშობლოში დამყარდა.

საქართველოში ამას ადასტურებს ბიძინას მიერ დედისადმი ირონიული ნათქვამი: „აი, უკვე ვხედავ, როგორ ქრება შენს თვალებში დედური გრძნობა, სამაგიეროდ აენთო ის, რასაც თქვენ „საბჭოთა პატრიოტიზმს“ ეძახით... ჰო, ასე! დე შეგიპყროს მან და დაგიმორჩილოს (ყვირილი) წადი! აცნობე ყველას, რომ აქ ვარ!“

ვ.გაბესკირიას შემოქმედების მთავარი ღირსება სინამდვილის ობიექტურ ხედვასა და მის რეალისტურ ასახვაში მდგომარეობს და მწერალი საკუთარ ხელწერას არც ამ პიესაში ღალატობს. იგი ბიძინას არ ხატავს მუქ ფერებში, როგორც ეს ხდება ხოლმე. მის „პოლიტიკურ დანაშაულს“ დრამატურგი არ ამძიმებს. პირიქით, ბიძინას აქვს ბევრი ღირსება: იგი პრინციპულია, მაგრამ შეუძლია მიტევებაც, რომანტიული ბუნებისაა და რაც მთავარია, უყვარს მშობლიური გურია, მისი დათოვლილი მთები. როგორც სამშობლოდან გადახვეწილ ყველა ქართველს უცხოეთში ყოფნის დრის, მასაც ეუფლება მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოსტალგია. ამ ღირსებების შემდეგ მკითხველის თვალში ბიძინა არა თუ დამნაშავეა, არამედ გმირია იმ პოლიტიკური სინამდვილის, რომელშიც იგი იმყოფება.

ბიძინას პოლიტიკური მრწამსი, რომელიც დღეს ჩვენთვის სამაგალითოა, მიუღებელია დედისთვის. ეს უკანასკნელი თავისი დროის მომხრეცაა და მოტრფიალეც. ამიტომ მიმართავს ბიძინას ასე სიამაყით და მკაცრად: „მე ნამდვილად მიყვარს საბჭოთა ქვეყანა!“

სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძინას ცხოვრების ტრაგიკული ფინალის შესახებ გამოითქვა მოსაზრება: „მამის (ივლიტას პირველი მეუღლის — ნ. გ.) აზრებითა და მოქმედებით გატაცებამ ბიძინა ღალატის გზაზე დააყენა. მამის ხანჯალზე გაიგმირა მოღალატური გული. აი, რა უნდა თქვას დრამატურგმა ამ სიმბოლური შტრიხით“ (ელ. კვირკველია, ვიქტორ გაბესკირიას დრამატურგია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, გვ. 66).

გმირის ამგვარი ინტერპრეტაცია რა თქმა უნდა, არასწორად მიგვაჩნია.

ბიძინას მიერ მამის ხანჯლით ჩადენილი თვითმკვლელობა ჩვენც „სიმბოლურ შტრიხად მიგვაჩნია“, მაგრამ განსხვავებით ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისა უფრო სხვაგვარი მნიშვნელობისაა; მამა-შვილი ერთ რწმენას შეეწირა და ეს რწმენა ჩვენც ისევე არ ჩაგვითვლია სამშობლოს ღალატად, როგორც თავად ავტორს. ბიძინა საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ემიგრანტი უფროა, ვიდრე სამშობლოს, საქართველოს მოღალატე. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება ნათელ ფერებში წარმოგვისახოს ბიძინას სულიერი სამყარო. მის პიროვნულ ღირსებებს დრამატურგი ავსებს მონოლოგის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ბიძინას დიალოგს საკუთარ თავთან. მის ღირსებებზე მეტყველებს აგრეთვე წერილი, რომელსაც თვითმკვლელობის წინ ტოვებს დედის ღირსებისა და უანგარობის შენარჩუნების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ბიძინას ტრაგიკულ სიტუაციას ამძაფრებს სატრფიალო მოტივი (მეჩაიე ქალიშვილი ეთერი სხვაზე თხოვდება), რაც ნაწარმოების ფინალში მჟღავნდება.

„გურიის მთებზე დაუთოვია“ დიდ სულიერ მღელვარებას იტევს. თითოეული მოქმედი პირი, ივლიტას გარდა, თავისებურად მიმზიდველი და საინტერესოა. ისინი ჩვენს ყურადღებას იპყრობენ თავიანთი ლირიკული ბუნებითა და მართალი ხასიათით, ბევრ მათგანს ინდივიდუალურ-პიროვნული მხატვრული ნიშნები აქვს.

ვფიქრობთ, ივლიტასა და ბიძინას ჩვენეულ ინტერპრეტაციას პიესის მკითხველი (თუ სპექტაკლის მაყურებელი) გაიზიარებს. ამასთან დავსძენთ, რომ დრამატურგსაც შეეძლო უფრო გაეშალა ამ პერსონაჟთა კონფლიქტი და სამოქმედო არეალი, მაგრამ ის რაც გამოხატა ავტორმა საზოგადოებისათვის, ფრიად დამაფიქრებელ და სერიოზულ გაცნობიერებას მოითხოვს, კერძოდ, ნაწარმოების იდეა ჩვენეული წაკითხვით ასეთია: საბჭოური წყობილება ტრაგედიის სათავეა და უნდა დაინგრეს... თვით დრამატურგს, რომ დავესესხოთ და ჩვენს მიერ უკვე განხილული პიესის სახელწოდება გამოვიყენოთ, მთელი საბჭოთა წყობილება „უფსკრულთან“ დგას...

ასეთი იყო მწერლის პროგნოზი, რომელიც მან ჯერ კიდევ ამ 40 წლის წინათ განჭვრიტა.

ამგვარად, ბიძინა 50-იანი წლების ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული გმირია, რომელიც არა მხოლოდ გამოხატავს თავის ანტისაბჭოურ ბუნებას, არამედ ებრძვის საბჭოთა წყობილებას, რაც ავტორის პოლიტიკურ ალღოზე მიგვანიშნებს.

ბიძინა, როგორც ლიტერატურული გმირი, ეს უსწრებს ჩვენი დროის 90-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-იანელთა ეროვნულ ცნობიერებას, თავისი განწყობილებებით და შეგნებით „დაწყევლილი თაობის“ (როსტომ ჩხეიძე) ლიტერატურული ძმაა.

ახლა განვსაზღვროთ, ნაწარმოების ჟანრი,

„გურიის მთებზე დაუთოვია“, თუ გავითვალისწინებთ მის ფინალს (ალყაშემორტყმული ბიძინა მამისეული ხანჯლით თავს იკლავს, დედა კი თავს იწამლავს) ტრაგედიაა.

რა თქმა უნდა, ყველა თვითმკველობა ტრაგედიას არ ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ნაწარმოების გმირი თავისუფლებისათვის მებრძოლი ბიძინა უპირისპირდება გაბატონებულ სახელმწიფო წყობილებას, რომლის დამარცხება მის ძალას აღემატება, და, როგორც წინასწარვე განწირული გმირი, იღუპება.

ეს ჭეშმარიტება, ცხადია, ესმოდა თვით დრამატურგსაც, მაგრამ 50-იან წლებში, სასტიკი ცენზურის პირობებში, არ შეეძლო ისედაც საშიშარი ნაწარმოებისათვის ტრაგედია ეწოდებინა.

ამგვარად, ვიქტორ გაბესკირიას 50-იანი წლების პიესები „უფსკრულთან“ და „გურიის მთებზე დაუთოვია“ განეკუთვნება ტრაგიკულ ჟანრს. ამის საფუძველს კი მაშინდელი ოკუპირებული საქართველო, ე. წ. „მრავალეროვანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და საბჭოთა წყობილება“ წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჟინა ნანობაშვილი

შრომის დანაწილების ტრადიციული ფორმები კახეთში

საგანგებო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სასაქონლო წარმოებაა, ბაზრის საფუძველი; ცნობილია, რომ ძველ ბაზარზე გამოდიოდნენ წვრილი მწარმოებლები; ეს ის დროა, როცა მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაცია გლეხს საქონელმწარმოებლად აქცევდა და ამით მას წვრილ ბურჟუად, — ბაზრისათვის მომუშავე წვრილ განკერძოებულ მეპატრონედ ხდიდა[1].

კახეთში ჯერ კიდევ არიან იმის მომსწრენი, როცა აქ საკვირაო ბაზრობა იმართებოდა. ასე იყო, მაგალითად, სოფელ ანაგაში.[2] მაგრამ ანაგა უფრო ადრეც ყოფილა ის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ არა მხოლოდ მთისა და ბარის მკვიდრნი,[3] არამედ ქართლ-კახეთის ქალაქებისა და შორეული სოფლებიდან სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოსული სხვადასხვა „საქმის“ ხალხი.

მთხრობელთა მოწმობით, „იერმუკობა“ სამ დღეს — შაბათს, კვირასა და ორშაბათს იმართებოდა. საყურადღებოა, რომ „მთავარანგელოზობა“ აქაურთათვის ბაზრობასაც გულისხმობდა. მაგალითად, ორშაბათის შემდეგ მაშნაარში, ფანიანში, ურიათუბანში, ქვემო მაჩხაანში, მაღაროში, ბოდბეში იყო სამებობა, სადაც დადიოდა მყიდველ-გამყიდველი. შემდეგ მარიამობა იქნებოდა ბოდბისხევში. როგორც ვხედავთ, ბაზრობა საეკლესიო დღეობებს თანხვდებოდა. ამ სამ საბაზრო ადგილსა და ბაზრობის დროებს შორის ანაგის მთავარანგელოზობა პირველობას ინარჩუნებდა. შემდეგ აქედან სხვაგან ისინი მიდიოდნენ, ვისაც „გაუყიდავი“ საქონელი დარჩებოდა. მათ მყიდველები მხოლოდ იმიტომ თუ გაჰყვებოდნენ, რომ დრო მოეხელთებინათ — ანაგაში გაუყიდავად დარჩენილი საქონელი შეიძლებოდა გზად ან ახალ ალაგას უფრო იაფად შეეძინათ.

მკვიდრთათვის ცნობილია: საღვინე დოქები და ქვევრები იმერლებს ურმითა და საპალნეებით ძველადაც მოჰქონდათ: მთხრობლების ბავშვობაში და, როგორც ამას მათი მშობლების მონათხრობიც მოწმობს, „მთავარანგელოზობაზე“ ბაზრობა ადრეც იყო. თუ რა პერიოდს გულისხმობს მთხრობელთა მიერ ნახსენები „ძველად“, ამის დადგენა ზუსტად არ ხერხდება. საერთოდ კი უნდა ვიცოდეთ, რომ საეკლესიო დღესასწაულის დროს ეკლესიასთან ხდებოდა არა მხოლოდ იქაური სოფლის მცხოვრებთა შეხვედრა და საქმიანი ურთიერთობის გაჩაღება, არამედ „უცხოთა“ მისვლაც, ხელოსნობის ნაწარმთა გამოტანა და „ვაჭრობის“ გაშლა[4]. ეკლესიასთან (მთავარანგელოზობის სახელზე) გამართული ბაზრობა რომ მხოლოდ კახეთს არ ახასიათებდა, ამაზე მიგვანიშნებს, მაგალითად, მარ-

ტვილის ეკლესიის ირგვლივ გამართული ბაზრობა და ზოგიერთი ისტორიული საბუთი, კერძოდ, ზურაბ ბარათაშვილის მიერ თბილისის სიონის სახელზე გაცემულ სიგელში, რომელიც 1637 წლით არის დათარიღებული, ვკითხულობთ: „მოგახსენეთ: თქუენ:.... სიონთა:. ღმრთის:. მშობელსა.. ასრე: რომე:. ქალაქს:. თქვენს:. საყდრის:. გუერდით:. ქულბაქი:. გუიბოძა:. სუიმონ:. ხან. :. ძუელითგან:. თქუენივე:. შეწირული:. და :. მამული:. იყო:. და:. ჩუენ:. ისრევე:. თქუენი:. თქუენ:. შემოგწირეთ:. ქულბაქი“...[5] როგორც საბუთიდან ჩანს, „სიონის ღმრთის მშობელს“ ამაზე ადრეც — 1637 წლამდეც ჰქონია ქულბაქი. ვერც ეს დოკუმენტი დაგვიდგენს კახეთის სოფლების ბაზრობის ხანდაზმულობას, რადგან იგი ქალაქში და ისიც თბილისში — დიდ ქალაქში არის გაცემული. მაგრამ დოკუმენტი შეიძლება იმაზე მაინც მიუთითებდეს, რომ ქულბაქები ეკლესიებთანაც იყო.[6] საქართველოში არაერთი ქულბაქი, ნაქულბაქევი და ნაქალაქევი გვხვდება ეკლესიასთან და მის გარეთ.[7] თუკი შეიძლება ამ შემთხვევაში მათი საყდრებთან არსებობის შედარებით ადრეული პერიოდით განსაზღვრა, მაშინ იმავე მოვლენასა და ტრადიციასთან შეიძლება გვქონდეს საქმე საკვლევ რეგიონშიც.

ეს ტრადიცია გვიანობამდე შემორჩა. მიმდინარე საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე-კოლექტივიზაციის პერიოდის დაწყებამდე უფრო ინტენსიური იყო აქაურ ბაზრებზე მთისა და ბარის მოსახლეობის თავ-თავიანთი საქონლით შეხვედრა. ვფიქრობთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ვენახი თანდათანობით თავისუფლდება სხვა ნარგაობისაგან. კახეთში ხეხილის ბაღები უმეტესად XIX საუკუნის მეორე ნახევარში შენდებოდა. ცალკე იყო ბაღი და ცალკე — ვენახი. ზოგიერთი ჯიში, მაგალითად, ვაშლისა, ახლად შემოდიოდა. ყოველ შემთხვევაში, ვენახში დარგულ მსხალს, ვაშლს, ბალს, კომშსა და სხვა ხილს მცირე სასაქონლო დანიშნულება მაინც ჰქონდა.[8] სასოფლო-სამეურნეო კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც საყურადღებო ფაქტია, რომ ახალშემოსული ხილის ჯიშებს იოლად, ზედმიწევნით კარგად ითვისებდა გლეხი, რადგან საერთოდ ხილის კულტურა მისთვის უცხო არ იყო, რასაც აგრეთვე აპირობებდა ემპირიული სამეურნეო ცოდნის მთელი სისტემა.

საკვლევ რეგიონში უცხო არ იყო აგრეთვე ბოსტანი. ბაღ-ბოსტანი უძველესი კულტურაა, ხოლო მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნა და ცალ-ცალკე გაშენება, რაც ასევე საბაზრო პროდუქციას იძლეოდა, იქაურთათვის არც ისე ძველი ამბავია. მათი დაყოფა იშვიათად ხდებოდა, თუმცა ახალი „ბაგები“[9] ჩნდებოდა — ბოსტანი ან ვენახი კარმიდამოდან შორს — „ბაგებში“ გადადიოდა[10] (შდრ. „ბაგები“ კახეთში და ტოპონიმი „ბაგები“). ამიერიდან არა მხოლოდ „პირველი მიწის ნაკვეთი, რომელიც ცალკე პირის კერძო საკუთრებად იქცა, ეზო იყო“,[11] არამედ კერძო საკუთრებაც ვენახზე — ეზოს გასცილდა და ბაგებში გადაინაცვლა. ამასთან ერთად, მეხილეობა, უპირველესად ვაშლი, მეურნეობის გამოყოფილ დარგად ჩამოყალიბდა, ხოლო დანარჩენი ან საოჯახო მოხმარებაში რჩებოდა, ან ერთდროული, ყოველდღიური საჭიროებისათვის კეთდებოდა და ბაზარზე გადიოდა.[12] ამიტომ აქედან შემოსული ფულით იგივე მეურნეობა არ იზრდებოდა. რაც შეეხება ბოსტნეულს, სამწნილე იქნებოდა იგი თუ საკმაზი, მათ ძველთაძველი ისტორია აქვს. ფეოდალურ ხანაში, როგორც ისტორიული საბუთებით ცნობილია, თბილისში ურმებით შემოჰქონდათ ბოსტნეული ფეოდალის მამულიდან.[13] აქაური გლეხისათვის ბოსტანი დოვლათიანობის წყარო არ ყოფილა[14]. ბოსტანს პატარა ადგილი ეჭირა და ამის გამო იგი საერთოდ ადგილის სიმცირეს გამოხატავდა: „სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნე ადგილის მეტი არა ჰქონდა", „საბოსტნეს მეტი არა უჭირავს რა" და სხვ. მიუხედავად ამისა, საოჯახო მეურნეობა უბოსტნოდ არ ყოფილა, იგი ყველა მეურნეს ჰქონდა — ღარიბი იყო თუ მდიდარი. ის, რომ ბოსტნის სიდიდე-სიპატარავე შეძლება-შეუძლებლობის საზომი არ იყო, სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია. ისიც ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მას „საქრისტიანოში"[15]. ბაღ-ბოსტანში ბოსტნეული მრავალფერია და თითოეულ კულტურას ცოტ-ცოტა ადგილი მაინც აქვს დათმობილი. შრომის საზოგადოებრივ და ტერიტორიულ დანაწილებაში მეხილეობა და მებოსტნეობა XIX ს. დასასრულისათვის განსაკუთრებით განვითარდა ქალაქების ახლომახლო მდებარე სოფლებში და შემდეგ რკინიგზების გაყვანამ და სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესებამ განაპირობა, ის, რომ ბაღს ბოსტანი გამოეყო. უმრავლეს შემთხვევაში ეს განაპირობა მებაღეობის დაწინაურებამ, ხოლო იშვიათად — მებოსტნეობის განვითარებამ და აქაც სპეციალიზაცია მოხდა — მაგალითად, მთის სოფლებს კარტოფილი მოჰყავთ, ბარისას — კომბოსტო, პამიდორი და, როგორც უკვე ითქვა, ამ პროდუქციით ისინი ერთმანეთს ბაზარზე ხვდებიან.

ცნობილია, რომ გლეხთა სოციალურ დიფერენციაციას შინაური ბაზრის წარმოშობა მოჰყვა. ბეგარა-გამოსაღებთა კომუტაციამ (რაც უმთავრესად საგლეხო რეფორმის შემდეგ ხდებოდა) გააძლიერა გლეხური მეურნეობის პროდუქტთა ბაზარზე გატანა.[16] კახეთის ბაზრობებზე მყიდველ-გამყიდველი მთიელიც იყო და ბარელიც. ცალკე უნდა გამოვყოთ ჩოდრები — უმეტესად სომხები და ბერძნები, რომლებიც ასობით ყიდულობდნენ გამხდარ საქონელს, შემდეგ ასუქებდნენ და საყასბოებში ყიდდნენ. აღნიშნული პერიოდისათვის ბაზარზე საქონლის ნაკლებობა სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა. ეს მოხდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ საკარმიდამო ნაკვეთი განსაზღვრავდა ბაზარზე გამოსატანი პროდუქციის რაოდენობას, არამედ იმიტომაც, რომ მაგ., მოზვრების, ხარების, ცხენების საჭიროება შედარებით ნაკლები იყო. ხორცსა და სხვა პროდუქტებს სახელმწიფო ორგანიზაციები შეისყიდდნენ, ხოლო სოფელი საოჯახო მოთხოვნილებას ძირითადად ოჯახშივე გაზრდილი პირუტყვით იკმაყოფილებდა. ასე რომ, სოფლებში მუდმივი მყიდველი მცირდებოდა. ბაზარი კვირაობითა და სამუშაოებიდან მეტწილად თავისუფალ დროს, აგრეთვე „სეზონზე" მოქმედებდა მეტნაკლები დატვირთვით. მას ბითუმად კერძო შემსყიდველებიც აკლდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადამყიდველებს, რომლებსაც ხელისუფლების ორგანოები დევნიდნენ. ანგარიშში არ ჩაიგდებოდა თითო-ოროლა „ქალაქელი" გადამყიდველი, ვისაც სოფელში მასპინძელი ჰყავდა და რომელიც დროდადრო ბაზარში გადიოდა. იგი ბაზარში ამინდს ვერ ქმნიდა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალაქში ვაჭრობით გამდიდრებულები მიდიოდნენ სოფელში, სხვადასხვა გზით (ყიდვის, მევახშეობის და სხვ. მისთ.) ერთდროულად ხელთ იგდებდნენ ვენახებს; ამასთან ერთად, ყიდულობდნენ ძროხებს, სოფლად ხსნიდნენ დუქნებს, ჰქონდათ არყის სახდელი „ქარხნები". ერთი ამისთანა პირის საქმიანობის შესახებ მასალის ჩაწერისას სოფელ ტიბაანში მთხრობლებმა იმ კაცის დამახასიათებელ მომენტს გაუსვეს ხაზი. ეს კაცი, რომელიც წარმოშობით ტიბაანელი იყო და თბილისში ცხოვრობდა, სოფელს ეუბნებოდაო — „ოღონდ თქვენ გაყიდეთ და გედიქი ხევში რაც ქვებია, იმასაც სულ ვიყიდიო". ასეთ შემთხვევაშიც მეურნეობის სპეციალიზაცია შეინიშნება, რაკიღა ძროხას მეძროხეები ჰყავდა მიჩენილი, ვენახს-ვენახის მუშები და ა.შ. აღნიშნული ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ მონოკულტურის გზით არ იჭრებოდა სოფელში.[17]

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შინაურები, ასევე მეზობლები იმასაც გვიამბობდნენ, რომ ამ კაცს საკუთარი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანაც ჰქონდა განზრახული ძროხის ბინებიდან თავის სახლამდეო. მან თავის ვაჟიშვილებს სასოფლო-სამეურნეო განათლება მიაღებინა და მეურნეობაში დაასაქმაო.

შრომის დანაწილების ერთი ტრადიციული მომენტია, მაგალითად, შალის ქსოვა (საჩოხე, საშარვლე, თავსახურავი შალები...), ქუდების კერვა, ხელთათმანების, წინდებისა თუ ჩითების ქსოვა:[18] ყველაფერი ეს ქალების საქმედ ითვლებოდა და ითვლება.[19] ზოგიერთი მათგანის დამზადება, ჩამოთვლილი საგნები და სხვ. მისთ. ნატურალური მეურნეობის პირობებში შინაოჯახურ მოხმარებას ემსახურებოდა და საჭიროების შემთხვევაში საჩუქრადაც გამოიყენებოდა. ეს დანიშნულება მომდევნო ხანებში მეორეხარისხოვანი გახდა, ამიერიდან ახლო — „შინაურობაში“ თუ მოშორებულ და ზოგჯერ შორეულ ბაზრისთვის გამზადება იყო. მაგალითად, კახელებს ქუდები გასასყიდად ჩრდილო კავკასიის კურორტებზე გაჰქონდათ. გაჰქონდათ აგრეთვე ღვინო, არაყი, ზეთი, თაფლი და სხვ., იქიდან კი შემოჰქონდათ მატყლი, რითაც ამზადებდნენ შალს, ქუდებს და მზა პროდუქცია ისევ იქაურ ბაზრებზე მიჰქონდათ. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოკვლეულია: „შალის შინამრეწველობა საერთოდ ტექსტილური მრეწველობის ერთ-ერთი უაღრესად სიცოცხლისუნარიანი დარგია და იგი შედარებით ადრე სცილდება ოჯახური მრეწველობის, ე.ი. საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფარგლებს და ღებულობს წვრილსაქონლური წარმოების ხასიათს“[20]. აღნიშნული გარემოება ფიქსირებულია და მომარჯვებულია იმის დასამტკიცებლად, რომ „...საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოაღწია ოჯახური მრეწველობის გადმონაშთებმა“[21]. ეს უკანასკნელი მომენტია ამ შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობისა შრომის ეკონომიკური დანაწილების თვალსაზრისით მაშინაც, კი, როცა ზემოდასახელებული საგნებით ოჯახის წევრთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება კაპიტალიზმის პირობებში მაინც რჩებოდა ძალაში, რაც ფულის ხარჯვის საწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენდა. რასაკვირველია, ამას ძველი კულტურის ტრადიცია უწყობდა ხელს. აქვე იმის აღნიშვნაც არის საჭირო, რომ „ზედმეტის“ დამზადება, როგორც წესი, შეეძლო მხოლოდ დიდ შეძლებულ ან საშუალო ოჯახს. ესეც შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში კერძო საკუთრების ბატონობის დროინდელი ფაქტია.

შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილება მისი ჩამოყალიბების დროიდან ყოველ ხანას თან სდევს. ცნობილია, რომ „სქესისა და ასაკის განსხვავებანი, ისევე როგორც შრომის ბუნებრივი პირობები, რომელნიც წელიწადის დროის ცვლასთან ერთად იცვლებიან, აწესრიგებენ შრომის განაწილებას ოჯახში და ოჯახის ცალკეულ წევრთა სამუშაო დროს“[22] ანდა კიდევ — „შრომის ბუნებრივი დანაწილება წარმოიშვება სქესობრივი და ასაკობრივი სხვაობიდანვე, ე.ი. წმინდა ფიზიოლოგიურ საფუძველზე“[23]. ამდენად, ეს მოვლენა ვერ გამოდგება როგორც საერთოდ საზოგადოებრივ - ეკონომიკური ურთიერთობის, ასევე მისი კონკრეტული საფეხურის შესაბამისი ინსტიტუტების ბუნების ამხსნელ ნიშნად, თუკი არ გაირკვევა შრომის განაწილების განმსაზღვრელი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხასიათი, ის განსაკუთრებული წესი და საშუალებები, რომლებიც ახლა აიძულებენ, ამ შემთხვევაში ოჯახს, შრომის ბუნებრივი განაწილება „ახლებურად“ გამოიყენოს, რათა ახალ თანადროულობას მიჰყვეს; რასაკვირველია, ამ მიზნით ყოველთვის არ არის აუცილებელი „სქესმა“ და „ასაკმა“ ხელობა გამოიცვალოს[24] — მაგალითად, „ქალი ხნავდეს“ და „კაცი ქსოვდეს“, მთავარი ის არის, თუ რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემსახურება იგი, — ვთქვათ, შინამოხმარებას თუ ბაზარს. ამის გამო საკითხთა ამ წყების კვლევის უპირველესი მოთხოვნილებაა იმის ცოდნა, თუ რა ხასიათი აქვს შრომის ეპოქალურ დანაწილებას. ამის შესაძლებლობას იძლევა სოფელში მოქმედი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კონკრეტულ გამოვლინებათა შესწავლა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. ჩვენ მიერ შეგროვილი მასალა, საიდანაც მკაფიოდ ჩანს XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული შრომის დანაწილების ფორმები, ნათლად გვიჩვენებენ — სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობა ფეხადგმულია.

2. საკვლევ რეგიონისთვის ნიშანდობლივია ბაზრის უწყვეტლად მოქმედება, მყიდველ-გამყიდველის შესახვედრად მოხერხებული ადგილმდებარეობის შერჩევა, მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციის წარმოება, საზოგადოებრივი შრომის საკმაო სიმკვეთრით დანაწილება. ამასთანავე, შეინიშნება შრომის ტერიტორიული დანაწილებაც. ამ უკანასკნელს კი თავ-თავისი დროის შესაბამისი ურთიერთდამოკიდებულება, შინაარსი და ფორმა ჰქონდა. ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი მთა-ბარს შორის უწყვეტი კეთილურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო და ეს ასეც იყო. თავის მხრივ, შრომის ტერიტორიული დანაწილება, როგორც წარმოდგენილი მასალებიდანაც ჩანს, თანაბრად ეხებოდა მთასა და ბარს, რაც როგორც პირველის, ისე მეორის მეურნეობრივ-სოციალურ განვითარებაზე მიუთითებს.

3. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლის მეურნეობის კულტურებისა და დარგების გეოგრაფიულ-ბუნებრივი სამეურნეო პირობების ეკონომიკური ხასიათი, რაც შრომის საშუალებათა კატეგორიაში ექცევა. მას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, საზოგადოების განვითარების რაც უფრო ადრეულ საფეხურს ეხება იგი. ამასთანავე, იგივე ფაქტორი ძალას არც ერთ დროს არ კარგავს.

4. მითითებული დროისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ცვლილებამ გამოიწვია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შეცვლა და ოჯახური ცხოვრების ამისდაკვალობაზე განვითარება, სულერთია, ამას ოჯახის გამდიდრება მოჰყვა თუ გაღარიბება, ერთიცა და მეორეც ერთი საერთო კანონზომიერების შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] **ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. I, გამოცემა მეოთხე, 1948, გვ. 405.

2 **ი. ნანობაშვილი,** ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973, გვ. 77; **გ. ბოსტოღანაშვილი,** სავაჭრო მიწათმოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში XX ს. დამდეგს (1901-1921 წწ) სიღნაღის მაზრის მასალების მიხედვით, ჟურნ. „მაცნე", 1968, N4, გვ. 59.

3 **ნ. აბესაძე,** ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ., 1986, გვ. 74; **გ. გოცირიძე,** კახეთის 1987 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, კრ. „საველეეთნოგრაფიული ძიებანი" (1986-1987 წწ) თბ., 1990, გვ. 56-57.

[4] **Д. Ахведиани, Население Какетии. (Алазанская долина) медико-этнографический очерк, Тиф., 1909, стр. 43.**

[5] **ს. კაკაბაძე,** ისტორიული საბუთები, წ. IV, ტფ., 1913, გვ. 23.

6. **თ. ჟორდანია,** ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896, გვ. 17; **თ. ბარნაველი,** ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 38; **ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე,** სამენოვანი წარწერა გრემში, „ენიმკის მოამბე“, V-VI, თბ., 1940, გვ. 6.

7 **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, I, თბ., 1946, გვ. 35-36; 41, 53-56; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს **ზ. ალექსიძემ** და **შ. ბურჯანაძემ,** თბ., 1964, გვ. 162-163; **ო. ჯაფარიძე,** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 19-121; **ლ. ჭილაშვილი,** ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 75; **მისივე** კახეთის ქალაქები, თბ., 1980, გვ. 46-56.

8 შდრ. **სოლ. ანდრონიკოვი,** წერილები, გაზ. „გუთნის-დედა“, 1862, № 7, გვ. 56 — 59; **Е. Зедгинидзе. Село Кварели..., стр. 81, Д. Ахведиани, Население Кахетии..., стр. 40;** **შ. არჩვაძე,** კახეთის სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების გზები, წიგნში „მასალები კახეთისა და თუშეთის სოფლის მეურნეობის შესასწავლად“, თბ., 1957, გვ. 228, **ალ. ბენდიანიშვილი,** აგრარული..., გვ. 74-75; **ჰ. დათიშვილი,** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს. პირველ ოცწლეულში (თელავის მაზრის მასალების მიხედვით), თბ., 1976, გვ. 56; **თ. ღვინიანიძე,** ისტორიულ..., გვ.54; **გ. ბოსტოღანაშვილი,** კაპიტალიზმის განვითარება საქართველოს სოფელში და აგრარული ურთიერთობა 1895-1917 წლებში, თბ., 1990, გვ. 36-38.

О. К. Жордания, История крестьянской реформы в Грузии, Тб., 1982, стр. 32.

9 სიტყვა „ბაგას“ პირვანდელი მნიშვნელობის შესახებ იხ. **ივ. ჯავახიშვილი,** საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწ. II, ტფ., 1935, გვ. 366.

10. И. В. Чкония, Некоторые вопросы..., стр. 406; ი. ნანობაშვილი, ვაზის... გვ. 84.

11. **ფ. ენგელსი,** „მარკა“, გლეხთა ომი გერმანიაში, ტფ., 1932, გვ. 165.

12. გაზ. „ხმა კახეთისა“, 1915, № 234; **ი. უთურაშვილი,** კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს სოფელში (ხელნაწერი), გვ. 366; **გ. ბოსტოღანაშვილი,** კაპიტალიზმის..., გვ. 32-40.

13 **დ. გოგოლაძე,** კაპიტალისტური..., გვ. 31; **მისივე** საქართველოს..., გვ. 275; **ი. უთურაშვილი,** გლეხობის..., გვ. 87-89.

14 **კოპალაძე,** მიწათ-მფლობელობა ქიზიყში, გაზ. „კვალი“, 1889, № 10, გვ. 161.

А. И. Робакидзе, Т. А. Очиаури, Дж. А. Рухадзе, Н. С. Топурия, Т. А. Чиковани, Современное грузинское крестьянское жилище, მსე, ტ. X, თბ., 1959, გვ. 41; **გ.** ბოსტოღანაშვილი, კაპიტალიზმის..., გვ. 40.

15 დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა **ჰ. უმიკაშვილის** რედაქტორობით, ტფ., 1886, გვ. 2; **იოანე ბატონიშვილი,** კალმასობა, ტ. პირველი, **კ. კეკელიძისა** და **ალ. ბარამიძის** რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 46; საქართველოს სიძველენი, I, ექ. **თაყაიშვილის** რედაქტორობით, ტფ., 1920, № 117; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 151, 366; მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ხელფასი, ქირა, ფასები), მასალები შეარჩია და გამოსცა **ნ. ბერძენიშვილმა,** I, თბ., 1938, გვ. 44 და სხვ.

16 **ვ. გუგუშვილი,** საქართველოსა და ამიერკავკასიის..., ტ. II, თბ., 1956, გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

857; **ი. უთურაშვილი**, კაპიტალისტური..., გვ. 190; **გ. ბოსტოღანაშვილი**, კაპიტალიზმის..., გვ. 21-30.

17 შდრ. **ი. ჭყონია**, შრომის დანაწილების..., გვ. 39.

18. Кавказский календарь на 1912 г. отв. статистич., стр. 65; ბ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წწ. თბ., 1976, გვ. 132; **მ. ხეცურიანი**, საქართველოს აგრარული ჭარბმოსახლეობა და მისი დასაქმების სფეროები 1864-1917 წწ. ისტორიის მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თბ., 1994", გვ. 87; **სასტორიო** მოამბე, I, 1945, გვ. 256-259;

19 **მ. გეგეშიძე**, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 101-109; **მ. ხეცურიანი**, საქართველოს..., გვ. 93.

20. **კ. გუგუშვილი**, საქართველოსა და ამიერკავკასიის..., გვ. 360.

21. იქვე.

22. **კ. მარქსი**, კაპიტალი, ტ. I, წ. I, 1954, გვ. 104.

23. იქვე, გვ. 447.

[24] შდრ. В. А. Шнирельман, Этноархеология — 70-е годы, СЭ, № 2, М., 1984, стр. 107—108; **თ. ჩიქოვანი**, ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები, თბ., 1989, გვ. 9-22.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ნარსიძე

სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა და ტაძრის აგების თარიღი

თბილისის ახლოს, დიღმის ხეობაში, სოფლებს — ბევრეთსა და წოდორეთს შორის დგას არაბების დროს აგებული მაჩხანის ეკლესია.

ეკლესიის ქართული საამშენებლო წარწერა დათარიღებულია ქართლის ამირას ზეობით: „ადიდენ ღმერთმან ქართლისა ამირაჲსა ბედაჲთა: აეშენა ესე ტაძარი ჰომად კიტრისძისაობასა". ამ წარწერის შუაში არაბულად წერია — „ჰუმად იბნ ქითრი".

ცხადია, რომ არაბთა ხალიფატის ყველა კანონი საქართველოშიც ისევე მოქმედებდა, როგორც მათ მიერ დაპყრობილ სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სამშვილდის სიონის აგება არ მომხდარა ხალიფების მანსურისა და მაჰდის ზეობის დროს, ის არ არის „ახალი ეკლესია" მაჰმადიანური თვალსაზრისით, რადგან: 1. ეკლესია დგას იმ ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე, რომელშიც განლაგებული იყო არაბთა მეციხოვნე ჯარი და იყო მათი საცხოვრებელი შენობები, ანუ მაჰმადიანთა უბნები. არა თუ ახალი ეკლესიის აგება არამედ არსებულის შეკეთება და ხელახალი კურთხევაც კი შეუძლებელი იყო ასეთ ადგილზე. 2. ეკლესიის კურთხევა ჩატარდა „დიდითა კრებითა განშუენებით", რაც ითვალისწინებს ტრიუმფალურ მსვლელობებს ქალაქის ქუჩებში ჯვრითა და ხატებით, ხმამაღალ გალობებსა და ძელის რეკვას. როგორც ვიცით, ესეც აკრძალული იყო. 3. წარწერაში არ არის ნახსენები არაბი მმართველი, არც ქართულად და, რაც მთავარია, არც არაბულად, ვისი ზეობითაც უნდა ყოფილიყო დათარიღებული მშენებლობა და სამომავლოდ დაეცვა ეკლესია მაჰმადიანთა ხელით დანგრევისაგან. აქ აზრთა სხვადასხვაობა გამორიცხულია, რადგან, საბედნიეროდ, გადარჩენილია წარწერის სწორედ ის მონაკვეთი, რომელიც ეკლესიის შენობის დაწყებასა და დამთავრებას ეხება და, როგორც ვხედავთ ამ ფრაგმენტებში არაბი მმართველების სახელების ნაცვლად ბიზანტიის კეისრების სახელები ფიგურირებენ. ეს ვითარება კი არა თუ დაიცავდა ეკლესიის შენობას, არამედ პირიქით, ნგრევის პროვოცირებასაც გამოიწვევდა იმ შემთხვევაშიც, თუ არაბები საერთოდ დააცლიდნენ აღმშენებლებს მშენებლობის დამთავრებას. აქ კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა შევჩერდე. ზემოთ უკვე გაირკვა, რომ საამშენებლო წარწერა მოგვიანებით საუკუნეებში, ეკლესიის შენობასთან ერთად, რამდენჯერმე იყო რესტავრირებული. ამ ვითარების გამო, შესაძლებელია, რომ რომელიმე

დასასრული. იხ. № 9-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპონენტს გაუჩნდეს მოსაზრება, რომლის მიხედვით თავდაპირველი დათარიღება ჩაითვალოს არაბი მმართველების ზეობით, რომელიც შემდგომში ქრისტიანული ეკლესიისთვის არც -თუ მისაღებად იქნა მიჩნეული და ერთერთი რესტავრაციის დროს არაბები შესაბამისი ბიზანტიელი კეისრებით იქნენ ჩანაცვლებულნი. ამგვარი თვალსაზრისიც უარსაყოფია, რადგან არაბთა თანამედროვე მეფეების ორივე ვარიანტში სამი მწვალებელი ფიგურირებს: ლეონ III ისავრიელი, კონსტანტინე V კოპრონიმე და ლეონ IV ხაზარი. ეს სამივე ხატმბრძოლობის ეპოქის ცნობილი მოღვაწე იყო. ლეონ III ისავრიელი ხატმბრძოლთა ერესიარქია — სწორედ მან გამოსცა 726 წელს ედიქტი ხატების თაყვანისცემის წინააღმდეგ და სათავე დაუდო ხატმბრძოლობას. კონსტანტინე V კოპრონიმემ 753 წელს მოიწვია საეკლესიო ცრუკრება, რომელმაც დაგმო ხატების თაყვანისცემა და მიიღო კანონები ხატთაყვანისმცემლების წინააღმდეგ. კონსტანტინე V -ის მეფობის ხანაში ხატმბრძოლობამ ყველაზე დიდი მასშტაბი მიიღო ამ ერესის ისტორიაში. მართალია ლეონ IV-მ სამეფო ხელისუფლების მხრიდან ხატთაყვანისმცემელთა დევნა შეწყვიტა, მაგრამ ბიზანტიაში ხატმბრძოლობა გრძელდებოდა. მწვალებლობა დაგმობილი იქნა ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, 787 წელს, ხოლო საბოლოოდ დაძლეული იქნა 842 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე, რომლის შემდეგ ხატმბრძოლობა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. ამრიგად სამივე ეს კეისარი მწვალებლად არის გამოცხადებული და მათ სახელებს 842 წლის შემდეგ არც ერთი მართლმადიდებელი არ ამოკვეთდა ეკლესიის შენობაზე. 4. სამშვილდის სიონის საძირკვლის გარეთა ზომები 24+24 მეტრია, ხოლო სიმაღლე, ნ. ჩუბინაშვილის რეკონსტრუქციით, 25 მეტრი უნდა ყოფილიყო. ზომის შენობის აგება უდიდეს მატერიალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. რა სახსრებით აშენდა ასეთი გრანდიოზული ტაძარი ასე მოკლე დროში — 19-20 წელიწადში — უწყვეტი მშენებლობის პირობებში, როდესაც, ქვეყანა ისე იყო აოხრებული, რომ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე“ და „განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშვიდობით, არღარა მოგებულ იყო კუალსა თვისსა“ და „მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოჴრებასა“? როდესაც, სწორედ ხალიფა მანსურის დროს, მისმა ამირამ დაიპყრო არაგვის ხეობა და ხარკი დაადო? როდესაც ხაზარებმა, ბულჩანის სარდლობით, 764 წელს შემუსრეს ტფილისი და „წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანაჲ“? როდესაც ქართლის მოსახლეობა, სარწმუნოებრივი შევიწროებისა და აუტანელი ხარკის გამო, მასიურად დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდა? როდესაც ქართლს დარჩენილნი, იოვანე საბანისძის სიტყვებით: „რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრობასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქუეშე მათსა გვემულნი და ქეჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“? თვით არაბთა ხალიფატის ისტორიაში ყველაზე დიდი ხარკი ხომ ხალიფა მანსურის დროს იკრიბებოდა, რამაც დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა, განსაკუთრებით კი სწორედ ქრისტიანები, წელში გაწყვიტა და გაალატაკა? ამ წლებზე არ წერს სომეხი მემატიანე ასოღიკი, რომ აუტანელი გადასახადების შედეგად თვით დიდებულებიც კი სიღარიბესა და გაჭირვებაში ჩავარდნილან? თვით გრიგოლ

ᲮᲐᲜᲓᲗᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲓᲐᲜ ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲫᲐᲚᲛᲝᲛᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, 781 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲐ, ᲜᲔᲠᲡᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ? ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. 5. ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗᲐ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ, ᲓᲐᲐᲮ. 24+24 ᲛᲔᲢᲠᲘᲐ, ᲐᲜᲣ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 576 ᲙᲕᲛ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 480 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ (ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲝᲕᲐ), ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, 420 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲡ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲘᲢᲔᲕᲓᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ 3500 ᲙᲐᲪᲡ. ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ VII-VIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ (ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ), ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ (ᲘᲮ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ. II. ᲒᲕ. 343-344), ᲡᲐᲔᲭᲕᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ-ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲛ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ. ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲪ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲓᲝᲛᲔᲜᲔᲑᲨᲘ (ᲘᲥᲕᲔ. ᲒᲕ. 344).

ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, Ქ. Შ. 759-778 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

VII. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲕᲔᲮᲝᲗ ᲘᲛ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ ᲙᲔᲘᲡᲠᲔᲑᲘᲡ — ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ IV ᲓᲐ ᲚᲔᲝᲜ II-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲜᲣ 673-718 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲔᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ „ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲡ“ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, Ე. Წ. ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲯᲣᲚᲗᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲓᲐᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. „ᲐᲠᲐᲑᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲚ, ᲤᲐᲜᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲛᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲰᲙᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲣᲭᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲤᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲑᲐᲡᲘᲓᲘ ᲛᲣᲗᲐᲕᲐᲙᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗ ᲛᲙᲐᲪᲠ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲚᲐᲨᲭᲠᲐᲗ ᲘᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲠᲔᲣᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲒᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ“. (Ი. ᲒᲝᲚᲓᲪᲘᲰᲔᲠᲘ. ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲡᲚᲐᲛᲖᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲡᲞᲑ. 1912 Წ: ᲒᲕ. 37).

Ე. Ი. ᲐᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲔᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲓᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲖᲔ — ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲬᲐᲡᲘᲐᲜ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲡ?

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ „ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელის“ მიღების შემდგომ ხანაში აგებული ყველა ეკლესია ითვლებოდა როგორც „ახალი“. სწორედ ეს „ახალი“ ეკლესიები ნადგურდებოდნენ და მიწასთან სწორდებოდნენ უპირატესად, ძველ ეკლესიებთან შედარებით, სადამსჯელო ოპერაციების დროს.

თუ ეკლესიას ქ. შ. 718 წელს აგებულად ჩავთვლით, მაშინ ის სწორედ „ახალი“ ეკლესია იქნებოდა და მეორე „დაცვის სიგელის“ მიღების შემდეგ პირველ რიგში დაექვემდებარებოდა მიწასთან გასწორებას.

სამშვილდის სიონი უკვე ქ. შ. 735 წელს იქნებოდა მიწასთან გასწორებული მურვან-ყრუს მოლაშქრეთა მიერ. თუ ამ შემოსევას სასწაულით გადარჩებოდა, არც შემდგომ იქნებოდა დაზღვეული „ეამითი-ეამად რბევასა და ოჰრებასა“ პირობებში.

ხალიფა მუტავაკილმა (ქ. შ. 847-861 წ. წ.) ტახტზე ასვლისთანავე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ხალიფატის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ახალი ეკლესია საძირკვლამდე უნდა დანგრეულიყო, თუ მათ აგებაზე არაბთა მმართველების მხრიდან შესაბამისი ნებართვა არ იყო გაცემული. სწორედ ამ ხალიფამ წარმოგზავნა საქართველოში თბილისის ურჩი ამირას დასასჯელად ბუღა-თურქი, ქ. შ. 853 წელს.

„მაშინ მოვიდა ბუღა თურქი, მონა, ბაღდადით, რომელი გამოეგზავნა ამირმუმნსა, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყვნა ყოველნი მთავარნი მათნი და მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოჰრნა ყოველნი არენი მისნი“ (ქართლის ცხოვრება I. გვ. 256).

სომხეთიდან ქართლში შემოსული ბუღა თურქი სამშვილდეს გზას ვერ აუქცევდა, რადგან, სომხეთის გზა სწორედ სამშვილდეზე გადიოდა. ურჩი ამირას დასასჯელად და სახალიფოს კანონების აღსადგენად მუტავაკილის მიერ გამოგზავნილი სარდალი, რომელიც თბილისი გადაწვა და 50.000 მცხოვრები იმსხვერპლა, ააოხრა თბილისის სანახები (ე. ი. საამიროს ტერიტორია), საეჭვოა, რომ უნებართვოდ აგებულ ეკლესიას გაფრთხილებოდა — ხალიფას უპირველესი განკარგულება შეესრულებია, მითუმეტეს, რომ თბილისის აღების შემდეგ ბუღა აქ კიდევ ერთი წელი დარჩენილა და აღმოსავლეთ საქართველოს რბევა გაუგრძელებია. ქ. შ. 854 წელს ბუღამ დარიალის კარი გახსნა, გამოიყვანა ოსების ასი სახლი და დმანისში დაასახლა — ეს გზაც სამშვილდეზე გადიოდა.

არაბ ხელისუფლებთან ერთად მაჰმადიანი მოსახლეობაც აქტიურად იბრძოდა ქრისტიანობის წინააღმდეგ და, ხშირად, ამისთვის არავითარი ზემდგომი მითითება არ სჭირდებოდა. მრავალი ქრისტიანული ეკლესია და სალოცავი დანიშნულების ობიექტი იქნა განადგურებული. მეციხოვნე არაბული ჯარებისა და მაჰმადიანი მოსახლეობის მიერ (იხ. უ. ე. შედდ. დასახ. ნაშრ. გვ. 244-246). მაგ. ბასრაში მაჰმადიანმა მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით დაანგრია ხუთი ქრისტიანული ტაძარი 832 წელს. ასე რომ სამშვილდის მეციხოვნე არაბულ ჯარს საუკუნეთა განმავლობაში „უნებართოდ აგებული ახალი ეკლესია“ ვერ გადაურჩებოდა.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ VIII და IX საუკუნეებში სამშვილდის ტერიტორიაზე არ იყო არავითარი პირობა, რომ უნებართვოდ აგებული ახალი ქრისტიანული ტაძარი დიდხანს მდგარიყო და არაბთა ხელით განადგურებას გადარჩებოდა: „ეამითი-ეამად რბევისა და ოჰრების“ დროს.

აქ კიდევ არის ერთი გარემოება, რომელიც ყურადღების მიქცევას ითხოვს: თუ ეკლესიის კურთხევა ქ. შ. 718 წლის 13 სექტემბერს მოხდა, ეს ინფორმაცია საამშენებლო წარწერაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან იმავე დღეს, ან რამდენიმე დღის შემდეგ იქნებოდა შეტანილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ეპონიმურ წელთაღრიცხვებში, ეპონიმთა ვინაობის გასარკვევად, ხდებოდა დამატებითი ინფორმაციის შეტანა. ერთ-ერთი ამგვარი ცნობა თანადროულ ისტორიულ ფაქტს ითვალისწინებდა.

ქ. შ. 718 წელი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ ამ წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ლეონ III ისავრიელმა შესძლო კონსტანტინოპოლის ერთწლიანი ალყის გარღვევა და სასტიკად დაამარცხა არაბთა ლაშქარი. ბიზანტიელთა ეს გამარჯვება ფართოდ აისახა თანადროულ ქრისტიანულ მწერლობაში. საფიქრებელია, რომ წმიდა მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრებაში აღწერილი არაბთაგან კონსტანტინოპოლის აღების უშედეგო მცდელობა სწორედ ამ მოვლენას ეხება (იხ. გ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. გვ. 328), რადგან აღნიშნულ ეპოქაში სხვა ანალოგიურ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

მართლაც რომ შესანიშნავი მოვლენაა და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ შესრულებულ საამშენებლო წარწერაში, ლეონ მეფის ვინაობის დაზუსტების მიზნით, უკეთეს ინფორმაციას ვერც შეიტანდნენ: „წელსა გ ლეონ მეფისა ოდეს აოტნა აგარიანნი...“

ცხადია, რომ წარწერაში არც ეს ფაქტია ასახული.

შესაბამისად, სამშვილდის სიონის შენება დასრულებული იყო არაბების საქართველოში შემოსვლამდე და ქართველთა მიერ „დაცვის სიგელის“ მიღებამდე.

VIII. წარწერაში დასახელებულ მეფეთა — კონსტანტინე და ლეონი — სამი შესაძლო ვარიანტიდან ორი სრულიად გამორიცხულია. ერთადერთი მეფე, რომლის ზეობით შეიძლება დათარიღდეს სამშვილდის სიონის მშენებლობის დასრულება, არის აღმოსავლეთ რომის იმპერატორი ლეონ I დიდი, რომელიც ტახტზე იყო არაბამდელ ხანაში სამი და მეტი წლის განმავლობაში — ქ. შ. 457 წლის 7 თებერვლიდან 474 წლის 18 იანვრამდე. ეს ლეონი, ქართულ წყაროებში მაკელად წოდებული, იყო ვახტანგ გორგასლის სიმამრი.

ე. ი. ეკლესიის საზეიმო კურთხევა მომხდარა ქ. შ. 459 წლის 13 სექტემბერს, ენკენიას, რომელიც ამ წელს კვირა დღეზე მოდიოდა, ხოლო მთელი დღესასწაული —„ექვსი დღე დიდითა კრებითა განშუენებით“ — 10-დან 15 სექტემბრის ჩათვლით.

ცხადია, რომ სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა სრულ შესაბამისობაშია „ქართლის ცხოვრების ცნობასთან: ახლა ჩვენ ხელთ გვაქვს რეალური, თანადროული წარწერით დაფიქსირებული თარიღი, რომელიც იძლევა ამ საუკუნის სხვა ქრონოლოგიურ მოვლენათა სინქრონიზაციის საშუალებას.

ვ. გოილაძემ შეისწავლა ვახტანგ გორგასლის ოჯახის ქრონოლოგია (იხ. მნათობი №4. 1985 წ. გვ. 161-166), ამიტომ მის მიერ დადგენილი თარიღებით ვისარგებლებ.

ქ. შ. 459 წელს ვახტანგ გორგასალი 28 წლის იყო. ამ დროს ცოცხალია მისი დედა — დედოფალი საგდუხტ. ასევე ცოცხალი უნდა ყოფილიყო სამშვილდის დედოფალი დებორა (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ვახტანგის მამას — მეფე მირდატ V-ს, ის ამ დროს უკვე 21 წლის გარდაცვლილია. ერთი შეხედვით ვახუშტის ცნობა, რომელშიც ის სიონის აღმშენებლად მირდატს ასახელებს (იხ. ზემოთ), წინააღმდეგობაშია მირდატის გარდაცვალების ვ. გოილაძის მიერ დადგენილ თარიღთან (ქ. შ. 338 წ.), არამედ თვით ვახუშტისეულ ქრონოლოგიასთანაც, რომლის მიხედვით მირდატი ქ. შ. 446 წელს ითვლება გარდაცვლილად. ეს მოჩვენებითი შეუთანხმებლობა მოიხსნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მირდატი, გამეფებამდე, სამშვილდის ერისთავი იყო: „და მისცა მეფემან (არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილ) სამშვილდე ძესა თვისსა საერისთოთა მისითა, და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“ (ქც I. გვ. 142). მირდატის მამის — არჩილ მეფის — ზეობის ხანაში საქართველოში შეიქმნა სიტუაცია, რომელმაც ხელი შეუწყო საეკლესიო მშენებლობათა განახლებას: „ხოლო ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა, ეკლესიათა შენებასა, და ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა მღვდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანი, და მოკუდა“ (იქვე). როგორც ჩანს, ქრისტიანული მოღვაწეობისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები არჩილის მეფობის ბოლო წლებში შექმნილა, ანუ მირდატის სამშვილდის ერისთავობის დროს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ სამშვილდის სიონის მშენებლობა გაგრძელდა, ან განახლდა მირდატისა და საგდუხტის სამშვილდეში ხელისუფლობის დროს, რაც მირდატის გამეფებამდე (ქ. შ. 426 წ.) უნდა ვივარაუდოთ. ეკლესიის შენება არც მირდატის მეფობის დროს შეწყდებოდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართლში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ეს პროცესი დროებით უნდა შეჩერებულიყო. საბოლოოდ, V საუკუნის 40-იანი წლების დასასრულიდან, ქვეყანაში შექმნილი შედარებითი სტაბილიზაციის პირობებში, საგდუხტისა და სამშვილდის იმჟამინდელი ერისთავის მეუღლის, დებორა დედოფლის მცდელობით მოხერხდა ეკლესიის მშენებლობის დასრულება. ამრიგად მირდატი იქნებოდა სამშვილდის სიონის მშენებლობის განმაახლებელი და განმგრძელებელი. პირი, რომელიც მონაწილეობს ეკლესიის მშენებლობაში, ითვლება მის მაშენებლად, მიუხედავად იმისა, დასრულდა მშენებლობა, თუ არა. ამიტომ ვახუშტის ცნობა, პრინციპში, სწორად ასახავს ისტორიულ სურათს. აქ ისიც არის სავარაუდო, რომ ვახუშტის დროს წარწერის ნაწილი კიდევ შემორჩენილიყო და მასში მირდატ მეფე იკითხებოდა.

სამშვილდის სიონის მშენებლობის დამთავრებაში დიდი ღვაწლი უნდა მიუძღოდეს, აგრეთვე, ქართლის იმდროინდელ მთავარეპისკოპოსს — მიქაელს.

ტაძრის აგების თარიღის დადგენის შემდეგ არც საძირკვლის დადების წლის დადგენა წარმოადგენს დიდ სიძნელეს: ლეონ I-ის წინა პერიოდში რომის იმპერიის ტახტზე ორი კონსტანტინე იყო — კონსტანტინე I დიდი და მისი ვაჟი, კონსტანტინე II. ეს უკანასკნელი იყო იმპერატორი რომის დასავლეთ ნაწილში, სამი წელი იმეფა (337-340 წ. წ.) და მას აღმოსავლეთის რეგიონებში არც იცნობდნენ. შესაბამისად, წარწერაში შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ მამა — კონსტანტინე I დიდი, რომელმაც იმეფა ქ. შ. 306 წლის 25 ივლისიდან 337 წლის 22 მაისამდე.

აქ ვერც კონსტანტი II-ს, კონსტანტინეს ვაჟს ვიგულისხმებთ, რომელიც იყო აღმოსავლეთის იმპერატორი და ტახტზე იყო 337-361 წლებში, ანუ 24 წელი, რადგან: 1. წარწერაში გარკვევით იკითხება კონსტანტინე. 2. სახელი „კოსტანტი“ ქართულ წერილობით ძეგლებში არ არის იგივე, რაც ლათინურში და, შემდგომ, ბერძნულში. „კოსტანტი“ ქართულში „კოსტანტინეს“ შემოკლებული ვარიანტია, რაც დასტურდება მიქაელ მოდრეკილის საგალობლებითა (იხ. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები. VIII. თბ. 1977 წ. გვ. 87) და „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს ტექსტით თავად ლათინური გენეზის სახელი — „კონსტანტი“ — ქართულად „კოსტად“ არის ნათარგმნი, რასაც, ყველაზე კარგად, ისევ „მოქცევაჲ“ ადასტურებს. „და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა, ქრისტეს აღმაღლებიდან სამას და მეათესა წელსა, იყო ღუაწლი ბრძოლისაჲ მტერთაგან და ფრიად ერეოდეს მეფესა კოსტანტინეს, ძესა კოსტაჲსა, და გულ-გდებულ იყო ურვათაგან კოსტანტი კეისარი“. როგორც ვხედავთ, კონსტანტინე I ორჯერ ნახსენებია სა-

ხელით „კოსტანტინე“, ხოლო ერთ-ხელ როგორც „კოსტანტი“. კონსტანტინე 1-ის მამა, იპერატორი და ავგუსტი კონსტანტი I კი წოდებულია „კოსტა“-დ!

კონსტანტინე I იმპერიის ტახტზე მამის, კონსტანტი I-ის გარდაცვალების შემდეგ, ქ. შ. 306 წლის 25 ივლისს ავიდა. მისი ზეობის მე-20 წელი დაიწყო 325 წლის 25 ივლისს და დასრულდა 326 წლის 24 ივლისს. ეს არის სამშვილდის სიონის საძირკვლის დადების მიახლოებითი თარიღი, რომელიც კიდევ უფრო დაზუსტდება.

თვით კონსტანტინეს ზეობის მე-20 წელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში: ეს არის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების და უდიდესი მასშტაბის საეკლესიო მშენებლობების დაწყების წელი, რომელმაც მთელი საქრისტიანო მოიცვა.

ეუსებიოს კესარიელი „კონსტანტინეს ცხოვრების“ III წიგნის მე-15 თავში წერს, რომ ნიკეის კრების მიმდინარეობის დროს (ე. ი. 325 წლის 25 ივლისს) კონსტანტინემ ტრაპეზი გაუმართა იქ დამსწრე ეპისკოპოსებს საიუბილეო თარიღის, თავისი მეფობის 20 წლისთავის აღსანიშნავად. ამ წვეულებაზე, რომელსაც ეუსებიოსი „ქრისტეს მიწიერ სამეფოს“ ადარებს, კონსტანტინე შეპირდა ეკლესიის წარმომადგენლებს, რომ ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენდა მათ. ნიკეის კრების დამთავრების შემდეგ კონსტანტინემ დაიწყო დიდი საეკლესიო მშენებლობები არა მარტო რომის იმპერიის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იმავე წიგნის 47-ე თავში მითითებულია, რომ „მეფე ყველა ეპარქიაში აგებდა ახალ ტაძრებს, აძლევდა მათ ადრე აგებულებზე აღმატებულ სახეს. „50-ე თავში ეუსებიოსი კვლავ იმეორებს, რომ კონსტანტინემ ააგო ეკლესიები ნიკომიდიაში,“ სხვა ქალაქებსა და სხვა პროვინციებში“ და ეს მშენებლობები სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე იყო განხორციელებული. ამასთანავე, ადგილობრივ მმართველებს დაევალათ, რომ მათ დაემთავრებინათ დაწყებული ეკლესიების მშენებლობები.

„კონტანტინეს ცხოვრების“ III და IV წიგნში საუბარია იმ საეკლესიო მშენებლობებზე, რომელიც განხორციელდა იმპერატორის ხელშეწყობით. რაც ეხება თვით ტაძრებს, მათგან მხოლოდ რამდენიმეა კონკრეტულად მითითებული — ეს გამოწვეულია ამ ეკლესიებისა და ქალაქების მნიშვნელობით; სხვა შემთხვევებში ეუსებიოსი ზოგადი ფრაზებით იფარგლება: „მეფე... ყველა ეპარქიაში აგებდა ახალ ტაძრებს... მან ააგო ეკლესიები ნიკომიდიაში და სხვა ქალაქებში და სხვა პროვინციებში“ და. ა. შ. ამასთან ეუსებიოსს არც შეიძლება სცოდნოდა თითოეული იმ მრავალ ეკლესიათა შორის, რომელიც კონსტანტინეს სახელზე შენდებოდა მთელი საქრისტიანოს მასშტაბით.

პირველი ეკლესია, რომელიც კონსტანტინემ თავის სახელზე და ზეობის მე-20 წელს დააარსა, იყო იერუსალიმის დიდი ეკლესია „ქრისტეს აღდგომის წმიდა ადგილას“ (III წიგ §§ 20 და 29). ამ ეკლესიის კურთხევა დიდი ზეიმით ჩატარდა კონსტანტინეს ზეობის 30-ე წელს, 335 წლის 13 სექტემბერს, რის აღსანიშნავად არის დაწესებული ქნკენის დღესასწაული.

ეუსებიოს კესარიელის დასახელებული ნაშრომი ჩვენთვის ორი ასპექტით არის საყურადღებო: 1. იმპერატორმა ეკლესიათა შენება დაიწყო თავისი მეფობის მე-20 და არა რომელიმე სხვა წელს; ეს წელი დაფიქსირებულია სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაში, რაც არ არის შემთხვევითი, და სრულ შესაბამისობაშია ისტორიულ ფაქტებთან.

2. კესარიელი ეპისკოპოსი საეკლესიო მშენებლობებთან დაკავშირებით საქართველოს (იბერიას) არ ახსენებს, მაგრამ მის მიერ არ არის მითითებული არც ერთი სხვა ქვეყანა, რომელიც უშუალოდ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიოდა რომის იმპერიის შემადგენლობაში და უნდა ვიგულისხმოთ ზოგად ფრაზაში „იმპერიის ფარგლებს გარეთ“ (III წიგ. § 50). ე. ი. დასახელებული ნაშრომი კონკრეტულად არ უთითებს საქართველოში განხორციელებულ საეკლესიო მშენებლობებს, მაგრამ არც გამორიცხავს მას. ნისიბინის ზავის (ქ. შ. 298 წ.) პირობებით იბერია რომის იმპერიის პროტექტორატი გახდა და ჰქონდა რომის მეგობარი სახელმწიფოს სტატუსი. სომხეთი, ჩვენგან განსხვავებით, იყო სატრაპია და უშუალოდ შედიოდა რომის იმპერიის შემადგენლობაში. კონსტანტინეს მიერ განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც ეკლესიათა მშენებლობას ეხებოდა, ეუსებიოს კესარიელი იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების მაგალითზე ასახავს, ამიტომ ის ქვეყნები, რომელთაც ის იმპერიის „ფარგლებს გარეთ“ გულისხმობს, რომის იმპერიის აღმოსავლეთ მეზობლებად უნდა ჩავთვალოთ — სხვა საზღვრებთან ასეთი ქვეყნები, იმ ეპოქაში, უბრალოდ არ არსებობდნენ. ამასთანავე, იმპერიის ფარგლებს გარეთ მყოფ ქვეყნებში რომის მოწინააღმდეგე ქვეყნები და, მათ შორის, ირანი მრავალ მიზეზთა გამო გამოირიცხება. შესაბამისად, იმ ქვეყნებში, რომლებსაც ეუსებიოს კესარიელი ამ ფრაზით უთითებს, რომის პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები უნდა ვიგულისხმოთ.

ახლადგაქრისტიანებულ იბერიაში პირველი ეკლესიების შენების ისტორიას „ქართლის ცხოვრება“ უფრო ვრცლად და, რაც მთავარია, უფრო სწორად აღწერს, ვიდრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ამიტომ მომდევნო ციტატას „ქართლის ცხოვრებიდან“ მოვიყვან: ნათლისღებისა და პატიოსანი ჯვრის აღმართვის შემდეგ „წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა... და ითხოვნა ქვით-ხურონი აღშენებისათვის ეკლესიათა. ვითარ მიიწივნეს წინაშე კოსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერცხნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ჴელთანი. და წარმოგზავნნა მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: რამეთუ კოსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დამკჳიდრენ ქალაქთა ქართლისათა“. და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქჳან ერუშეთი, და დატევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება, და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი. მაშინ შეწუხნა მირიან მეფე ამისთჳს, რამეთუ პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევნეს ნაწილნი. ხოლო მოვიდა წმიდა ნინო წინაშე მეფისა და რქუა: „ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს: სადაცა მოვიდოდიან, დასთესვიდენ სახელსა ღმრთისასა...“ (ქც I. გვ. 117-118).

ცხადია, რომ მოყვანილ მონაკვეთში იოვანეს მიერ დაარსებულ პირველ ეკლესიათა ჩამოთვლა მიზნად ისახავდა არა ეპისკოპოსის მიერ საძირკველ დადებული ყველა ეკლესიის დასახელებას, არამედ იმ ვითარების აღწერას, იმ მიზეზთა გამოვლენას, რომლებმაც მირიან მეფის უკმაყოფილება გამოიწვია — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით მირიანმა ამ ვითარების გამო გარეუბნის ქვის ეკლესიის შენებაც კი შეწყვიტა. სიტუაცია მხოლოდ წმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნინოს ჩარევის შემდგომ იქნა განმუხტული.

ამრიგად მანგლისის სიონის მომდევნო, იოვანეს მიერ საძირკველდადებულ, ეკლესიათა შესახებ ცნობების არარსებობა დასახელებულ ისტორიულ წყაროებში არ ზღუდავს ამ მშენებლობების მასშტაბს მითითებული სამი ეკლესიით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს შესაბამის მონაკვეთთან შედარებისას ნათელი ხდება, თუ რამდენად უფრო ინფორმაციულია „ქართლის ცხოვრების" ცნობები: მასში ასახულია კონსტანტინეს მიერ წარმოებული საეკლესიო მშენებლობის მასშტაბი („ტაძარი ღმრთისა ხუთასი"), დასახელებულია იოვანე ეპისკოპოსი, პირი, ვინც იყო წარგზავნილი მირიან მეფის მიერ კონსტანტინეს წინაშე, ვისაც გამოატანა იმპერატორმა ქრისტესმიერი სიწმინდეები და „განძი დიდძალი", დაავალა თავის სახელზე ეკლესიათა აგება „ადგილთა ქართლისათა" და ვის მიერაც იყო განხორციელებული ეს ქმედება.

სამშვილდის სიონის საძირკვლის დადება, ყველა ნიშნით, მანგლისის სიონის შენების დაწყების შემდეგ უნდა მომხდარიყო — რამდენიმე დღით უფრო გვიან. ამიტომ განვსაზღვროთ, თუ როდის მოხდა ისტორიულ წყაროებში დასახელებული ეკლესიების და სამშვილდის სიონის შენების დაწყება.

იოვანე ეპისკოპოსი მირიან მეფემ, კონსტანტინე იმპერატორის წინაშე, ჯვართა აღმართების ცერემონიალის დასრულების შემდეგ გაგზავნა. ლელა პატარაიძის გამოკვლევებით გაირკვა, რომ ჯვრების აღმართვა დასრულდა 15 მაისს, კვირა დღეს. ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ წყაროებში აღწერილი მოვლენები კონსტანტინე იმპერატორის მეფობის მეოცე წელს, ანუ ქ. შ. 326 წლის გაზაფხულზე მოხდა. ე. ი. იოვანე ეპისკოპოსი და მისი თანმხლები პირები მცხეთიდან გაემგზავრნენ 326 წლის 15 მაისს შემდეგ, რამდენიმე დღეში. ამ დროს კონსტანტინე იმყოფებოდა აღმოსავლეთ რომის პროვინციების იმდროინდელ სატახტო ქალაქ ნიკომიდიაში, დღევანდელი თურქეთის ქალაქ ისმიდში, რომელიც მცირე აზიაში, მარმარილოს ზღვის ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. მცხეთიდან ნიკომიდიამდე მანძილი, ორივე მიმართულებით, დაახლოებით ორიათას შვიდას კილომეტრს შეადგენს. ამ მანძილის გავლას ზაფხულის თვეებში, როდესაც სავალი დღის ხანგრძლიობა 12 საათს შეადგენს, და ცხენით სწრაფი სვლის პირობებში, ერთ თვემდე დასჭირდებოდა. ე. ი. უკან მობრუნებული იოვანე ეპისკოპოსი და მისი თანმხლები პირები ერუშეთს უკვე ივნისის დასასრულისთვის მოაღწევდნენ. ამრიგად, იოვანეს მიერ საძირკველდადებული ეკლესიების (ერუშეთი, წუნდა, მანგლისი) მშენებლობის დაწყების ვადად ქ. შ. 326 წლის ივნისის ბოლო-ივლისის დასაწყისი უნდა მივიღოთ, ხოლო სამშვილდის სიონის საძირკვლის დადების დროდ — ამავე წლის ივლისი.

შესაბამისად, სამშვილდის სიონის მშენებლობა დაიწყო კონსტანტინე I-ის მეფობის მეოცე წელს, ანუ ქ. შ. 326 წლის ივლისში და დასრულდა რომის იმპერატორ ლეონ I-ის ზეობის მესამე წელს — 459 წლის 13 სექტემბერს, ენკენიას, მოხდა ტაძრის საზეიმო კურთხევა.

IX. ეკლესიის საძირკვლის დადება მომხდარა ქართლის პირველი ეპისკოპოსის და, შემდგომში, მთავარეპისკოპოსის, იოვანეს ხელით. სხვა პირს ვერც ვივარაუდებთ, რადგან იმ დროინდელ იბერიაში სხვა ეპისკოპოსი არც იყო, ამიტომ ჩემს მიერ საკამშენებლო წარწერაში იოვანე ეპისკოპოსის აღდგენა საკამათო არ უნდა იყოს.

ტაძრის შენებას სამშვილდის ერისთავი ვარაზ-ბაკური აგრძელებდა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც მშენებლობა კვლავ იოვანე მთავარეპისკოპოსმა გააგრძო. იოვანეს სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, როგორც ჩანს, ეკლესიის მშენებლობა ინტერვალებით მიმდინარეობდა, რაც, გარკვეულწილად იმ რთული პოლიტიკური სიტუაციით იყო გამოწვეული, რომელიც დამყარდა ქართლში IV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ირანელთა გაბატონების შედეგად. საბოლოოდ V საუკუნის 20-იანი წლებიდან მირდატ მეფის, საგდუხტ დედოფალთა-დედოფლის და სამშვილდის ერისთავის მეუღლის, დებორა დედოფლის ძალისხმევით დასრულდა 133 წლის განმავლობაში გაგრძელებული მშენებლობა და 459 წ. მოხდა ეკლესიის საზეიმო კურთხევა.

ახლა გავარკვიოთ, თუ ვინ იყო ეკლესიის მაკურთხეველი ეპისკოპოსი.

სამშვილდის სიონის საძირკვლის დამდები იყო ქართლის პირველი ეპისკოპოსი და მთავარეპისკოპოსი იოვანე. შესაბამისად, ჯვრის აღმართვა ამ ეკლესიის დაარსების დროს განხორციელებული იყო მის მიერვე. ასეთი ეკლესიები კი, სადაც საძირკვლის დადება და ჯვრის აღმართვა ხორციელდება მთავარეპისკოპოსების (პატრიარქების) ხელით, სტავროპიგიულად იწოდება. სტავროპიგიული ეკლესიების კურთხევა, თავის მხრივ, კვლავ უმაღლესი სასულიერო პირის პრეროგატივაა. ამდენად, სამშვილდის სიონის კურთხევის ჩატარების უფლება მხოლოდ ქართლის მთავარეპისკოპოსს ჰქონდა.

ქართლის მთავარეპისკოპოსი, დასახელებულ წელს, ვ. გოილაძის გამოკვლევების და „ქართლის ცხოვრების" მონაცემების მიხედვითაც ისტორიული წყაროებით კარგად ცნობილი მიქაელი იყო შესაბამისად, საამშენებლო წარწერაში მაკურთხეველი ეპისკოპოსის სახელის მიქაელად აღდგენა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

X. ეკლესიის შენება დაიწყო მირიან მეფის ზეობის დროს და დასრულდა ვახტანგ გორგასლის მეფობაში, მაგრამ ტაძარი დათარიღებულია არა მათი, არამედ რომის იმპერატორების ზეობით.

სამშვილდის სიონის დაარსება მოხდა იმპერატორ კონსტანტინეს სახელზე და მის მიერ შეწირული თანხით, რამაც განაპირობა დათარიღების სახე.

იმპერატორი კონსტანტინე I დიდი კაცობრიობის ისტორიაში იყო პირველი უმაღლესი ხელისუფალი, ვინც ააშენა ქრისტიანული ეკლესია. მეფის მიერ ეკლესიათა შენებამ შესატყვისი საამშენებლო წარწერის შემუშავება მოითხოვა. კონსტანტინემდელ ეპოქაში ეკლესიებს გამოკვეთილი ქტიტორები არ ჰყავდა, რამდენადაც ეს მოზრდილი თანხის გაღებასთან იყო დაკავშირებული. ეკლესიების ასაგებ თანხას მთელი ქრისტიანი მრევლი აგროვებდა, ამიტომ უძველეს ხანაში საეკლესიო წარწერებში მხოლოდ მაკურთხეველი ეპისკოპოსის სახელის ფიქსირება ხდებოდა სათანადო წარწერით, როგორიც არის, მაგ. ავრელიუს ეპისკოპოსის ცნობილი წარწერა: „ავრელიუს ეპისკოპოსმა აკურთხა".

კონსტანტინემ თავის ქმედება ბიბლიური სოლომონის ქმედებას შეადარა (რასაც არაერთხელ აღნიშნავს ეუსებიოს კესარიელი) და ეკლესიის საამშენებლო წარწერის ქრისტიანული ფორმა შეიმუშავა. ამ საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული იყო ძველი აღთქმის ის ადგილები, რომლებიც სოლომონის ტაძრის აგებას ათარიღებს: „წელსა მას მეოთხესა დადვა საძირკველი ტაძრისა მის უფლისა... წელსა მას მეათერთმეტესა სუფევისა თვისისასა... აღესრულა ტაძარი იგი" (III მეფეთა. 6. 37). „და იწყო შენებად-წელსა მეოთხესა მეფობისა მისისასა" (II ნეშტთა. 3. 2.). ბიბლიური სოლომონ მეფის სახელი და ზეობის წლები კონსტანტინეს სახელით და ზეობის წლებით შეიცვალა.

პირველი ეკლესია, რომელიც კონსტანტინემ დააარსა, იყო იერუსალიმის ქრისტეს წმიდა აღდგომის ეკლესია, რომლის კურთხევა ჩატარდა დიდი ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმით კონსტანტინეს მეფობის ოცდამეათე წელს — ქ. შ. 335 წ-ის 13 სექტემბერს.

რადგან კონსტანტინე იყო პირველი მეფე, რომელმაც ქრისტიანული ეკლესია ააგო, ამიტომ პირველი მეფის სახელი, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის საამშენებლო წარწერაში იყო დაფიქსირებული, არის კონსტანტინე და პირველი წელი, რომლითაც ეკლესიის მშენებლობის დასაწყისი იყო დათარიღებული, არის კონსტანტინეს ზეობის მე-20 წელი!

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე კონსტანტინეს მიერ აგებულ პირველ ეკლესიებზე შემდეგი სახის საამშენებლო წარწერები იყო: „წელსა მეოცესა მეფობასა კონსტანტინეჲსა დაიდვა საძირკველი ტაძრისა...“, ან „იწყო შენება წელსა მეოცესა მეფობისა კონსტანტინეჲსა“. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა იდენტურია ქრისტიანული ეკლესიების პირველი საამშენებლო წარწერებისა.

ამრიგად, სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერის მნიშვნელობა განუზომელია საქართველოს ისტორიისათვის. ის არა მარტო ადასტურებს ქართული ისტორიული წყაროების ცნობებს ქართლის გაქრისტიანების და პირველი ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობების შესახებ, არამედ ათარიღებს კიდეც მათ.

იერუსალიმის „ქრისტეს წმ. აღდგომის“ ეკლესიის კურთხევის დღეც ბიბლიიდან მომდინარეობს — სოლომონის ტაძარი მეშვიდე თვის მეორე შვიდეულში იყო ნაკურთხი (სექტემბერი რომაული კალენდრით მეშვიდე თვეა).

სამშვილდის სიონის კურთხევის დღე, საეკლესიო წესების გათვალისწინებით, აგრეთვე, გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს.

ქ. შ. 459 წლის 13 სექტემბერი, ენკენია, კვირა დღე იყო. სხვათა შორის ეს დღე კვირაზე მოდიოდა 778 წელსაც.

თუ რა დღეს შეიძლება ეკლესიის კურთხევა, შესაბამისი სპეციალური ლიტერატურიდან შეიძლება გავიგოთ (იხ. კ. ნიკოლსკი. სახელმძღვანელო ძირითადი ღვთისმსახურების წესდების შესასწავლად. რუსულად. სპბ. 1913 წ.). მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების მიხედვით ეკლესიების კურთხევა შეიძლება ყველა დღეს, გარდა კვირისა და იმ საეკლესიო ღღესასწაულისა, რომლის სახელსაც ატარებს ეს ტაძარი. კვირა დღეს შეიძლება მხოლოდ ქრისტეს აღდგომის ეკლესიების კურთხევა და ეს დღე მხოლოდ ამ სახელის ტაძრებისთვის არის განკუთვნილი. ამასთანავე, 13 სექტემბერი, ანუ ენკენია, არის ხსენება განახლებისა (კურთხევისა) წმიდისა ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა და, ტრადიციისამებრ, ამ დღეს მხოლოდ კონსტანტინეს მიერ დაარსებული ქრისტეს წმიდა აღდგომის ეკლესიათა კურთხევა იყო დასაშვები.

შესაბამისად, სამშვილდის სიონი არის კონსტანტინე I-ის სახელზე დაარსებული ქრისტეს წმინდა აღდგომის ეკლესია (და არა ღვთისმშობლის, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში არის მიღებული), თანამედროვედ დაფუძნებული იერუსალიმის ამავე სახელის მქონე ტაძრისა. ამრიგად, გასაგებია, რომ სამშვილდის სიონის მნიშვნელობა სცდება ეროვნულ ჩარჩოებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს!

კონსტანტინეს სახელზე და მის მიერ გაღებული თანხით დაარსებული ეკლესიის საძირკვლის დადება, რა თქმა უნდა, იმპერატორის ზეობით დათარიღდებოდა. რაც შეეხება მშენებლობის დასრულების დროს, აქაც მხოლოდ და მხოლოდ რომის იმპერატორის (ჩვენს შემთხვევაში აღმოსავლეთ რომის იმპერატორის) ზეობის წლები უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა სხვა ხელისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ზეობით დათარიღება დასახელებულ პირთა არასწორ იდენტიფიკაციას გამოიწვევდა. ე. ი. სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაში მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის არხსენება გამოწვეულია არა ამ მეფეთა იგნორირების, ან მათი ძალაუფლების სისუსტის შედეგად, არამედ ქრისტიანული ეკლესიის წესებისა და ეპონიმური წელთაღრიცხვის მეცნიერულად.

დასასრულ, სამშვილდის სიონის დათარიღებისა და მისი უდიდესი ზოგადქრისტიანული მნიშვნელობის გამო დროულად უნდა დაისვას ამ ეკლესიის რესტავრაციისა და მასში ქართული მართლმადიდებელი ღვთისმსახურების აღდგენის საკითხი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნესტან სულავა

საღმრთო ხილვა ქართულ ჰიმნოგრაფიაში

ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში საღმრთო ხილვასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ტერმინები იყრის თავს. მისი ბერძნული შესატყვისი „თეორია", ან ზმური ფორმა „თეორეინ" ღმერთის სახელთანაა დაკავშირებული. ანტიკური და ბიზანტიური კულტურის მკვლევართა მიერ მრავალგზისაა შენიშნული, რომ სიტყვა „თეორია" ბერძნისათვის ნიშნავდა „ჭვრეტას", თითქმის „ყურებას", სხეულებრივი და უსხეულო ეიდოსთა, ანუ სახე-იდეათა „გონებით ჭვრეტას" ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, აგრეთვე ნათარგმნ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ამ ტერმინთან დაკავშირებული უამრავი სიტყვაა მიმოფანტული: აღხედვა, გარდამოხედვა, გარდმოხედვა, დამხედვარი, დახედვა, ზედა-ხედვა, მიმოხედვა, მიხედვა, მოხედვა, მრუმედ-მხედველი, მძიმედ-მხედველი, სახედველი, უკმოხედვა, შეხედვა, შთახედვა, აღმოხილვა, აღხილვა, გამოხილვა, განხილვა, გარდმოხილვა, გარემოხილვა, გემოჲსხილვა, გემოუხილველად, ზედმოხილვა, ზეხილული, თანააღხილვა, თუალითმხილველი თჳთმხილველი, მიმოდახილვა, მიხილვა, მხილველი, სახილველობა, უკუნხილვა, უხილავი, შთახილვა, ძვრისხილვა, რასაკვირველია, თითოეული მათგანის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ დატვირთვას კონტექსტი განსაზღვრავს.

XI საუკუნის ქართველმა ფილოსოფოსმა და მთარგნელმა, ეფრემ მცირემ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანს უაღრესად მნიშვნელოვანი, რელიგიურ-ფილოსოფიური სიღრმით დატვირთული კომენტარები დაურთო, სადაც ხედვასთან დაკავშირებით შემდეგ თვალსაზრისს გამოთქვამს: „შეისწავე, რამეთუ ყოველთა მხედველად ბერძენთა ენითა ითქუმის ღმერთი, ვინათგან ხედვასა თეორია ჰქვიან და ღმერთსა თეონ. ამისთჳს ხედვად თარგმანებენ სახელსა ღმრთისასა წესითა ეტჳმალოგიობისა, ესე იგი არს, მზაპასუხობისაჲთა ამათ პირთათჳს უცხადესადრე ჰარიო გარდმოცემისა წიგნთა შინა წმიდისა იოვანე დამასკელისათა (A-684. 87 r აშიაზე). იოანე დამასკელის მიხედვით, ხედვა შემეცნების საიდუმლო (მისტიკური) ფორმაა, ჭვრეტით აღქმაა: „ხედვაჲ არს გულისჴმის-ყოფაჲ უნივთოთა და უჴორცოთაჲ, რომელ არს ღმერთი, რომელი-იგი უპირველეს და უსაკუთრეს არს ყოველთა უჴორცოთა და უნივთოთა... ხოლო ხედვაჲ არს გულისჴმისყოფაჲ ნივთიერთაცა ბუნებათაჲ („დიალექტიკა").

ეფრემ მცირესთან „თეორიის" ანტიკური გააზრება შევსებულია თეოლოგიური შინაარსით, მაგრამ აქაც უმთავრესად წარმმართველი „ხედვა", რაც ონტოლოგიურად ხორციელდება სახისმეტყველებით „მზაპასუხობაში". ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისმხედველი ღმერთი მხოლოდ „თეორიულად“, „ჭვრეტით“, „ხედვით“, ჰიმნოგრაფთა სიტყვით, „შინაგანი ხილვით იხილება და განიცდება. სასულიერო მწერლობაში ამ დოგმატური დებულების გამოყენება ყოფითი, ანუ ხილული სამყაროს უფრო ესთეტიკურად აღქმის საშუალებას იძლევა. ეფრემის ტერმინი „ხედვითი სიტყვაჲ“ ნიშნავს „თეორიულ ნააზრევს“, თეორიულ განსჯას, ხოლო „საქმითი სიტყვაჲ“ შინაარსს, „პრაქტიკულ“ აზრს. ეფრემმა საღმრთო სიბრძნეს დაუკავშირა „ხედვა“, რომელსაც სხვაგვარად „ფილოსოფოსებრივი შემკობილობა“ უწოდა.

ბიბლიურ თხზულებებში ხილვა-ხედვა ძირითადად საღმრთო ხილვის ფუნქციის მატარებელია: „და სულმან აღმიღო მე და მიმიყვანა ქუეყანად ქალდეველთა, ნატყუენავისა მიმართ სულითა ხილვისა ღმრთისაჲთა; და აღვედ ხილვისაგან, რომელი ვიხილე. და ვიტყოდე ტყუეობისა მიმართ ყოველთა სიტყუათა უფლისათა, რომელი მიჩუენნა მე (ეზეკ. II. 24-25). მრავლისმთქმელია ეზეკიელისადმი მიმართული ღვთის სიტყვები: „ძეო კაცისაო. საშუალ უსამართლობათა მათა დამკჳდრებულ ხარ შენ, რომელთა ჰქონან თუალნი ხედვად, და ვერ ჰხედვენ, და ყურნი ასხენ სმენად, და არა ესმისყე მით, რამეთუ სახლი განმამწარებელ არს“ (ეზეკ. 12,2). ღმერთი ყოვლისმხილველია: „და მან თავადმან იცის ადგილი მისი, რამეთუ იგი ყოველსავე, რაჲ-არს ცასა ქუეშე, ხედავს და იცის ყოველივე“ (იობ. 28,24). ხედვა-ხილვა არ არის მხოლოდ ღმერთის მიერ ყოვლის მხილველობის, ყოვლის მხედველობის აღმნიშვნელი, იგი წინასწარჭვრეტის, წინასწარხილვის მნიშვნელობითაცაა დატვირთული, ნიმუშად მოსეს მიერ აღმოდებული მაყვლის ხილვა შეიძლება მოვიტანოთ.

ღმერთის ყოვლისმხილველობას ახალ აღთქმაში უდიდესი ადგილი უჭირავს. „მამაჲ შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მთ, 6. 4-5). „ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ესენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფევლისა ღმრთისაჲ ხოლო სხუათა-იგავით, რაჲთა ჰხედვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისჴმა-ყონ (ლ. 8,10). „ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი გარდამომავალი ზეცით და დადგრა მას ზედა“ (ი, 1, 32). სულიერი თვალის ახელაა მოსაზრებული ბრმის თვალის ახელაში: „ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს: ესე არსა ძე იგი თქუენი, რომლისაჲ თქუენ სთქუთ ვითარმედ ბრმაჲ იშვა? აწ უკვე ვითარ ჰხედავს?.. ხოლო აწ ვითარ ჰხედავს, ჩუენ არა ვიცით, ანუ ვინ აღუხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა უწყით“ (ი, 9, 19, 21). ქრისტეს მოვლინება ნათლის ხილვადაა აღქმული: „ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს (ი, 11,9). „და რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი“ (ი, 12, 45). „ჰრქუა მას იესო: რამეთუ მიხილე და გრწამ; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე“ (ი, 20, 29).

ბასილი დიდმა მოსე წინასწარმეტყველის სიტყვათა — „ეკრძალე თავსა შენსა“ — განმარტებისას ორგვარი ხედვა გამოყო: „ეკრძალე უკუე თავსა შენსა, რაჲთა შემძლებელ იყო განყოფად კეთილსა ბოროტისაგან და სავნებელსა სარგებლისაგან. ხოლო ვინაჲთგან ორი სახჱ არს კრძალვისაჲ: ერთი იგი არს ჯორციელითა თუალითა ხედვაჲ ხილულთა საქმეთაჲ და მეორედ, რაჲთა გონიერითა მით თუალითა სულისაჲთა ხედვიდეს ყოველსავე და განეკრძალებოდის, აწ უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ხილულთა ამათ თუალთათჳს თქუა სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელმან, მეყსეულად ვპოოთ შეუძლებლობაჲ მისი, რამეთუ ვითარ ვინ იხილოს თუალთა თჳსთა თავთჳსი ყოვლითურთ? რამეთუ თუალი ვერცა თუ თავსა თჳსსა იხილავს, ვერცა თხემად მიიწევის, ვერცა ზურგსა განიცდის, ვერცა პირსა, ვერცა შინაგანთა მათ ნივთთა. ბოროტ არს უკუე თქუმად, ვითარმედ შეუძლებელ არიან მცნებანი სულისა წმიდისანი, არამედ მცნებაჲ ესე

სულიერთა მათთჳს თუალთა გონებისათა იტყუის“ (ბასილი დიდი, „სწავლანი“, ც. ქურციკიძის გამოც., გვ. 21).

ღვთაებრივ ხილვაზე თითქმის ყველა საგალობელი გვესაუბრება. მისი საფუძველი ჰიმნოგრაფიული კანონის მეორე გალობა უნდა გამხდარიყო, რომლის ქართული სახელწოდებაა „მოიხილესა“ II შჯ. XXXII, 1-43). საგალობლის მთავარი თემაა მოსეს წინასწარმეტყველება ლევიტელთა მიმართ, რომელთაც ამჩნევდა უკეთურებას და აფრთხილებდა, რომ ღმერთი ყოვლისმხილველია და არ მიუტევებს.

საღმრთო ხილვა იხსნის ამქვეყნიური ცოდვისაგან ადამიანს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ფსევდოდიონისე არეოპაგელის შრომებში გამოიყოფა ზეგრძნობადი განცდის გამომხატველი გარკვეული ტერმინები: „საღმრთოჲ ხილვაჲ“, „საღმრთოთა ხედვათა მიმართ აღპყრობილებაჲ. „ზეშთა სოფლისაჲ და თვალთა მიხედვაჲ“, „განღმრთობილთა გონებითა შეერთებაჲ ნათელსა მას ზეშთა ღმერთთაჲსა“ (მ. გიგინეიშვილი).

ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, ყოველი ადამიანი ღვთაებისაკენ მიისწრაფვის, რაშიც უდიდესი როლი ეკისრება სულიერ ხილვას, ღვთის ჭვრეტას. კაცობრიობა ცდილობს ღმერთთან მიახლოებას, ამქვეყნიური სულიერი და ადამიანური სრულყოფილებით. ადამიანი სულიერი თვალით, ანუ „შინაგანი სახედველით“, როგორც იოანე მინჩხის საგალობელშია ნათქვამი, იხილავს ღვთის ნათელს, ღმერთს. იოანე მინჩხი იოანე ნათლისმცემელს მიმართავს: „რომელმან შინაგანნი სახედველნი საღმრთოჲთა ხილვითა წმიდა ჰყენი, წინამორბედო, შენგან ნათელსღებულსა დღეს მოსწრაფედ შეუდგ ჰაბო და მისთვის სიკუდილი დაითმინა“ (იოანე მინჩხი).

ზემოთ აღინიშნა, რომ საღმრთო ხილვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არქეტიპს წარმოადგენს მოსეს ალმოდებული მაყვლის ხილვა, რომელიც ჰიმნოგრაფიაში „ზეშთა ბუნებისად“ არის მიჩნეული, რომელმაც იხსნა ებრაელი ხალხი: „ზეშთა ბუნებისა ხილვა იხილა მჯულისმდებელმან: „ბუნებით იგი თჳთ მგზნებარე ცეცხლი ედებოდა მაყუალსა და არა შესწუვიდ მას“ (ნეფმ. ძლ., გვ. 139). უხილავი და მიუწვდომელი, გამოუთქმელი და გამოუკვლეველი ღმერთის სულიერი ხილვა ჰიმნოგრაფებს „ღმრთისმეცნიერებით“ მიაჩნიათ შესაძლებლად, მოკვდავი ადამიანისთვის დიდი პატივია, რათა ისინიც მისწვდნენ ღვთაებრივ უკვდავებას. ქრისტეს მოვლინება ღმერთის მიერ უხილავი სიტყვის განხორციელებაა, წინასწარგანზრახულებაა კაცობრიობის ხსნისთვის. სულიერი ხილვით ხდება შესაძლებელი საღვთო გზით, ღვთის მცნებათა გზით სვლა, რაც აუცილებელია სულიერი ამაღლებისათვის, განღმრთობისათვის.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ „საუკეთესო მაგალითს შინაგანი ხილვისა, რომელიც მშვენიერ პოეტურ ხატებს ემყარება, მთელი ქრისტიანული მწერლობის მასშტაბით წარმოადგენს ფსალმუნთა წიგნის 103-ე თავი. ესაა ამაღლებულის შეგრძნებაზე დაფუძნებული კოსმიური პოეტური ხილვა, სადაც რაფინირებული სული თავის საყოველთაობას ზეიმობს გრძნობად-რეალურ სამყაროზე“ (გრ. ფარულავა).

შინაგანი ხილვის საინტერესო ინტერპრეტაციაა მოცემული დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“: „მარტიო, სრული, სამზეო, ერთცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაჲთა, სულითა ღმრთისაჲთა ძე გამოგვიბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა. არა უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თჳნიერ შენსა, არცა ჩემოდენ ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა“. ავტორი ღმერთს ევედრება სულის სახედველით შინაგან სიღრმეთა წვდომას. ლ. გრიგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშვილის აზრით, „ზეგრძნობადი, მარადიული ნათელის სახილველად აუცილებელია შინაგანი ხედვის, ანუ როგორც ქართველი ჰიმნოგრაფები იტყვიან: „თუალნი სულისანის", „სულის საცნობელთა" აღხილვა ქრისტიანული მისტიკის თანახმად, ცნობიერების ამ საფეხურზე შემმეცნებელი სუბიექტი უერთდება შესამეცნებელ ობიექტს".

საგალობელთა მიხედვით, საღმრთო ხილვის მადლი მიენიჭათ წმიდა მამებს, რასაც ადასტურებს ექვთიმე ათონელისადმი მიძღვნილი საგალობელი: „სიმაღლედ საღუთოთა ხედვათა აღიწიე და სიღრმესა ღუთისა სიბრძნისასა შთაიხედენ და გულისჴმისყოფაჲ საღმრთოჲ მიერ აღმოივსე და ეკლესიაჲ ღუთისაჲ ღვთივშუენიერად განამდიდრე საუნჯეთაგან დაულევნელთა სულისა წმიდისათა" (ათონის კრ. გვ. 190).

ღმერთი დაფარულთა მხედველია. იგი ყოველივეს ჭვრეტს. ეს თვისება ღმერთისა საგალობლებში წმიდა მამებზეა გადატანილი. მიქაელ მოდრეკილის საგალობლებში „დაფარულთა მხედველნი" არიან ღმერთშემოსილი ნეტარი მამები: „გამოუთქმელსა ნათელსა ხედავთ თქუენ თუალითა სულისაჲთა დაფარულთა მხედველთა" (S-425, 104r).

გიორგი მთაწმინდელმა ქრისტეს, ნათლისღებას „ახალი ხილვა" უწოდა'

„აცურიეთ ზეცით საღმრთო ცუართა
რებათა,
იორდანისა ღელვანი აღივსენით,
ხილვა ახალი იხილე, ქუეყანაო,
აჰა ესერა, უხილავი მეუფე,
რომელმან შეგუქმნა, ნათელს
იღებს ჰორცითა"

(ქრესტ. I, გვ. 353).

სასულიერო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებიდან ნათლად ჩანს, რომ „სულისა თუალნი" მიპყრობილია ღმერთისაკენ, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენისაკენ. ხშირად ეეედრებიან ჰიმნოგრაფები ღვთისმშობელს, რათა განუწმინდოს „თუალნი სულისა დედობრივთა მეოხებითა".

მიქაელ მოდრეკილის საგალობლებში მხოლოდ „სულისა თუალითა" არის შესაძლებელი უხილავთა ხილვა: „იხილე სულისა თუალითა უხილავი სიტყუაჲ ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ და ჴმა ჰყავ" (სას. პოეზია, გვ. სმდ). ექვთიმე ათონელისადმი მიძღვნილი საგალობლის მიხედვით, გონების თუალთა მღვიძარებამ სიკეთე მოუმკო წმინდანს: „მღვძარედ იპყრენ, მამაო, თუალნი გონებისანი და მიურულებელად დასცევდ სულისა ნაყოფთა წარპარვისაგან ავაზაკთა ზუარობისათა" (ათონის კრ. გვ. 184).

საღმრთო ხილვის გავრცელებულ მოტივს ასახავს იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისშობლისანი":

„იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე
მაყულად, დანიელ მთად, გედეონ
საწმისად".

იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი" ღვთის განკაცებისა და მისი სულით ხილვის წინასწარმეტყველებას წარმოაჩენს: „უწყებულმან პირველ წინასწარმეტყველმან სულითა იხილა განკაცებაჲ ღმრთისაჲ ჩუენისა და ესრეთ ღაღადყო: აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, ისმინეთ წარმართა და იძლიენით". ქალწულისაგან მაცხოვრის, მხსნელის შობის წინასწარმეტყველებას საფუძველი ესაიასთან დაედო (ესაია, 7, 14), რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება მათეს სახარებაშიც.

არსენ ბულმაისიმისძის წმინდა ნინოსადმი მიძ.ღვნილი საგალობლის მიხედვით, წმინდა ნინო მოციქულად წოდებული ქართული მწერლობის ძეგლებში, ღვთის მხილველია: „ენაჲ, რომელი არა იცოდა, ესმა, სულმან განიპოხა რაჲ ქადაგი თჳსი, იქმნა ღმრთის მხილველ, ურჩისათჳს ერისა ეკლოვანსა ფიცხელსა სულითა მოძრავმან ბრძენმან ნინო თავი თჳსი უმსხვერპლა". წმინდა ნინოს ღმრთისმხილველობა იმითაც არის განპირობებული, რომ იგი ღვთისმშობლის მონაცვლეა საქართველოში. „ორბებრ გუგასა შინ მხედველობითსა შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისაჲ, ნინო, და განი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადენ უჭმნი საჭმლად კეთილნი და მიმართე, ვიდრემდის ბრჭალსა შენსა ჭელთ უსხენცა დიდ სანსაგედ მოქმედმან“.

არსენ ბულმაისიმისძის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში მინიშნებულია მოსეს მიერ ღმერთის ხილვის ეპიზოდი და სახეთა პარალელიზმის პრინციპებზე დამყარებული ქრისტეს ხილვით ღმერთის ხილვაა წარმოსახული: „ეჰა ნიჭსა ბრწყინვალესა, რომელსა ღირს იქმენ, ნეტარო, დიდისა იოვანესთა კუალთა მისდევდი, მამაო, და ვითარცა მოსე დიდი ღვთისა მიერ, რამეთუ რომელი მან იხილა უცვალებელი სახე, ხატი და ბრწყინვალებაჲ მამისაჲ ღმერთი და კაცი, ქრისტე, ხილული თჳთ პირმშოჲთა ხატითა ვითარ უწყის და ღმრთეებისა დიდებითა გამოგეცხადა ხატი შენ, ანტონი“ (A-85, 279).

საღმრთო ხილვის ბიბლიური აღქმა გამოსჭვივის საბა სვინგელოზის საგალობელში „ გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“: „ნეტარ არიან თუალნი მხედველნი და ყურნი, რომელთა ესმის, რომლისა ხილვად სუროდა წინაჲსწარმეტყველთა მართალთა პირველ“. ქრისტეს მხილველნი სანატრელნი ხდებიან: „რაჟამს ესმა მოსლვაჲ შენი წინაჲსწარმეტყველთა, ქრისტე, გული უთქუმიდა ხილვადსა ვხედავთ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხატსა შენსა, და მხილველნი სანატრელ ვიქმნებით, რამეთუ არა ბაგეთაგან ზაკულთა პირით შენითგან მრთელობაჲ ჩემი გამოვედინ“. ქრისტეს ხილვით ადამის მოდგმა, კაცობრიობა ღირსი გახდა სამპირეოვანი ერთარსება ღმერთის ხილვისა: „ჩუენ ღირს ვიქმნენით ჴორცითაცა ხილვად შობითა ქალწულისაგან, გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და დავიცვენ სიმართლენი შენნი“. „ნეტარისა ჴელითა ღმრთის-მხილველ იქმნეს წმინდანი, ხოლო ჩუენი ესეცა მსახურებაჲ ხატი არს ყოფადთა მათ კეთილთაჲ“.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ღმერთი უხილავია, მისი ხილვა არ შეიძლება, ამიტომ ეცხადება იგი ადამიანს ხან კვერთის, ხან მანანის, ხან რჯულის წიგნის, ხან ცვარის, ხან ცეცხლისა და სხვათა სახით. ხოლო, რადგან ღმერთმა, იგივე ლოგოსმა, ქრისტემ წმინდა მარიამის წიაღში შეისხა ხორცი და კაცებრივი სახით მოევლინა კაცობრიობას, ბუნებრივად იქნენ მიჩნეულნი ლოგოსის ადრინდელი გამოვლინებები ქრისტეს შობის საიდუმლოს წინასწარ მომასწავებლად. ღმერთის ხილვა, წვდომა ცოდნით შეუძლებელია, ამისთვის რწმენაა საჭირო.

85—შოთა ძიძიგური—85

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

კეთილი, ბრძენი, ტკბილმოუბარი, საქმის უდიდესი მცოდნე — ასეთი იყო ბატონი შოთა ძიძიგური. იგი სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობის დროს „მნათობის“ მეცნიერების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თან სტილისტურად ხვეწდა დასაბეჭდად გამზადებულ ყველა მასალას.

შოთა ძიძიგური დიდი დიალექტოლოგი იყო, მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. თბილისის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. მიუხედავად მოუცლელობისა, „მნათობისათვის“ მაინც პოულობდა დროს. ასეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ჟურნალი და მის გამოცემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. რედაქციის ყველა წევრს დღემდე ახსოვს მისი კეთილი ღიმილი, ჭეშმარიტი იუმორი. ჟურნალისათვის ყოველდღიური, დაუღალავი ზრუნვა. შოთა ძიძიგურის სახელი სამარადისოდ არის დაკავშირებული „მნათობის“ ცხოვრებასთან.

უებრო მოსაუბრე

ბ-ნ შოთა ძიძიგურს, შეიძლება ითქვას, მისი ნაღვაწით ჩვენში ყველა იცნობდა და იცნობს. ყოველ შემთხვევაში, ვისაც კი რაიმე შეხების წერტილი ჰქონია ქართულ ენასთან, მისი თანამედროვე სახისა თუ ისტორიის შესწავლასთან (ამას კი ვინ ასცდებოდა, თუნდაც მხოლოდ სკოლის ფარგლებში), შეუძლებელია შოთა ძიძიგურის სახელი არ სმენოდეს. ხოლო რაც უფრო დაინტერესებულია მავანი ამ პრობლემატიკით, მით უფრო მეტად იცის ის ამაგი, რაც მან ქართველი ერის უძვირფასესი განძის შესწავლას და პოპულარიზაციას დასდო. სპეციალისტები, ფილოლოგები, კერძოდ ენათმეცნიერები კი მის სახელს დიდის პატივით მოიხსენიებენ განსაკუთრებით ღვაწლმოსილ მეცნიერებთან ერთად.

ბ-ნ შოთა ძიძიგურის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე ბევრი რამ ითქვა, სამეცნიერო შრომებიც დაიწერა და კვლავაც დაიწერება, მაგრამ მარტო ამით თუ შემოვიფარგლებით, ვერ მივიღებთ სრულ პორტრეტს ამ მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებისა და მოღვაწისა

მე ჩემი ბედნიერი გამოცდილებით, რაკი ხშირად მიწევდა მის გვერდით ყოფნა, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ვინც პირადად, უშუალოდ არ იცნობდა ბ-ნ შოთას და მხოლოდ მისი ნაწერებით ცდილობს წარმოიდგინოს იგი, ნაკლული იქნება ამგვარი გზით შექმნილი მისი ხატი. ძალზე ნაკლულიც იქნება, რადგან ბ-ნი შოთა არ იყო ასკეტი მეცნიერი. ვისთვისაც საკუთარი სპეციალობის გარდა ქვეყნად სხვა არაფერი, ან ცოტა რამ არსებობს. იგი გულგაშლილი პიროვნება გახლდათ, მუდამ მზად მყოფი ურთიერთობებისათვის, სხვათა შემწეობისათვის, მოგზაურობისათვის, ლხინისათვის... სიდარბაისლე და სიდინჯე ხელს არ უშლიდა ცხოველი ინტერესით დაეკავშირებინა თავისი ყოფა თანამედროვე საზოგადოებრივ პრობლემებთან.

სანიმუშოა მისი მეგობრობა ქართველ მწერლებთან სიმონ ჩიქოვანთან, გიორგი ლეონიძესთან, ირაკლი აბაშიძესთან, თავისზე უმცროსებთან სარგის ცაიშვილთან, გურამ ასათიანთან... იმდენად ღია ჰქონდა გულის კარი, რომ სხვებ-

თან ერთად მეც მხვდა წილად ბედნიერება მასთან დაახლოებისა.

იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ასეთი ჰარმონიული, გაწონასწორებული, უშურო და უშურველი, თავად მისთვის შეუმჩნეველი სიკეთით სავსე ადამიანი, ვინც კიდევ უფრო განმიმტკიცა ის აზრი, რომ ტანად ზორბა, ახოვანი კაცი, როგორც წესი სხვაზე ბევრად უფრო თბილი, ლმობიერი და შემწყნარებელია.

აქ ბ-ნი შოთას მრავალმხრივი ნიჭის ერთი თავისებურება მსურს გავიხსენო, რაც, სამწუხაროდ, სამუდამოდ დაკარგულია, თუმც მისი შემონახვა არამცთუ შესაძლო, აუცილებელიც იყო. იგი გახლდათ უფრო მჭევრმეტყველი და მოსაუბრე.

ამის ნიმუშად ხშირად იხსენებენ მის უბადლო თამადობას. მართლაც, ბ-ნ შოთასთან ერთად სუფრასთან ყოფნა დღესასწაული იყო. მისი წყალობით იქ სუფევდა სიმშვიდე და ურთიერთპატივისცემა, იფრქვეოდა თამადის მჭევრმეტყველება, თავისუფალი ლიქნის ნატამალისაგანაც კი, სავსე სიბრძნითა და მახვილსიტყვაობით, სიყვარულით ქვეყნისა და მოყვასისადმი, იღვრებოდა ჭეშმარიტად სუფრული თუ სხვა სულის საამო ქართული სიმღერები, რომელთა წამომწყებიც თამადა გახლდათ. ეს იყო ნამდვილი ლხინი, სიამოვნებასაც რომ განგაცდევინებდათ და ქართული სუფრისადმი სხვათა ღრეობებით დაკარგულ პატივისცემასაც რომ აღგიდგენდათ.

მაგრამ მე მაინც ბ-ნი შოთას მჭევრმეტყველების სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვან, ლიტერატურულ გამოხატულებას მივსტირი.

ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი საუბარი ნებისმიერ თემაზე დამერწმუნება, რომ ბ-ნი შოთა ჭეშმარიტად უებრო მოსაუბრე გახლდათ, ვისი სმენაც არ შეიძლებოდა მოგბეზრებოდათ. თავისი ცხოვრების წესის გამო, რაკი ყოფას ცხოველი ინტერესით იყო დაწაფებული, რაკი თავისი უშუალობისა და ურთიერთობებისადმი მიდრეკილი ხასიათისა თუ ხიბლის წყალობით უამრავ გამოჩენილ თუ გამოუჩენელ, მაგრამ საინტერესო პიროვნებებს იცნობდა საქართველოს ყოველ კუთხეში და მის საზღვრებს გარეთაც ბასკების ქვეყნამდე, მოსაყოლი ამბები თუ შთაბეჭდილებები გაუთავებლად ჰქონდა და დაუსრულებლად უზიარებდა ახლობლებს. შეუძლებელი იყო სულგანაბულს არ გესმინა მისთვის, რადგან გარდა იმისა, რომ თავად ამბავი იყო საინტერესო, ცხადია ჩინებული ქართულით მეტყველებდა და კიდევ, აშკარად არტისტული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, თუმცა მის უშუალო ბუნებაში ეს ნიჭი ღრმად იყო ჩამალული და გარეგნულ ეფექტებს არ მოიხმობდა.

საყოველთაოდ ცნობილია ირაკლი ანდრონიკოვის ეგრეთწოდებული „ზეპირი მოთხრობები", რომლებიც ტელევიზიითაც ხშირად გადაიცემა, ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა, მე კი უშუალოდაც მომისმენია სცენიდან. დიდად შთამბეჭდავი სანახაობა იყო, ჩვენდა სასიხარულოდ შემონახული შთამომავლობისათვის. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისი შინაარსით და საინტერესო თავისი ფორმით იყო შოთა ძიძიგურის „ზეპირი მოთხრობები", მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იგი არ შემოინახა შთამომავლობისათვის, ჯერ ერთი, თავად ბ-ნ შოთას „დაუდევრობით" (მეპატიოს ეს გამოთქმა), რაკი ასე უშურველად ფანტავდა ზეპირად ამ მარგალიტებს, და მეორეც, ჩვენივ, მისი უმცროსი მეგობრების უპატიებელი უპასუხისმგებლობით ვისაც გვევალებოდა მისი საუბრების ჩაწერა და შემონახვა.

რას ვიზამთ, მოთქმა და თავში ხელის ცემით ამ საქმეს ვეღარაფერს ვუშველით, ნუგეშად ისა გვრჩება, რომ ბ-ნ შოთა ძიძიგურს იმდენი ღვაწლი აქვს გაწეული ქართული მეცნიერების, მწერლობის, კულტურის წინაშე, რაც საიმედოდ არის დაფიქსირებულიც და შემონახულიც, რომ მის სახელს დრო ვერ გააფერმკრთალებს.

გურამ გვერდწითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგის სიტყვა ბ-ნ შოთა ძიძიგურზე

ბატონი შოთა ძიძიგური, აკადემიკოსი—ენათმეცნიერი, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების იმ შესანიშნავ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც თანაბარ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ყველა დარგისადმი. ეს ტრადიციები დაამკვიდრა იმ დიდმა კერამ, რომელიც „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ ანუ შემოკლებით „ენიმკი“-ს სახელით რომაა ცნობილი. მისი თავკაცები ბრძანდებოდნენ ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია. ბატონი შოთა ძიძიგური ამ ინსტიტუტის სწავლული მდივანი იყო. ქართული არქეოლოგია „ენიმკი“-ს პირმშოა — ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. აქედანაცაა ბატონი შოთას სრულიად განსაკუთრებული ინტერესი არქეოლოგიის მიმართ.

ბატონი შოთა ძიძიგურთან ჩემი ახლო ურთიერთობა 70-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო. ერთხანს, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი შოთა ძიძიგური საქართველოს არქეოლოგიური კომისიის — ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი არქეოლოგიური ორგანოს თავმჯდომარე ბრძანდებოდა. ეს ურთულესი პერიოდი იყო ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. გრანდიოზული სოციალისტური ახალმშენებლობები სრული განადგურებით ემუქრებოდა მიწის წიაღში მოქცეული ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. ბატონი შოთა მთელი თავისი პრინციპული შემართებითა და იმავ დროს გასაოცარი ადამიანური ხიბლით, იბრძოდა ისტორიული ძეგლების წინასწარი შესწავლისა და მათი გადარჩენისათვის. მის სიტყვას დიდ ანგარიშს უწევდნენ რესპუბლიკის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირები... და თუ ქართველმა არქეოლოგებმა სოციალისტური ახალმშენებლობების პერიოდში პირნათლად მოიხადეს თავისი ვალი, შეისწავლეს, გადაარჩინეს და საქართველოს მუზეუმებში დააბინავეს ჩვენი ეროვნული კულტურის უამრავი ძეგლი, ეს ბატონ შოთას, ისევე როგორც საქართველოს არქეოლოგიური კომისიის პოსტზე მისი წინამორბედის — ბატონ ირაკლი აბაშიძის, უდიდესი დამსახურებაა.

ბატონი შოთა საქართველოში ყველა დიდი და ახალი არქეოლოგიური აღმოჩენის პირველსტუმარი იყო. მეც არაერთგზის ვხლებივარ მას თან. ბატონი შოთა სვანეთის მეცნიერული შესწავლის კომისიის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა და მეც მასთან ერთად მიხდებოდა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში მასთან ყოფნა. ბატონ შოთასთან ერთად მოგზაურობა აუწერელი სიამოვნება იყო და დიდი სკოლაც. იგი ჭეშმარიტად ცოცხალი ენციკლოპედია იყო. თითქმის ყველა ტოპონიმის ეტომოლოგია იცოდა და თავისი მოსაზრება ჰქონდა. მე კი სამუდამოდ დამრჩება მეხსიერებაში მისი მონათხრობები XX საუკუნის გამოჩენილ და დიდ ქართველ მეცნიერებზე, მწერლებზე, მოღვაწეებზე. ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, დიმიტრი უზნაძე, გალაკტიონი, შალვა დადიანი და კიდევ მრავალი სხვა, რომელთაც პირადად იცნობდა და მეგობრობდა. ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ყვებოდა მათთან შეხვედრებზე. ერთი რამ მინდა კიდევ საგანგებოდ აღვნიშნო 50-იან წლებში ბატონ შოთა ძიძიგურს დიდი უსიამოვნება არგუნეს, ნიკო მარის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებასთან დაკავშირებით. მე არ მახსოვს, რომ ბატონ შოთას ვინმე პიროვნულად აუგათ მოეხსენებინა. ეს შესაშური კეთილშობილებაა.

დიდი მეცნიერი, საოცრად კეთილი, მუდამ ტკბილად და საინტერესოდ მოსაუბრე, უფროსი მეგობარი — ასეთად დარჩა ჩემს მეხსიერებაში ბატონი შოთა ძიძიგური.

ოთარ ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა მეგობარი

წინათაობის ენათმეცნიერთა შორის ქართული კლასიკური ლიტერატურის ენობრივ საკითხებში და ქართული მწერლობის მიმდინარე პროცესებში ყველაზე მეტად შოთა ძიძიგური იყო ჩახედული. მისი ძიებანი ამ მიმართულებით ტაქტითა და ზომიერებით გამოირჩეოდა მაშინაც კი, როცა სამთავრობო ღონისძიებით იყო გაკიცხული, ან არასწორად განმარტებული, ვთქვათ, ვაჟას ენობრივი პოზიცია („არ არის სწორი საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა მთლიანად დაფუძნებულია დიალექტურ მასალაზე. საკითხი ვაჟას მიმართებისა ფშაურ დიალექტთან გარკვეული შეზღუდვით უნდა განვიხილოთ. დიალექტიზმებს ვაჟას ნაწერებში სტილისტიკური ფუნქცია აქვთ დაკისრებული"), ან როცა კრიტიკოსები უხეშად უტევდნენ ვითომცდა არქაიზაციაში „მხილებულ" თანამედროვე პოეტებსა და პროზაიკოსებს („არც ერთ ენას არა აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების თავისუფალი და უმტკივნეულო გამოყენებისა, რამდენიც ქართულ ენას"; „არსებობს ზოგიერთი პარალელური გრამატიკული ფორმა, რომლებიც ძველი ქართულის კუთვნილებაა, მაგრამ სავსებით ეგუებიან თანადროული ენის სტრუქტურას").

ცნობილი ენათმეცნიერის ასეთი განცხადებები მხარს უმაგრებდა ძველი და ახალი თაობის იმ ლიტერატორებს, რომლებისთვისაც მხატვრული ნაწარმოების „ენობრივი ფორმა" უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა.

„ჩვენი მიზანია — წერდა შოთა ძიძიგური ზემოთ აღნიშნული წიგნის შესავალში — მიაწოდოს ფართო საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ძირითადი მნიშვნელობის ენათმეცნიერული ცნობები". სწორედ ეს მიზანი აახლოვებდა შოთა ძიძიგურს ქართულ მწერლობასთან და ახალგაზრდობასთან.

შოთა ძიძიგური გავიცანი „მნათობის" რედაქციაში 50-იანი წლების მიწურულს. ამ დროს, იქ სამუშაოდ მოეწყო არჩილ სულაკაური, რომელთანაც ხშირად შევიკრებოდი ხოლმე და შესაძლებლობა მქონდა რედაქციაში მოსული მწერლები და მეცნიერები გამეცნო. მე გვიან გავიგე, რომ ბატონი შოთა ჟურნალ „მნათობის" მეცნიერების განყოფილების გამგე, ამავე ჟურნალის სტილისტი და თურმე მწერალთა კავშირის წევრიც ყოფილა. გვიან გავიგე იმიტომ, რომ ახალგაზრდებთან ურთიერთობისას არანაირად არ მჟღავნდებოდა მისი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიები. მისი თავმდაბლობა და უშუალობა, ისევე როგორც სიმონ ჩიქოვანისა, წინა თაობის ბევრი წარმომადგენელის მიმართ ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულების საპირისპიროდ, ცოცხალ და ხალისიან განწყობილებას ჰქმნიდა „მნათობის" რედაქციაში შემთხვევით თავშეყრილ ახალგაზრდა ლიტერატორთა შორის. ზოგჯერ ასეთი თავყრილობა მთაწმინდის პლატოზე, ან სადმე სხვაგან, სახელდახელო სუფრითაც მთავრდებოდა, სადაც თამადად, რა თქმა უნდა, შოთა ძიძიგური გვევლინებოდა („უშენოდ მოსცდეს მხიარულება", ჩემს განუყრელ მეგობარს, ძვირფას შოთას გოგლასაგან. 8. X. 54. ამგვარი წარწერით უძღვნა გიორგი ლეონიძემ თავისი ლექსების კრებული). უნდა აღვნიშნო, რომ სუფრაზე გაცხოველებული საუბრები იმართებოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, რომლის პროტაგონისტი სიმონ ჩიქოვანი იყო. საუბარში რედაქციის თანამშრომლებთან ერთად ჩვენც — ახალბედა ლიტერატორებიც — ვიღებდით მონაწილეობას. ამ მხრივ, შეუზღუდველი დემოკრატიზმი იყო გამეფებული.

შოთა ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიის აღიარებული მკვლევარია. საგნის ღრმა ცოდნა მას საშუალებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევდა დაედგინა ამა თუ იმ დიალექტიდან აღებული სიტყვის ლიტერატურულ ფაქტად ქცევის გზა. და მკითხველი თვალნათლივ ხედავს, როგორ იცვლის იერს და როგორ იძენს პოეტურ ბრწყინვალებას დიდი პოეტის ხელში მანამდე ხალხური მეტყველების წიაღში არსებული, ლიტერატურისათვის უჩინარი სიტყვა.

შოთა ძიძიგურს მოვლილი აქვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. აქ შეხვედრილი ადამიანები ყოველთვის თბილი სიყვარულით, და ამავე დროს, გარეგნობისა თუ მეტყველების დამახასიათებელი დეტალით ცოცხლდებოდნენ მის საოცარ ზეპირ მოგონებებში. მას უყვარდა ეს ხალხი. საერთოდ, ადამიანთა მოყვარული და უღრმესი ტაქტის კაცი იყო, სხვათა ჭირის გამგები და სხვათა ფიქრის შემცნობი, რის გამოც მოწაფეთა და ნაცნობ-მეგობართა უანგარო სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი. გარდა ამისა, როგორც მისმა ძველმა მეგობრებმა მითხრეს, სწორედ ამის გამო, იგი ხშირად არბიტრის როლსაც ასრულებდა, როცა ამა თუ იმ კოლეგას შორის შავკატიანი უთანხმოება ჩამოვარდებოდა ხოლმე.

უკანასკნელ წლებში მე საშუალება მიმეცა უფრო ახლოს გამეცნო იგი. ეს იყო ჯანმრთელი, გულით უხინჯო კაცი, მხიარული იუმორის მქონე, რაც იმთავითვე გულისხმობს სიმშვიდეს, პიროვნულ სიმტკიცეს და საკუთარი სისუსტეების მიმართ უპირატესობის გრძნობას.

წავკისში, მის აგარაკზე, მე მაჩვენეს ცხრამეტი წლის შოთა ძიძიგურის ფოტოსურათი. ვერ ვიცანი. ნამდვილად ბატონი შოთას სურათია?.. წელთა კვალობაზე კაცს ეცვლება გარეგნობა, ცხოვრებისეული გამოცდილება აგლუვებს ან ამახვილებს მისი ხასიათის ზოგიერთ წახნაგს, მაგრამ პიროვნების უღრმესი შრე ყოველთვის ინარჩუნებს პირვანდელ თვისობრიობას. სურათიდან იცქირებოდა დაფიქრებული ჭაბუკის ძლიერი, მამაკაცური სახე.

თამაზ ჩხენკელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალ „მნათობის“ 1996 წლის ნომრების შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. — № 1-2 — 9-10.

მოთხრობები, რომანები, პიესები

აბაშიძე მერაბ — როცა სამყარო სიკვდილს მოგისჯის. რომანი. № 9-10.
გეგეშიძე გურამ — ნაცრის ქექვა. რომანი. № 5-6, — 9-10.
გოგოლაძე თენგიზ — იაგო და სანტიაგო. მოთხრობა. № 7-8.
დოლიძე მამუკა — არაფრის შესახებ (რომანის მოტივებზე). № 3-4.
ეხვაია ნანა — რა დროს ეგ არი? პუბლიცისტური მოთხრობა. № 9-10.
კამიუ ალბერ — ესეები. თარგმნა მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ. № 7-8.
ლაგერკვისტი პერ — ჯალათი. მოთხრობა. თარგმნა მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ. № 3-4.
სულაბერიძე ლადო — ცხადსიზმარიანა (თავგადასავალი). № 1-2 — 9-10.
სულაკაური არჩილ — თბილისური ჩანახატები. № 1-2.
ქირია ჯემალ — კიბე იაკობისი. რომანი. № 1-2 — 5-6.
შათირიშვილი მერაბ — საკენის ცოდვა. მოთხრობა. № 5-6.
ჭილაძე თამაზ — სიზმრების ახსნა. დრამა. № 9-10;

ლექსები, პოემები

აბრამიშვილი მარი — ლექსები. № 7-8.
არაბული შაბურა — ლექსები. № 3-4.
ბატიაშვილი დარეჯან — ლექსები. № 7-8.
ბაქრაძე ნოდარ — ლექსები. № 5-6.
ბედიანიძე დალილა — ლექსები. № 3-4.
გაბური ლელა — ლექსები. № 1-2.
გვეტაძე ვასილ — ლექსები. № 3-4.
გიორგობიანი გურამ — ლექსები. № 5-6.
გოჩიაშვილი ელა — ლექსები. № 9-10.
ებანოიძე თამაზ — ლექსები. № 1-2.
თვარაძე ზაზა — ლექსები. № 7-8.
კერესელიძე ნუნუ — ლექსები. № 7-8.
კვიტაიშვილი ემზარ — ლექსები. № 1-2, 9-10.
სულაკაური გიგი — ლექსები. № 3-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯონიკიძე იზა — ლექსები. № 5-6.
რატიანი ზვიად — ლექსები. № 3-4.
ჩარკვიანი გიორგი — ლექსები. № 7-8.
ხალვაში ფრიდონ — ლექსები. № 9-10.
ხუხაშვილი გიორგი — ავტოპორტრეტი. სონეტები. № 3-4.
ჯგუბურია მურმან — ეკატერინე ჭავჭავაძე. პოემა. № 1-2.

ფაქტები, მოგონებები

კვერენჩხილაძე რევაზ — გვემული მწერლები და მწერლობის მეგობარნი. № 1-2; კვლავ უნივერსიტეტელებს თრგუნავენ. № 3-4; არც იანიჩრებს ინდობდნენ, არც თავისი ერის ერთგულებს. № 5-6; ემიგრაციაში ყოფნისათვის დასჯილნი. № 9-10.
კოტინოვი ნორა — აკაკი წერეთლის პირადი წერილები ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლისადმი. № 9-10.
ძაყაშვილი მარო — დღიური. პუბლიკაცია მ ა რ ი ა მ (ნ უ გ ე შ ა) მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს ა. № 3-4.
პაპავა ალექსანდრე — დეფორმაცია თუ კანონზომიერება. პუბლიკაცია ე მ ზ ა რ კ ვ ი ტ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა. № 7-8.
რატიანი ანა — მოგონებები გალაკტიონზე. № 9-10.
ჩერჩილი უინსტონ—მემუარები. თარგმნა რ უ ს უ დ ა ნ მ ა ხ ა თ ა ძ ე მ. № 7-8.

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ბენაშვილი გურამ — გალაკტიონის პოეტური აზროვნების ირგვლივ. № 7-8.
თევზაძე დავით — ვასილ წერეთელი. № 5-6.
ძიბჩუანი თეიმურაზ — აფხაზეთი — საქართველოა. № 1-2; ვინ მოუგო ომი ქართველებს. № 5-6; აბაზგები ანუ „სუანო-კოლხები". № 9-10.
ნინიძე მაია — რწმენის ტრაგედია? № 7-8.
ღლონტი ალექსანდრე — მწერლის პროზის ქართული. № 1-2.
ჯავახიშვილი მანანა — ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან. № 5-6.

მეცნიერება

გოილაძე ვახტანგ — საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი „კარადმდე ბარდავის ქალაქისა". № 9-10.
თაყაიშვილი ეკა — ლიტერატურული ზღაპრის შესახებ. № 1-2.
ძაცხონაშვილი ნინო — ბიბლიური სიმბოლოები იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში". № 1-2.
ნინიძე მაია — იგავური ენა და სიტყვაკაზმული ლიტერატურა. № 3-4.
ნარსიძე გურამ — სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა და ტაძრის აგების თარიღი. № 9-10.

წიგნების მიმოხილვა

ნადარეიშვილი გიორგი — ქართული სოფელი. № 1-2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№
97

თბილისი რუსთაველის ქ. № 23

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61. მთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/მგ. მდივნის 99-91-00, და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 10. 09. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 12. 96 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 13,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 1125. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", კოსტავას ქ. № 14.